ნანა შონია, ნუნუ ქიქოძე

საერთაშორისო სავალუტო ბაზარი FOREX

თბილისი
2010

ნანა შონია, ნუნუ ძიძოძე;
საერთაშორისო სავალუტო ბაზარი FOREX. გვ. 292.
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. თბილისი, 2010.

საერთაშორისო სავალუტო ბაზარი (FOREX) საქართველოსათვის ინოვაციას წარმოადგენს, რადგანაც აღნიშნული ბაზრის ფუნქციონირების სპეციფიკის და შედეგების შესახებ ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში ახლა ერცელდება. გამომდინარე აქედან, გავაკადნიერდით და ხანგრძლივი შრომის შედეგად შეეიმუშავეთ სახელმძღვანელო, სადაც განხილულია საერთაშორისო სავალუტო ბაზრის არსი და ფუნქციები, ვინ შეიძლება იყვნენ ბაზრის მონაწილეები, მითები ფორექსის ბაზრის შესახებ, ბაზრის ფუნდამენტალური და ტექნიკური ანალიზი, ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის მეთოდები. ამასთანავე, გავამახვილეთ ყურადღება ტრეიდერების მუშაობის სპეციფიკაზე და ტრეიდინგზე, მსოფლიოში ცნობილი ტრეიდერების შეცდომებზე და მათ მითითებებზე, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა ტრეიდერმა ვაჭრობის დროს.

სახელმძღვანელო – **„საერთაშორისო სავალუტო ბაზარი (FOREX)“** განკუთვნილია როგორც უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებულ პირთათვის, თუნდაც ქვეყნის საკრედიტო სისტემის შესაბამისი საკითხით დასაქმებული ინდივიდებისათვის.

ავტორების მიზანია აღნიშნულმა სახელმძღვანელომ ხელი შეუწყოს დასაქმების დეფიციტის დაძლევას ქვეყანაში, რადგანაც სწორედ მასში განხილული საკითხების ცოდნა უზრუნველყოფს თვითდასაქმებას ფორექსის ბაზარზე.

რედაქტორი: **არჩილ ცერცვაძე,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თბილისის ეკონომიკურ-ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

რეცენზენტები: **გიორგი ცაავა,** სტუ სრული პროფესორი;
ზურაბ ჩხაიძე, სტუ სრული პროფესორი.
რობერტ გოლეთიანი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ეკონომიკურ-ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

წიგნი განხილული და რეკომენდირებულია დასაბეჭდად თბილისის ეკონომიკურ-ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №4. 24.12.2009წ.).

ISBN 978-9941-9125-5-9

წინასიტყვაობა

საქართველოში, ამ უკანასკნელ პერიოდში, ინტერნეტის დამკვიდრებასთან ერთად მკვიდრდება ტერმინი "FOREX", რაც ნებისმიერი პიროვნების ინტერესს იწვევს, მაგრამ ამავდროულად შიშის ფაქტორიც ეუფლებათ, რადგანაც საზოგადოებაში ინფორმაციული ვაკუუმია "FOREX"-ის შესახებ და ინტერნეტით სარგებლობის საშუალებაც ყველას არა აქვს.

რეალურად, ფორექსი არის თვითდასაქმების იდეალური საშუალება.

თუ რატომ და როგორ, ეს ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ფორექსთან დაკავშირებული მითების გაქარწყლების პარალელურად გამომჟღავნდება. მაგრამ მანამდე გვინდა მოკლედ შევეხოთ FOREX-ის ბაზრის არსს და როლს.

FOREX არის საერთაშორისო სავალუტო ბაზარი, რომლის წარმოშობაც კაპიტალის მოძრაობამ განაპირობა, რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ საქონლის ექსპორტ-იმპორტთან. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ფორექსის ბაზარზე ნებისმიერი ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ხდება ინტერნეტქსელის საშუალებით 24 საათის განმავლობაში და წარმოადგენს შემოსავლის მიღების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ფორექსი ფუნქციონირებს 1971 წლიდან, რაც დაკავშირებულია ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრახთან და მცურავი სავალუტო კურსის შემოღებასთან. სახელმწიფოს მიერ სავალუტო კურსების რეგულირების პოლიტიკისაგან განდგომის შედეგად, რომელსაც არასოდეს მოუტანია სასურველი შედეგი, მოხდა ფორექსის სავალუტო ბაზარზე პროფესიონალი თრეიდერების მოდინება და სავალუტო კურსების რხევების გაძლიერება. მთელ მსოფლიოში ის ითვლება ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალურ და მაღალშემოსავლიან პროფესიად. ამ სფეროს მრავალი წარმომადგენელი

გახდა საფინანსო ბაზრის "სახალხო გმირი" (სოროსი, ლარი ვილიამსი, ჯორჯ ენჯელი და სხვა) და ააგეს თავბრუსდამხვევი კარიერა.

ფორექსის ბაზარს რეალურად შემდეგი ფაქტორები ამოძრავებს:

- კაპიტალის მოძრაობა;
- ინფლაცია;
- ურთიერთგადახდების დაბალანსება;
- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა;
- ტექნიკური ანალიზის საფუძველზე გაკეთებული პროგნოზები;
- პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები.

მართალია, ფორექსს სხვა ბაზრებისაგან განსხვავებით არ გააჩნია ფიქსირებული სავაჭრო ადგილი, მაგრამ მის უკან ყოველთვის დგას სახელმწიფო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თავის გავლენას ახორციელებს ორი გზით: კონტროლი და ინტერვენცია.

კონტროლი აკავებს მოქალაქეებს ისეთი ქმედებებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ნეგატიური ზეგავლენა იქონიონ ფასებზე. ხოლო ინტერვენციით ერთი ქვეყანა ეკონომიკურ ზეგავლენას ახდენს მეორე ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ შემთხვევაში ვალუტის კურსების ხელოვნურ რეგულირებას აქვს ადგილი.

დღეს მთელ მსოფლიოში, ფორექსის ბაზარი ყველაზე ლიკვიდურ ბაზრად ითვლება, რაც განაპირობა მისი დღიური მოცულობის სისტემატიურმა ზრდამ. FOREX-ის ბაზრის ასეთი სწრაფი განვითარება განაპირობა მისმა გარკვეულმა უპირატესობებმა სხვა ბაზრებთან შედარებით: მაღალი ლიკვიდურობა, სადღეღამისო წვდომა, გარიგებათა სიადვილე, მარჟინალური ვაჭრობა, საბირჟო აქტივების სიუხვე, სავალუტო კურსების სწრაფი რხევები, მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარება.

საერთაშორისო სავალუტო ბირჟის წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია პროფესიონალებზე, ანუ ისინი პასუხისმგებელი არიან ბირჟის კლიენტის ფინანსურ მდგომარეობაზე. ფორექსზე მუშაობისას ინვესტორს შეუძლია გაზარდოს თავისი კაპიტალი, მაგრამ შეუძლია რომ დაკარგოს არა მარტო პოტენციური მოგება, არამედ ის ფულიც, რომელიც მან დააბანდა. სწორედ გადახრა მოსალოდნელი მოგების საშუალო მნიშვნელობიდან, განსაზღვრავს ინვესტორის რისკს ფინანსურ ბაზარზე. ამ გადახრას შეუძლია მოიტანოს როგორც მაღალი მოგება ასევე, დიდი წაგებაც. მაგრამ ამ შემთხვევაში პროფესიონალების მიერ ხდება რისკების მართვა. ფინანსური რისკების მართვა არ წარმოადგენს წარმატებული ვაჭრობის გარანტს, მაგრამ შეადგენს მის მნიშვნელოვან ნაწილს. არც ერთი სავალუტო ოპერაცია არ არის დაზღვეული რისკისაგან, მაგრამ მათი მართვის მექანიზმების გამოყენება შეამცირებს პოტენციურად მოსალოდნელ დანაკარგებს. სავალუტო ოპერაციების მართვის მეთოდებს მიეკუთვნება: სტოპ-ორდერების დადება, კაპიტალის მხოლოდ ნაწილის ინვესტირება, ვაჭრობა თრენდით, ემოციების მართვა და ასე შემდეგ. რაზეც საუბარია წინამდებარე ნაშრომში. რომლის წაკითხვითაც, ნებისმიერი დაინტერესებული პირი, ისეთ საჭირო ინფორმაციას მიიღებს, რომლის ფლობაც ხელს შეუწყობს საკუთარი შემოსავლის ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ბლუმბერგის სავაჭრო ტერმინალით განახორციელებს ვალუტის ყიდვა-გაყიდვას, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში

დღეს ფორექსის ბაზარი ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ამიტომ აუცილებელია საზოგადოების უზრუნველყოფა ფორექსის შესახებ ინფორმაციით ნებისმიერი საშუალებებით. დროა საზოგადოება დავაინტერესოთ იმაში, რომ ინტერნეტი აუცილებელი საარსებო საშუალებაა, რადგანაც ის არა მარტო გასართობია, არამედ შემოსავლის

ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. FOREX-ის ბაზარზე ვაჭრობა კი ხელს შეუწყობს შრომის ბაზრზე არსებული დეფიციტის გაჯერებას.

წინამდებარე ნაშრომი შედგება რვა თავის და უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონისაგან. თითოელი თავი განხილულია დაწვრილებით, მაგრამ ეს არ არის ამომწურავი ინფორმაცია საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის შესახებ, რადგანაც არსებობს ისეთი ფაქიზი საკითხები, რომელთან შეხებაც, ჯერ-ჯერობით ჩვენთვისაც ნაადრევია. ამიტომ ჩვენ ვეცადეთ საფუძველი ჩაგვეყარა ფორექსის ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირებისათვის საქართველოში მეცნიერული თვალსაზრისით და დანარჩენი პრაქტიკოსებისათვის მიგვეინდია.

მადლობა იმათ, ვინც დაინტერესდა ჩვენს მიერ შემოთავაზებული წიგნით, წაიკითხა და გაუჩნდა სურვილი საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე საქმიანობის.

ნანა შონია, ნუნუ ძიძოძე

INTRODUCTION

In the recent period in Georgia along with the introduction of Internet the term 'FOREX' is becoming more and more popular causing much interest among people. However, there are some fear factors since there is an informational vacuum in the society concerning the forex market. Besides, internet is note available to everyone.

In fact, FOREX is the ideal way of self-employment.

Why and how _ these questions will be explained along with the attempt to debunk the myth about the forex in the presented paper. But before moving directly to the questions let's briefly discuss the main point and the role of the forex market.

Forex is international currency market the origin of which was conditioned by the movement of capital that is connected to the export and import of different goods. In simple words, on the forex market any foreign currency can be bought and sold online throughout 24 hours and is one of the basic ways of getting income. Forex started functioning in 1971. It is connected to Bretton-Woods system failure and introduction of floating exchange rates. The state has not supported the policy to regulate exchange rates that has never brought desired results. Finally, it caused the flow of professional traders on the forex exchange market and increase of fluctuations in exchange rates. It is considered to be one of the highly-paid and intellectual jobs all over the world. Many representatives of this field have become 'national heroes' of the financial market (Soros, Larry Williams, George Angell and etc.) and have built brilliant careers.

In fact, the forex market is determined by the following factors:

- Capital movement;
- Inflation;
- Balancing payments;
- State economic condition;

- Prognoses made on the basis of the technical analysis;
- Political and psychological factors.

It is true, that compared with other markets forex does not have any fixed trading place, but the state always stands behind it. In case it becomes necessary, the state uses its influence in two ways: control and intervention. Control prevents the citizens from such actions that may have negative impact on the prices, while by means of intervention one state influences the economy of the other state. In this case, we deal with exchange rate pegging.

Nowadays, the forex market is considered to be the most liquid one all over the world conditioned by the systematic growth of its daily volume. Such rapid development of the forex market is caused due to its advantages against other markets: high liquidity, accessibility throughout 24 hours, simplicity of making deals, marginal trades, richness of exchange assets, fast fluctuation of exchange rates, internationalization of world economy and development of computer technologies.

Successful functioning of the international currency exchange depends on the professionals, i.e. they are responsible for the financial state of the client. While working on forex investor may increase its capital, but may lose not only potential profit but the money that has been invested as well. Right deviation from the average value of possible profit determines the investor risk on the market. It may bring high profits and big losses as well. But in this case, it is a group of professionals who handles the risks. Handling financial risks does not provide a guarantee of successful trade, but it is an important component. None of the currency operations is safe. However, through different handling mechanisms potential losses may be reduced. The methods of handling currency operations are as follows: putting stop orders, investing only a certain part of the capital, trend trading, controlling emotion and etc. All the abovementioned issues are discussed in the presented paper. Any interested reader will get all necessary information concerning the trade that will encourage the growth of private income.

Despite the fact, that the National Bank of Georgia conducts operations of buying and selling foreign currency through the Bloomberg Trade Terminal, unfortunately, in Georgia the forex market is still in its starting phase. Therefore, it is expedient to provide the society with all necessary information by any means.

It is high time the society knew that internet is a necessary means for existence since it is not only a good tool of entertainment, but the main source of income as well. Trading on the forex market will assist to make up the deficit existing in the labour market.

Presented paper consists of 8 chapters and explanatory dictionary of foreign words.

Each of the chapters has detailed information. However, some items may be missing about international currency market as it is a bit early to discuss some of the delicate issues. Therefore, we have tried to lay the cornerstone for forming and functioning of the forex market in Georgia in a scientific way and the rest is left to practitioners.

Thank you to everybody who has showed the interest in the presented book, found time to read it and expressed a desire to conduct activities in international currency market.

Nana Shonia, Nunu Kikodze.

თავი 1.
მითები FOREX-ის ბაზრის შესახებ

1.1. FOREX-ის ბაზრის არსი და სტაბილურობა

ფორექსის საერთაშორისო სავალუტო ბაზარი წარმოადგენს ოპერაციათა ერთობლიობას უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე და კონკრეტული პირობებით (ჯამი, გაცვილითი კურსი, საპროცენტო განაკვეთი) სესხების გაცემაზე. დღეს ვალუტით ვაჭრობა იქცა მოღვაწეობის საკმაოდ გავრცელებულ სახეობად: ფორექსის მსოფლიო სავალუტო ბაზრის ყოველდღიური ბრუნვა აღწევს 3 ტრილიონ დოლარს, ყველა სავალუტო გარიგების არანაკლებ 80%-ს შეადგენს FOREX-ით განხორციელებული ოპერაციები, რომლეთა მიზანია სარგებლის მიღება სავალუტო კურსების სხვაობათა თამაშით, და ეს თამაში ფორექსის ბირჟაზე იზიდავს მრავალ მონაწილეს: როგორც საფინანსო ორგანიზაციებს, ასევე ინდივიდუალურ ინვესტორებსაც.

FOREX-ის ძირითადი მონაწილეებია:

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკები;
- კომერციული ბანკები;
- ბირჟები და საბროკერო სახლები;
- საინვესტიციო, სადაზღვევო ფონდები და ჰეჯ-ფონდები;
- კორპორაციული სპეკულანტები;
- კერძო ინვესტორები (ტრეიდერები).

რამდენად სტაბილურია ფორექსის სავალუტო ბაზარი?

ვინც კი შეხებია ფორექსის სავალუტო ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმს, მათთვის ცნობილია, რომ ის რამდენადმე განსხვავდება მაკროეკონომიკის კლასიკურ

სახელმძღვანელოებში აღწერილი მოდელებისაგან, სადაც ამტკიცებენ, რომ მოთხოვნილება და მიწოდება განსაზღვრავენ ვალუტის თანასწორ კურსს. რეალობაში ფორექსის სავალუტო კურსი, როგორც სხვა საფინანსო ბაზრები, არასოდეს არ არის თანასწორობაში, მისი მდგომარეობა შეიძლება განისაზღვროს როგორც დამსხლტომი წონასწორობის მუდმივი ძიება. რამოდენიმე ხნის წინ, სახელდობრ კი 1971 წლიდან, ეს ძიება საგრძნობლად გააქტიურდა, რაც დაკავშირებული იყო ბრეტონ-ვუდსის ფიქსირებულ სისტემაზე უარით და ვალუტების თავისუფალი ცურვაზე გადასვლით ერთმანეთის მიმართ. სახელმწიფოს მიერ სავალუტო კურსების რეგულირების პოლიტიკისაგან განდგომის შედეგად (რომელსაც არასოდეს მოუტანია სასურველი შედეგი) მოხდა ფორექსის სავალუტო ბაზარზე პოფესიონალი თრეიდერების მოდინება და კურსების რხევების გაძლიერება. მას შემდეგ თრეიდერის პროფესია FOREX-ზე უფრო პოპულარული ხდება. მთელ მსოფლიოში ის ითვლება ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალურ და მაღალშემოსაელიანად, ამ სფეროს მრავალი წარმომადგენელი გახდა საფინანსო ბაზრის „სახალხო გმირი" (როგორც, მაგალითად, სოროსი) და ააგო თავბრუდამხვევი კარიერა.

რა ამოძრავებს ფორექსის ბაზარს?

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფორექსის ბაზარზე ვალუტების გასაცვლელ ფასებზე, შემდეგია:

- ურთიერთგადახდების დაბალანსება;
- ეკონომიკური მდგომაროება;
- ტექნიკური ანალიზის გრაფიკების საფუძველზე გაკეთებული პროგნოზები;
- პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები.

მთავარი ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს მიმდინარე მომენტს ფორექსის ბაზარზე, შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოებს შორის კაპიტალის გადაადგილება, ანუ კა-

პიტალის მოძრაობა. აგრეთვე, ინფლაცია ან სააღრიცხვო განაკვეთი ახდენს არსებით ზეგავლენას ვალუტების ფასებზე. მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ისიც, რომ სახელმწიფო ყოველთვის დგას ვალუტის უკან. სახელმწიფო ახორციელებს თავის გავლენას ფორექსის ბაზარზე ორი გზით: ერთი მათგანი კონტროლია, მეორე კი, ეგრეთწოდებული ინტერვენცია. კონტროლი (სავალუტო) აკავებს მოქალაქეებს ისეთი ქმედებებისაგან, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ ნეგატიური ზეგავლენა ფასებზე (მაგალითად, ფულის გადაგზავნა საზღვარგარეთ). ინტერვენცია ეს არის ერთი ქვეყნის ეკონომიკური ზეგავლენა სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე. პრემია ვალუტის გაყიდვა ან ყიდვა იმისათვის, რათა ფორექსის ბაზარზე აწიონ ან, პირიქით დაწიონ მისი ფასი. ყველაფერი ეს არის ფორექსის სავალუტო ბაზრის ნიუანსები. ფასების მოძრაობა ფორექსის სავალუტო ბაზარზე არ ჩერდება ერთი წუთითაც, ანუ სარგებლის მისაღებად თქვენ გეძლევათ დღეში ათობით სიტუაცია. ამასთანავე, მთავარია ჭკვიანური და პროფესიული მიდგომა. მიიღებთ რა საჭირო ცოდნას, თქვენ შეგიძლიათ იმუშაოთ ყველაზე ეფექტური საფინანსო ინსტრუმენტებით, მაშასადამე ასწიოთ დეპოზიტის ზრდის შანსი.

შესაძლებელია თუ არა ფორექსის სავალუტო ბაზარზე კურსების რხევები გახდეს სარგებლის მუდმივი წყარო?

ვალუტის კურსების ცვალებადობაზე მოქმედებს უამრავი ფაქტორი. თუკი მოხდა რაიმე მოვლენა, რომელიც მოქმედებს ბაზარზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო კურსების მძლავრი მოძრაოებები და ეს აღმოჩდება კარგი სარგებლის პოტენციური წყარო. ფორექსის ბაზრის მონაწილენი უნდა იყონ საკმარისად კარგად გარკვეულნი ვალუტის მოძრაობის გრაფიკის ყველა თავისებურებებში. როდესაც ვალუტის მოძრაობის მრუდი აღწევს რაღაც საკვანძო წერტილს, ფორექსის ბაზრის ქცევა ტექნიკურად პროგნოზირებადი ხდება და შედეგად, ჩნდება მნშვნელოვანი სარგებლის მიღების პო-

ტენციური შესაძლებლობა. ფორექსის საფინანსო ბაზარზე მუშაობა მოითხოვს მუდმივ დაძაბულობას, ფსიქოლოგიურ მდგრადობას, მოქმედებისადმი მზადყოფნას.

ფორექსის ბაზრის ძირითადი დირსებებია:

- მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობა და ოპერაციათა უდიდესი მოცულობები;
- გარე მარეგულირებელი ორგანოს არარსებობა - ფასები განისაზღვრება მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებით;
- ბაზრის აბსოლუტური ლიკვიდურობა და სისწრაფე გარიგებათა განხორციელება წამებში ონლაინ კოტირებების მიხედვით;
- 24-სათიანი მუშაობის რეჟიმი მთელი სამუშაო კვირის განმავლობაში;
- პოზიციის გახსნის შესაძლებლობა დროის ნებისმიერ პერიოდში, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ ტრეიდერზე;
- საკომისიო ხარჯების არარსებობა, გარდა ყიდვის და გაყიდვის ფასების სხვაობისა;
- მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობა ვიდრე ოპერაციაში ჩადებული თანხა.
- კვალიფიკაციური სამუშაო ფორექსის ბაზარზე შეიძლება გახდეს თქვენი მოღვაწეობის ძირითადი სფერო;
- გარიგებების წარმოება შესაძლებელია კლიენტისთვის სასურველ (მოსახერხებელი) ნებისმიერ დროს.

მაგალითი, ფორექსზე ერთ-ერთი ვაჭრობის შედეგი:

გარიგება დაიდო 06.07.09 წელს წყვილზე **USD/CHF.**


მიმდინარე ბალანსი გარიგების დადების დროს იყო 417,11 დოლ.

გარიგების პარამეტრები: 07.07.2009, 13:09 3000, 1,0837 (ღია სავაჭრო ორდერი) stop-losi და Take Profit მოქმედებდა.

პოზიცია დაიხურა 19:22 საათზე 1,0889 ფასად, მოგება - 109,20 დოლარი (იხ. დიაგრამა №1).

გარიგება არის ლოგიკური – ფასი დაიწია თრენდის ხაზით, ამიტომ შეიძლებოდა ყიდვა. მაგრამ უნდა ეყიდა არა 1,0837, არამედ 1,0805. აქვე არასოდეს არ უნდა დაგავიწყდეთ სტოპის გაკეთება.

დიაგრამა №1.1.



Stop Loss ეს ტერმინი იხმარება საბირჟო ვაჭრობის პროცესის დანაკარგების ქვე-პროცესის შეჩერების მიზნით. ეს არის ნიშნული (ზღვარი), რომელიც თრენდზე წინასწარ ფიქსირდება და თუ გრაფიკი არ წავიდა იმ მიმართულებით, რომელიც ადრე იყო ნავარაუდევი(ესე იგი, მიეცდიათ ზარალში), იქ დახვდება ეს ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც ადრე იყო დასმული და ავტომატურად აჩერებს შესყიდვის ან გაყიდვის პროცესს(გააჩნია პოზიციას - დათვი იყავით თუ ხარი).

Take Profit - ეს ტერმინი იხმარება ვაჭრობის პროცესიდან დაგეგმილი მოგების მოხსნის (რადგანაც მომავალის პროგნოზი ჩვენს მიერ ვერ კეთდება) მიზნით. სხვანაირად, რომ ვთქვათ ეს არის "ანტისიხარბე", ანუ გრაფიკი (არ მინდა ვთქვა თრენდი,რადგანაც ეს უკანასკნელი უმეტეს შემთხვევაში აღმავალ ხარებისთვის ხელსაყრელ მიმა-

რთულებას აღნიშნავს) მიდის იმ მიმართულებით, როგორც ვვარაუდობდით, მაგრამ ჩვენ ვშიშობთ, რომ მან შეიძლება შეიცვალოს მიმართულება. და სწორედ ამიტომ, იმ ადგილას სადამდეც ეჭვი არ გვეპარება, რომ თრენდია(აღმავალია) ან დაღმართია(დათვურია) ჩვენ წინასწარ გვქონდა დასმული ეს ნიშნული.

როდესაც წინასწარ გაქვთ დასმული (ტერმინალში დაფიქსირებული) რომელიმე ნიშნული, მაშინ თქვენ შეგიძლიათ წყნარად გამოხვიდეთ პროცესიდან და თვითონ პროგრამა ავტომატურად გათიშავს ვაჭრობის პროცესს. ამ შემთხვევაში თქვენ წინასწარ იცით: წაგების შენთხვევაში რამდენს წააგებ და მოგების შემთხვევაში რამდენს მოიგებთ. სწორედ ამით განსხვავდება FOREX კაზინოსაგან.


მაგრამ როცა თრეიდერი ირენს სიხარბეს, მაშინ იგი ხსნის აღნიშნულ სტოპებს და აგრძელებს ვაჭრობას იგივე მიმართულებით. თუ თრეიდერს არ გააჩნია ვაჭრობის ფსიქოლოგიის ცოდნა და ჩვევები, მაშინ იგი ნებისმიერ მომენტში წაგებული რჩება.

ამიტომ ამბობენ: ბაზარში შესვლის მომენტის ამოცნობა შედარებით ადვილია იმ მომენტის ამოცნობასთან, როდესაც ბაზრიდან გამოსვლა მოგვეთხოვება.

მსოფლიო სავალუტო ბაზარის 30/11/09- 05/12/09 FOREX კვირის მიმოხილვა ასეთია [http://www.forex.org.ge/index.php?option]:

მიუხედავად ფუნდამენტური ფაქტორებით გამოწვეული გაურკვეველობისა, გასული კვირა აშშ დოლარის გამყარების მიმართულებით დასრულდა. ბაზრის ტენდენცია ოთხშაბათ დღეს გახდა ნათელი ჯან კლოდ ტრიჩეტის, ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის განცხადების შედეგად, სადაც მან მიანიშნა თრეიდერებს, რომ ამერიკული ვალუტა კურსის გამყარებით გაგრძელებულიყო და ინვესტორებს შეესყიდათ დოლარი.

დიაგრამა №12.



ასევე, ტრიშემ თავის ჩვეულ პრესკონფერენციაზე, განცხადა რომ დოლარის გამყარება თავისთავად დიდ როლს ატარებს, და შესაბამისად ევროპის ეკონომიკური აღმავლობა მომავალ წელს შესაძლებელია სუსტი აღმოჩნდეს, ხოლო ინფლაცია კი შთანთქმული იქნება. შეხვედრის ბოლოს ტრიშემ საპროცენტო განაკვეთი 1%-ზე დატოვა.

რაც შეეხება სამუშაო ადგილების რიცხვს, ნოემბრის თვეში ადგილების რაოდენობა 11,000-ით შემცირდა, ხოლო უმუშევართა რაოდენობამ კი შეადგინა 10,2%-ი დან 10%-მდე. მაშინ როდესაც ექსპერტები უმუშევართა რიცხვს 10,2%-ზე მოელოდნენ.

რაც შეეხება იენის კურსის ტენდენციას გასული კვირისას, აღმოჩნდა რომ თავისი პოზიციები დათმო დოლართან მიმართებაში, რადგან იაპონური ვალუტა იბრუნებს მთავარი დამფინანსებლის სტატუს მაღალშემოსავლიან ინვესტიციებში, შესაბამისად იენის კურსი დოლართან მიმართებაში 3%-ით დაეცა. ცნობისათვის ეს მაქსიმალური დანკარგია აგვისტოს თვის შემდგომ.

09/11/09 - 13/11/09 გასული კვირის მიმოხილვა მსოფლიო სავალუტო ბაზარის

გასულ კვირას, მსოფლიო სავალუტო ბაზარზე კვირის დასაწყისში დოლარის კური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, რადგან ჯე 20 –ის სამიტის შედეგებმა აჩვენა რომ ეკონომიკური პოლიტიკური სტიმულაცია ჯერ კიდევ საჭიროა და ინვესტორების მიერ მომგებიანი აქტივები.ს შესყიდვებიც.

ასევე დოლარის კურსზე იმოქმედა საერთაშორისო სავალუტო ფონდი-ის კომენტარმა, სადაც აღნიშნავდნენ, რომ ტრეიდერებმა შესაძლოა გამოიყენონ დოლარი როგორც ეგრედ წოდებული ცარრყ ტრადეს ოპერაციებში დასაფინანსებლად. ამის ფონზე კი დოლარის კურსმა ევროსთან შეადგინა 1,5050 დოლარი, კვირის ბოლოს კი დოლარის კურსის გამყარებით დასრულდა, რაც აშშ-ს ანგარიშგებამ, უმუშევართა რაოდენობის.

12. FOREX ბაზრის განვითარების ძირითადი ეტაპები

საერთაშორისო სავალუტო ბაზარს გააჩნია ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორია. სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ვალუტის გადამცვლელი ოპერაციების ბაზარიც თანდათანობით იცვლებოდა. ბაზარმაც თანამედროვე სახის მიღება დაიწყო XX-ს 70-იანი წლებიდან, როდესაც მოიხსნა ერთიანი ვალუტის მიმართ ფიქსირებული კურსის სისტემა. ბრეტონ-ვუდსის. სისტემის მოქმედების შეწყვეტის და ვალუტის „მცურავ კურსებზე" გადასვლის შემდეგ გაჩნდა ბიზნესის ახალი სახეობა, რომელიც დაფუძნებულია სარგებლის მიღებაზე სავალუტო კურსების მუდმივი ცვლილების პირობებში.

XXს. 30-იანი წლებში მსოფლიო საფინანსო კრიზისის შედეგად ადგილი აქვს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების მსხვრევას. 30-იანი წლების შუახანებში ლონდონი ხდება მსოფლიო საფინანსო ცენტრი. ბრიტანული გირვანქა სტერ-

ლინგი იმ დროს იყო სავაჭრო ოპერაციების და სავალუტო რეზერვების შესაქმნელი ძირითადი ვალუტა.

1930 წელს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში შეიქმნა საერთაშორისო სააგნარიშოსწორებო ბანკი. მისი შექმნის მიზანი იყო ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების და იმ სახელმწიფოების ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც განიცდიან საგადასახადო ბალანსის დეფიციტს.

1944 წელს აშშ-ში ჩატარდა ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია. ის ითვლება ამერიკულ-ბრიტანული მეტოქეობის დასასრულად. კონფერენციას ესწრებოდა ორი უდიდესი ფიგურა: ჯონ მეინარდ კეინსი (ინგლისი) და ჰარი დექსტერ უაიტი (აშშ). მათ შეძლეს შეექმნათ და შემოეღოთ მსოფლიო საფინანსო სისტემის განვითარების ახალი წესი შექმნილ პირობებში.

ბრეტონ-ვუდის სისტემის ძირითადი დებულებები:

• საერთაშორისო სავალუტო ფონდი ხდება უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, რომელიც აკონტროლებს საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებს;

• გაცხადებულია ვალუტები, რომლებიც არულებენ საერთაშორისო რეზერვების როლს (დოლარი და დე-ფაქტო გირვანქა სტერლინგი);

• დადგენილია ვალუტების რეგულირებადი პარიტეტები, რომლები „მიბმულია" აშშ დოლარზე (შესაძლოა გადახრა -1%);

• დოლარი „მიბმულია" ოქროზე (ოქროს უნცია-35 $); სსფ წევრებს შეუძლიათ შეცვალონ პარიტეტები მხოლოდ სსფ-ს თანხმობით;

• გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ ყველა ვალუტა კონვერტირებადი უნდა გახდეს;

• ამ პრინციპის დაცვისათვის ყველა მთავრობა ღებულობს ვალდებულებას დაიცვას საერთაშორისო რეზერვები, აუცილებლობის შემთხვევაში კი მოახდინონ ინტერვენციები სავალუტო ბაზრებზე;

სსფ წევრი ქვეყნები საწევრო შენატანს იხდიან სარეზერვო ვალუტით და ოქროთი:

1947 წელს კომუნიზმის შეტევის შესაჩერებლად, აშშ-ში ღებულობენ ევროპული ეკონომიკის აღორძინების პროგრამას. აშშ სახელმწიფო მდივანი მარშალი თავის მოხსენებაში აღწერს გეგმას, რომლის თანახმადაც ევროპის ეკონომიკა გაჯანსაღდება იმ დონემდე, როდესაც ის შეძლებს დამოუკიდებლად შეინარჩუნოს თავისი სამხედრო პოტენციალი. ერთ-ერთი ამოცანაა „დოლარის შიმშილის" დანაყრება. თუკი 1949 წელს აშშ-ს სადოლარო ვალებულებები ევროპის მიმართ შეადგენდა 31 მილიადს, 1959 წელს მან მიაღწია 10.1 მილარდ დოლრას.

1958 წლისათვის ევროპული ქვეყნების უმრალესობამ განაცხადეს საკუთარი ვალუტის თავისუფალი კონვერტირებადობის შესახებ.

1964 წელს იაპონიამ განაცხადა თავისი ვალუტის კონვერტირებადობის შესახებ. ძირითადი ვალუტის კონვერტირებადობის გამოცხადების შემდეგ ნათელი გახდა, რომ აშშ-ს აღარ შესწევდა უნარი შეენარჩუნებინა უნცია ოქროს ფასი 35$. დოლარის ინფლაციამ შეუქმნა საშიშროება აშშ-ს. კენედის ადმინისტრაციამ მიიღო რიგი არასწორი გადაწყვეტილება - შემოიღეს გადასახადი საპროცენტო დიფერენციაციაზე, რომელმაც მაღლა ასწია უცხოური სესხის ამღებთა დანახარჯები და უცხოური კრედიტების ნებაყოფლობითი შეზღუდვების პროგრამა. გადასახადმა და შეზღუდვებმა ბიძგი მისცეს ახალი ბაზრის ევროდოლარის ბაზრის წარმოქმნას.

1967 წელს მოხდა ინგლისის ფუნტის დევალვაცია, რამაც უკანასკნელი დარტყმა მიაყენა ბრეტონ-ვუდის სისტემის ილუზიურ სტაბილურობას. 60-იან წლებში აშშ საგადასახადო ბალანსის დეფიციტი იწვევს ოქროს მარაგის შემცირებას 18-დან 11 მილიარდ დოლარამდე, ამასთანავე მიმდინარეობს აშშ გარე ვალების ზრდა.

1970 წელს აშშ-ში მკვეთრად დაეცა საპროცენტო განაკვეთები, რამაც გამოიწვია დოლარის უაღრესი კრიზისი. დროის მოკლე მონაკვეთში მოხდა კაპიტალის მასობრივი გადინება აშშ-დან ევროპაში, სადაც საპროცენტო განაკვეთის დონე უფრო მაღალი იყო. 1971 წლის მაისში გერმანიამ და ჰოლანდიამ გამოაცხადეს თავიანთი ვალუტის დროებითი თავისუფალი ცურვის შესახებ.

1971 წლის აგვისტოში აშშ საგადასახადო ბალანსის დეფიციტის ზრდამ აიძულა პრეზიდენტი რ. ნიქსონი შეეჩერებინა დოლარის ოქროში კონვერტირება.

1971 წლის დეკემბერში ვაშინგტონში, სმიტსონის ინსტიტუტში თათბირზე უკანასკნელად სცადეს შეენარჩუნებინათ ბრეტონ-ვუდის სისტემა. პარიტეტებისგან გაცვლითი კურსების გადახრის ინტერვალი გაზარდეს 4,5%-მდე. ინტერვალის საზღვრების შენარჩუნება ძალიან რთული იყო და რამოდენიმე ხანში ბუნდეს-ბანკმა ჩაატარა ინტერვენცია 5 მილიარდი დოლარის ოდენობით, იმ დროისათვის ეს უზარმაზარი თანხა იყო, მაგრამ ამას წარმატება არ ჰქონდა. სავალუტო ბირჟები ევროპაში და იაპონიაში დროებით დაიხურა, აშშ-ში გამოაცხადეს დოლარის 10%-იანი დევალვაცია. განვითარებულმა ქვეყნებმა შეწყვიტეს ფიქსირებული პარიტეტების მხარდაჭერა და მიმართეს სავალუტო ცურვას.

1973-74 წლებში ამერიკამ ეტაპობრივად გააუქმა საპროცენტო დიფერენციაციის გადასახადი და უცხოური კრედიტების ნებაყოფლობითი შეზღუდვის პროგრამა. ბრეტონ-ვუდსის სისტემამ შეწყვიტა არსებობა. ამ სისტემის მოქმედების ბოლო წლებში სავალუტო ტრეიდერებმა ამოიღეს დიდი სპეკულაციური სარგებელი იმ პერიოდში, როდესაც ხდებოდა ცენტრალური ბანკების მიერ ინტერვენციების შეწყვეტა. ფიქსირებულ კურსებზე უარის თქმის შემდეგ ასეთი სარგებლის ამოღების შესაძლებლობა ძალიან შეიზღუდა. ბევრმა ბანკმა დიდი ზარალი განიცადა, ორი ცნობილი ბანკი კი - კიოლნის „ბანკჰაუს ჰერშტადტი" და ნიუ-იორკის „ფრენკ-

ლინ ნეშნლი" - გაკოტრდა წარუმატებელი სპეკულატიური ოპერაციების გამო.

1976 წელს გაიმართა იამაიკის კონფერენცია (ქ. კინგსტონი). მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს მსოფლიო სავალუტო სისტემის ჩამოყალიბების ახალი პრინციპები. ქვეყნებმა უარი თქვეს ოქროს გამოყენებაზე დეფიციტის დაფარვის გადახდის საშუალებად საერთაშორისო ანგარიშგების დროს. ახალი სისტემის ძირითად ელემენტებად გვევლინება სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებენ სავალუტო ურთიერთობებს, ვალუტების კონვერტანიას. საგადასახადო საშუალებად გვევლინება სახელმწიფოთა ეროვნული ვალუტა. მთავარ მექანიზმად, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საერთაშორისო სავალუტო ოპერაციები, გამოდიან კომერციული ბანკები.

1978 წელს შეიქმნა ევროპული სავალუტო სისტემა (ესს). ესს-ს ღერძად იქცა ვალუტების კროსკურსის ბადე გასაცვლელი კურსების ცენტრალური და ზღვრული მნიშვნელობებით. ერთიანობაში ეს მოგაგონებთ ბრეტონ-ვუდსს. თუკი კროს-კურსი ზღვარს უახლოვდება, ორივე მხარე ვალდებულია მოახდინოს ინტერვენცია. ეს საკვანძო ვალუტა დოიჩემარკა. 1985 წლიდან ეკიუ ხდება არა საანგარიშო, არამედ ფიზიკური ინსტრუმენტი. გამოუშვეს ეკიუში დენომინირებული სამგზავრო ჩეკები და საკრედიტო ბარათები, ბანკებმა გახსნეს ანგარიშები ეკიუში.

1878-79 წლებში მოხდა ერთიანი ევროპილი ვალუტის სისტემის შექმნა, თანხმობა მის შექმნაზე რატიფიცირებული იქნა 9 მონაწილის - ევროპული თანამეგობრობის წევრების მიერ. ესს-ის შექმნის მიზანია - ერთიანი ევროპული თანამეგობრობის წევრი-ქვეყნების ვალუტების დაცვის მცდელობა სავალუტო კურსების მკვეთრი რყევებისაგან. ცხრა ხელმომწერიდან მხოლოდ შვიდი იყო სრულუფლებიანი წევრი: დასაელეთი გერმანია (გფრ), საფრანგეთი, ნიდერლანდია,

ბელგია, ლუქსემბურგი, დანია, ირლანდია, დიდ ბრიტანეთს არ მიუღია მონაწილეობა ყველა დოკუმენტის მიღებაში, იტალია შეუერთდა მათ მხოლოდ გარკვეული პირობებით. ესს-ის შექმნასთან ერთად შემოღებული იქნა ახალი ვალუტა - ეკიუ. მიზანი იყო ეეთ-ის შიგნით საგადასახადო საშუალების შექმნა, დროთა განმავლობაში კი ეროვნული ვალუტების შეცვლა. ეკიუ წარმოადგენდა ეეს-ის მონაწილე ქვეყნების სავალუტო კალათას. ეროვნული ვალუტებისათვის დაწესდა რხევათა ზღვარი მათი ცენტრალური მნიშვნელების მიმართ 2,25% ოდენობით, იტალიური ლირისთვის - 6%.

1981 წელს ესს-ას შეუერთდა საბერძნეთი.

1986 წელს ესს-ში შევიდნენ ესპანეთი და პორტუგალია. ესპანური პესეტასეის დაადგინეს რხევების ზღვარი 6% ოდენობით.

1990 წელს დიდი ბრიტანეთი შეუერთდა გაცვლითი კურსების მექანიზმს, რომელიც იქნა შემუშავებული ესს-ის ჩარჩოებში, ფუნტი სტერლინგის კურსით გერმანული მარკის მიმართ 2,9500. დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანია გაერთიანდა.

1992 წლის თებერვალში ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში ევროპის სავალუტო კავშირის (ესკ) 12 წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას ევროპის კავშირის (ეკ) შესახებ. ამ ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს 1957წლის რომის შეთანხმებები. მასტირიხტის შეთანხმებაში მოინიშნა ერთიანი ევროპული ბაზრის, ევროპის ცენტრალური ბანკის, ერთიანი ვალუტის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის შექმნის ორიენტირები.

1992 წლის სექტემბერში ევროპულ ვალუტებს რთული დრო დაუდგათ. მოხდა გირვანქა სტერლინგის ცნობილი დაცემა. სავალუტო ბაზარზე ფუნტის აგრესიული გაყიდვების დროს ინგლისის ბანკი და გასაცვლელი კურსების მიქანიზმის სხვა წევრები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ის რხევათა დასაშვებ დიაპაზონში ბაზარზე ოპერაციების მეშვეობით. მაგრამ

მათმა ყველა ძალისხმევამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. მაშინ ინგლისის ბანკი იძულებული შეიქნა ერთი დღის განმავლობაში სამჯერ აეწია დისკონტური განაკვეთი 5%-ის ჯამით, რათა თავიდან აეცილებინა ფუნტის გაიაფება. მაგრამ ამ ხერხმაც არ გაჭრა და ფუნტზე დაწოლა გრძელდებოდა. ცნობილმა ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა იმით გაითქვა სახელი, რომ თამაშობდა ფუნტის გაიაფებაზე და მიიღო გიგანტური სარგებელი, როდესაც განჭვრიტა, რომ ფუნტს ვერ შეავსებენ გაცვლითი კურსების მექანიზმის მიერ დადგენილ ჩარჩოებში. ამრიგად, ინგლისის ბანკი იქნა იძულებული გამოეყვანა თავის ვალუტა გაცვლითი კურსების მექანიზმიდან. ბრიტანული ფუნტის ბედი გაიზიარა იტალიურმა ლირამაც და გამოცხადებული იქნა, რომ ისინი დროებით ტოვებდნენ გაცვლითი კურსების მექანიზმს.

1993 წლის ივლისში ფუნტი სტერლინგის გასვლამ გაცვლითი კურსების მექანიზმიდან ძლიერ იმოქმედა ევროპული ვალუტების მიმოქცევაზე. ყველა ვალუტამ განიცადა ძლიერი ზეწოლა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი მიმოქცევა მათი გაიაფების მიმართულებით. საინტერესო ისტორია შეემთხვა ფრანგულ ფრანკს; ევროპული ვალუტის დევალვაციის შემდეგ ფრანგული ფრანკი რჩებოდა სტაბილურობის უკანასკნელ ბურჯად და მაშინ მთელი ბაზარი დაესხა თავს მას იმ იმედით, რომ ფრანკს უნდა გაეზიარებინა დანარჩენი ვალუტების ბედი. გერმანიას ახსოვდა თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი ორმხრივი შეთანხმება და არ შეეძლო გაემეტებინა ფრანკი გასაწეწად. გარდა იმისა, რომ ბუნდესბანკი მონაწილეობდა ინტერვენციებში სავალუტო ბაზარზე, ასევე სპეციალურად ფრანკის მხარდასაჭერად განხორციელდა გერმანული საპროცენტო განაკვეთების შემცირება. მაგრამ ასეთმა თავგანწირულმა ზომებმაც ვერ გადაარჩინა ფრანკი ძლიერი გაუფასურებისაგან. სავალუტო ბაზარზე ასეთი გრანდიოზული მოელენების შედეგად, გაცვლითი კურსების მექანიზმების ჩარჩოებში მიღებული

იქნა გადაწყვეტილება გაზრდილიყო მასში შემავალი ვალუტის შესაძლო რხევების დიაპაზონი 2,25% და 6%-15%-მდე. 1995 წლის დეკემბერში ლიდერებმა მოილაპარაკეს შემოეღოთ ევრო იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ პარამეტრებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის, სახელმწიფო ვალის, ინფლაციის და საპროცენტო განაკვეთების მოცულობით. 1996 წლის დეკემბერში გაირკვა ევროს კუპიურების გარეგნული მხარე.

1997 წლის ივნისში განისაზღვრა ევროს მონეტების და ევრო-ცენტების გარეგნობა. 1998 წლის მარტში ევროპის კომისიამ რეკომენდაცია გაუწია 11 ქვეყნის სიას, რომლებიც შეველენ ევროში: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი. ირლანდია. პორტუგალი, ესპანეთი, ავსტრია, ფინეთი.

1998 წლის მაისში ეროპის პარლამენტმა დაამტკიცა 11 სახელმწიფოს შერჩევა, რომლებიც შეივიდოდნენ ევროპის სავალუტო კავშირში ახალი ვალუტით - ევრო. იწყება კანდიდატურის შერჩევა ევროპის ცენტრალური ბანკის მეთაურის თანამდებობაზე. 1999წლის იანვარში ბაზარზე გამოჩნდა ახალი ევროპული ვალუტა ევრო, რომელმაც შეცვალა ეკიუ. 11 ევროპულმა სახელმწიფომ დააფიქსირა გაცვლის კურსი ევროსთან მიმართებაში. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა კი, ევროპული სავალუტო კავშირის (ENU) სავალუტო პოლიტიკის მართვა.

1.3. FOREX ბაზრის მონაწილეები

სავალუტო ბაზრის ძირითადი მონაწილეები არიან: კომერციული ბანკები;

სავალუტო ბირჟები; ცენტრალური ბანკები; გარე სავაჭრო ოპერაციების მწარმოებელი ფირმები; საინვესტიციო ფონდები; საბროკერო კომპანიები; კერძო პირები.

კომერციული ბანკები. სავალუტო ოპერაციების ძირითად მოცულობას კომერციული ბანკები ახორციელებენ. ბანკები თითქოს აკუმულირებას უკეთებენ (კლიენტებთა ოპერაციების მეშვეობით) ბაზრის ერთიან მოთხოვნილებებს სავალუტო კონვერსიებში, აგრეთვე სახსრების მოზიდვისა და განთავსებაში და ამით გადიან სხვა ბანკებზე. კლიენტების მოთხოვნების დაკმყოფილების გარდა ბანკებს შეუძლიათ ჩაატარონ ოპერაციები დამოუკიდებლად საკუთარი სახსრებით.

საბოლოო ჯამში სავალუტო ბაზარი წარმოადგენს ბანკთაშორისი გარიგებების ბაზარს, და როდესაც საუბარია ვალუტის კურსების მოძრაობაზე, უნდა გვქონდეს მხედველობაში ბანკთაშორისი საეალუტო ბაზარი. მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ყველა დიდ ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო ბანკები, რომელთა ოპერაციების ყოველდღიური მოცულობა აღწევს მილიარდობით დოლარს. ასეთი ბანკებია Barelays Bank, Citibank. Chase manhattan bank, peutsche bank, swiss bank, coporation, Union bank of suitzerland და სხვ.

სავალუტო ბირჟები. საფონდო ბირჟებისა და ვადიანი სავალუტო გარიგებების ბირჟებისაგან განსხვავებით, სავალუტო ბირჟების მუშაობა არ მიმდინარეობს განსაზღვრულ შენობაში და განსაზღვრულ საათებში. ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მეშვეობით მსოფლიოს წამყვანი საფინანსო დაწესებულებების უმეტესობა ბირჟების მომსახურეობით სარგებლობს პირდაპირ ან შუამავლებით. დღ -ღამის განმავლობაში. ყველაზე მსხვილი მსოფლიო ბირჟებია ლონდონის, ნიუ-იორკის და ტოლიოს სავალუტო ბირჟები.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფუნქციონირებენ სავალუტო ბირჟები, რომელთა ფუნქციებში შედის ვალუტის გაცვლის განხორციელება იურიდიული პირებისათვის და საბაზრო სავალუტო კურსის ჩამოყალიბება. სახელმწიფო ჩვეულებრივ აქტიურად არეგულირებს გაცვ-

ლითი კურსის დონეს, რადგანა იყენებს საბირჟო ბაზრის კომპაქტურობას.

ცენტრალური ბანკების ფუნქციოებში შედის სავალუტო რეზერვების რეგულირება, სავალუტო ინტერვენციების ჩატარება, რომლებიც გაელენას ახდენენ გახელითი კურსის დონეზე, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთების დონის რეგულირება დაბანდებებში ეროვნულ ვალუტაში. ყველაზე დიდი გაელენა მსოლფლიო ბაზრებზე გააჩნია აშშ ცენტრალურ ბანკს ფედერალურ სარეზერვო სისტემას (USFerderal Reserve ანუ FED). მას მისდევენ გერმანიის ცენმტრალური ბანკები - ბუნდესბანკი (Peutsche Bundesbank) -და დიდი ბრიტანეთის (Bank of England, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ ოლდ ლადყ).

საინვესტიციო ფონდები. აღნიშნული, კომპანიები, რომლებიც წარმოდგენილი არიან სხვადასხვა სახის საერთაშორისო, საინვესტიციო, საპენსიო, ურთიერთდახმარების ფონდები, სადაზღვევო კომპანიებით და ტრასტებით, განახორციელებენ აქტივების პორტფელებით დივერსიფიცირებული მართვის პოლიტიკას, განახორციელებენ სახსრებს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებისა და კორპორაციების ფასიან ქაღალდებში. ყელაზე მეტად ცნობილია ჯორჯ სოროსის ფონდი „Quantum", რომელიც განახორციელებს წარმატებულ სავალუტო სპეკულაციებს. აღნიშნული სახის ფირმებს განეკუთვნებიან აგრეთვე მსხვილი საერთაშორისო კორპორაციები, რომლებიც განახორციელებენ უცხოურ საწარმოო ინვესტიციებს: ფილიალების, ერთობლივი საწარმოების შექმნას და ა.შ.

გარესავაჭრო ოპერაციების განმაორციელებელი ფირმები. კომპანიები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო ვაჭრობაში წარადგენენ მყარ მოთხოვნას უცხოური ვალუტაზე (იმპორტიორები) და უცხოური ვალუტის მიწოდების (ექსპორტიორების). ამასთან, აღნიშნული ორგანიზაციებს პირდაპირი შეღწევა სავალუტო ბაზრები, როგორც წესი,

არ გააჩნიათ და აწარმოებენ კონვერსიულ და დეპოზიტური ოპერაციებს კომერციული ბანკების მეშვეობით.

საბროკერო კომპანიები. მათ ფუნქციებში შედის უცხოური ვალუტის მყიდველის და გამყიდველის შეხვედრა და მათ შორის კონვერსიული ოპერაციის განხორციელება. თავიანთი შუამავლობისათვის საბროკერო ფირმები იღებენ საბროკერო კომისიას. ფორექსზე ჩვეულებრივ არ არსებობს კომისია გარიგების ოდენობის პროცენტის ან წინასწარ მოლაპარაკებული განსაზღვრული თანხის სახით. როგორც წესი, საბროკერო კომპანიების დილერები კოტირებენ ვალუტას სპრედით, რომლებშიც უკვე ჩადებულია მათი საკომისიოები.

საბროკერო ფირმა, რომელსაც გააჩნია ნფორმაცია მოთხოვნილ კურსზე, არის ადგილი, სადაც ყალიბდება რეალური სავალუტო კურსი დადებულ გარიგებებზე. კომერციული ბანკები კურსის მიმდინარე დონეზე ინფორმაციას ღებულობენ საბროკერო ფირმებისაგან. საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე საბროკერო კომპანიებს შორის უფრო ცნობილია ისეთები, როგორიცაა Lasser Marshall, Harlow Butler, Tulett and Tokio, Coitls, Tradrtion და სხვები.

კერძო პირები. ფიზიკური პირები ატარებენ არასაეჭრო ოპერაციების ფართო სპექტრის უცხოური ტურიზმის, ხელფასის, პენსიების, ჰონორარების გადარიცხვით, უცხოური ვალუტის ყიდვის და გაყიდვის სახით. ეს აგრეთვე ძალზე მრავალრიცხვანი ჯგუფია, რომელიც სავალუტო ოპერაციებს სპეკულაციური მიზნებით ატარებს.

თრეიდერის სამუშაო ადგილი. მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად თრეიდერს აუცილებელია გააჩნდეს შემდეგი პირობები:

1. კომპიუტერი და ინტერნეტში შეღწევა.
2. საინფორმაციო სისტემა.
3. ტექნიკური ანალიზის პროგრამა.
4. ფორექს ბროკერ-დილერის სერთიფიკატი.

კომპიუტერი და ინტერნეტში შედწევა. უკვე დიდი ხანია კომპიუტერი ტრეიდერისათვის პირველია აუცილებლობის საგანი გახდა. შეიძლებ ითქვას, რომ ტრეიდერის კომპიუტერი აუცილებლად ინტერნეტში უნდა იყოს ჩართული. ონლაინ-ვაჭრობის და საინფორმაციო სისტემების გარდა ინტერნეტი თრეიდერს აძლევს და ანალიტიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, აგრეთვე ბიბლიოთეკები, წიგნის მაღაზიები, სასარგებლო დამოწმებების კოლექციები და მრავალი სხვა.

თრეიდერების კონფერენციები. აქ შეიძლება კითხვები დაუსვათ უფრო გამოცდილ თრეიდერს ფორექსის ბაზრის ყველა ასპექტში, აგრეთვე გაიზიაროთ ერთმანეთის აზრები და მოსაზრებები.

ახალი ამბები და ანალიტიკა. ბევრი ვებ-საიტი გვთავაზობს ანალიტიკურ სტატიებს, ეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზირებს, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების კალენდარებს, ცნობილი სპეციალისტების მიერ შესრულებულ ტექნიკურ ანალიზს.

პროგრამული უზრუნველყოფა, შეიძლება სასარგებლო პროგრამების უამრავი რაოდენობის მოძებნა და ჩატვირთვა: სასწავლო პროგრამები ტრეიდერებისთვის, პროგრამები პორტფელის წაყვანისა და ოპტიმიზაციისთვის, ყველანაირი ანალიტიკური პროგრამები, თრადე შტატიონ-ის ახალი ინდიკატორები და სავაჭრო სისტემები.

ინფორმაციული სისტემა. ფორექსის ბაზარზე მუშაობისათვის აუცილებელია იყოს მისადგომი ახალ ამბებთან და ვალუტების კოტირებებთან რეალური დროის რეჟიმში. ასეთ შესაძლებლობას უზრუნველყოფენ საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოები თანამგზავრული სისტემების ან ინტერნეტის მეშვეობით. დღესდღეობით გვთავაზობენ ასეთის სისტემების უამრავ რაოდენობას. მათი სამ ჯგუფად დაყოფა შეიძლება პირობითად. Reuters, Bloombrg, Bridge, Ielerate და სხვები. ეს ძვირფასი თანამგზავრული სისტემებია – ისინი გამოადგებათ ბანკებს და დიდ კომპანიებს. ეს სის-

ტემები თავაზობენ ინფორმაციას უზარმაზარ რაოდენობას და ჩვეულებრივ შეიცავენ სერიოზულ ანალიტიკურ პროგრამებს. ასეთი სისტემების ღირებულებამნიშვნელოვანია: დაყენება 1000-130 USD, ყოველთვიური გადასახადი 1000-1300 USD.

DBC Signal Broadcast, Future ource, CQG, Tenfore და სხვები. ეს შედარებით იაფი თანამგზავრული სისტემებია – ისინი ხელმისწვდომია კერძო პირებისთვის და მცირე ბიზნესისთვის. ეს სისტემები თავაზობენ პირველივე ჯგუფის სისტემებზე ნაკლებ შესაძლებლობებს, მაგრამ ეს სავსებთ საკმარისია ტრეიდერის ნორმალური მუშაობისთვის. ღირებულება: დადგმა დაახლოებით 1000 USD, ყოველთვიური გადასახადი 300.500 USD.

DBS Signal Online, Webtrader, Comstocl ontheNet და სხვები. ეს იაფი სისტემებია, რომლებიც ინტერნეტში მუშაობს – ისინი ხელმისაწვდომია პრაქტიკულად ყველა ტრეიდერისთვის. ინფორმაციის ხარისხით და მოცულობით ისინი ტოლს არ უდებენ მეორე ჯგუფის სისტემებს, ღირებულება: დადგმა უფასო, ყოველთვიური გადასახადი 150-300 USD.

აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ფასები საორიენტაციო და შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალონ დროის განმავლობაში. აგრეთვე შესაძლებელია ახალი მომსახურების და პროგრამული უზრუნველყოფის გამოჩენა.

ვერც ერთი თანამედროვე თრეიდერი ვერ იმუშავებს სავალუტო კურსების გრაფიკების ასაგები პროგრამების და ტექნიკური ანალიზის ჩატარების გარეშე. დღეს ბაზარზე სთავაზობენ ასეთი პროგრამების დიდ რაოდენობას. რათა გაგიადვილოთ მათი ამორჩევა, ჩვენ თქვენს ყურადღებას მივაქცევთ მათ შორის ყველაზე საუკეთესოებს. ამერიკული ფირმა Omega Research Inc. არის ლიდერი საფინანსო მონაცემთა ტექნიკური ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დარგში. მისი შემუშვებები Pro Suite

2000-ი; Trade Statiou 2000 - ჩვენის აზრით, ყველაზე მძლავრი ტექნიკური ანალიზის პროგრამებია რეალური დროის რეჟიმში მუშაობისათვის. Trade Statiou 2000-ი ღირებულება შეადგენს დაახლოებით 2400 USD, Pro Suite 2000-ი ღირებულება შეადგენს დაახლოებით 2400 USD, Pro Suite 2000 ი დაახლოებით 4800 USD.

შედარებით ცოტა ხნის წინათ ამერიკულმა ფირმამ EquisCorp გამოუმუშავა პროგრამა Meta stock Professional (Read Timel) მანამდე სთავაზობდა Meta stock ვერსიას, რომელიც რეალური დროის რეჟიმში არ მუშაობდა. Meta stock Professional სწრაფად დაიკავა წამყვანი პოზიციური და გახდა ტექნიკური ანალიზის ერთ–ერთი ყველაზე პოპულარული პროგრამა, Meta stock Professional (Read Timel) 7ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1700 USD.

არსებობს მრავალი სხვა, ტექნიკური ანალიზის ნაკლებად მძლავრი პროგრამები, მაგრამ, თუ ლი რაიმე მიზეზებით არ გაწყობთ Omega Research და Equis პროგრამები, ჩვენ ხრეკომენდაციას ვაძლევთ გამოიყენოთ პროგრამა, რომელიც ინფორმაციულ სისტემასთან ერთად მიეწოდება (ჩვეულებრივ უფასოდ).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ფასები საორიენტაციოა და მნიშნელოვნად შეიცვლება დროთა განმავლობაში. აგრეთვე შესაძლოა ახალი მომსახურების და პროგრამული უზრუნველყოფის გამოჩენა.

ფორექსის ბაზარზე სამუშაოდ თრეიდერმა აუცილებლად უნდა შეარჩიოს ფირმა–პარტნიორი, სადაც გაიხსნება სავაჭრო ანგარიში და განთავსდება სადაზღვევო დეპოზიტი, სადაც ის დადებს გარიგებებს ვალუტის ყიდვა–გაყიდვაზე. სტატუსით ასეთი ფირმები ჩვეულებრივ ბროკერ–დილერები არიან; მათი სახით შეიძლება გამოვლინდენ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე სხვა ქვეყნების ბანკები და ფირმები, და მათ შორის საქართველოს წარმომადგენლებიც.

ძირითადი კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოთ პარტნიორის შერჩევისას, შემდეგია:

- ვაჭრობის ძირითადი პირობები (ანგარიშის გასახსნელად აუცილებელი მინიმალური დეპოზიტი, გარიგებების მინიმალური ნებადართული რაოდენობა, ძირითადი ვალუტების სპრედი);
- სავაჭრო ინსტუმენტების სია;
- ინტერნეტით მუშაობის შესაძლებლობა;
- ამ საფინანსო სტრუქტურის რეპუტაცია.

ფირმები, რომლებიც სთავაზობენ კლიენტებს ფორექსის ბაზარზე ვაჭრობას, პირობითად შეიძლება გაიყიდოს რამდენიმე ჯგუფად:

- მსხვილი ფირმები, რომელთა დეპოზიტი შეადგენს 50000 დოლარს, გარიგებათა ჯამი 500000 დოლარს და სპრედი 3-5 პუნქტით არის განსაზღვრული;
- საშუალო ფირმები - დეპოზიტი 5000 დოლარს და მეტს, გარიგებათა ჯამი -100000 დოლარიდან და სპრედი 10-15პუნქტი.
- მცირე ფირმები - დეპოზიტი 1000 დოლარიდან, გარიგებათა ჯამი 50000 დოლარიდან, სპრედი 15 პუნქტზე მეტი.

1.4. მითები FOREX-ის ბაზრის შესახებ

საქართველოში, ამ უკანასკნელ პერიოდში, ინტერნეტის დამკვიდრებასთან ერთად მკვიდრდება ტერმინი "FOREX", რაც ნებისმიერი პიროვნების ინტერესს იწვევს, მაგრამ ამაედროულად შიშის ფაქტორიც ეუფლებათ, რადგანაც საზოგადოებაში ინფორმაციული ვაკუუმია "FOREX"-ის შესახებ და ინტერნეტით სარგებლობის საშუალებაც ყველას არა აქვს.

რეალურად, ფორექსი არის თვითდასაქმების იდეალური საშუალება.

თუ რატომ და როგორ, ეს ჩვენს მიერ ფორექსთან დაკავშირებული მითების გაქარწყლების პარალელურად გამომჟღავნდება.

FOREX არის საერთაშორისო სავალუტო ბაზარი, რომლის წარმოშობაც კაპიტალის მოძრაობამ განაპირობა, რაც დაკავშირებულია ამათუ იმ საქონლის ექსპორტ-იმპორტზე. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ფორექსის ბაზარზე ნებისმიერი ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ხდება ინტერნეტქსელის საშუალებით 24 საათის განმავლობაში და წარმოადგენს შემოსავლის მიღების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. ფორექსი ფუნქციონირებს 1971 წლიდან, რაც დაკავშირებულია ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრახთან და მცურავი სავალუტო კურსის შემოღებასთან. სახელმწიფოს მიერ სავალუტო კურსების რეგულირების პოლიტიკისაგან განდგომის შედეგად, რომელსაც არასოდეს მოუტანია სასურველი შედეგი, მოხდა ფორექსის სავალუტო ბაზარზე პროფესიონალი თრეიდერების მოდინება და სავალუტო კურსების რხევების გაძლიერება. მთელ მსოფლიოში ის ითვლება ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალურ და მაღალშემოსავლიან პროფესიად. ამ სფეროს მრავალი წარმომადგენელი გახდა საფინანსო ბაზრის "სახალხო გმირი"(სოროსი და სხვა) და ააგო თავბრუსდამხვევი კარიერა.

ფორექსის ბაზარს რეალურად შემდეგი ფაქტორები ამოძრავებს:

- კაპიტალის მოძრაობა;
- ინფლაცია;
- ურთიერთგადახდების დაბალანსება;
- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა;
- ტექნიკური ანალიზის საფუძველზე გაკეთებული პროგნოზები;
- პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები.

მართალია, ფორექსს სხვა ბაზრებისაგან განსხვავებით არ გააჩნია ფიქსირებული სავაჭრო ადგილი, მაგრამ მის


უკან ყოველთვის დგას სახელმწიფო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თაყის გაელენას ახორციელებს ორი გზით: კონტროლი და ინტერვენცია.

კონტროლი აკავებს მოქალაქეებს ისეთი ქმედებებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ნეგატიური ზეგავლენა იქონიონ ფასებზე. ინტერვენციით კი ერთი ქვეყანა ეკონომიკურ ზეგავლენას ახდენს მეორე ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ შემთხვევაში ვალუტის კურსების ხელოვნურ რეგულირებას აქვს ადგილი.

დღეს მთელ მსოფლიოში, ფორექსის ბაზარი ყველაზე ლიკვიდურ ბაზრად ითვლება, რაც განაპირობა მისი დღიური მოცულობის სისტემატიურმა ზრდამ. მაგალითად 1977 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფორექსის ბაზრის დღიურმა ბრუნვამ 5 მლრდ დოლარი შეადგინა, 10 წლის შემდეგ ეს ციფრი 100-ჯერ იყო გაზრდილი, ამჟამად 3 ტრილიონ დოლარს ითვლიან დღიურ ბრუნვას ფორექსის ბაზარზე (იხ. დიაგრამა №1.).

დიაგრამა №1.

ფორექსის ბაზრის ზრდა აშშ



FOREX ის ბაზრის ასეთი სწრაფი განვითარება განაპირობა მისმა გარკვეულმა უპირატესობებმა სხვა ბაზრებთან შედარებით:

- მაღალი ლიკვიდურობა,
- სადღეღამისო წვდომა,
- გარიგებათა სიადვილე,
- მარჟიალური ვაჭრობა,
- საბირჟო აქტივების სიუხვე,
- სავალუტო კურსების სწრაფი რხევები,
- მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია,
- კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარება.

მიუხედავად აღნიშნული უპირატესობებისა, ფორექსმა წლების განმავლობაში სხვადასხვა მითები წარმოშვა, რომლებიც ხშირად ახალბედებს აშინებთ:

პირველი მითი: საფონდო ბირჟასთან გაიგივება.

პირველი, რაზეც ფიქრობს ადამიანი სიტყვა "ფორექსის" გაგონებაზე, არის ფორექსის საფონდო ბირჟასთან გაიგივება, მაგრამ მიუხედავად მათი შინაარსობრივი მსგავსებისა, მათ შორის ძირითადი განსხვავება მოგების მიღებაშია, კერძოდ ფორექსის ბაზარზე გაცილებით მეტ მოგებას ღებულობს ვალუტის მყიდველ-გამყიდველი თრეიდერის (ფორექსის ბაზრის შუამავალი) დახმარებით, ვიდრე საფონდო ბირჟაზე. გარდა ამისა, ფორექსი წარმოადგენს განსაკუთრებული სახის ბაზარს, სადაც ვალუტით ვაჭრობა მიმდინარეობს ინტერნეტქსელის საშუალებით 24 საათის განმავლობაში და მას არ გააჩნია არც ფიქსირებული ადგილი და არც ფიქსირებული დრო ვაჭრობის, რითაც ის განსხვავდება საფონდო ბირჟისაგან.

მეორე მითი: ფორექსი არის აზარტული თამაში.

მეორე მითი ფორექსის შესახებ არის ის, რომ ის გაიგივებულია აზარტულ თამაშებთან, სადაც ადამიანი, რომელიც გატაცებულია აღნიშნულით, ან იგებს ან აგებს და რისკის ფაქტორი არის მაქსიმალური, ანუ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული რისკის უგულებელყოფა ფაქტიურად არ

ხდება. ფორექსის ბაზარზე კი, თრეიდერების დახმარებით რისკის ფაქტორი მინიმუმამდე არის დაყვანილი და კლიენტი, რომელმაც თავისი კაპიტალი დააბანდა ფორექსის ბაზარზე, წაგებული არასოდეს არ არის: ის ან იგებს საგრძნობლად, ან მის მიერ დაბანდებული კაპიტალი რჩება საკუთარ ანგარიშზე. ეს ყველაფერი დაკავშირებულია სავალუტო ბაზრის ფუნდამენტალური და ტექნიკური ანალიზის ღრმა ცოდნასთან, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სავალუტო კურსის მოძრაობის პროგნოზირება.

ის ვინც არ იყენებს ანალიზის მეთოდებს და მხოლოდ წარმატებებს ანიჭებს უპირატესობას, კარგავს საკუთარ კაპიტალსაც. პროფესიონალი თრეიდერი, რომელიც სწორად აანალიზებს სიტუაციას და მიღებული დავალებებით ხელმძღვანელობს, რისკი მინიმუმამდე დაჰყავს და სისტემატიურად იზრდება მათი მოგება(როგორც კლიენტის, ისე თრეიდერის).

გარდა ამისა, ფორექსის ბაზარზე ერთი ადამიანის მოგება არასოდეს არ არის დამოკიდებული სხვის ზარალზე, როგორც ამას თელიან პროფესიონალები. მაგალითად, თუ კომპანია ეწევა პროდუქციის გაყიდვას საზღვარგარეთ, მაშინ ის მოგებასაც იმ ქვეყნიდან ღებულობს, სადაც აღნიშნული პროდუქციის რეალიზაცია განახორციელა.

მესამე მითი: სავაჭრო თანხის დიდი მოცულობა.

მესამე მითი ფორექსის ბაზრის შესახებ – თითქოს დიდი თანხაა საჭირო ფორექსის ბაზარზე ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად რეალობას ნამდვილად არ შეესაბამება. რადგანაც დაინტერესებულ პირს დღეს, მთელ მსოფლიოში, 100 დოლარით შეუძლია დაიწყოს ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ აუცილებელია კომპიუტერი და ინტერნეტქსელის არსებობა. დანარჩენ თანხას (დასაბანდებელ კაპიტალს) უზრუნველყოფს საბროკერო კომპანია. მაგალითად, საქსობანკით ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელია

დეპოზიტზე 10 000 დოლარის განთავსების საფუძველზე, რომელიც უნდა უზრუნველყოს საბროკერო კომპანიამ. საბროკერო კომპანიას უკავშირდება კლიენტი და აფორმებს კონტრაქტს, რათა დაეხმაროს ვაჭრობაში, კერძოდ გამოუყოს თრეიდერი, რომელიც დაიცავს მის ინტერესებს, სისტემატიურად გააკეთებს პროგნოზს სავალუტო კურსის ცვალებადობაზე ფუნდამენტალური და ტექნიკური ანალიზის საფუძველზე და უზრუნველყოფს მის ბიუჯეტს მოგებით. რის სანაცვლოდაც საბროკერო კომპანია, როგორც წესი, ითხოვს საკომისიოს. კლიენტს კი, ვაჭრობის დაწყება 100 დოლარით შეუძლია, რაც მეტს დააბანდებს, მით მეტ მოგებას მიიღებს. საქსობანკი **(Saxo Bank)** დაარსდა 1992 წელს კოპენჰაგენში და დღეს მსოფლიოს 12 ქვეყანაში გააჩნია წარმომადგენლობა. მისი ძირითადი ფუნქციაა ონლაინ-ინვესტიციები მსოფლი კაპიტალის ბაზრებზე, სადაც ვაჭრობა მიმდინარეობს ფართო სპექტრის ფინანსური ინსტრუმენტებით ვალუტებით, აქციებით, ობლიგაციებით,ძვირფასი ლითონებით, ნავთობით და სხვადასხვა სახის წარმოებული ფასიანი ქაღალდებით **[http://ru.saxobank.com/ru/about-us/pages/basic-facts.aspx]**

გამოდის, რომ ფორექსის ბაზარზე კლიენტის ფინანსური ბედ-იღბალი დამოკიდებულია თრეიდერის გონივრულ საქმიანობაზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თრეიდერი არის სპეციალისტი საბირჟო ვაჭრობის, რომელსაც შეუძლია სავალუტო კურსების პროგნოზების კლიენტის სასარგებლოდ გამოყენება და მისი სიცოცხლე ყოველთვის არის დაზღვეული, რაც რისკის ფაქტორს უფრო ამცირებს.

მეოთხე მითი: FOREX - იოლი გზა გამდიდრებისაკენ.

გამდიდრების იოლი გზა არ არსებობს. საბოლოოდ, ძალიან ბევრი შრომა უწევთ, თუნდაც არც მთლად პატიოსან პიროვნებებს, რომელთა მისწრაფებასაც დიდი ფულის შოვნა წარმოადგენს. საუბარი აღარაა იმ ხალხზე, ვინც

ლეგალური ბიზნესი აირჩია. მაგრამ არსებობს ადამიანების კატეგორია, რომლებიც ფორექსის გაგონებაზე აკეტებენ შემდეგ დასკვნას: "ესე იგი, შესაძლებელია ჩადო ათი ათასი დოლარი და არ იმუშაო". აი, ასეთია ამ ხალხის „მტკიცე" სიმართლე - იჯდე სახლში, არაფერი აკეთო და ამასთანავე მიიღო ფული.

ამ ლამაზი ფანტაზიისაგან ბუნდოვანიც არ დარჩება, როდესაც ადამიანი ნამდვილად იწყებს ვაჭრობას. საბირჟო საქმიანობის ნებისმიერ სახეს თან ახლავს კოლოსალური ფსიქიკური დატვირთვა. რაც შეეხება შემოსავლებს, საკრედიტო მხარის გამოყენებითი ვაჭრობა დიდად არ გამოირჩევა შემოსავლიანობითი ბიზნესის ისეთ სახეობებისაგან, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები და ფიჭური კავშირი. ფორექსის ბაზარს ყოველთვის ახლავს სერიოზული რისკები, რომელთანაც ბრძოლას ტრეიდერი იწყებს ვაჭრობის დაწყებისთანავე და ამ რისკებთან ბრძოლას საბირჟო ვაჭრობის ზედმიწევნით ცოდნა ჭირდება.

მეხუთე მითი: საფინანსო ბაზრებზე სპეკულირების სწავლა იოლია.

ეს სტერეოტიპი გამოწვეულია სხვადასხვა მოსამზადებელი კურსების რეკლამით, რომელთა დამთავრების შემდეგ გასცემენ მუყაოს „ქსივს" თავსამტვრევი წარწერით " საერთაშორისო საფინანსო ბაზრის ვალუტის დილერ-ანალიტიკოსი". ტრეიდერის პროფესია შეიძლება იყოს გათანაბრებული შემოქმედებით სპეციალობებთან. სამ თვეში სპეკულირების სწავლა იგივეა, რაც ვიოლინოზე დაკერის სწავლა ექსტერნად ან დაუსწრებლად. არ არსებობს მკაფიო წესები, რომლის მიხედვითაც მოძრაობენ ფასები. რა თქმა უნდა, არსებობს ბაზრები,სადაც სწორი წინასწარმეტყველების ალბათობა საკმაოდ დიდია, მაგალითად: დოლარი/რუბლი, დოლარი/ევრო. მიუხედავად ამისა, საფინანსო ბაზრებზე სპეკულაცია მოითხოვს არა მხოლოდ საერთაშო-

რისო ეკონომიკისა და ფინანსების ცოდნას, არამედ მათემატიკური ანალიზის, ნეირობადეების და ა.შ.

ამ დროს, დამწყებ ტრეიდერებს შორის გავრცელებულია მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ტექნიკური ანალიზი არის ცრუმეცნიერება და ყველაფერს წყვეტს მხოლოდ ფსიქოლოგიის ცოდნა და გამოცდილება, ფუნდამენტური ანალიზი არანაირ გამოცდილებას არ იმსახურებს., მოკლედ » ყველაფერი ინტუიციაზეა აგებული, როგორც რულეტის თამაშის დროს". ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ტექნიკური ანალიზის ვერსიას მხარს უჭერს ბევრი, თითქოს და კვალიფიციური სპეციალისტი. სინამდვილეში ბაზრის ტექნიკური და ფუნდამენტალური ანალიზის ცოდნის გარეშე ვერც ერთი თრეიდერი ვერ გაეა ფონს.

სინამდვილეში, საერთა'შორისო სავალუტო ბირჟის წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია პროფესიონალებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბირჟის კლიენტის ფინანსურ მდგომარეობაზე. ფორექსზე მუშაობისას ინვესტორს შეუძლია გაზარდოს თავისი კაპიტალი, მაგრამ შეუძლია რომ დაკარგოს არა მარტო პოტენციური მოგება, არამედ ის ფული, რომელიც მან დააბანდა. სწორედ გადახრა მოსალოდნელი მოგების საშუალო მნიშვნელობიდან, განსაზღვრავს ინვესტორის რისკს ფინანსურ ბაზარზე.

ამ გადახრას შეუძლია მოიტანოს როგორც მაღალი მოგება ასევე, დიდი წაგებაც. მაგრამ ამ შემთხვევაში პროფესიონალების მიერ ხდება რისკების მართვა. ფინანსური რისკების მართვა არ წარმოადგენს წარმატებული ვაჭრობის გარანტს, მაგრამ შეადგენს მის მნიშვნელოვან ნაწილს. არც ერთი სავალუტო ოპერაცია არ არის დაზღვეული რისკისგან, მაგრამ მათი მართვის მექანიზმების გამოყენება შეამცირებს პოტენციურად მოსალოდნელ დანაკარგებს. სავალუტო ოპერაციების მართვის მეთოდებს მიეკუთვნება:

- სტოპ-ორდერების დადება
- კაპიტალის მხოლოდ ნაწილის ინვესტირება

- ვაჭრობა თრენდით
- ემოციების მართვა

რისკების მრთვის მეთოდები გამოიყენება პოზიციის გახსნის შემდეგ. რისკის მართვის ძირითად მეთოდს წარმოადგენს ორდერის დადება, რომელიც ზღუდავს დანაკარგებს.

სტოპ-ლოსი (სიტყვა სიტყვით დანაკარგების შეჩერება) – ბაზრიდან გამოსვლის წერტილი თრეიდერისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნისას. პოზიცის გახსნისას უნდა დადოთ სტოპ-ლოსი, რათა დაიცვათ თავი ზედმეტი დანაკარგებისგან. არსებობს რამოდენიმე სახის სტოპ – სიგნალი:

საწყისი სტოპ-სიგნალი. განისაზღვრება დეპოზიტის ზომა ან პროცენტი, რომლის დაკარგვისთვისაც მზადაა ტრეიდერი,ფასის პოზიციის საწინააღმდეგოდ მოძრაობისას და ტრეიდერის მიერ განსაზღვრული პოზიცის მიღწევისთანავე,გარიგება იხურება ზარალით.

"მცურავი" სტოპ-სიგნალი. ფასის მოცემული პოზიციისკენ მოძრაობისას სტოპ-სიგნალი ავტომატურად მიყვება მას ტრეიდერის მიერ განსაზღვრული თანაფარდობით.ფასის შემობრუნებისას ფასი რომ მიაღწევს სიგნალს, ტრეიდერი გამოდის ბაზრიდან, პოტენციური მოგებით (ეს დამოკიდებულია იმაზე თუ როდის დაიწყო ფასის შემობრუნება.)

მოგების მოხსნა. გათვლილი მოგების მიღებისთანავე პოზიცია იხურება სტოპ-სიგნალი დროის მიხედვით. თუ გარკვეული დროის განმავლობაში ბაზარი ვერ უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის მოგებას, პოზიცია იხურება.

ფორექსის ბაზრის განვითარებაზე უდიდეს როლს ასრულებს სარეკლამო სააგენტოები, რადგანაც ფორექსზე მითები სწორედ არასწორმა სარეკლამო რგოლებმა წარმოშვა. კერძოდ: დილინგური ცენტრების რეკლამის ძირითადი პრინციპები დაყვანილია თეზისზე, რომ "ფორექსზე ფულის შოვნა ადვილად შესაძლებელია". თუნდაც ის აფორიზმები:

- „ტრენდი მთავრდება, როდესაც მას დავინახავთ";

- „ტრენდის წინასწარმეტყველება არ შეიძლება, მასში უნდა შეხვიდე“;
- „იეაჭრეთ ტრენდებით“

მაგრამ სარეკლამო ტექსტების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას“, რომელიც შეიქმნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ქალაქად და სოფლად ასწაელიდნენ წერა-კითხვას მუშებს და გლეხებს ან იმათ, ვინც საიტზე სრულიად შემთხვევით მოხვდა. 1998 წლის კრიზისამდე ფორექსი რუსეთში წარმოადგენდა ინსტიტუციონალური ინვესტორის ბაზარს, რადგანაც არსებობდა თავისუფალი ფული. ფორექსზე ინვესტიციებით იყო დაკავებული ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, შესაბამისად, დილერები უსაქმოდ არ ისხდნენ. ახლა, რადგანაც,როგორც მორიგი მთავრობის ერთმა პრემიერმა განაცხადა, „მიცემობია დამთავრდა“, ბაზარი ორიენტირებას გადაიტანს კერძო ინვესტორზე (ინვესტორ ტრეიდერზე). ბანკის დილერს არ ესაჭიროება სპეკულაციის სწავლება, პირიქით, მას შეუძლია ასწავლოს ვაჭრობა დილინგური ცენტრის პერსონალს. აი, ახალი კადრები კი საჭიროა. თანაც ისეთი კადრები, რომ მათი წაგების ანგარიშზე შეძლოს არსებობა დილინგურმა ცენტრმა. სამწუხაროდ, საქართველოში, დღეს ფორექსის ბაზარი ჩანასახოვან მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ბლუმბერგის სავაჭრო ტერმინალით განახორციელებს ვალუტის ყიდვა-გაყიდვას, თვით კომერციული ბანკების მომსახურე პერსონალიც კი ვერ ერკვევა ფორექსის ბაზრის არსსა და როლში. ამიტომ აუცილებელია საზოგადოების უზრუნველყოფა ფორექსზე ინფორმაციით ნებისმიერი საინფორმაციო საშუალებებით და პარალელურად სპეციალური სასწავლო სემინარების ჩატარებით თრეიდერთა საქმიანობის შესახებ.

დროა საზოგადოება დავაინტერესოთ იმაში, რომ ინტერნეტი აუცილებელი საარსებო საშუალებაა, რადგანაც ის არა მარტო გასართობია, არამედ შემოსავლის ერთ-

ერთი ძირითადი წყაროა, გაეცანით მითები ფორექსის ბაზრის შესახებ და შეეხედოთ რეალურად მის არსებობას და ფუნქციონირების შედეგებს, რადგანც **FOREX**-ის ბაზარზე ვაჭრობა კი ხელს შეუწყობს შრომის ბაზრზე არსებული დეფიციტის გაჯერებას.

1.5. მითები საბირჟო გურუებზე

მრავალი იბრძვის პიროვნების თავისუფლებისათვის და დამოუკიდებ-ლობისათვის მხოლოდ სიტყვიერად. როდესაც მათ ძალიან გაუჭირდებათ, ისინი სულ სხვა „სიმღერას" იწყებენ და ეძებენ „ძლიერ ხელს". სულით დაცემული მებირჟეები მიმართავენ გურუს. საფინანსო ბირჟებზე გურუს სამი ტიპია:

- საბირჟო ციკლის გურუ,
- სასწაულმოქმედი მეთოდის გურუ
- ნამარხი გურუ.

პირველნი წინასწარმეტყველებენ საბირჟო კურსის მნიშვნელოვან ცვლილებებს. მეორენი წარმოადგენენ „უნიკალურ მეთოდებს" – გაჰყავთ ახალი შარა-გზები სიმდიდრისაკენ, მესამენი კი, ვინც აიცილა კრიტიკის ისრები, თავიანთ დიდებას უმადლიან ამ ქვეყნიდან წასვლას.

საბირჟო ციკლის გურუ - ფიეურირებს_აქციათა ბაზრებზე. ის წინასწარ განჭვრეტს დიდ აღმართებს ან ვარდნებს. ყოველი მისი სწორი წინასწარმეტყველებით იზრდება მისი დიდება, რაც აიძულებს ადამიანთა სულ უფრო მეტ რაოდენობას აწარმოონ ყიდვა-გაყიდვა მისი ახალი პროგნოზის მიხედვით. როდესაც გურუ ხდება საერთო ყურადღების ცენტრი, მისი სიტყვები უკვე აღიქმება როგორც წინასწარმეტყველება. თუკი თქვენ განჭვრეტთ ასეთ „ახალგამომცხვარ" გურუს, აზრი აქვს მიჰყვეთ მის რჩევებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს ბირჟის ათასობით ანალიტიკო-

სი, მათგან რომელიღაცა, უდაოდ უნდა, აღმოჩნდეს სიმაღლეზე, ამათუ იმ მომენტში. ეს ისეთი სიზუსტეა, როგორც გაფუჭებულ საათს გააჩნია. დღეში ორჯერ ისიც უჩვენებს ზუსტ დროს. გურუს წარმატება გადაწყდება არა მხოლოდ იღბლიან წამში. საქმე იმაშია, რომ ყველა გურუს გააჩნია საკუთარი ამოჩემებული საბირჟო თეორია. ამ თეორიას – ეს იქნება ციკლების, გარიგებების მოცულობის თეორიები თუ ელიოტის ტალღური თეორია – ის ჩვეულებრივ თავის ვარსკვლავურ საათამდე რამოდენიმე წლით ადრე წარმოადგენს. თავიდან ბირჟას არ შთააგონებს მისი ქმნილება და პირს იბრუნებს მისგან, მაგრამ ბირჟა წლიდან წლამდე იცვლება და თანდათანობით ღებულობს მას. აი მაშინ კი, ბირჟის ცის კაბადონზე ამოდის და ბრწყინდება ამ გურუს ვარსკვლავი. საბირჟო ციკლის გურუ არაპროფესიონალი მებირჟეა, რომელიც წამოაყენებს უნიკალურ თეორიას.

გურუ ჩვეულებრივ ფულს შოულობს საბირჟო ბიულეტენების გამოყენებით, გამდიდრება კი შეუძლია საკონსულტაციო მომსახურებით. გურუ დარჩება პატივში, სანამ მისი თეორია ემთხვევა ბირჟის მოვლენებს. როდესაც მისი წინასწარმეტყველება აღარ სრულდება, საერთო თაყვანისცემა იცვლება საერთო სიძულვილით.

70-იანი წლების დასაწყისში საბირჟო ციკლის უზენაესი გურუ იყო **ედსონ გულდი**. ის თავის პროგნოზებს აგებდა ფედერალური სარეზერვო ბანკის სტრატეგიების ცვლილებების საფუძველზე, რომლებსაც განსაზღვრავდა განაღდების განაკვეთის ცვლილებების მიხედვით. მისი სახელგანთქმული წესის **„სამი ნაბიჯი – მეოთხეზე წაიბორძიკა"**-ს თანახმად, ამ განაკვეთის სამჯერადი აწევა ნიშნავს საბირჟო სიტუაციის გამკაცრებას და დაწევაზე შემდგომ თამაშს და პირიქით, განაკვეთის სამჯერადი შემცირება არის საფინანსო საქმიანობის შემობრუნების სიგნალი და ტენდენცია მომატებაზე.

ახალი უზენაესი გურუ – **ჯოზეფ გრანვილი** – გამოჩნდა

1978 წელს. მან ჩამოაყალიბა უდაო აზრი - "**ფასების ცვლილებები მოყვება აქციებთან გარიგებების მოცულობებს**" - და შეადარა ორთქლის მატარებელს: „**მოცულობა არის ორთქლი, რომელიც ამოძრავებს საბაზრო ორთქმავალს**".

მორიგი გურუ – **რობერტ პრექტერი** – 1984 წელს გამოჩნდა. კარიერა მან გაიკეთა როგორც **ელიოტის ტალღური თეორიის სპეციალისტმა**. ახალ გურუში მომავალი ვარსკვლავის გამოცნობას და მის გარემოცვაში მოხვედრას დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი კარიერის პიკის განჭვრეტა, რადგანაც ყველა გურუ განიცდის კრახს და მისი დასაწყისი მოდის მათი დიდების ზენიტიდან. თუკი მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება გურუს მიმართ კეთილგანწყობილია – ე. ი. მან მიაღწია მწვერვალს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ერიდებიან წარუმატებელ მებირჟეებს.

სასწაულმოქმედი მეთოდის გურუ ფიგურირებს ძირითადად ფიუჩერსულ ბაზრებზე. ამ ტიპის გურუ „აღმოაჩენს" ანალიზის ან საბირჟო თამაშის მსვლელობის ახალ მეთოდებს, რადგანაც "ბირჟების თავზე ცვლილებების ქარი ქრის და გუშინდელი მეთოდები დღეს არ მუშაობენ, რომ არაფერი ვთქვათ ხვალინდელ დღეზე", ამიტომ აუცილებელია ინოვაციები.

სასწაულმოქმედი მეთოდის გურუს წარმომადგენლები იყვნენ:

- **ჯეიკ ბერნსტაინი, რომელმაც** 70-იანი წლების დასაწყისში გააკეთა პროგნოზი საბირჟო ციკლების აღმაფრენის და დაცემის შესახებ;
- **ჯ. პიტერ სტეიდლმაიერი**, რომელსაც ეკუთვნის „საბაზრო პროფილი" ანუ „**Market Profile**" – მოთხოვნის და მიწოდების განაჩენის საიდუმლოება.

ნამარხი გურუ. გამომცემლები თავიდან გამოსცემენ მის წიგნებს, თავგამოდებული მებირჟეების ახალი თაობები გულმოდგინედ შეისწავლიან მისი ლექციების კურსს, ხალხი

თხზავს ლეგენდებს სახელგანთქმული ანალიტიკოსის წარმატებებზე. მაგრამ ამ დიდების სხივებით ეს გურუ ვეღარ გათბება. ის უკვე საიქიოშია. სამაგიეროდ ამქვეყანაზე არსებობს მის რეპუტაციაზე და ძალადაკარგულ საავტორო უფლებებზე ხელის მომთბობნი. ნამარხი გურუს მაგალითებია: **რ. ნ. ელიოტი და ლეგენდარული უ. დ. განი.** გურუს მიმართავენ ისინი, ვისაც სჭირდება ძლიერი წინამძღოლი. „ეს ხალხი დაბორიალობს ჭიპლარით ხელში და ეძებენ ახალ როზეტს ამ ჩანგლისათვის". გურუ არასოდეს გაქრება, იმიტომ, რომ მათ მოითხოვს პუბლიკა.

მაგრამ ყოველ გონიერ მებირჟეს უნდა ესმოდეს, რომ საბოლოო ჯამში ვერავითარი გურუ მათ ვერ გაამდიდრებთ. გამარჯვების მიღწევა მათ შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით.

თავი 2.
ტრეიდერის ფუნქციები და კატეგორიები

2.1. ტრეიდერის ფუნქციები

ტრეიდერი არის ადამიანი, რომელიც ეაჭრობს ფორექსის ბაზარზე მოგების მისაღებად საკუთარი ფულით. ტრენდი კი – ფასის საერთო მიმდინარე მოძრაობის მიმართულებაა.

იმისათვის, რომ ფორექსის ბაზრის სრულყოფილი წევრი, ანუ პროფესიონალი ტრეიდერი გახდეთ, აუცილებლად უნდა გაიაროთ გარდაუვალი ეტაპები,რომელთა გადალახვის პროცესში დამწყები ტრეიდერი იძენს იმ ცოდნასა და თვისებებს რომელიც სჭიროა ფორექსზე მუშაობისათვის.

იყო დამწყები ტრეიდერი სულაც არ ნიშნავს, რომ ხარ წამგებიანი ტრეიდერი, მაგრამ ტრეიდერს ყოველთვის სიფრთხილე მართებს. გარკვეული გამოცდილების მიღების შემდეგ, ტრეიდერი უნდა დარწმუნდეს საკუთარ შესაძლებლობებში და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია გაზარდოს სავაჭრო მოცულობები და ამის საშუალებით მიიღოს გაცილებით მაღალი შემოსავალი.

საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნების მიზნით, ტრეიდერმა ფორექსის ბაზარზე უნდა გაიაროს სამი მარტივი ეტაპი:

I ეტაპი - დემო-ანგარიშზე სწავლა.

II ეტაპი - რეალური ანგარიშის გახსნა;

II ეტაპი - ვაჭრობა რეალური ანგარიშით.

I ეტაპი. დემო-ანგარიშზე სწავლა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია გახსნას სასწავლო დემო-ანგარიში და ისწავლოს მუშაობა სავაჭრო ტერმინალით დროის შეუზღუდავად აბსოლიტურად უფასოდ. მაშინაც კი როდესაც წარმოდგენა

არ გაქვთ ფორექსის ბაზარზე შეგიძლიათ ძალიან ახლოს მიხვიდეთ მასზე ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებასთან დემო-ანგარიშის გახსნით. მიუხედავად იმისა რომ დემო-ანგარიშზე წარმოებული ყველა გარიგება ვირტუალურია და არ გაიტანება ფორექსზე, თქვენ იღებთ სავაჭრო ტერმინალის რეალური სავაჭრო ანგარიშის პირობების სრულ ანალოგს. სასწავლო ანგარიშზე თქვენს მიერ დადებული გარიგებები იდენტურია რეალური ანგარიშით გაკეთებული გარიგებების.

პარალელურად, მომავალ ტრეიდერს ნებისმიერ შეკითხვაზე შეუძლია მიიღოს პასუხი უფასოდ, ყოველგვარი რისკის გარეშე.

დაინტერესებულ პირს შეუძლია გახსნას სასწავლო ანგარიშები შეუზღუდავი რაოდენობით აბსოლიტურად უფასოდ.

ესე იგი, რეალური ანგარიშის გახსნამდე, დაინტერესებულ პირს შეუძლია გახსნას სასწავლო ანგარიში, რომელიც თავისი ფუნქცინალური შესაძლებლობებით არ განსხვავდება რეალური ანგარიშისაგან, გარდა იმისა,რომ ყველა მოგება და წაგება ამ ანგარიშებზე – ვირტუალურია.

დემო–ანგარიშზე მუშაობით, ტრეიდერი არ რისკავს საკუთარი ფულით, მაგრამ ამასთან ერთად მას შეუძლია:

- მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება **FOREX** ბაზარზე;
- შეისწავლოს სავალუტო ბაზრის ანალიზი;

რეალურ კოტირებებზე და რეალურ დროში გამოსცადოს თავისი ტაქტიკა რისკისა და ფულის დაკარგვის გარეშე;


- შეიმუშაოს რისკების მართვის საკუთარი სისტემა (**Money Management**);
- შეიძინოს სავაჭრო ტერმინალზე პრაქტიკული მუშაობის უნარები.

II ეტაპი. რეალური ანგარიშის გახსნა შემდეგი ეტაპებით მიმდინარეობს:

1. ანგარიშის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ ტრეიდერის ტერმინალის საშუალებით.


2. ბმულის გადმოწერისას გაუშვით ტერმინალის დაყენების პროგრამა (მაგალითისათვის იხილეთ სურათი №2.1.)

სურათი № 2.1.




3. ტერმინალის დაყენების შემდეგ გაუშვით იგი. ახლა თქვენ შეგიძლიათ შეუდგეთ ანგარიშის გახსნის პროცედურას ზედა მენიუში აირჩიეთ პუნქტი, ფაილი-> ანგარიშის გახსნა (იხილეთ სურათი №2.2).

სურათი №2.2.



4. გამოჩენილ ფორმაში შეავსეთ ყველა საჭირო ინფორმაციის გრაფა. აირჩიეთ იმ ანგარიშის ტიპი რომელიც გსურთ გახსნათ, არჩიეთ საწყისი დეპოზიტის ზომა საწაელო ანგარიშის გახსნისას, არჩეული თანხა ავტომატურად დაგერიცხებათ სავაჭრო ანგარიშზე ვირტუალური ფულის სახით, რომლის საშუალებითაც თქვენ შეგეძლებათ შეისწალოთ ვაჭრობა. თანხა დეპოზიტზე განისაზღვრება **USD** -ში (იხ. **სურათი №2.3**).

სურათი №2.3.



5. ყველა გრაფის შევსების და პარამეტრების შერჩევის შემდეგ დასვით პუკარი პუნქტზე მიეიღო სიახლეები მეილით" გააქტიურდება ღილაკი „შემდეგ>", დააჭირეთ მას და განაგრძეთ. შედეგად გაიხსნება ახალი ფანჯარა,რომელშიც მითითებული იქნება ნომერი და პაროლი თქვენი ანგარიშისათვის, შეინახეთ ან დაიმახსოვრეთ.

დემო-ანგარიშების რაოდენობა არაა შეზღუდული,ამიტომ ტრეიდერს ყოველთვის შეუძლია გახსნას ახალი დემო-ანგარიში მისი ტექნიკის სრულყოფისათვის.

II ეტაპი. ვაჭრობა რეალური ანგარიშით. მას შემდეგ, რაც ტრეიდერი შეიძენს გამოცდილებას ტერმინალზე მუშაობით და ისწავლის ვაჭრობის ძირითად ილეთებს, მას შეუძლია მოსინჯოს თავისი ძალები რეალურ სავაჭრო ანგარიშზე. შემოიფარგლო იმ რისკების მოცულობებით, რომელნიც მიაჩნიათ მისაღებად. იმის გამო რომ არ არსებობს შეზღუდავა მინიმალურ გარიგების მინიმალურ მოცულობაზე, ტრეიდერს შეუძლია ივაჭროს პრინციპით „რისკი=შემოსავლის", რომლის დროსაც თვითონ განსაზღვრავს მისი ინვესტიციის მოცულობას.

ტრეიდერს რეალურ ანგარიშზე მუშაობა აძლევს საშუალებას მიხვდეს და გაიგოს ის რაც არ შეუძლია მისცეს სასწავლო ანგარიშმა,რაც არუნდა სერიოზულად მიუდგეს მას. რეალურ ანგარიშზე მუშაობისას, თუნდაც მინიმალური თანხებით, ტრეიდერი ვერ გრძნობს იმას, რასაც გრძნობს ნებისმიერი ტრეიდერი ფინანსურ ბაზარზე, კერძოდ: კავშირს კურსის მოძრაობასა და მის შემოსავალს შორის. ეს შეუფასებელი გამოცდილება აუცილებელია შემდგომ სტადიაზე გადასასვლელად პროფესიონალი ტრეიდერის განვითარებისათვის.

პროფესიონალური მუშაობა. მუშაობისათვის საჭირო ყველა ცოდნის მიღების შემდეგ ტრეიდერს შეუძლია დამოუკიდებლად იმუშაოს სავალუტო ბაზარზე, გამოიყენოს საკუთარი ან სხვისი სავაჭრო სტრატეგია, ვალუტის კურ-

სის მოძრაობიდან მოგების მისაღებად. პროფესიონალი ტრეიდერი აყალიბებს საკუთარი ვაჭრობის სტილს. თვითონ ირჩევს სავაჭრო სიმბოლოებს,რომელთაც იყენებს ვაჭრობაში და თვითონ აკონტროლებს საკუთარ მუშაობას.

ყველა დამწყები ტრეიდერი ეერ ახერხებს მიაღწიოს მესამე სტადიას, მაგრამ ტრეიდერმა არ უნდა დაყაროს ფარხმალი და ხელახლა სცადოს თავისი ბედი.

2.3. ტრეიდერების კატეგორიები

საბირჟო თრეიდერებს შეიძლება სხვადასხვა მიზანი გააჩნდეთ. ზოგი მათგანი ცდილობს, რომ მოკლე დროში რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს, მაშინ, როდესაც მეორე ცდილობს, რომ რაღაც გარანტირებული მოგება მაინც მიიღოს და თანახმაა თუნდაც ხანგრძლივ პერიოდზე. ეს უკანასკნელი ჯგუფი ცხადია, რომ მიზნის შესაბამისად, ძირითადად ოპერირებს გრძელვადიანი ფინანსური ინსტრუმენტებით.

ამ თვისებებით, თრეიდერები შეგვიძლია დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად:

- პოზიციური თრეიდერები
- სვინგ თრეიდერები
- დღიური თრეიდერები

პოზიციური თრეიდერი (ხანგრძლივი პერიოდის). ამ სახის თრეიდერები წარმოადგენენ ბაზრის ძირითად ნაწილს, რამდენდაც ბაზარი მის ძირითად ნაწილში საკმაოდ ინერტულია და კონსერვატიული. ბაზრის მონაწილე მრავალი ინვესტორი, მის ხელთ არსებულ აქციათა პორტფელს, მის ძირითად ნაწილში უცვლელად ტოვებს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის (თუნდაც 1 ან 2 წლის) განმავლობაში.

შესაბამისად ინვესტორთა მოთხოვნისა, ამ ჯგუფის თრეიდერთა პოზიცია შეიძლება უცვლელად ფიქსირდებოდეს 1

თეის, 1 წლის ან მეტი პერიოდის განმავლობაში; რამდენადაც იგი მეტი შედეგის მოლოდინშია და ამის საშუალებას მას ინვესტორისგან მიღებული მნიშვნელოვანი მოცულობის ფონდი აძლევს.

ხშირია შემთხვევა, რომ პორტფელის მიმდინარე პოზიცია წამგებიანია, მაგრამ საინვესტიციო კაპიტალი თრეიდერს აძლევს საშუალებას, რომ ფიქსირებული პოზიცია, შესაბამისი საბირჟო გადასახადების გათვალისწინებით, შეინარჩუნოს მანამდე, სანამ პორტფელი მოგების შედეგს არ აჩვენებს.

ცხადია, რომ ამ სახის თრეიდერთა ძირითად დამკვეთ ინვესტორებად გვევლინება მსხვილი კომპანიები და ინსტიტუციონალური ინვესტორები (ბანკები, ფონდები, კერძო ინვესტორები), ისევე როგორც მდიდარი კერძო პირები. ამ დამკვეთთა ჯგუფის მიზანს კი როგორც წესი წარმოადგენს გრძელვადიანი, თუნდაც ნომინალური, მაგრამ შედარებით გარანტირებული ინვესტიციის განხორციელება.

ამ ჯგუფის თრეიდერთა პოზიცია ზოგადად ეფუძნება ბაზრის შესაბამისი სექტორის გრძელვადიან ფუნდამენტალურ ანალიზს, ასევე მსხვილ ინვესტორთა და კომპანიათა დინამიკის მახასიათებელ ფაქტორებს, გრძელვადიან ტექნიკურ ანალიზს. მათ ნაკლებად აღელვებთ ფასების დროებით აწევა ან დაწევა (ფლუქტუაცია).

სვინგ (ცვალებადი, საშუალო პერიოდის) თრეიდერები. სვინგ-თრეიდერები ასევე მიეკუთვნებიან საშუალო ვადის პერპექტივით მოვაჭრე თრეიდერთა ჯგუფს. სვინგ თრეიდერი, როგორც წესი, საშუალოდ ეფუძნება 1 კვირის ან 1 თვის პერსპექტივას. წარმატების შემთხვევაში კი სვინგ-თრეიდერი საკმაოდ მოტივირებულია, - მეტი მოგების მისაღებად, კიდევ უფრო გაახანგრძლივოს და უცვლელი დატოვოს დაფიქსირებული პოზიცია.

სხვანაირად, რომ ვთქვათ სვინგ-თრეიდერი მუდამ ჩასაფრებულია და შეიძლება იქცეს პოზიციურ თრეიდერად. იგი

ყოველთვის მზად არის, რომ ფიქსირებული პოზიცია (ყიდვა ან გაყიდვა), ხელსაყრელ შემთხვევაში 1 ან 2 კვარტალით გაიგრძელოს.

სვინგ-თრეიდერის მუშაობა ისევე, როგორც პოზიციური თრეიდერის გადაწყვეტილებები, ეფუძნება ფუნდამენტალურ და ტექნიკურ ანალიზს.

დღიური თრეიდერი (მოკლე პერიოდის). მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის მოცულობის ძირითად ნაწილში, ძირითადად დასაქმებულია პოზიციურ და სვინგ თრეიდერთა ჯგუფი, არსებობს მოკლევადიანი პერსპექტივით მომუშავე, დღის თრეიდერთა განსაკუთრებული ჯგუფიც. სწორედ ამ ჯგუფის თრეიდერებს მოეთხოვებათ ყველაზე მეტი ფსიქიური მდგრადობა.

დღიური თრეიდერებზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა იმ ბაზრებზე სადაც ფიქსირდება სავაჭრო ოპერაციების მაღალი ლიკვიდობა. ასეთ ბაზარს, მაგალითისთვის, დღეს წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ბირჟა - ფორექსი (**Forex, Fx**), რომელიც მუშაობს კალენდარული კვირის 5 სამუშაო დღის 24 საათის განმავლობაში (დღისით და ღამით). ამ ბირჟის მუშაობა ძირითადად ინტერნეტულ ქსელს ეფუძნება და ყოველი 24 საათის განმავლობაში მისი ბრუნვა $ 4 ტრილიონს შეადგენს. ამ სექტორში მუშაობა ითხოვს სწრაფ და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბაზარში (ვაჭრობაში) შესვლის მომენტის შერჩევა საკმაოდ რთულია, - კიდევ უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენს ბაზრიდან გამოსვლა (მიუხედავად მოგებისა თუ წაგებისა). წამგებიანი პოზიციის განეთარების შემთხვევაში თრეიდერი იმედს იტოვებს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, მაგრამ ამავე დროს მოსალოდნელია მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება (ზოგჯერ წუთებსა და წამებშიც კი). მეორეს მხრივ, თუ პოზიცია მომგებიანია, აუცილებელია ბაზრიდან გამოსვლის გადაწყვეტილების მიღება იმ მომენტამდე, სანამ

ვითარება არ შემოტრიალდება საწინააღმდეგოდ.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ ფიქსირებული პოზიციის მოგება შეიძლება 1 წუთში იმავე ოდენობის წაგებამ შეცვალოს და ამის გამომწვევ მიზეზად მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტის, რომელიმე რაგიონის ეკოლოგიური კატასტროფის ან სადმე წამოწყებული კონფლიქტი იყოს.

ასევე, მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მსხვილი ინვესტორის (მაგ. ჯორჯ სოროსის) ერთ სიტყვას იმის შესახებ, რომ ევრომ მომავალ თვეს შეიძლება დაიწიოს აშშ დოლართან მიმართებით. ასეთ მსხვილ ინვესტორებზე ამბობენ, რომ მათი სიტყვები მსოფლიოს ბაზრებს ამოძრავებსო.

ძირითად ნაწილში, სხვადასხვა ქვეყნების ვალუტების კროსს-კურსების ცვლას ცალკეული მნიშვნელოვანი ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლების გამოქვეყნება განაპირობებს. ამას კი დღიური თრეიდერი მუდმივად ადევნებს თვალს.

აღსანიშნავია, რომ საბირჟო დარბაზის შიგნით მომუშავე თრეიდერები ფლობენ ერთგვარ მუნჯურ ენას. ხელების დახმარებით თრეიდერები ერთმანეთს აცნობებენ საკუთარი გადაწყვეტილებების და გარიგების მისაღები (სავაჭრო) პირობების შესახებ. მაგალითისთვის, ქვემოთ მოყვანილ სურათზე, თრეიდერი, რომელიც სახით ჩვენსკენ იყურება გვანიშნებს, რომ "ყიდის სამოცდაათად":

ხელების ჟესტიკულაციით ურთიერთობა დღემდე რჩება ბირჟის - შიდა თრეიდერის ძირითად ენად. ეს განპირობებულია ამ ენის სიმარტივით, სისწრაფით და ასევე იმით, რომ საბირჟო ვაჭრობის პროცესში მონაწილეობს სხვადასხვა ენოვანი თრეიდერი, - ჩინელი, იაპონელი, სხვა

ამასთან, ბირჟის დარბაზში თრეიდერები ხშირად აკეთებენ გარიგების ჩანაწერს (ჩანიშვნას) და ძირს აგდებენ მცირე ზომის ქაღალდებს. ეს ქაღალდები არ გეგონოთ ნაგავი. ამ ქაღალდებს პერიოდულად ხვეტავს ბირჟის დამლაგებელი; ეს ჩანაწერები ინახება ბირჟის არქივში და საჭიროების

შემთხვევაში წარმოადგენს გარიგების დადების სინამდვილის დამატებით (ან სინამდვილესთან შედარების) ნიშანს.

მაშასადამე, მიუხედავად არსებული სირთულისა, სწორედ მოკლევადიანი პოზიციების (დღიური) თრეიდერის სამუშაო იზიდავს დღეს მრავალ ადამიანს. ამას ბუნებრივია, რომ გააჩნია ობიექტური მიზეზი. სწორედ ამ სექტორში, მაღალი ლიკვიდურობის ბაზრებზე არის მნიშვნელოვნად მომგებიანი სპეკულაციური ოპერაციების განხორციელების საშუალება.

2.4. ტრეიდერის სამუშაო ადგილი

ვერც ერთი თანამედროვე ტრეიდერი ვერ იმუშავებს სავალუტო კურსების გრაფიკის ასაგები პროგრამების და ტექნიკური ანალიზის ჩატარების გარეშე. დღეს ბაზარზე სთავაზობენ ასეთი პროგრამების დიდ რაოდენობას. რათა გაგიადვილოთ მათი ამორჩევა, ჩვენ თქვენს ყურადთებას მივაქცევთ მათ შორის ყველაზე საუკეთესოებს. ამერიკული ფირმა **Omega Research Inc.** არის ლიდერი საფინანსო მონაცემთა ტექნიკური ანალიზის პროგრამული უზრუნველოფის შემუშავების დარგში. ისინი - **Pro Suite 2000i; Trade Statiou 2000i** - ყველაზე მძლავრი ტექნიკური ანალიზის პროგრამებია რეალური დროის რეჟიმში მუშაობისათვის. **Trade Statiou 2000i** ღირებულება შეადგენს დაახლოებით **24000 USD, Pro Suite 20000 i** ღირებულება შეადგენს დაახლოებით **2400 USD, Pro Suite 2000 i** დაახლოებით **4800 USD.**

შედარებით ცოტა ხნის წინათ ამერიკულმა ფირმამ ქ-უისჩორპ შეიმუშავა პროგრამა **„Meta stock Professional" (Read Timel)** მანამდე სთავაზობდა **„Meta stock"** ვერსიას, რომელიც რეალური დროის რეჟიმში არ მუშაობდა. **Meta stock Professional** სწრაფად დაიკავა წამყვანი პოზიციური და გახდა ტექნიკური ანალიზის ერთ–ერთი ყველაზე პოპ-

ულარული პროგრამა, **Meta stock Professional (Read Timel)** ღირებულება შეადგენს დაახლოებით **17000 USD.**

არსებობს მრავალი სხვა, ტექნიკური ანალიზის ნაკლებად მძლავრი პროგრამები, მაგრამ, თუ რაიმე მიზეზებით არ გაწყობთ მეგა ღესეარცჰ და ქუის პროგრამები, ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ გამოიყენოთ პროგრამა, რომელიც ინფორმაციულ სისტემასთან ერთად მიეწოდება (ჩვეულებრივ უფასოდ).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ფასები საორიენტაციოა და მნიშნელოვნად შეიცვლება დროთა განმავლობაში. აგრეთვე შესაძლოა ახალი მომსახურების და პროგრამული უზრუნველყოფის გამოჩენა.

ფორექსის ბაზარზე სამუშაოდ ტრეიდერმა აუცილებლად უნდა შეარჩიოს ფირმა–პარტნიორი, სადაც გაიხსნება სავაჭრო ანგარიში და განთავსდება სადაზღვევო დეპოზიტი, რომელთანაც ის დადებს გარიგებებს ვალუტის ყიდვა–გაყიდვაზე. სტატუსით ასეთი ფორმები ჩვეულებრივ ბროკერ–დილერები არიან; მათი სახით შეიძლება გამოვლინდენ როგორც რუსეთის, ასევე უცხოური ბანკები და ფირმები.

ძირითადი კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოთ პარტნიორის შერჩევისას, შემდეგია:

- ვაჭრობის ძირითადი პირობები (ანგარიშის გასახსნელად აუცილებელი მინიმალური დეპოზიტი, გარიგებების მინიმალური ნებადართული რაოდენობა, ძირითადი ვალუტების სპრედი,)
- სავაჭრო ინსტუმენტების სია,
- ინტერნეტით მუშაობის შესაძლებლობა,
- საფინანსო სტრუქტურის რეპუტაცია.

ფირმები, რომლებიც სთავაზობენ კლიენტებს ფორექსის ბაზარზე ვაჭრობას, პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად:

მსხვილი ჯგუფი: დეპოზიტი **50 000 USD**–დან გარიგებათა

ჯამი 500 000 USD–დან, სპრედი 3-5 პუნქტით.

საშუალო ჯგუფი: დეპოზიტი 5 000 USD–დან, გარიგებათა ჯამი 100 000 USD–დან, სპრედი 10-15 პუნქტი.

მცირე ჯგუფი: დეპოზიტი 1 000 USD–დან, გარიგებათა ჯამი 50 000 USD–დან, სპრედი და მეტი პუნქტი; ხშირად ახდევინებენ გარიგების საკომისიოს 5-50 დოლარის ოდენობით.

2.5. მსოფლიოში ცნობილი ტრეიდერები

ლარი ვილიამსი: მომზადება მთაეარია ტრეიდინგში და სირბილში.

ტრეიდერი და მორბენალი მარათონელი ლარი ვილიამსი (**Larry Williams**) აელებს პარალელებს წარმატებულ ტრეიდინგს და მარათონულ დისტანციაზე წარმატებულ სირბილს შორის. ვილიამსი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ მეთექვსმეტედ გაირბინა წარმატებულად მარათონი, მიუთითებს „ტკივილზე და ტანჯვაზე„ როგორც მსგავსების ორ ყველაზე თვალნათლივ წერტილს ტრეიდინგს და გრძელ დისტანციაზე სირბილს შორის. „ყველას შეუძლია გაირბინოს მარათონი მომზადების შემდეგ. იგივე ეხება სასაქონლო ტრეიდინგს - თუ კი კარგად ივარჯიშებ, შეიძლება გქონდეს წარმატების იმედი„ - ამბობს ის. „ყოველ დისტანციაზე არის წერტილი, როდესაც საზიზღრად გრძნობ თავს , მაგრამ უნდა ირბინო წინ და გადაადგა ფეხები. იგივეა ტრეიდინგშიც „უნდა აწარმოოთ თქვენი გარიგებები ერთმანეთის მიყოლებით"- გვიყვება ვილიამსი. - როდესაც ვუახლოვდები ამ წერტილს დისტანციაზე, ცოტა ვანელებ სირბილს. ანალოგიურადაა ტრეიდინგში: როდესაც ვაგებ ბაზარზე გავდგები გვერდზე და ვითქვამ სულს„.

ვილიამსი შეუდგა აქციებით ვაჭრობას 60-იანი წლების დასაწყისში. მაგრამ, ათი წლის შემდეგ მისმა მეგობარ-

მა ურჩია ყურადღება მიექცია სასაქონლო ბირჟებისთვის, რადგანაც, მისი თქმით, ვილიამსს შეეძლო იქ „მეტის შოვნა„. და მანაც ნამდვილად საკმაოდ „იშოვა„. 1987 წელს ტრეიდერების მსოფლიო 12-თვიანი ტურნირის **Robin World Cup Trading Championship**-ის ფარგლებში მან შეძლო **10 000$** ექცია 1 100 000 დოლარად. ეს მიღწევა, ჯერჯერობით ვერც ერთმა ტრეიდერმა ვერ დაძლია. ვილიამსი თავის თავს უწოდებს „კონტექსტუალურ ტრეიდერს„, რომელიც იყენებს ტექნიკისა და საბაზო მონაცემების ნაზავს. დრესდღეობით ის ტრეიდინგს თავისთვის აწარმოებს, ძირითადად დაკავებულია ფიუჩერსებით სახაზინო ობლიგაციებზე, **S & P** 500 ფიუჩერსებით და სავალუტო ფიუჩერსებით და მუშაობს ერთიდან სამი დღის ფარგლებში.

როდესაც მას დაუსვეს კითხვა სავალუტო ფიუჩერსების ბაზრების მდგომარეობაზე, ვილიამსმა უპასუხა: "მე არ ვფიქრობ რომ ვალუტები კვდება.ბაზრები ყოველთვის გაივლიან გარკვეულ ეტაპებს. ფონდების გულისწყრომის მიზეზი გახდა ის, რომ ტრენდებზე თვალთვალის მათმა პროგრამებმა არ იმუშავეს(რადგანაც ამ ბოლო ხანებში ვალუტები უფრო სტაბილური გახდა).

ვილიამსი არის პიონერი იმპულსური ინდიკატორის **%R** გამოყენებაში. "ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ მუშაობამ, რომელიც ერთმა კაცმა სთოქასტიკას ჩაუტარა-ამბობს ის– მე მომეწონა იდეა, მაგრამ სთოქასტიკა გასაგებად ძალიან ბუნდოვანი და ძნელი აღმოჩნდა", ინდიკატორი **%R**, როგორც ჯონ ჯ. მერფის "ფიუჩერსების ბაზრების ტექნიკურ ანალიზში" არის ასახული, ეფუძნება (სთოქასტიკასტან) ანალოგიურ ბოლო ფასების შეცვლის დახურვის კონცეფციაზე ფასის კონცეფციის შეფარდებას დღეების განსაზღვრული რაოდენობის გასწვრივ. დღევანდელი ფასი დახურვის დროს გამოაკლდება **high** ფასს დღეების მოცემული რაოდენობის დიაპაზონში და ეს სხვაობა გაიყოფა მოცემული პერიოდის ფასთა მთელ დიაპაზონზე.

ფასი დახურვისას **highs** სიახლოვეს, დიაპაზონის ფარგლებში, აღნიშნავს რომ ხდება მძლავრი შესყიდვა-გვიხსნის ვილიამსი. ბაზრების მწვერვალია, როდესაც ისინი აღწევენ **highs** დახურვის დროს. ბაზრების ძირი (ფსკერი) კი – როდესაც ისინი იხურება ქვედა წერტილზე. ბაზრები აღწევენ მწვერვალს, რადგანაც მეტი მყიდველი არ ჩნდება. **%R** გაძლევთ საშუალებას დაინახოთ ეს". ამავდროულად, მისი თქმით, ეს იარაღი უნდა იყოს გამოყენებული ბაზრის საერთო კონტექსტში.

„ტექნიკური მაჩვენებლები არის ალფა და ომეგა, როგორც ეჩვენება ზოგიერთ ტექნიკოსს" – თელის ვილიამსი. სხვა ინდიკატორი,რომლის გამოყენებაც ტრეიდინგში უყვარს ვილიამსს, არის მონაცემები „ტრეიდერების ვალდებულებები" **(commitments of troders)**,რომელსაც ყოველ მეორე პარასკევს აქვეყნებს **CFTS**. ამ მოხსენებაში მოყვანილია მსხვილი ჰეჯერების, მსხვილი სპეკულანტების და მისი ტრეიდერების გახსნილი(ღია) კონტრაქტების სტატისტიკა. "როდესაც მსხვილი ჰეჯერები გადადიან სუფთა გრძელი პოზიციიდან სუფთა მოკლეზე, ეს ჩვეუბლევრიე გამოდგება ყიდვისათვის კარგ სიგნალად", აღნიშნა ვილიამსმა.

ახლანდელ პირობებში, აღნიშნა ვილიამსმა, ობლიგაციები უახლოვდება **low**-ს. მსხვილი ჰეჯერები უახლდებიან იმას, რომ დაიკავონ წმინდა (სუფთა)გრძელო პოზიცია, ეს კი საეჭვებით ხარის მაჩვენებელია. ამასთანავე, მათ უგროვდებათ ბევრი ვალუტა, მაგრამ მათ დაჭირდებათ საკმაოდ დიდი დრო, რათა დაიწყონ ზემოთკენ მოძრაობა. საფონდო ბაზართან მომართებაში: "მე ვარ მოკლევადიანი ტრეიდერი **SRP** ბაზარზე მაგარმ ყველაზე ჭკვიანი ჩემი ნაცნობები უკვე დიდიხანია მოკლე პოზიციაზე არიან ამ ბაზარზე".

როგორია ვილიამსის აზრი ტრეიდინგთან დაკავშირებით?

ვილიამსი აღნიშნავდა, რომ:

- რაც მე მომწონს ამ ბიზნესში არის ის, რომ გაქვთ

შესაძლებლობა იფიქროთ დროის წინსწრებით.

• ადამიანთა უმეტესობა დღევანდელით ცხოვრობს, მაგრამ ტრეიდერს უწევს ფიქრი: იქნება წვიმა ნთვეში? თუ იქნება ომი ერთი წლის მერე? იქნება თუ არა შიმშილობა ორ წელიწადში?

• ეს საინტერესო ადგილია საცხოვრებლად – ჩვენ ყველანი მომავალში ვიმყოფებით.

• ტრეიდინგს თან მოაქვს მნიშვნელოვანი ემოციური დატვირთვა.

• ამ ბაზრებზე ხდება კოლოსალური რხევები, რომლებსაც მივყავართ კოლოსალურ ემოციურ რხევებთან. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ტრეიდერებში მანიაკალურ–დეპრესიული ფსიქოზი. თქვენი ცხოვრების წესი ემსგავსება საბირჟო კანონზომიერებებს.

• 34 წლის შმდეგ ჩემი ცხოვრება აღსავსეა დიდი მწვერვალებით და ვარდნებით. თითქმის ყველა სასაქონლო თრეიდერს შეუძლია ძალიან სწრაფად გაუხარდეს, ასევე სწრაფად რაიმეზე გაუნელდეს გრძნობა, როგორ ახერხებენ ამას? „დავრბიეარ", – იყო პასუხი.

• აგრეთვე უნდა გვესმოდეს რომ „თუმცა ჩვენ სერიოზული ამბებით ვართ დაკავებულები, რაც არ უნდა იყოს - ეს თამაშია... ცხოვრება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება".

ვილიამსის რჩევა დამწყებ ტრეიდერებს: „დაიწყეთ ნელ–ნელა, არ დახარჯოთ ბევრი დრო და ფული სწავლაზე, რადგანაც განათლება იაფი ღირს ამ ბიზნესში გამოცდილებასთან შედარებით. მათ ვინც გაიგო სხვაზე მეტი, ამ ბაზრებზე აღწევენ ყველაზე დიდი წარმატებას". „აგრეთვე რაც შეიძლება უკეტესად ისწავლეთ ფულის მართვა. არ არის საკმარისი უბრალოდ გქონდეთ დასახული მიზანი. თქვენ შეიძლება გადადგათ გადამწყვეტი ნაბიჯი, როდესაც აუცილებელია ამის გაკეთება... შეამცირეთ ხარჯები და არ შეზღუდოთ შემოსავლები" გაიმეორა უილიამსმა ძველი ანდაზა, რომელსაც ხშირად გაიგონებთ ბაზარზე.

„წლების გადასახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის რთული ცხოვრების წესი. ის ძალიან გვამძიმებს, მაგრამ მას მაინც არაფერში გაეცვლიდი“ – თქვა მან დასასრულს.

ჯორჯ ენჯელი. ჯორჯ ენჯელი აქცენტს აკეტებს ვოლატილობაზე და ლიკვიდურობაზე. **ვოლატილობა და ლიკვიდობა** – არის ორი მომენტი, რომლებსაც აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, ტრეიდინგის დროს, დამოუკიდებელი ტრეიდერი ჯორჯ ენჯელი. დღესდღეობით ენჯელი ტრეიდინგს ატარებს მხოლოდ და მხოლოდ **S&P500** ფიუჩერსებით, ახდენს მხოლოდ სადღეისო გარიგებებს და არასოდეს არ იკავებს პოზიციებს ღამე. „ლიკვიდურობა და ვოლატილობა არის ორი საგანი, რომლის გარეშეც არ შეიძლება. ერთი დღის განმავლობაში რაიმე ქერისნაირით ვაჭრობა არ გამოვა”– ამბობს ის.

70იანი წლების დასაწყისსი ენჯელი პირველად დაინტერესდა სასაქონლო ბაზრებით. „შაქარი ვიყიდე და მისი ფასი ავარდა... შემდეგ სპილენძი ვიყიდე და მისი ფასი ავარდა, მერე კიდევ ვიყიდე ცოტა სპილენძი. შემდეგ ფასები დაეარდა, მერე დავურეკე ჩემს ბროკერს და ვუბრძანე გაეყიდა, მან კი მკითხა – ვის მივყიდოო? –იხსენებს ენჯელი. მაშინ კი მიეხვდი, რომ მეტი უნდა მესწავლა”.

80-იანი წლების დასაწყისში ენჯელი გაეშურა ჩიკაგოს საბირჟო დარბაზებში. ის იყო შუა ამერიკის სავაჭრო ბირჟის **(midamerikan Comodity exchange)**ადგილობრივი ტრეიდერი და ძირითადად ოქროს ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული.

თუმცა ახლა ენჯელი ტრეიდინგს თავისთვის ეწევა არა დარბაზში, არამედ მონიტორის ეკრანიდან, ის თელის დარბაზში ტრადიციულ ვაჭრობას „შეუფასებელ გამოცდილებად”.

„ხალხი დარბაზში ორიენტირებულია უახლოეს პერსპექტივაზე”, – ამბობს ენჯელი. – „მე ვისწავლე დროულად შესვლა, ტრენდის დათრევა, ფულის შოვნა და წასვლა”. მაგრამ ახლა მას ურჩევნია ტრეიდინგის წარმოება ბირჟის გა-

რეთ. „მე ოთახში მარტო ვაწარმოებ ტრეიდინგს. როდესაც დარბაზში შევდივარ იქ ათასი ადამიანია. ეს არის საერო მოვლენა. ადამიანებს სურთ თავის პოზიციებზე საუბარი, ყავის მირთმევა. ამის გამო შეუძლებელია გულისყურის მოკრება.. როგორც ამბობენ, ხეების მაღმა ტყე არ მოჩანს".

მისი აზრით უკანასკნელ ათ წელიწადში ტექნოლოგიურმა პროგრესმა რევოლუცია მოახდინა ტრეიდინგის შესაძლებლობებში. „ყველა მოთამაშეს გაუთანაბრდა შანსები" – ამჩნევს ენჯელი. მისი სიტყვებით ტექნოლოგიამ გააუქმა ის უპირატესობები, რომლებიც, როგორც ადრე ითვლებოდა, გააჩნდა დარბაზში მყოფ ტრეიდერს ბირჟისგარეშე ვაჭრობასთან შედარებით. „ამით, უპირველეს ყოვლისა მოიგო მასობრიბმა ტრეიდერმა. ფართო საზოგადოებამ არ იცის სპეკულირება მცირე სარგებლით", – ახსნა მან. ენჯელი უარყოფს საბაზო ცოდნას და ასპროცენტიანად ემხრობა ტექნიკას. მან შეიმუშავა ტრეიდინგის ორი საკუთარი სისტემა: **LSS** და **Spyglass,** რომლებსაც იყენებს თავის ყოველდიურ ოპერაციებში „სიფრთხილესთან და პირად გამოცდილებასტან" ერთად.

„ყველას ესაჭიროება რაღაც ავტომატური დახმარება. ის გვაძლევს საშუალებას შევეჭიდოთ რთულ გარიგებებს, რომელსაც არავინ წამოიწყებდა ფანქრით ხელში", –აღნიშნა ენჯელმა და დაამატა: „ყოველდღე მიედინავარ ყოველგვარი აზრის გარეშე, რომელიც წინასწარ არის შედგენილი... ბაზარი თვითონ გკარნახობს საითკენ გაემართება აზრები – ეს არის ის, რაც თქვენ გაბრიყვებთ". თუმცა ბევრ ადამიანს არ ჰყოფნის დისციპლინა აწარმოოს ტრეიდინგი სტოპების გარეშე, ენჯელის თქმით ის მათ არ იყენებს. „პრობლემა სტოპის ტრეიდინგთან მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ გამოდიხართ ყველა შესაძლოდან ყველაზე ცუდ მომენტში. სტოპების მაგიერ მე ვიყენებ მოქმედების წერტილებს. ეს ნიშნავს, რომ როდესაც ბაზარი მიუახლოვდება გარკვეულ წერტილს, მე გამოვდივარ, მაგრამ დაველოდები ნახტომს

(თუ ბაზარი ქვემოთ ეშვება)“ – აგვიხსნა ენჯელმა.

ენჯელი ვაჭრობდა ობლიგაციების ბაზარზეც. ბაზრების საკუთარ შე ასებაში ის ემყარება ორ საკვანძო ელემენტს: ვოლატილობა და ლიკვიდობას. „ხანდახან ბაზარი თქვენთვის უბრალოდ კვდება. მაგალითად, 1980წელს არსებობდა ოქროს მსხვილი ბაზარი. ფასმა უნცია ოქროზე აიწია 850 დოლარამდე, მაგრამ ვოლატილობა დაიკარგა, შემდეგ გაქრა ლიკვიდობაც. ამ მომენტში გადავერთე ობლიგაციებზე“ – ამბობს ენჯელი. როდესაც ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟაზე ამოქმედდა კონტრაქტით **SCP500**, ენჯელმა დაიწყო ამ ბაზარზე მუშაობა, თუმცა როგორც მან აღნიშნა, 1987 წლის საფონდო ბაზრის კრახის შემდეგ **S&P500** ლიკვიდურობა გაქრა და ენჯელი რამოდენიმე ხნით კვლავ დაუბრუნდა ობლიგაციებს. „ობლიგაციებით ვაჭრობენ დიდი დაწესებულებები და ყოველ ნიშნულზე (**tick**) მათი ყიდვა-გაყიდვა ათასობით შეიძლება. არავის შეუძლია ეთამაშოს ამ ბაზარს, არავის შეუძლია მატი მანიპულირება. ამიტომაცაა, რომ ფორთოხლის წვენი ყოველთვის ადის ზედა ლიმიტებზე, იმიტომ რომ არავინაა მისი გამყიდველი“, – ამბობს ის. როდესაც მას შეეკითხეს **GLOBEX**-ის სისტემაში ვაჭრობაზე, ენჯელმა თქვა: „მე მათ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ, იმიტომ რომ იქ არ არის საკმარისი ლიკვიდურობა. ეროდოლარებზე არსებობს უზარმაზარი ლიკვიდურობა, მაგრამ არ არის საკმარისი ვოლატილობა, რომ იშოვნო ფული.”

ბაზრებს შორის განსხვავებების მიმართ ენჯელმა შენიშნა,რომ „ყველა ბაზაარს გააჩნია განსხვავებული თავისებურებები და კარგად უნდა იცოდეს თავისი ბაზარი. დარბაზში მყოფი ხე-ტყით მოვაჭრე ადამიანი ტრეიდინგს არ გამართავს **S&R**-ის მიხედვით, ამიტომ ტრეიდერები იძულებული არიან სხვადასხვა ბაზარზე სხვადასხვაგვარად მოიქცნენ. ხალხს იცნობენ იმის მიხედვით თუ როგორ მართავენ ტრეიდინგს. ეს ბიჭი – წვრილი სპეკულანტია. ის

ვაჭრობს დაცილებული თვეებით (**back month** - თვეები, რომლებიც ყველაზე დაცილებულია ფიუჩერსის ან ოფციონის ვადის გასვლასთან). ეს ბიჭი სპრედებზეა სპეციალიზირებული, იმას ერთდღიანი პოზიციები აქვს. დამწყებმა ტრეიდერმა უნდა იცოდეს, რომ მისთვის აუცილებელია სპეციალიზაცია".

როდესაც მას ჰკითხეს, რატომ არაფერი გამოსდის სხვადასხვა ტიპის ფიუჩერსებით მოვაჭრეს, ენჯელმა აღნიშნა სამი ძირითადი ფაქტორი:

- უპირველესად, არასაკმარისი დისციპლინა;
- მეორეც, არასაკმარისი ფინანსები;
- მესამეც, მათ საერთოდ არაფერი გაეგებათ ვაჭრობის, მათ ვერ წარმოუდგენიათ პარადოქსები.

პარადოქსის სიტყვიერი განმარტება არის „აშკარა წინააღმდეგობა" მაგრამ ეს, როგორც ენჯელი ხსნის გამოყენებადია არსებულ სიტუაციაში. მაგალითისთვის „ბაზარზე მთელი თამაში იმისთვის მიმდინარეობს, რათა აერიდოს სტოპებს. ყველა ფიქრობს რომ ფასი მოიმატებს, მაგრამ ყველა ფულს ვერ იშოვის".

და ბოლოს, ენჯელის რჩევა დამწყები ტრეიდერებისათვის ასეთია - „გაგაჩნდეთ საკმარისი დაფინანსება. თქვენ უნდა გქონდეთ სარისკო კაპიტალი, რომლის დაკარგვის უფლებაც გაქვთ. არ იფიქროთ ფულზე, იფიქრეთ ბაზარზე, ფული კი თვითონ იზრუნებს თავის თავზე".

ჯეიკ ბერნსტაინი: ფსიქოლოგი, რომელიც ცნობილი ტრეიდერი გახდა. ჯეიკ ბერნსტაინი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტრეიდერი გახდა ფიუჩერსების დარგში, როგორც **FWN**-თან ინტერვიუში აღნიშნა, ტრეიდინგით „შემთხვევით" დაინტერესდა. ბერნსტაინი ფსიქოლოგი იყო და გამოეხმაურა გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას „ფიუჩერსების" შესახებ. მას ურეკავსა ბროკერი და მანაც გახსნა ანგარიში. **„მე სწრაფად მივაღწიე წარმატებას, რომელიც სწრაფადვე გადაიქცა წარუმატებლად"**, – ამბობდა ბერნ-

სტაინი. იმ ხანად ის მოქმედებდა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ბროკერის რეკომენდაციების საფუძველზე. შემდეგ ბერნსტაინმა მოახერხა გადაჯგუფება, ხელი მოჰკიდა განათლებას და დამოუკიდებლად შეუდგა ტრეიდინგს. ახლა ის არის დამოუკიდებელი ტრეიდერი, მაგრამ ვაჭრობებში მონაწილეობს მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური ხერხით: ბირჟის გარეთ, ეკრანიდან.

„ჩემი მუშაობა ყოველთვის იყო ტექნიკურად ორიენტირებული, ფასების კანონზომიერებების სეზონურობის და ციკლების გამოყენებით". ბერნსტაინმა თავიდან შეიმუშაა საკუთარი მეთოდი და დროის გათვლა. **"მე არ მქონდა ფული ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, ამიტომაც რჩევებს ვყიდდი"**. ნელ-ნელა მან მოაგროვა საკმარისი თანხა და დაიწყო ტრეიდინგის წარმოება საკუთარი მეთოდით.

ბერნსტაინს უჭირავს ფირმის **„MBH COMMDITY ADVISORS"** პრეზიდენტის თანამდებობა, რომელიც მდებარეობს ილინოისის შტატის ქალაქ ვინეტკაშო და არის ოცზე მეტი წიგნის ავტორი. ის გამოსცემს ბიულეტენს **MBH weekly futures trading letter** ,რომელიც გამოდის 1972 წლიდან შეუწყვეტლივ, აგრეთვე რეგულარულად ატარებს ტრეიდინგთან დაკავშირებულ სემინარებს ცალკეულ თემებზე. ბერნსტაინი აგრეთვე შედის **„All star trders Hotline"** მონაწილეთა შემადგენლობაში. **„მე მიყვარს სწავლება. ყოველთვის, როდესაც ვასწავლი, მე რაღაც ახალს ვგებულობ და ეს მიმყარებს რწმენას ჩემს საკუთარ მეთოდებში"**, – ამბობს ბერნსტაინი. ის ამატებს, რომ **„ტრეიდერებს შორის ვრცელდება იმდენი დეზინფორმაცია, რომ მე სიამოვნებას მგვრის ისეთი საგნების სწავლება, რომელთა შრომისუნარიანობაშიც მე დარწმუნებული ვარ"**.

ბერნსტაინი მიისწრაფის მონაწილეობა მიიღოს ყველაზე აქტიური ფიუჩერსული ბაზრების მუშაობაში: ენერგომატარებლები, ფინანსები, **S&P** კონტაქტები. მაგრამ მისი თქმით **„მე ვეწევი ტრეიდინგს ყველაფრით რაც იცვლება**

მოცემულ დროის ჩარჩოებში". ბერნსტაინი ჩვეულებრივ თავს არიდებს ისეთ ფაქიზ ბაზრებს, როგორიცაა ფიუჩერსები პალადიუმზე ან ფორთოხლის წვენზე: **„მე არ მომწონს როგორ სრულდება იქ ბრძანებები".**

როდესაც მას კაითხეს, ხომ არ ხდება ტექნიკური ანალიზის ეროზია, რადგანაც ტრეიდერების უმრავლესობა ტრეიდერის ორიენტირს ღებულობს კანონზომიერებების ერთიდაიგივე გრაფიკებზე. ბერნსტაინმა განაცხადა: **„კანონზომიერებების გრაფიკები — ერთდროულად მეცნიერება და ხელოვნებაა. მე მივისწრაფი ყველაფერში მივემხრო კრისტალურ მკაფიოობას. თუკი გრაფიკს 10 კაცი უყურებს და ყველა ერთნაირ დასკვნამდე მიდის, მაშინ მე ასეთ სიტუაციაში სავსებით კომფორტულად ვგრძნობ თავს. მე მომწონს ვიყო ობიექტური."**

ბერნსტაინმა მაგალითის სახით მოიყვანა ელიოტის ტალღური ანალიზი, როგორც ტექნიკური ანალიზის ნიმუში, რომელიც ემხრობა მეტ 'სუბიექტურობას", რადგანაც ტალღების გამოთვლა ექვემდებარება ინდივიდუალურ ინტერპრეტაციებს.

საბირჟო ვაჭრობის ამ ვეტერანმა გახსნა ინტერნეტში საკუთარი გვერდი და განიცდის დიდი ოპტიმიზმს „მსოფლიო ქსელის" ტრეიდერულ საზოგადოებაზე ზემოქმედებასთან მიმართებაში. **„მე ვთვლი რომ ინტერნეტი იძლევა საშუალებას უფრო სწრაფად გავრცელდეს ინფორმაცია და საშუალებას მისცემს მეტ ადამიანს მთელ მსოფლიოში მონაწილეობა მიიღონ ბაზრების მუშაობაში. ეს ყველასათვის გააფართოებს შესაძლებლობებს".** რაც შეეხება ტრადიციული ვაჭრობის მომავალს, ბერნსტაინი არ თელის, რომ ელექტრონული ტრეიდინგი უახლოეს დროში მას ვერ განდევნის. **„ჯერ არა ვარ დარწმუნებული ამაში, —** განაცხადა მან დარბაზში ვაჭრობის გარდაუვალ დასასრულზე პროგნოზებთან მიმართებაში. **—ვფიქრობ არსებობს ჯერ კიდევ ადგილი ტრეიდერისათვის და დარბაზში ბროკერისა-**

თვისაც, და თუ ბროკერი ეფექტური იქნება, ის კიდევ იქნება საჭირო".

თუმცა ბერნსტაინი ყოველთვის იყო „ეკრანის ტრეიდერი', ამას ხსნის იმით რომ მისი დაბალი ტანის გამო არ შეუძლია იყოს ტრეიდერი დარბაზში, რადგანაც **„ხალხს იქ ექნება უპირატესობა ჩემზე"**, როდესაც საუბრობს ფიუჩერსული ბაზრების დღევანდელ მდგომარეობაზე, ბერნსტაინმა გამოთქვა რწმუნება ახალი საინფორმაციო ხანის დადგომაზე; **„მე ვთვლი, რომ გველოდება ერთ–ერთი ყველაზე უმსხვილესი ინფლაციური ტენდენციები, რაც დაწყებულია** მეოცე საუკუნის 70–იანი წლებიდან. **ძალიან გაძვირდება ძვირფასი ლითონები. უკვე შეიმჩნევა ფასების მატება ყველანაირ მარცვლეულზე... ენერგომატარებლები მთლიანად გიჟდება, ეს ყველაფერი კი მიგვითითებს ინფლაციაზე. ჩვენ ვნახავთ საპროცენტო განაკვეთის ზრდას და დათვების დიდ ბაზაარს საპროცენტო განაკვეთებზე"**(ეს ბერნსტაინმა ოცდამეერთე საუკუნის გლობალურ ეკონომიკურ კრიზისამდე იწინასწარმეტყველა, ავტორები)

ბერნსტაინის რჩევა დამწყები ტრეიდერისათვის: **„დაიწყეთ საკმარისი კაპიტალით, მოახდინეთ დივერსიფიცირება, გარიგებები დადეთ სულ უფრო დიდ (მსხვილ) რხევებზე და მართეთ რისკები".**

2.6. ტრეიდერების ყველაზე გავრცელებული შეცდომები

ტრეიდარების უმრავლესობა მუდმივად ერთი და იგივე მხარეებში ებმება. თურმე მათი თავიდან აცილება არც ისე რთულია, თუ კი გამოიყენებთ მარტივ წესებს, რომელსაც მუდმივად გამოიყენებთ ნებისმიერ ვაჭრობაში: დეიტრეიდინგიდან პოზიციურამდე.

ყველა უილბლო და პრექტიკულად ნებისმიერ ბაზარზე

დამწყები მოვაჭრე უშვებს თითქმის ერთნაირ შეცდომებს. ტრეიდერების პირველი კატეგორია თითქოს მიდრეკილია შეცდომით ვაჭრობისაკენ, რადგანაც, უბრალოდ, სხვაგვარად მოქცევა არ ძალუძს. მეორე – თავისი გამოუცდელობის შედეგად, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საფუძველი ერთია – ყველა შაბლონურად აზროვნებს, იმ ფსიქოლოგიური გამოელინებების ზუსტ სესაბამისობაში, რომელიც დამახასიათებელია ბრბოს ქცევისათვის.

თუკი მოვიცილებთ ყველა ილუზიას საკუთარ „მე"–სთან მიმართებაში, ჩვენ ყველანი არა ვართ სრულყოფილი ადამიანები, და არ ვართ უბრალოდ ბრიყვები, როდესაც საქმე ეხება ფინანსურ ბაზრებზე სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. მაგრამ ერთიანობაში, რამდენადაც ჩვენ არასწორი ვიყოთ, ჩვენთვის როგორც ბრბოსათვის, დამახასიათებელია ბრძენად წარმოჩენა, ამიტომაც ერთადერთი პირი, რომელიც არ ცდება – ეს თვითონ ბაზარია. პირდაპირ გადავიდეთ ინვესტორების და ტრეიდერების ძირითად შეცდომებზე, რომელთა თავიდან აცილება ყოველთვის შესაძლებელია. თუ დროულად შევძლებთ ძეცდომების თავიდან აცილებას, მაშინ ვაჭრობის შემოსაელიანობის ზრდაც უზრუნველყოფილი იქნება.

შეცომა №1 – ყიდვა მწვერვალზე. თრეიდერების უზარმაზარი რაოდენობა ბაზარზე შედის იმ მომენტში როდესაც იქედან გამოსვლის დროა, მიუხედავად იმისა რა მასშტაბებით ვაჭრობენ ისინი. ელიოტის ტალღური თეორიის ტერმინებით, ჩვეულებრივ ეს ხდება მესამე ან მეხუთე ტალღის დასრულების მომენტში, თუმცა ყველა შემთხვევაში, ჯერ კიდევ რჩება სარგებლის მიღების შანსი ბაზრის შემდგომი ზრდისათვის, მაგრამ დაწევის ალბათობა ამ მომენტებში ჩვეულებრივ უკვე ძალიან მაღალია, როგორიც შედეგი. ტრეიდერი რამოდენიმე ხნის განმავლობაში იღებს სიამოვნებას გარიგების შემოსაელიანობისაგან, მაგრამ ძალიან მალე ხედავს რომ კოტირებების დაწევა იწვევს ზარალს.

თუ კი ეს ხდება მესამე ტალღის დასასრულს, ტრეიდერი განწირულია ტანჯვისათვის, იმიტომ რომ ფასი იწყებს მოძრაობას მეოთხე ტალღის კანონებით, სადაც ძნელად მისახვედრი მოძრაობები გვერდით ან სუსტად დაღმავალი ფასის კორიდორში ხან აციებთ, ხან აცხელებთ: პოზიცია მუდმივად იცვლება, ხან მოგებაში გადადის და ხან წაგებაში. როდესაც ეს მოწყინდება, ტრეიდერი გამოდის ზარალიდ ან მცირე მოგებით, რომლის შემდეგაც განცვიფრებული ხედავს, როგორ მიიწევს ფასი ახალი მწვერვალებისაკენ და მის გარიგებას შეეძლო კარგი შემოსავალი მოეტანა.

თუ კი სავაჭრო პოზიცია იქმნება მეხუთე აღმავალი ტალღის დასასრულს, საქმე კიდევ უფრო ცუდადაა: ფასის ტენდენცია შეიძლება დროის ნებისმიერ მომენტში შეიცვალოს და თვალმისაწვდომ მომავალში არ დაუბრუნდეს შესასვლელ წერტილს. მართლაც ეს ვარიანტი ყველაზე ცუდია ყველა არსებულთან შედარებით, თუმცა გამოფხიზლება მალე მოდის, მაგრამ „მწარე გაკვეთილის" ფასი ხშირად ძალიან მაღალი აღმოჩნდება. მიუხედავად ამისა სწორედ ამ სცენარით ვითარდება ყველაფერი ყველა უიღბლოსთან და ახალბედა ტრეიდერების უმრავლესობასთან.

რატომ არის ასე? ამას რამდენიმე ახსნა აქვს:

პირველი, მდგომარეობს მყარ აზრში იმის შესახებ, რომ ბაზრის მოძრაობას თან უნდა ახლდეს მოცულობა. სიმართლის გარკვეული მარცვალი ამაში არის ნამდვილად, თუ კი ფასის ზრდას მხარს არ უჭერს მოცულობა, ეს ნიშნავს ახალი ტრეიდერების მხრიდან სურვილის არ ქონას შევიდნენ ბაზარზე, ამიტომაც ვაჭრობა ხოციელდება ძირითადად მის დღევანდელ მონაწილეებს და ბაზარზე ახლად შემომსვლელ- გამსვლელ მოთამაშეთა რაღაც რიცხვს შორის. ჯანსაღი აზრით სწრაფად შეიძლება იმის მოსაზრება, რომ მოცულობის ზრდა არის ორთავიანი ჯოხი: თუ კი ვიღაც ყიდულობს, მაშინ ვიღაცამ ხომ უნდა გაყიდოს და აი აქ ჩნდება მოწიფული აზრი: ხომ არ შეიძლება რომ მოცუ-

ლობის ზრდა მზარდ ბაზარზე არის მწვერვალის მიღწევის ნიშანი? მოცულობა ხომ წინმსწრებ მაჩვენებელს წარმოადგენს ფასების მომავალი დინამიკის შეფასებისთვის. მაგრამ ერთია როდესაც მოცულობა იზრდება ბაზრის მიერ წინააღმდეგობის გარღვევით, სულ სხვაა-ფასების გრაფიკის ზედა ნაწილში ყოფნის მომენტში, სადაც არაფერი უშლის ფასებს ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობაში. პირველ შემთხვევაში მოცულობა ნამდვილად მყიდველის მეგობარია, ხოლო მეორე შემთხვევაში – მტერი.

მეორე ახსნა მდგომარეობს ადამიანების მიდრეკილებაში დაივიწყონ ყველა ჯანსაღი მსჯელობა, როდესაც ხედავენ ფასების აქტიურ ზრდას. მათ გონიათ რომ ისინი ვერ მოასწრებენ და აღმოჩნდებიან იღბლის ბოლოში, რომელმაც უკვე გაულიმა იმათ, ვინც მოასწრო აქციების ყიდვა. ასეთი ტრეიდები მიიჩქარიან ბაზარზე და ბუნებრივია, მალე იწვნევენ ზარალს. ინვესტორების სწორედ ეს კატეგორია უზრუნველყოფს, ხშირად, იმ მზარდ მოცულობას, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვაკვირდებით პიკური ფასების დროს. ფაქტიურად, ორივე ახსნა გარკვეულწილად ეკვივალენტურია.

მაგრამ, როგორ მოვიქცეთ?

მოდით,ცოტა ვიმსჯელოთ. რა არის მოცულობა? ეს არის მაჩვენებელი,რომელიც მოგვითხრობს ნავაჭრი აქციების ან ფიუჩერების რაოდენობას ცალკე აღებულ პერიოდში. ერთია, თუ ამასთანავე ფასი შეიცვალა 0,5%-ით და სულ სხვაა, როცა ის იცვლება 5%. ალბათ, მოცულობის წმინდა შეცვლა არც ისე კეთილხარისხოვანი ინდიკატორია, როგორც თავიდან ჩანს. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია - გრაფიკების გამოყენება, რომლებიც გამორიცხავენ

მოცულობას და ყურადღების აქცენტირებას გააკეთებენ ფასების ძვრებზე, რომელთა კორექტირება მოცულობის მიხედვით ხდება. ასეთი მიდგომის კარგი მაგალითია ეკვიმოცულობის გრაფიკები, რომლებიც წარმოდგენილია მეტასტოკის პროგრამაში.

მაშ, როგორ ავიცილოთ თავიდან ასეთი გავრცელებული შეცდომა, ანუ ყიდვა მწვერვალზე?

პასუხი რამოდენიმე მარტივ წესებშია:

1. არასდროს არ იყიდოთ მზარდი მოცულობის დროს, თუ ფასები ბაზრის ზედა ნაწილშია და არ არსებობს საფუძვლიანი მიზეზები შემდგომი ზრდისათვის.

2. იყიდე მზარდ ბაზარზე,რომელსაც გააჩნია მოცულობის მხარდაჭერა,მხოლოდ თუ ხედავთ წიინაღმდეგობის დონის გარღვევას.

3. ყოველთვის გახსოვდეს: შენი ყიდვის პირისპირ დგას გაყიდვა, სადაც ტრეიდერი გამოდის გრძელი გარიგებიდან ან შედის მოკლე პოზიციაში.

შეცდომა N2. გაყიდვა საფუძველში. ხაფანგში „გაყიდვა საფუძველში" ებმება ტრეიდერების არანაკლები რიცხვი, თუ კი შევადარებთ სიტუაციას „ყიდვა მწვერვალზე". როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, მაგრამ ეს შემთხვევა სარკისებურია ზემოთ განხილულთან შედარებით: იგივე მომეტებული მოცულობა ძლიერად დაცემად ფასებთან შეთავსებაში. ისევ, თუ კი ჩვენ ავყვებით ცდუნებას ჩვენს ანალიზში დავეყრდნოთ დოგმას ტრენდის მხარდამჭერი მოცულობის შესახებ, ან აღმოვჩნდებით სიხარბის იმპულსის გაელენის ქვეშ, როდესაც ეხედავთ, თუ როგორ შოულობენ სხვები ბაზრის ვარდნაზე უზარმაზარ თანხას, მაშინ უეჭველად წავაგებთ.

რათქმა უნდა, მომატებული მოცულობის ინტერპრეტირება შეიძლება როგორც შორსმჭვრეტელი და საქმეში ჩახედული ტრეიდერების მოდინება, რომლებიც დარწმუნებულნი არიან ბაზრის შემდგომ დაწევაში. შესაძლოა, ყველაფერი ასეც არის, მაგრამ საეჭვოა, რომ თქვენ მოკლე პოზიციით გაუძლოთ ბაზრის საკორექციო ზემოთ მიმართულ მოძრაობას, რომელსაც შეუძლია ძლიან ინტენსიური იყოს და არ გამოხვიდეთ აქედან უდანაკარგოდ, შემდეგ კი დააკვირდეთ ფასების ახალ ვარდნას. გარდა ამისა, არდაგავიწყდეთ,

რომ მრავალი ტრეიდერი ჰეჯირებას უტარებს თავიანთ პოზიციებს ოფციონებით ან ბაზრებსშორისი სპრედებით, ამიტომაც ორივე მხარეს შეუძლია გაუძლოს ბაზრის შესამჩნევ მოძრაობას, ზარალის მიღების ყოველგვარი შიშის გარეშე.

რაც შეეხება ძირითად მოვაჭრე პუბლიკას (რიგითი ინვესტორები,ტრეიდერები, და საინვესტიციო ფონდების რიგი მმართველი), რომლებიც არ იწუხებენ თავს ცოდნით ბაზარზე არსებული ინსტრუმენტარიუმის შესახებ, ისინი ადვილად ჰყვებიან ემოციებს და ასაზრდოებენ პანიკურ ბაზარს. როგორც წესი, მას გააჩნია მახვილკუთხიანი ღრმული „V''ასოს ტიპის, რომელიც მხარდაჭერილია მოცულობით. ასეთ სიტუაციაში გამყიდველები, რომლებიც იწერენ მოკლე პოზიციებს ტრენდის მიხედვით, ძალიან მალე შეეჯახებიან ფასების შემობრუნებას და დაიწყებენ ხელის კანკალით გასაშუალებას ან იხურებიან ზარალით. ვინც ყიდის და თავიდან იცილებს გრძელ პოზიციებს, თითქმის დაუყონებლივ ინანებს თავის საქციელს, როდესაც შეამჩნევს ბაზრის სწრაფ აღდგენას.

როგორ ავიცილოთ ასეთი შეცდომა?

ამაზე არსებობს ადრე გადმოცემულის ანალოგიური წესები:

• არასდროს გაყიდოთ მზარდი მოცულობის დროს, თუ ფასები ბაზრის ქვედა ნაწილშია, განსაკუთრებით როდესაც მხარდაჭერის ყველა დონე გავლილია და არ არის არავითარი საფუძვლიანი მიზეზი ფასების შემდგომი ვარდნისთვის.

• გაყიდე დამწევ ბაზარზე, რომელიც მხარდაჭერილია მოცულობით, მხოლოდ თუ შეიმჩნევა მხარდაჭერის დონის გარღვევა.

• ყოველთვის გახსოვდეს: შენი გაყიდვის პირისპირ დგას ყიდვა, სადაც ტრეიდერი გამოდის მოკლე პოზიციით, ან შედის გრძელ პოზიციაში.

შეცდომა №3 – ზრდის ლიდერების გაყიდვა. ძალიან

ხშირად ტრეიდერი იკავებს მოკლე პოზიციას, თუკი ხედავს, რომ მისი ყურადღების საგანმა, აქციამ ან ფიუჩერსმა, აჩვენა ფასების ინტენსიური ზრდა, მაგრამ შემდეგ აკეთებენ უკუგორებას. ბაზარზე მოთამაშეთა უზარმაზარი რიცხვი ვარაუდობს, რომ ეს არის დათვების მომავალი შეტევის სიგნალი. მათი უდიდესი გაწბილების მიუხედავად, მიწყნარების მოკლე პერიოდის და ფასების დიაპაზონში მოძრაობის შემდეგ, ფასები დიდი სიმსუბუქით ზემოთ მიემართება და მოკლევადიანი ვაჭრებისათვის დიდი გაწბილება მოაქვს.

დიახაც, კორექციაზე ვაჭრობა კარგი სტრატეგიაა, მას ხშირად მოაქვს კარგი სარგებელი ტრეიდერებისათვის, რომლებმაც კოხტად განსაზღვრეს ბაზრის შესაძლო ქცევა. მაგრამ მასში არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ვაჭრობა მიმდინარეობს არსებული ტრენდის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: პოზიციის დაკავება ქვემოთკენ კორექციის გათვლით-პერსპექტიული საქმეა მხოლოდ კარგი ფასის შებრუნების ვარიანტისათვის და ვაჭრობის წარმოებით ინ პირობით, რომ წინააღმდეგობის დონე, რომელმაც დაამტკიცა თავის მდგრადობა,ზუსტად არის გათვლილი. რეალობაში კი, ზრდის ლიდერები აჩერებენ თავიანთ ფასის მსვლელობას, რასაც აკეთებენ ეთადერთი მიზნით - „დადგენ" რათა ზემოთკენ გაემართონ. მათი კორექცია შეიძლება მოხდეს არა ქვემოთკენ ფასის მოძრაობის შედეგად, არამედ „გამომუშავდეს" გვერდითი ტრენდის ხარჯზე. გრაფიკზე ეს გამოიყურება როგორც ფასების ბარების კვანძი, რომლებიც განლაგდებიან შედარებით მცირე დიაპაზონში, რომელიც წარმოიშვა იმპულსური და მძლავრი ფასის მოძრაობის შემდეგ. დიახ, ზრდის ლიდერების შემობრუნებაც ხდება, მაგრამ მათი მსვლელობის შეჩერება არც ისე ადვილია, ამოტომაც საჭიროა ასეთი წესების გამოყენება:

• არ დაიჭირო მოკლე პოზიციები ზრდის ლიდერების მიხედვით,თუ გაქვთ ძლიერი კორექციის იმედი - ალბათ ის

არ აღმოჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი.

• იეჭრე გარღვევაზე გათვლილი სტარატეგიების გამოყენებით რაც უფრო დიდხანს გრძელდება გვერდით ტრენდი ფასის ძლიერი რხევების შემდეგ, მით უფრო მეტი შანსი აქვს ბაზარს წავიდეს უფრო მაღლა მწვერვალისაკენ და გაარღვიოს წინაღობა რენჯის ზედა კიდეზე.

შეცდომა №4. ზრდის ლიდერების ყიდვა. არაშორეული ზრდის ლიდერების ყიდვა ისეთივე დაუდევრობაა, როგორიც მათი გაყიდვა. ეს აბსურდული მოგეჩვენებათ, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ასეა. რატომ? პასუხი მდგომარეობს ზრდის ლიდერების ქცევის გაშიფრვაში, რომელიც ყველაზე ხშირად შეიმჩნევა ბაზარზე. საღი აზრი გვკარნახობს: ფასებს არ შეუძლიათ მუდმივად ზრდა, მაგრამ ამის ზღვარი თითქმის არ არის, ამიტომ ერთადერთი, რაც ესაჭიროებათ მათ ზემოთკენ სვლის გაგრძელებამდე, არის „დაწდომა"(დალექვა). მაგრამ, პრობლემა იმაშია, რომ ეს პერიოდი შეიძლება აღმოჩნდეს საკმაოდ ხანგრძლივი და გაიწელოს კვირეების მანძილზე, ასე რომ ეფექტი გრძელი პოზიციის დაჭერიდან არ იქნება ძალიან დიდი, თუნდაც ყიდვა ყოფილიყოს ძალიან იღბლიანი და ვაჭრობა სულ იყოს მომგებიან ზონაში.

№4 შეცდომის თავიდან ასაცილებელი წესები მარტივია, როგორც არასოდეს:

• არასოდეს იჩქაროთ პოზიციის დაკავება ზრდის ლიდერის მიხედვით ტრენდის მიმართულებით, თუკი ხედავთ (ამჩნევთ) მოძრაობის შენელებას და უკუგორებას.

• გამოიყენეთ სტოპ-ორდერები, რომლებიც გათვლილია შესრულებაზე წინაღობის დონეების გარღვევის შემდეგ.

• იყიდეთ სალიმიტო ორდერით მხარდაჭერაზე მესამე დარტყმის შემდეგ, რომელიც ჩამოყალიბდა მიმდინარე მომენტში და არ არის ამავდროულად საწინააღმდეგო გაყიდული რენჯის და წინა იმპულსური ზრდის.

შეცდომა №5. ვარდნის ლიდერების ყიდვა. ვარდნის

ლიდერების ყიდვა თავისი ხასიათით სარკისებურია ზრდის ლიდერების ყიდვისა. რას უნდა ველოდოთ დაღმავალ ტრენდში მყოფი აქციისაგან ან ფიუჩერსისაგან? უმნიშვნელო კორექციის გარდა, არაფერს. ხშირად ის გადაიქცევა უბრალოდ გვერდით-ტრენდად, რომლის შემდეგ ფასები აგრძელებენ ქვემოთ დაშვებას. რათა იყოთ წარმატებული კორექციაზე ვაჭრობისას ისევ საჭიროა ყიდვა კარგი მხარდაჭერით და ამასთანავე სწორად მიხვდე, რომ აქ არის ფუძე, თუნდაც-ლოკალური.

ამიტომაც წესები ასეთია:

- არ დაიკავო გრძელი პოზიციები ვარდნის ლიდერების მიხედვით ძლიერი კორექციის იმედით – საეჭვოა ის მნიშვნელოვანი იყოს.
- ივაჭრე გარღვევაზე გათვლილი სტრატეგიების გამოყენებით.
- რაც უფრო დიდხანს გრძელდება გვერდითი სტრატეგია ძლიერი ფასის დაწევის შემდეგ, მით მეტი შანსი აქვს ბაზარს წავიდეს ქვემოთ და გაარღვიოს მხარდაჭერა რენჯის ქვედა კიდეზე.

შეცდომა №6. ვარდნის ლიდერების გაყიდვა. ეს შეცდომა №4 შეცდომის სარკისებურია. ვარდნის ლიდერების შეჩერება არც ისე ადვილია: ბაზარი გარკვეულად ფლობს ინერციას, და, თუნდაც მან მიაღწიოს თავის ობიექტურ ფსკერს, დამწევი ტენდენციის ნარჩენ მამოძრავებელ ძალას შეუძლია ფასების კიდევ უფრო ქვევით „დაწევა". ამ გადაწყვეტილების არამართებულობა მდგომარეობს კაპიტალის გამოყენების უბრალო არაეფექტურობაში. გვერდითი რენჯი დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს, დღეები და კვირეები, რის შემდეგაც შეიძლება წავიდეს წინა დაღმავალი ტრენდის მიმართულებით. ყველაზე კრიტიკული წერტილია –მესამე დარტყმა ფუძეზე.

ასე რომ, განხილული სიტუაციისათვის წესები ასეთია:

- არასოდეს იჩქარო პოზიციის დაკავება ვარდნის

ლიდერის მიხედვით ტრენდის მიმართულებით, თუ ამჩნევ მოძრაობის შენელებას და ფასების აღდგენას.

• გამოიყენე სტოპ-ორდერები, რომლებიც გათვლილია მოკლე პოზიციის დასაკავებლად მხარდაჭერის დონეების გარღვევის შემდეგ.

• გაყიდე სალიმიტო ორდერით არა უადრეს მესამე დარტყმისა წინაღობაზე, რომელიც ჩამოყალიბდა მიმდინარე მომენტისათვის, და არ ეწინააღმდეგებოდა საეჭრო რენჯს და წინა იმპულსურ ვარდნას.

შეცდომა №7. ახალი დაცემული გასული ზრდის ლიდერების ყიდვა.

ეს შეცდომა ახალბედა ტრეიდერის სიხარბის შედეგია. საიდუმლო არ არის, რომ ის ხშირად მოდის ბაზარზე, როდესაც ის გაიგებს ზესარგებელზე, რომელიც მიღებულია ინტერნეტ-კომპანიების ფენომენალური ზრდისაგან. როდესაც გაეცნობა გრაფიკულ ანალიზს, ასეთი ტრეიდერი მონუსხული უყურებს ისეთ აქციებს, როგორიცააა yahoo, amazon, amcc, jnpr, mcom, lu, qcom აზრებში ის ხედავს, რა ექნებოდა, თუ კი ამ ქაღალდებს 1998, 1999 ან თუნდაც 2000 წელს იყიდიდა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ მას ელანდება იგივე მოძრაობები ზეციურ სივრცეში, სადაც მიიღებს ზესარგებელს. ეს შეგრძნებები კვებავენ მყარ მითს იმის შესახებ, რომ „ფასები ყოველთვის ბრუნდება". მაგრამ სათუოა ახლა ასეთი წესი მოქმედებდეს ისეთივე ძალით.

დღესდღეობით ჩვენ საქმე სულ სხვა ბაზართან გვაქვს: მსოფლიო შეიცვალა. მაღალმა ტექნოლოგიებმა მოიცვა ის, მათი სწორად შეფასება ხშირად შეუძლებელია. ამიტომაც General electrie-სთვის სწორი წესები არ შეიძლება იყოს yahoo-სთვის. გარკვეულწილად, ამასთან მიმართებაში უფრო„ცივილიზებული"არის კომოდითის ბაზარი - მასზე ჩვენ უფრო მეტი შანსი გვაქვს, რომ საქონელზე ფასი ძალიან არ დაეცემა თავის მრავალწლიან ისტორიულ მინიმუმებზე ქვემოთ (დაბლა). აქციების ბაზარზე ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: თუ ფასი რაღაც მიზეზებით ძლიერ დაეცა

ძლიერი ზრდის შემდეგ, ეს ნიშნავს რომ ამისათვის იყო საფუძვლიანი მიზეზები, და მათ შესაძლოა ჰქონდეთ ისეთი შედეგები, რომელიც ჩვენს ინვესტიციას აქციების ყიდვაზე მიიყვანს სრულ გაუფასურებასთან, უფრო სწორად - ნულთან. თუ კი ფიქრობთ რომ ეს იშვიათობაა. ძალიან ცდებით – ნებისმიერ ბიზნესს აქვს დასაწყისი და დასასრული და ჩვენს ზესწრაფ საუკუნეში ყველაფერი მნიშვნელოვნად ჩქარდება, ამიტომაც სისულელეა იმედი გქონდეთ კომპანიების, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი მდგომარება – პოზიციების სწრაფი აღდგენა.

თუ კი გვერდზე გადავდებთ ფუნდამენტურ შეხედულებას, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ისეთი აქციებისათვის რომლებსაც ძალიან ჩაუვარდათ ფასი ფენომენალური აწევის შემდეგ, ძირითადი მდგომარეობა: ფასი უნდა მოძრაობდეს და აჩვენებდეს თავის სიცოცხლისუნარიანობას და არ იყოს სტაგნაციის მდგომარეობაში. სიცოცხლისუნარიანობის შემთხვევაში ჩვენ კიდევ გვაქვს ზემოთკენ კარგი მოძრაობის იმედი, მაგრამ აშკარა სტაგნაციის შემთხვევაში ასეთი რამ შეუძლებელია - აქ არ არის საკმარისი იმპულსი და ჩვენთვის ასე აუცილებელი მოძრაობის ძალა. რა თქმა უნდა, აქციას ძალუძს გაიზარდოს 30-50%-ით დროის მოკლე მონაკვეთში, მაგრამ პოზიციების დაკარგვის საშიშროება ძალიან დიდია. მთლიანობაში, მსგავსი ქაღალდები ალბათ გაივლიან დეპრესიის სტადიაში ყოფნის ხანგრძლივ პერიოდს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს თვეები და წლებიც კი, სანამ დაიწყებენ ზეასვლას თუ კი ეს საერთოდ როდესმე მოხდება.

№7 შეცდომის თავიდან ასაცილებლად ასეთი წესები არსებობს:

- არასოდეს იჩქარო აქციების ყიდვა, რომლებიც ადრე ზენიტში იყვნენ, ახლა კი დავარდა მათი ფასი იქამდე, საიდანაც დაიწყეს ზრდა.
- ასეთი აქციების ყოდვისას განიხილე ისინი მხოლოდ როგორც მოკლევადიანი ვაჭრობა.

• იყიდე სალიმიტო ორდერით მას შემდეგ რაც გადალახულია უახლოესი წინაღობა და ფასები გამყარდა მასზე ზემოთ, მაგრამ მასთან უკუგორებით;

• უდავოა ყოველთვის უნდა ჰქონდეს სტოპ-ორდერი, რომელიც ხურავს გაირგებას წარუმატებლობის შემთხვევაში, თუ კი არ გამოიყენება რისკის რეგულირების უზრუნველმყოფი სხვა ინსტრუმენტები.

შეცდომა №8. სიხარბე. ტრეიდერი უფრო ორიენტირებულია საკუთარი დეპოზიტის რაოდენობაზე, ვიდრე საანალუტო კურსის გრაფიკზე. ამაში მდგომარეობს მისი ძირითადი შეცდომა - მიმდინარე სარგებლის ან ზარალის ოდენობა ანგარიშზე არაფერს გეუბნება მისი გამოყენების შემდგომ შესაძლებლობაზე.

თქვენი სიხარბე იმაში გამოიხატება რომ თქვენ ფიქსირებას უკეთებთ სარგებელს როგორც კი მან გადააჭარბა თქვენი ხარჯები პოზიციის წარმართვაზე, მიუხედავად იმისა რომ ბაზარი ჯერ კიდევ ზემოთ მიიწევს და ზარალის დაფიქსირება კი არ შეგიძლიათ, რადგანაც გაქვთ მომავალში კურსის შემობრუნების იმედი, ამით თქვენ როგორც მახრჩობელას წინ ჩაცუცქული კურდღელი, ხედავთ როგორ „დნება" თქვენი დეპოზიტი და არ შეგწევთ ძალა დახუროთ წამგებიანი პოზიციები. **რჩევა ასეთია:**

• ნუ იქნებით ხარბი,

• ნუ იქნებით არიფი,

• პირველ რიგში შეაფასეთ ბაზარი, შემდეგ კი – ფული.

შეცდომა №9. უსისტემობა. ტრეიდერების 90%-ს არ შეუძლიათ ჩამოყალიბებულად ახსნან რატომ აწარმოებენ ამა თუ იმ გარიგებას ან რატომ ითვალისწინებენ ერთ შემთხვევაში იმ ფაქტორებს, რომელსაც შემდგომში გამორიცხავენ გადაწყვეტილებების მიღებიდან, ანუ მათ არ გააჩნიათ თამაშის სისტემა. ზოგ შემთხვევაში თქვენ უყურებთ ახალ ამბებს, ზოგში ორიენტირება გაქვთ ტექნიკურ ინდიკატორებზე და სხვის აზრზე ვიდრე წარსული შეცდომების ანალიზზე, წესე-

ბის და ფაქტორების კრებულის არქონას რომლის მიხედვითაც ღებულობთ გადაწყვეტილებებს, მივყავართ იქამდე, რომ მომავალში ვერ მოხდება შეცდომების გაანალიზება და თქვენი მუშაობის ეფექტურობის შეფასება.

შეცდომა №10. მიდრეკილება ემოციური გადაწყვეტილებების მიმართ. საფინანსო ბაზრებზე მუშაობით ყველა ვერ შოულობს ფულ,სამაგიეროდ ყველა კარგავს ან ფულს, ან კარგავს ნერვებს. ამ დანაკარგს მივყავართ იქამდე რომ მოფიქრებული გადაწყვეტილების მაგიერ – „დაველოდოთ სამშაბათს, რათა გავიხსნათ ორშაბათის მონაცემების შემდეგ " – თქვენ თვალს ადევნებთ მოთამაშე-კურსს, გარიგებას პარასკევს დებთ და ამაზე არა მხოლოდ ინტერესს, არამედ ტრენდის შემობრუნებასაც კარგავთ. გარდა ამისა თქვენი ემოციები ცვლიან პირვანდელ გათვლას, მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ემოციური შეცდომა გახლავთ სტოპ-ლოსის პირველადი დონის შეცვლა იმის იმედით, რომ „ბაზარი ზუსტად ჩემი სტოპის 10 პუნქტით ქვემოთ შემობრუნდება, ამიტომ ის უნდა გადავიტანო ან საერთოდ გავაუქმო".

დაიმახსოვრეთ – დადგენილი სტოპ-ლოსის გაუქმება არ შეიძლება!

შეცდომა №11. შედეგის უცბად მიღების სურვილი. თუ კი თქვენ ვარაუდობთ რომ audi-ს ბოლო მოდელის საყიდ ფულს იშოვნით მუშაობის პირველ თვეს, იმიტომ, რომ პირველი ორი გარიგება მომგებიანი გამოდგა, ძალიან ცდებით. უმჯობესია აქსიომად მიიღოთ რეალური მუშაობის პირველ 3-6 თვეში ძველი „ზაპოროჟეცის" წაგება – ძალიანაც კარგი შედეგი იქნება.

პირველი დადებითი შედეგები – შემთხვევითობაა რომელიც თუმცა ინვესტორების 90%-ს ემართება. შემდეგ მოდის ზარალი, და თქვენი მომავალი დამოკიდებულია იმაზე, მზად ხართ თუ არა. თუ მზად ხართ ჩათვალეთ რომ გადაიხადეთ თქვენი შეუფასებელი გამოცდილებისათვის, რომელიც ერთი წლის შემდეგ მოგიტანთ სტაბილურ შემოსავალს. თუ

არა და თქვენს შეცდომებს ფუჭად ჩათვლიან. ფორექსის ბაზარზე შემთხვევით ძალიან ბევრი ფულის შოვნა შეიძლება, მაგრამ მუდმივად ბევრის შოვნა მხოლოდ შემთხვევის ან ალალბედზე გათვლით შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა გამოცდილება და მიღებული თეორიული ცოდნა. ერთ წელზე ადრე თქვენ არც ერთი გექნებათ და არც მეორე. მაგრამ თუ კი მაინც მოიგებთ მაშინ სწრაფად დააბანდეთ ფორექსზე 100-ჯერ მეტი რადგანაც თქვენ საოცრად იღბლიანი ხართ და სანამ იღბალმა არ მიგატოვათ აიღეთ მისგან ყველაფერი რაც შესაძლებელია!

შეცდომა №12. გამარტივებები. ერთ ცნობილ რუსულ-შვეიცარულ საფინანსო კომპანიის Sovereign Finance Group-ის საიტზე არსებობს სავალუტო ბაზრის რეაქციის წესების ცხრილი ეკონომიკური მონაცემების ტიპზე - "თუ კი განაკვეთები გაიზარდა, მაშინ კურსი მაღლა მიდის". ასეთი წესი იქ 30-მდეა ასე რომ, თუ მათ არ დაიცავთ ბევრს წააგებთ და თუ დაიცავთ წააგებთ უფრო მეტს. აზარტი იმაშია, რომ არსებული წესები სიტუაციების გამარტივებული წარმოდგენებია, რომლებიც წმინდა სახით ეკონომოკაში არ ხდება, არამედ ყოველთვის წყვილად მიმდინარეობს, თანაც ამ წესებიდან შემთხვევების 90% დასკვნები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. საჭირო არ არის ბრმად მივყვეთ ერთ და იგივე წესს, არამედ ავაგოთ მათი ჯაჭვი და შევარჩიოთ პრიორიტეტული წესები კონკრეტული მიმდინარე სიტუაციისათვის. მაგალითად, გაიზარდა განაკვეთები აშშ-ში. იდეის მიხედვით - დოლარი უნდა გაიზარდოს. მაგრამ! თუკი უცხოური ინვესტორების დიდი ნაწილი ამერიკულ აქციაშია განთავსებული, ეკონომიკური სიტუაცია კი ისეთია, რომ განაკვეთების ზრდას შეუძლია გაუმწვავოს პრობლემები საფონდო ბაზარზე, მაშინ სავარაუდოა, რომ დოლარის კურსი დაეცემა. ასეთი რამ ჩვეულებრივი ეკონომიკური ზრდის პერიოდის ბოლოს ხდება. ეს განაკვეთები რომ იზრდებოდეს ეკონომიკური ციკლის დასაწყისში, როდესაც საფონდო ბა-

ზარმა მოიკრიბა ძალები, მაშინ დოლარის ზრდა უდაო იქნებოდა. ფაქტიურად თქვენი მარტივი წესი იზრდება იქამდე რომ „თუ მოხდა **A** მოვლენა ამასთან **B** მეტია ვიდრე ადრე, **C** იგივეა, **D**-ზე კი მოსალოდნელია დაწევა, მაშინ სავაარაუდოა... საჭიროა კიდევ ცოტა მოფიქრება" თუნდაც ასეთ ფორმაში ის არც ისე რთულია.

შეცდომა №13. დაუდევრობა და ტექნიკის იმედი. „მე ლიმიტი დავაყენე" და „ბროკერის სერვერმა მიიღო მოთხოვნა ვიღაც კლიენტის რაღაც გარიგების ლიმიტის დაყენებაზე" – ორი დიდი განსხვავებაა. ამ ორ ფრაზას შორის განლაგებულია ინტერნეტი, სერვერი, კლიენტის საპროგრამო უზრუნველყოფა და კაბელის მასა, რომლებსაც გააჩნია ცუდი თვისება გამოირთოს სწორედ პოზიციის შესახებ მნიშვნელოვანი მოთხოვნის გაგზავნის მომენტში. შედეგად თქვენ კარგავთ ფულს, ბროკერისადმი პრეტენზიები კი უსაფუძვლოა, რადგანაც თქვენგან არავითარი მოთხოვნა არ მისულა! სავაჭრო სისტემაში მოქმედების განხორციელების შემდეგ რეკომენდებულია ყოველთვის დაელოდოთ მისი შესრულების დადასტურებას და აუცილებლად გახსოვდეთ ბროკერის ტელეფონის ნომერი მეუღლის დაბადების თარიღზე უკეთესად, კავშირის დაკარგვისა და გარიგების სასწრაფოდ შესრულების შემთხვევაში. უმჯობესია მეუღლეს დაბადების დღეზე საჩუქარი ერთი კვირის შემდეგ გაუკეთოთ, ვიდრე საერთოდ არ მიართვათ.

2.7. თრეიდერის საქმიანობაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორები

თვითმავნებლობა. ძალიან ბევრი ადამიანი განიცდის მარცხს პროფესიულ და სამსახურეობრივ პირობებში არა სიბრიყვით ან არცოდნით, არამედ გაუცნობიერებელი სწრაფვით განიცადოს ეს მარცხი. ბევრისათვის ბირჟა განა-

სახიერებს ადამისნს, რომელთანაც ბაეშვობაში წინააღმდეგობაში იყო. შედეგად ისინი ჯიუტობენ, თამაშობენ ბირჟის წინააღმდეგ, ჩამოყალიბებული წესების საწინააღმდეგოდ და საბოლოოდ აგებენ თავიანთ საბირჟო კაპიტალს. ბაეშვობაში ჩამოყლიბებული ფსიქოლოგიურო მდგრადობები შეიძლება გახდეს წარმატების ბარიერი საბირჟო საქმეებში. უნდა მოძებნოთ თქვენი სუსტი ადგილი და მოიშოროთ თავიდან. სასარგებლოა აწარმოოთ საბირჟო დღიური, სადაც უნდა ჩაიწეროთ მასში, რატომ გახსენით ან დახურეთ გარიგება. გამოძებნეთ განმეორებადი სიტუაციები თქვენი წარმატების და წარუმატებლობის მოდელების.

თამაში განადგურებაზე. ყველა პროფესიულ და საქმიან წრეებში შუამავალებისათვის არსებობს „უსაფრთხოების ღვედები": ეს არის უფროსობის მანია, კოლეგები და კლიენტურა. ისინი შეაჩერებენ ადამიანს, თუ კი მისი მოქმედებები, ზიანს აყენებს გარშემომყოფებს ან თვითონაც. ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთდახმარების კანონები არ მოქმედებს. იქ ყოველი მებირჟე ცდილობს წააქციოს დანარჩენი, ისინი კი პირიქით. დღის მაქსიმალური კურსით ყიდვა იგივეა რაც მანქანის კარი გააღო ტრანსპორტის ნაკადში, როგორც კი ყიდვის ბრძანება მიაღწევს ბიჟამდე, სპეკულიანტი - გამყიდველები ყოველი მხრიდან შემოგესევიან რათა მოგგლიჯონ კარები თქვენს ხელთან ერთად. თქვენი მარცხი მათთვის სასურველია იმიტომ, რომ თქვენი ფული მათთან გადავა.

ტრეიდერმა საბირჟო ვაჭრობის დროს, უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილების მიზნით, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი(ორმოცი) კლასიკური სავაჭრო წესები:

1. წინასწარ დაგეგმეთ თქვენი ვაჭრობა და ივაჭრეთ საკუთარი გეგმებით.
2. ჩაიწერეთ თქვენი შედეგები.
3. შეინარჩუნეთ თქვენი პოზიციური განწყობა, მიუხედავად დნაკარგისა.
4. არ გადმოიტანოთ ბაზარი სამსახურიდან სახლში.

5. მუდმივად აამაღლეთ თქვენი მიზნების დონე.

6. იყიდეთ ცუდ ამბებზე და გაყიდეთ კარგებზე.

7. არ შეგეშინდეთ მაღალზე ყიდვა და დაბალზე გაყიდვის.

8. ყოველთვის გქონდეთ კარგად დაგეგმილი დრო ბაზრის შესასწავლად.

9. იზოლირება გაუკეთეთ საკუთარ თავს სხვებისაგან განსხვავებით.

10. იყავით ყოველთვის მშვიდი დაჟინებული და თანმიმდევრული, იმოქმედეთ რაციონალურად.

11. შეზღუდეთ თქვენი დანაკარგები გამოიყენეთ სტოპები.

12. არასოდეს გააუქმოთ სტოპი მისი დაყენების შემდეგ.

13. არასოდეს შეხვიდეთ ბაზარზე, იმიტომ რომ მოგწყინდათ მის გარეთ ყოფნა,პოზიციის გარეშე ყოფნა ესეც პოზიციაა.

14. არ შეხვიდეთ ბაზარზე და არ გამოხვიდეთ ხშირად.

15. ტრეიდერები სწავლობენ დანაკარგებზე და არა მოგებაზე. შეისწავლეთ ყოველი ლოსი ბაზრის შესახებ თქვენი ცოდნის გასაუმჯობესებლად.

16. ყველაზე რთული ამოცანა ვაჭრობაში არა წინასწარმეტყველებაა, არამედ თვითკონტროლი. წარმატებული ტრეიდინგი რთულია და ხშირად თან ახლავს ნეგატიური ემოციები. წარმატებული ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი სწორედ თქვენ ხართ.

17. ყოველთვის იყავით დისციპლინირებილი და მიჰყევით წინასწარ განსაზღვრულ წესებს.

18. გახსოვდეთ რომ „დათვის" ბაზარს შეუძლია დაანგრიოს ის რაც თქვენ ააგეთ „ხარის" ბაზარზე.

19. არ მისცეთ საშუალება დიდი პროფიტებს გადაიქცნენ დიდი ლოსებად. ტრეიდინგ სტოპები განალაგეთ 20%-ზე.

20. თქვენ უნდა გაგაჩნდეთ გეგმა, იცოდეთ ის და მიჰყევით მას.

21. ელოდეთ დანაკარგს და შეხვდით მას ღირსეულად. ისინი ვინც დანაკარგებისაგან მოინუსხება აუცილებლად გამოტოვებენ შემდეგ შესაძლებლობას რომელიც ალბათ მომგებიანი იქნება.

22. გაყავით თქვენი სარგებელი შუაზე და არასოდეს გარისკოთ თქვენი სარგებლის 50%–ზე მეტი თუკი მოქმედებთ ბაზრის საწინააღმდეგოდ.

23. წარმატებული ვაჭრობის საწინდარი საკუთარი თავის შეცნობაა.

24. განსხვავება ბაზარზე შემძენებს და მაზე განმკარგავებს შორის არა იმდენად ბუნებრივ უნარებშია, რამდენადაც საკუთარი შესწავლის უნარში.

25. დანაკარგი აღიქვით როგორც ნაბიჯი გამარჯვებისაკენ.

26. თქვენ ლოსი მიიღეთ? სასწრაფოდ დაივიწყეთ. პროფიტი მიიღეთ? კიდევ უფრო სწრაფად დაივიწყეთ. არ მისცეთ უფლება ეგოიზმს და სიხარბეს შეგიშალოთ ხელი საღად აზროვნებაში და სწორუპოვარ შრომაში.

27. ტრეიდერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საიდუმლოა თავიანთი სურვილები შეუფარდონ ბაზრის სურვილებს. აზრი არის ჭეშმარიტება რადგანაც ასახავს ძალებს, რომლებიც მასზე იბრძვიან.

28. უფრო იოლია ტრეიდზე შესვლა ვიდრე მისი დატოვება

29. თუკი ბაზარზე ისე არ მოქმედებთ როგორც თქვენ მოელით, მაშინ დასტოვეთ ბაზარი.

30. არასოდეს მიმართოთ წამგებიან პოზიციას. წამგებიანი პოზიცია ნიშნავს იმას რომ თქვენ არახართ მართალი.

31. ნუ შეეცდებით წინასწარ განსაზღვროთ სარგებელი.

32. ვაჭრობაში სიმდიდრის საწინდარი-უბრალოებაა. თავიდან აიცილეთ ის მეთოდები რომელიც თქვენ არ გესმით.

33. ნუ იქნებით ზეტმეტად ცნობისმოყვარე ბაზრის ამოძრავებაში.

34. თავი შეიკავეთ ძალიან დიდი პოზიციების გახსნისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ თქვენს ემოციებზე. ნუ იქნებით აგრესიულები ბაზარზე. მას რბილად მოეპყარით. თქვენმა სარგებელმა თანდათანობით მოიმატა და არა ფეთქებადად.

35. ნუ ეცდებით განსაზღვროთ პიკები და მწვერვალები.

36. უნდა ენდოთ საკუთარ თავს და საღად აზროვნების უნარს, თუ კი გსურთ გაიმარჯვოთ ამ თამაშში.

37. სუსტ ბაზარზე ნუ ეცდებით რომელ მხარეს იქნება შემდგომი დიდი მოძრაობა - ზემოთ თუ ქვემოთ.

38. ფულის სამყაროში არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. არავინ! ამიტომაც წარმატებული ტრეიდერები არ ცდილობენ განათავსონ პოზიციები იმიდან გამომდინარე თუ რა უნდა მოხდეს, ისინი რეაგირებენ იმაზე რაც უკვე მოხდა..

39. თუ კი გემი იძირება, არ დაფიქრდეთ – გადახტით!

40. დაკარგეთ თქვენი შესაძლებლობები და არა თქვენი ფული. არაჩვეულებრივი პირობების იშვიათი გამონაკლისების გარდა. ჩვევად მიიღეთ სტოპ – პროფიტის გამოყენება. ნუ გაკიცხავთ საკუთრ თავს თუკი ფასი უთქვენოთ განაგრძობს ზრდას. უმჯობესია გაიხსენოთ ის შემთხვევები, როდესაც სარგებლის დროულმა დაფიქსირებამ თვიდან აგაცილად დანაკარგები(ზარალი).

2.8. რჩევები თრეიდერებს

იმოძრავეთ იოლიდან რთულისკენ. აირჩიეთ ერთი რომელიმე ბაზარი (მაგალითად, **USD\JPY**) და შეისწავლეთ მისი ისტორია, თუნდაც ბოლო ათი წლის (რაც მეტი ისტორიაა, მით უკეთესი) ფუნქციონირების. გამოყავით ფასების გრაფიკზე ტენდენციები, მხარდაჭერის და წინააღმდეგობის დონეები, დააკვირდით, როგორ იქცეოდნენ ფასები ამ

დონეებთან მიმართებაში. იპოვეთ გრაფიკზე ტექანალიზის თქვენთვის ნაცნობი და უცნობი პირობები და ყურადღებით შეისწავლეთ კურსის მოქმედება ამ ფიგურებში. ეცადეთ საანალუტო კურსის „მელოდია გაიგონოთ", რომელიც გამოსახულია ფასების გრაფიკზე. როდესაც მსგავს სავარჯიშოებს ჩაატარებთ სხვადასხვა მასშტაბის გრაფიკზე (თვიურზე, კვირეულზე, დღიურზე, საათობრივზე), თქვენთვის აღმოაჩენთ ბევრ სასარგებლო კანონზომიერებას. დამოუკიდებლად მიიღეთ გადაწყვეტილებებს. ტრეიდერი არის ადამიანი, რომელიც ასი პროცენტით პასუხისმგებელია საკუთარი მუშაობის შედეგებზე. ამიტომაც ტრეიდერს ყოველთვის გააჩნია საკუთარი სათამაშო გეგმა და დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებებს. მხოლოდ უმრავლესობის აზრისაგან განზე გადგომით შეუძლია ტრეიდერს გაიგოს საკუთარი გადაწყვეტილებების სისწორე ან მცდარობა – ეს კი არის წარმატებული ვაჭრობის გასაღები.

ისწავლეთ საკუთარ შეცდომებზე. დაწვრილებით გაანალიზეთ არა მხოლოდ საკუთარი შემოსავლიანი, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, წამგებიანი პოზიციებიც. დანაკარგის სიმწარე უფრო ნაკლებია, თუ კი თქვენ გაიგეთ თქვენი შეცდომა და, მაშასადამე, დარწმუნებული ხართ, რომ მომავალში არ გაიმეორებთ შეცდომას. ტრეიდერი, რომელსაც შეუძლია სარგებელი ამოიღოს შეცდომებზე ჩატარებული მუშაობიდან, განწირულია წარმატებისთვის.

თქვენი სისტემა – თქვენი უპირატესობაა. რათა გაიმარჯვოთ საბირჟო თამაშში, აუცილებელია გაგაჩნდეთ რაღაც უპირატესობა დანარჩენ ტრეიდერებთან. ასეთ უპირატესობას წარმოადგენს საკუთარი სავაჭრო სისტემა, რომელიც შემოწმებულია ისტორიულ მონაცემებზე და აჩვენებს დადებით შედეგს. სავაჭრო სისტემა რთული არ უნდა იყოს, რათა ადვილად იყოს შესაძლებელი მისი მისადაგება მუდმივად ცვალებად საბაზრო პირობებთან. **„რაც უფრო რთულია სისტემა, რაც მეტია მისი შემადგენელი ელემენტები,**

მით უფრო სუსტია ის" – დოქტორი ალექსანდრე ელდერი.

დისციპლინა წარმატების საწინდარია. მრავალი ტრეიდერი განიცდის მარცხს, თუნდაც გააჩნდეს „მრისხანე იარაღი" – საკუთარის სავაჭრო სისტემის წარმატების საიდუმლო ტრეიდერის თვითდისციპლინაში და სისტემის სიგნალების თვალყურის დევნის უნარშია, რომელიც არ გამოტოვებს პოზიციების გახსნის და დახურვის მომენტებს.

განსაზღვრეთ რისკის დონე. ვაჭრობის დაწყებისათვის ტრეიდერისთვის აუცილებელია რაღაც პირველსაწყისი ფულადი სახსრები. პროფესიონალი ტრეიდერი რისკავს მხოლოდ იმ ფულით, რომელიც მას შეუძლია დაკარგოს ფინანსური კრახის გარეშე თავისთვის და საკუთარი ოჯახისთვის. ეს ესაჭიროება ტრეიდერს ჯანსაღი და მშვიდი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, აზროვნების თავისუფლებით ტკბობისათვის. ამიტომაც უპირველეს ყოვლისა გადაწყვიტეთ, რა თანხის გარისკვა შეგიძლიათ, რათა მუდმივად იძინოთ. თუ კი თქვენ გექნებათ ფულის დაკარგვის შიში – აუცილებლად დაკარგავთ მას.

დროულად შეაჩერეთ დანაკარგები. ყველა ტრეიდერმა იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია სწრაფად გაარკვიოთ და ლიკვიდირება გაუკეთოთ მცდარ პოზიციას. მაგრამ, გაიხსენეთ, რა ძნელია „მშობლიურ პოზიციასთან" განშორება, რომელსაც თქვენ „შეესისხლხორცეთ". წამგებიანი პოზიციის დახურვა რომ ნიშნავს საკუთარი შეცდომის აღიარებას, თქვენ თუ შეგიძლიათ უთხრათ საკუთარ თავსს „ამჯერად არა ხარ მართალი, ძმაო!" ბაზრის თქვენი მხრისკენ შემობრუნების იმედი და მზარდ დანაკარგებზე ჩაჭიდება – ტრეიდერისთვის მიუღებელი ფუფუნებაა. გახსოვდეთ, არ ეშლება მხოლოდ იმას, ვინც არაფერს არ აკეთებს. თუ კი შეცდით, უბრალოდ დახურეთ პოზიცია, არ ეცადოთ მდგომარეობის გამოსწორება ათასგვარი ჰეჯირებით.

დააცადეთ სარგებელს გაზრდა. პროფესიონალი ტრეიდერი არასოდეს იღებს სარგებელს სარგებლისათვის, მის-

თუის მნიშვნელოვნია საეალუტო კურსების ცვალებადობის პროგნოზირების სისწორე და, მხოლოდ აქედან გამომდინარე, მატერიალური ანაზღაურების მიღება. წარმატებული ვაჭრობისათვის აუცილებელია „სარგებლის მოხსნა" მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენი ვაჭრობის სისტემა გაძლევთ ამის ნიშანს. დააცადეთ სარგებელს გაზრდა და მაქსიმალურ შედეგს მიაღწევეთ.

სწორად ააგეთ სავაჭრო პირამიდა. არ დაგავიწყდეთ გახსნილი პოზიციის გაზრდა, თუ ბაზარი თქვენს მხარეზე მოძრაობს და თქვენ გრძნობთ თქვენს სისწორეს. სავაჭრო პირამიდის აგების ეშმაკობა იმაში მდგომარეობს, რომ პოზიციის ყველა ახალი დამატება იყოს წინამდებარეზე ნაკლები. მხოლოდ ასეთი პირამიდით თქვენი გახსნილი პოზიციის საშუალო კურსი მოგცემთ საშუალებას დანაკარგის გარეშე დაელოდოთ, როდის დასრულდება თქვენთვის საპირისპირო კურსის მოკლევადიანი მოძრაობები.

ვაჭრობა – მთელი ცხოვრების მარათონია. მიუდეგით სპეკულაციურ თამაშს როგორც სერიოზულ საქმეს, რომელსაც გსურთ მიუძღვნათ არაერთი წელი და მიიღოთ მატერიალური და მორალური კმაყოფილება. ახალბედა, რომელიც მიისწრაფვის პირველი გარიგებიდან გააორმაგოს ან გაასამმაგოს საკუთარი ანგარიში, „ემსგავსება მოზარდს, რომელიც სახლიდან ჰოლივუდში გაიპარა, რათა გახდეს ეკრანის ვარსკვლავი". და, როგორც წესი, განიცდის მარცხს მუშაობის პირველ თვეებში. თქვენი მიზანია - კარგად შეისწავლოთ ვაჭრობა და გახდეთ პროფესიონალი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში თქვენ მიაღწევეთ სტაბილურ დადებით შედეგებს.

გამოიყენეთ შედეგების ციკლურობა. ბევრი მოვლენა მსოფლიოში ციკლურად ხდება. ტრეიდერის ცხოვრებაც გაიელის მოგებისა და მარცხის პერიოდებს. როდესაც ზრდით თქვენი პოზიციების ზომას ბაზართან სინქრონიზაციის პერიოდში და ამცირებთ საპირისპიროში, შეიძლება

მიაღწიოთ ვაჭრობის დადებით შედეგს. საკუთარი ანგარიშის ოსტატურად მართვას (**money management**) იყენებს წარმატებული ტრეიდერების უმრავლესობა (ყველა თუ არა).

შეისწავლეთ ტრეიდერების ფსიქოლოგია. ტრეიდერები, და სწორედ ისინი აყალიბებენ სავალუტო ბაზარს, – უპირველესად ადამიანები არიან თავიანთი ემოციებით და ფსიქოლოგიით. რა არის სავალურო კურსის ცვლილების გრაფიკი? ეს სხვა სფეროა, თუ არა და ტრეიდერების მსოფლიო თანასაზოგადოების აზრების, იმედების, სურვილების და სიფრთხილის გრაფიკული ასახვა. წარმატებული ვაჭრობისათვის აუცილებელია ადამიანის ფსიქოლოგიის შესწავლა და აგრეთვე მისი გავლენა სავაჭრო გადაწყვეტილებების მიღებაზე. ფასების გრაფიკის გაანალიზების დროს, ეცადეთ გაიგოთ ის გრძნობები და აზრები, რომლებიც აღავსებენ ტრეიდერს დროის ყოველ მომენტში. ასეთი მიდგომა მოგცემთ საშუალებას დასტოვოთ მხდალების და შესუსტებულების რიგები და შეუერთდეთ „ხარების" ან „დათვების" აგრესიულ და მამაც რიგებს.

გაიაზრეთ თქვენი მოტივები. სანამ ვაჭრობას დაიწყებდეთ, უპასუხეთ კითხვას: რატომ მინდა ამის გაკეთება? უბრალოდ გაკლიათ ცხოვრებაში მძაფრი განცდები და გიყვართ ეშმაკური თავსატეხების ამოხსნა? შესაძლოა, გამდიდრება გსურთ, თანაც უსწრაფესად? ოცნებობთ დაეუფლოთ ყველაზე საინტერესო პროფესიას (შესაძლოა მთელი ცხოვრების მანძილზე) თუ ცდილობთ გაექცეთ უფერულ დღეებს? შეიძლება არ გასვენებთ სოროსის დაფნის გვირგვინები? ნათელი წარმოდგენა საკუთარ მიზნებზე დაგეხმარებათ იპოვოთ მათი მისაღწევი უმოკლესი გზა.

თავი 3.
საფაჭრო ტერმინალის არსი და მუშაობის პრინციპები

3.1. საფაჭრო ტერმინალის არსი

საფაჭრო ტერმინალი არის პროგრამა ორი მომხმარებლისათვის, ბროკერი და ტრეიდერისათვის. ტერმინალის ძირითად პარამეტრებს აყენებს ბროკერი. ამ პარამეტრებით განისაზღვრება ტრეიდერების მუშაობის ჩარჩოები, მოწოდებული კოტირებების გაფილტვრა სწრაფი ცვლილებებისაგან და ნემსისებური ამოვარდნებისაგან და სხვა. ტრეიდერი ამ ძირითად პარამეტრებს, რათქმაუნდა, ვერ ცვლის, მას შეუძლია მხოლოდ სამუშაო პირობებისათვის ტერმინალის მაქსიმალურად მორგება ვიზუალური და ეკონომიური თვალსაზრისით.

ფორექსზე ვაჭრობის დროს დემო ანგარიშზე ვმუშაობთ, თუ რეალურზე, ჩვენ ბროკერთან ურთიერთობას ვახორციელებთ სპეციალური პროგრამის საშუალებით საფაჭრო ტერმინალით. ყველა ბროკერი თვითონ ირჩევს ერთ ან რამდენიმე საფაჭრო ტერმინალს, რომლის გადმოწერაც შეუძლიათ მის კლიენტებს – ტრეიდერებს (როგორც წესი, უფასოდ). ამ ტერმინალის საკუთარ კომპიუტერში დაყენების შემდეგ, ტრეიდერს საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს საკალუტო წყვილების გრაფიკებს, გაუგზავნოს ბროკერს თავისი შეკვეთა გარიგების გახსნის ან დახურვის შესახებ, მიიღოს დადასტურება ამ გარიგების შესრულებაზე, თვალყური ადევნოს თავის ანგარიშს ბროკერთან, მიიღოს ახალი ამბები და სხვა შეტყობინებები ბროკერისგან.

საფაჭრო ტერმინალები, იმის მიხედვით, რამდენად დახვეწილი პროგრამა შეგვხვდება, გარდა ვაჭრობისა საშუ-

ალებას იძლევა უშუალოდ მასშიე ვაწარმოოთ ტექნიკური ანალიზი, გრაფიკზე სხვადასხვა ინდიკატორების დამატებით. ეს ინდიკატორები შეიძლება იყოს საყოველთაოდ გავრცელებული ინდიკატორები, რომლებიც შედის სავაჭრო ტერმინალის პაკეტში, ასევე სხვა, კერძო, ფასიანი თუ უფასო ინდიკატორები, რომლებიც მრავლად მოიპოვება ინტერნეტის ქსელში. ასევე ეს შეიძლება იყოს ჩვენს მიერ დაწერილი ინდიკატორები, რის საშუალებასაც ასევე სავაჭრო ტერმინალის კომპლექტში, დამატებით შემავალი პროგრამა მეტაედიტორი იძლევა.

სავაჭრო ტერმინალები ასევე საშუალებას გვაძლევს დავამატოთ გრაფიკზე ე.წ. ექსპერტები რომლებსაც შეუძლიათ პროგრამულად ივაჭრონ, ადამიანის ჩაურეველად, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ კომპიუტერი სულ ჩართული იქნება და კავშირი ბროკერთან უწყვეტი იქნება. რათქმაუნდა ალგორითმი, რომელიც ჩვენს მაგივრად ვაჭრობს ბაზარზე, დახვეწილი უნდა იყოს როგორც პროგრამულად ასევე ვაჭრობის თვალსაზრისითაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტი სულ მოკლე დროში დაიყვანს ჩვენს დეპოზიტს ნოლზე.

ამ ექსპერტების მოძიებაც ასევე შეიძლება ინტერნეტში, თუმცა უამრავ მაცდუნებელ შემოთავაზებებს შორის თითქმის შეუძლებელია გამართული და მომგებიანი ექსპერტის პოვნა, და, თუ საღი თვალით შევხედავთ, ეს არც არის გასაკვირი. თუ, ექსპერტს ფულის გამომუშავება უტყუარად შეუძლია, მას არავინ გაყიდის და თვითონ გამოიმუშავებს ამ ექსპერტით ფულს.

ინდიკატორის მსგავსად, ტერმინალი ექსპერტის შექმნის საშუალებასაც იძლევა. მუშაობის გასაიოლებლად სავაჭრო ტერმინალში შესაძლებელია ერთჯერადი ოპერაციისთვის სკრიპტების შექმნა ან მზა სკრიპტის გამოყენება.

იმისათვის, რომ საქმეში გაშვებამდე შევამოწმოთ ინდიკატორი, ექსპერტი ან სკრიპტი, უმრავლესობა თანამედროვე

ტერმინალებისა, აღჭურვილია ტესტირების საშუალებით. ამ რეჟიმში დემო და რეალური ანგარიშის გარეშე, უშუალოდ ჩვენს კომპიუტერში შეგვიძლია შევამოწმოთ საცდელი პროდუქტი, ისტორიულ კოტირებებზე, რომელიც არქივებში უდევს სავაჭრო ტერმინალს და აახლებს დროთა განმავლობაში.

32. ბროკერის არჩევა FOREX-ის ბაზარზე

დასავლეთის ქვეყნებში ფორექსის ბაზარზე, საფინანსო კომპანიებისათვის ხარისხიანი მუშაობის ეტალონად ითვლება მსხვილი დასავლური საბროკერო სახლები. სერიოზული ინვესტორები ირჩევენ სწორედ მათ და პირველ რიგში, საიმედოობის მოსაზრებებით. ბევრ რამეში აღნიშნული უპირატესობა განპირობებულია ფსიქოლოგიური მიზეზებით, ისტორიულად ყველაფერი დასავლური (გინდ ჯინსი იყოს, ბანკი ან ბროკერი) რუსეთის მოქალაქეებს, რომლებმაც ათწლეულები იცხოვრეს „რკინის ფარდის" მიღმა, ეჩვენება უფრო ხარისხიანად, საიმედოდ და პრესტიჟულად. მაგრამ ფორექსის ბაზრის ისეთი გიგანტების გაკოტრებამ, როგორც ამერიკული ღეფცო და შეიცარული შოვერეიგნ ინანსიალ როუპ, აიძულა ბევრი ჩვენი მსოფლიო ვალუტით მოვაჭრე თანამემამულე, ახლებურად შეეხედა ბროკერის არჩევის საკითხი. ამრიგად, რაზე ღირს ყურადღების გამახვილება ამა თუ იმ საფინანსო კომპანიასთან თანამშრომლობის დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას?

დავიწყოთ საიმედოობით. საიმედო საფინანსო შუამავლად ჩვეულებრივ ითვლება ბროკერი მუშაობის ხანგრძლივი ისტორიით, ლიცენზიით და მარეგულირებელი ორგანოების ქვეკონტროლით, კლიენტების წინაშე თავის პასუხისმგებლობის დაზღვევის სისტემით, კომპანიის შიგნით რისკ-მენეჯმენტის გამართული სისტემით, სამართლე-

ბრივი გამჭვირვალობით, სახელშეკრულებო ურთიერთობების დაცულობით. ამასთანავე კომპანია კიდევ უნდა იყოს საკმარისად რესპექტაბელური, თუმცა ამ ტერმინს ყოველი ჩვენგანი თავისებურად გებულობს. თავისთავად მუშაობის ვადა არაფრის გარანტიას არ იძლევა. ზემოთ აღნიშნული მსხვილი დასავლური კომპანიები ბაზარზე საკმაოდ დიდხანს არსებობდნენ, მაგრამ ფულის დაკარგვის რისკები ერთდღიან ფირმაში უფრო მაღალია, ვიდრე იმ ბროკერთან, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტებს შეაღწიონ საფინანსო ბაზრებზე არა ერთი წლის განმავლობაში მუშაობის ხანგრძლივი ისტორია-არის რისკ-მენეჯმენტის გამართული მექანიზმები (წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია უკვე გაკოტრდებოდა), კვალიფიციური პერსონალი, საიმედო პარტნიორები, საფინანსო რეზერვები და ა.შ. ერთი სიტყვით, მუშაობის ისტორიის მქონე კომპანიას გააჩნია უპირატესობები ბაზარზე ახალბედებთან შედარებით.

საბუთები და მარეგულირებელი ორგანოები. სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ლიცენზიების არსებობა და მარეგულირებელი ორგანოების მიერ გაკონტროლება, სახელმწიფო იყოს, თუნდაც დარგობრივი, არ იძლევა თქვენი ფულის შენარჩუნების გარანტიას. მაგრამ ეს სერიოზული პლუსია ბროკერის შერჩევისას, რადგანაც:

უპირველესად, ლიცენზირების პროცესი თავისთავად მოიკვეთს აშკარა თაღლითებს. კომპანია ვალდებულია სახელმწიფოს წინაშე გაამჟღავნოს მფლობელები, წარმოადგინოს საწესდებო დოკუმენტები, საბუღალტრო ანგარიშგება. გარდა ამისა, მარეგულირებელი ორგანოები ამა თუ იმ ფორმით აკონტროლებენ კომპანიის ოპერატიულ საქმიანობას, ფინანსურ მაჩვენებლებს.

მეორეც, ყოველთვის არსებობს ორგანიზაცია, სადაც კლიენტს შეუძლია წარადგინოს საჩივარი ან პრეტენზია. ასე, აშშ-ში ფორექსის ბაზარზე ბროკერების კონტროლს აწარმოებს **CFTC (Commodities Futures Trading Comission)** -

სასაქონლო ფიუჩერსებით ვაჭრობის კომისია-სამთავრობო კომისია სააგენტოს სტატუსით. ინგლისში ეს არის **FSA (Financial Services authority)** - კომისია ფინანსურ მომსახურებაში. რუსეთში ბირჟისგარე სავალუტო ბაზარზე მარჟინალური გარიგებების მაკონტროლებელი ორგანიზაცია ჯერჯერობით არ არსებობს. მაგრამ, თუ რუსეთის დეპუტატები დაკავდებიან აღნიშნული პრობლემით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის გახდება ფინანსური ბაზრების ფედერალური სამსახური. ფბფს უკვე აკონტროლებს ბროკერების საქმიანობას საფონდო, სასაქონლო ბაზრებზე და დერივატივების ბაზარზე. **საქართველოში, კონკრეტულად ფორექსის ბაზრის არარსებობის გამო, არც მარეგულირებელი ორგანო არ არსებობს. მაგრამ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ზედამხედველობა საქართველოს ეროვნულ ბანკს დაეკისრა 2009 წლის 1 დეკემბრიდან, რაც გამართლებული ნაბიჯია, თვითონ, ბაზრის განვითარების თვალსაზრისით.** ამიტომ, ბროკერის არჩევისას ღირს იმაზე ყურადღების მიქცევა, როგორი ლიცენზიები აქვს მას, ვინ გასცა და რამდენი ხნით.

ბროკერთან მნიშვნელოვანი სახსრების განთავსების შემთხვევაში, ზედმეტი არ იქნება დაინტერესდეთ, თქვენი სახსრების შენარჩუნების რა გარანტიებს მოგცემთ ბროკერი. ინგლისში და აშშ-ში ასეთ გარანტიებად შეიძლება გამოდგეს სეგრეგირებული ანგარიშები, ანუ თანხების დაბრუნების გარანტიები მთავრობისაგან. დსთ-ში და სხვა დაურეგულირებელ ქვეყნებში საიმედო ბროკერები თვითონ არიან დაინტერესებული აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის ამა თუ იმ ხერხში. მაგალითად, რუსეთის ცნობილმა ბროკერებმა დააზღვიეს თავიანთი პასუხისმგებლობა კლიენტების წინაშე სადაზღვეო კომპანიებში „ინგოსსტრახში“ და „სოგლასიეში“. თუმცა, ეს არ არის ერთადერთი ხერხი კლიენტებისთვის საკუთარი საიმედოობის ნახვებისა. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, მსხვილი ამერიკული ან ევრო-

პული ბანკის გარანტია ან კიდევ რაიმე ხერხი.

რომელიმე კომპანიასთან თანამშრომლობის დასაწყისში მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ხელშეკრულებას, რომელსაც აწერთ ხელს და რომლის საფუძველზე შემდგომში მოგიწევთ მუშაობა (ღმერთმა ნუ ქნას და, სასამართლოც). ხელშეკრულება მთლიანობაში უნდა აღწერდეს ბროკერთან თქვენი ურთიერთობის იმ ყველა არსებით პირობებს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.

სერიოზული კომპანიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ არა მხოლოდ ხელშეკრულებით, არამედ ოპერაციების ჩატარების, გარიგებების დადების საჯარო რეგლამენტით, რომლებშიც გაწერილია ყველა მრავალრიცხოვანი ნიუანსი (საეჭრო პირობები, ორდერების ტიპები, საკამათო სიტუაციები და სხვ.). რეგლამენტის არქონამ უნდა შეაფიქრიანოს პოტენციური კლიენტი. თუ კი თქვენ აპირებთ სამამულო ტრეიდერთან მუშაობას, ფინანსური ანგარიშგებისთვის კი გთავაზობენ უცხოურ კომპანიას ან ოფშორს - ეს არის დაფიქრების საბაბი. დაფიქრება იმაზე, როგორ და სად გადაწყდება სადავო სიტუაციები, როგორ გადარიცხავთ ფულს. ანგარიშსწორება ფირმებთან (არ არის აუცილებელი ოფშორებით) შეიძლება მოხვდეს „ანტიგათეთრების" კამპანიებში, როგორც დსთ-ში, ასევე საზღვარგარეთ. აბა რა სასიამოვნოა, თუ კი თქვენი ფული „დაეკიდება" საგადასახადო ანგარიშზე ბანკში ან თქვენი საეჭრო ანგარიში მხოლოდ იმიტომ დაიბლოკება, რომ თქვენ რუსეთის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქე ბრძანდებით? თქვენი გადასახადების მიმართ ინტერესს ადრე თუ გვიან გამოიჩენენ საგადასახადო ორგანოები თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დსთ-ში ზოგიერთი ბროკერი მუშაობს „ბუკმეკერული" სქემით, სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს ფსონი ჩადონ ვალუტის კურსებზე. აქ მნიშვნელოვანია წინასწარ გესმოდეთ და იყოთ მზად, რომ საკამათო სიტუაციების წარმოქმნის

შემთხვევაში თქვენი „ფსონები“ რუსეთის კანონმდებლობით უთანაბრდება „სანაძლეოს“ გარიგებებს ანუ არ ექვემდებარება სასამართლო დაცვას.

რისკ-მენეჯმენტი. მრავალი ტრეიდერი ხშირად სვამს კითხვას: „საიდან ჩნდება ჩემი მოგება იღბლიანი (წარმატებული) გარიგების შემთხვევაში?“. ჩვეულებრივ, ყველა დილინგური ცენტრის მუშაობა შემდეგნაირადაა აგებული:

• მცირე პოზიციებს ბროკერი „თავის თავზე იღებს“, ანუ გარიგებაში მეორე მხარედ გამოდის, მსხვილი კი გადააქვს უფრო მსხვილ კონტრაგენტზე. ამრიგად, კლიენტის მოგება გადაიხდება ან სხვა კლიენტების წანაგებიდან ან საკუთარი ჯიბიდან (აი, ამიტომაც უნდა ჰქონდეს საიმედო ბროკერს საკუთარი სახსრების დიდი მოცულობა, საფინანსო რეზერვები).

• დიდი პოზიციები კი, ჩვეულებრივ, ეს მოცულობა ერთი მილიონიდან და უფრო მაღლა ჰიდის, გადაიტანება უფრო მსხვილ მონაწილეებზე (მაგალითად,ბანკებზე). რისკის ასეთ გადატანას ეწოდება ნეტო-პოზიციის გადაფარვა. ხშირად პატარა დამწყებ კომპანიებში გადაფარვა არ ხორციელდება და კლიენტები რისკავენ დიდი მოგების შემთხვევაში არაფერი ერგოთ.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, დელიკატურად გაარკვიოთ, როგორც ორგანიზებული რისკ-მენეჯმენტის პროცედურა კომპანიაში და სად გადაფარავს დილინგური ცენტრი ნეტო-პოზიციას. რა თქმა უნდა, ყველა წერილმანს თქვენ არ მოგიყვებიან (ეს კომერციული საიდუმლოა), მაგრამ რაიმეს გარკვევა მაინც მოხერხდება. მაგრამ თუ კი თქვენი ბროკერი უარს აცხადებს არსებული თემის ირგვლივ საუბარზე, ეს კიდევ ერთი საბაბია დასაფიქრებლად - გჭირდებათ ეს ბროკერი თუ არა.

კომპანიის რეპუტაცია. ძნელია მსჯელობა, გააჩნია კომპანიას რეპუტაცია თუ არა. და თუ გააჩნია, რა ნიშნებით შეიძლება მასზე საუბარი. სამწუხაროდ, არც პრესტიჟული

პრემიის არსებობა, .არც მაღალი ადგილები რეიტინგებში ჩვენს ქვეყანაში (და არა მხოლოდ ჩვენთან) არ არის კარგი რეპუტაციის მაჩვენებელი. ეს არის მხოლოდ ფულის საკითხი, ნეგატიური რეპუტაციის არსებობა კი (მოტყუებული კლიენტები, სასამართლო გარჩევები და ა.შ) საკმაოდ ადვილი გასაგებია ინტერნეტის საქებარი შესაძლებლობების და სპეციალიზირებული ფორუმების გამოყენებით. სამუშაო პირობები ყოველთვის მნიშვნელოვანია. სამუშაოს ხარისხიან პირობებს ტრადიციულად მიაკუთვნებენ:

- ზუსტი კოტირებები და კონკურენტული სპრედები,
- ვაჭრობა გადადებული ორდერების გარანტირებული შესრულებით,
- თანამედროვე სავაჭრო პლატფორმა,
- ფართო კომენტარი,
- კლიენტების სავაჭრო ანგარიშზე პროცენტების დარიცხვა.

კოტირებების საკითხში სასურველია თქვენს ბროკერთან იმთავითვე დააზუსტოთ, საიდან ღებულობს ის. ჩვეულებრივ ასეთ წყაროდ იყენებენ როიტერის, ბლუმბერგის ტიპის საინფორმაციო სისტემებს. ჩინებულია, თუ კი საფინანსო კომპანიას შეუძლია დაადასტუროს უფლება კოტირებების რეტრანსლაციაზე ხელშეკრულებით. ეს ნიშნავს, რომ ის ქურდობით არ არის დაკავებული. ხდება ხოლმე, რომ დილინგური ცენტრი (განსაკუთრებით, თუ რუსულია) კოტირებებს პირდაპირ თავისი დასაველელი ბროკერებისგან ღებულობს. პერიოდულად კოტირებების ნაკადში ნებისმიერ ბროკერს ემართება „გამოგდებები“ ანუ არასაბაზრო გარიგებები მიმდინარე ფასების აშკარად უფრო მაღლა ან დაბლა. ამ გამოგდებებმა შესაძლოა ძალიან ავნონ კლიენტის გახსნილ პოზიციას (მაგალითად,თუ კი მას დახურავს დიდი ზარალით სტოპ-ბრძანების მიხედვით). სასურველია გაარკვიოთ ბროკერის რეგლამენტში ან ზეპირ საუბარში, როგორ იფილტრება გამოგდებები და საერთოდ თუ იფილ-

ტრება, აგრეთვე როგორ რეგულირდება საკამათო სიტუაციები, რომლებიც შეიქმნა არასაბაზრო კოტირებების შედეგად ყველა გარიგებას, უბრუნებენ ზარალს წაგებულებს და ჩამოაწერენ სარგებელს იმათ, ვინც ის იშოვნა.

სპრედი. სპრედი არის სხვაობა მოთხოვნა-მიწოდებას შორის. ჩვეულებრივ ფორექსის ბაზარზე ახალბედები ბროკერის შერჩევისას პირველ რიგში, სპრედის ოდენობას აქცევენ ყურადღებას. დილინგური ცენტრები კი, თავის მხრივ, კლიენტებს იზიდავენ თვალისმომჭრელი რეკლამით, თითქოს და „მხოლოდ ჩვენთან სპრედი... შემდეგ მოდის სავალუტო წყვილის დასახელება... ერთი პუნქტიდან და ქვემოთ“ – გამოცდილმა ტრეიდერებმა იციან, რომ სოლიდური და საიმედო ბროკერი არ დაიწყებს დემპინგურობას ამ სფეროში და ისე შარიანად არ ექცევიან სპრედის ოდენობას. თუმცა, რა თქმა უნდა, ბევრს არ უყვარს მეტის გადახდა, როდესაც შეიძლება გადაიხადო ნაკლები.

არსებობს მცურავი სპრედი, რომელიც წარმოადგენს საყოველთაოდ მიღებულ ინსტრუმენტს, მას იყენებენ უმსხვილესი საერთაშორისო ბროკერები. დღეისათვის **EUR/GBP** წარმოადგენს ერთადერთ სავალუტო წყვილს რომელსაც **InstaForex**-ზე გააჩნია მცურავი სპრედი,რაც იმას ნიშნავს რომ ყოველ დღე 21:00 GMT +00-დან 09:00 GMT +00-მდე სპრედი შეიძლება გაიზარდოს 5 პუნქტამდე. სპრედი წარმოადგენს ბროკერის საჩუქარს გარიგებისათვის, რომელიც განისაზღვრება საბაზრო პირობებით, რომელზეც მუშაობს კომპანია. **InstaForex** -ის კონტრაგენტების მიერ, რიგი სსპრედების მატების გამო, EUR/GBP წყვილის სპრედი გადაყვანილი იქნა მცურავ მდგომარეობაში, მაგრამ დღის საათებში (09:00 GMT +00 შემდეგ) სპრედი ამ წყვილზე ისე როგორც ადრე შეადგენს 3 პუნქტს.

სავაჭრო ორდერები. უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ორდერების შესრულება. გადადებული ორდერების გარანტირებული შესრულების ირგელივე დიდი კამათი მიმ-

დინარეობს. ვიღაც-ვიღაცეები ამტკიცებენ, რომ ორდერების გარანტიით შემსრულებელი ბროკერები უფრო მეტ რისკს იღებენ თავიანთ თავზე, ვიდრე ის ბროკერები, ვინც გაცურებით მუშაობს, არ ჩავერთვებით კამათში და ავღნიშნავთ, რომ გადადებული ორდერების გარანტირებული შესრულება საიმედო დილინგურ ცენტრთან მუშაობისას - კლიენტისათვის დიდი სიკეთეა. მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს: წარმოიდგინეთ, რომ აშშ-ში უმუშევრობის მონაცემების გამოსვლის წინ თქვენ ხსნით ორ იდენტურ პოზიციას ყიდვაზე წყვილ'ში ევრო/დოლარი 1,21 ფასში ორ დილინგურ ცენტრში. ერთ ბროკერთან არის გადადებული ორდერების გარანტირებული შესრულება, მეორესთან არა. რათა თავიდან აიცილოთ დადებითი მაჩვენებლები და აქედან გამომდინარე, დოლარის კურსის აწევა, თქვენ სტოპ-ბრძანებას ორივე პოზიციაზე დებდი, დაუშვათ 1,2 დონეზე. მონაცემების გმოასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უმუშევრობა აშშ-შო უფრო მეტად შეიკვეცა, ვიდრე ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ და კურსი მყისვე ვარდება 1,19 დონეზე, ანუ ტრეიდერული ენით თუ გამოვთქვამთ, „პრ ფიგურას აკეთებს". ერთ დილინგურ ცენტრში სტოპ-ბრძანება ამუშავდა და თქვენ ასი პუნქტის ზარალს აფიქსირებთ, მეორეში კი ზარალიანი პოზიცია 200 პუნქტზე რჩება. ამასთანავე,მან შეიძლება კიდევ მოიმატოს, თუ კურსი კიდევ დაიწევს. რა თქმა უნდა, მსგავსი სიტუაციები იშვიათად ხდება, მაგრამ ხდება და ამან შესაძლოა გამოიწვიოს სახსრების მნიშვნელოვანი (არა ყველა) ნაწილის დაკარგვა. ამიტომაც საკითხი გადადებული ორდერების გარანტირებული შესრულებით სპრედის ოდენობის საკითხზე უფრო მნიშვნელოვანია.

სავაჭრო ტერმინალი და მუშაობის მოხერხებულობა. ფორექსის ბაზარზე ბროკერის არჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სავაჭრო ტერმინალს და მუშაობის მოხერხებულობას. ბროკერებისათვის სავაჭრო ტერმინალში მუშაობის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტს წარმოადგენს:

1. უფასო დემო-ანგარიშის არსებობა (ანუ საშუალება ივარჯიშონ ვირტუალურ ფულზე, ტესტირება გაუკეთონ საკუთარ სტრატეგიას).

2. გრაფიკული მხარდაჭერა, ტექნიკური ანალიზის შესაძლებლობები ან მონაცემების ექსპორტი ტექნიკური ანალიზის სისტემებში (მეგა და სხვ.)

3. ფუნქციონირების საიმედოობა და დაბალი მოთხოვნები გამომყენებლის კომპიუტერის და ინტერნეტ-შეერთების სიჩქარის მიმართ.

ბროკერის შერჩევის დროს მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინსტრუმენტარიუმის სიმდიდრე, რომელიც ხელმისაწვდომია კომპანიის კლიენტებისათვის სავაჭროდ. ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი ძალების გამოცდა სხვადასხვა ბაზრებზე, სხვადასხვა ინსტრუმენტებით და პირობებით.

მრავალი ბროკერი იძლევა შესაძლებლობას ვალუტის გარდა ივაჭროთ სინთეტიკური ინსტრუმენტებით, როგორიცაა კონტრაქტები ამერიკული და ევროპული აქციების სხვაობაზე (**CFD**). ზოგიერთი კომპანია კი-რუსულ აქციებზეც, მსოფლიო ინდექსებზე (**Dow Jones, DAX, FTSE 100** და **სხვ.**) ოქროზე, ნავთობზე და ა.შ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტია პროცენტების დარიცხვა სახსრებზე კლიენტის სავაჭრო ანგარიშზე, აგრეთვე დისკრეტული ლოტებით ვაჭრობის შესაძლებლობა. რუსეთის ყველაზე მსხვილ ბროკერებში ზოგადად მიღებული სტანდარტებია:

1. სავაჭრო ტერმინალში კლიენტებისათვის სადღეღამისო ახალი ამბების მხარდაჭერა.

2. ვალუტების, აქციების, ინდექსების, ლითონების ბაზრების ყოველდღიური ანალიტიკური კვლევები.

3. 24-საათიანი ტექნიკური მხარდაჭერა.

4. მსხვილი კლიენტებისათვის პერსონალური მენეჯერების არსებობა.

ამრიგად, კარგი ბროკერი ყალიბდება რამოდენიმე

მნიშვნელოვანი შემადგენლობისაგან: საიმედოობა, კარგი სავაჭრო პირობები და მუშაობის მოხერხებულობა. დსთ-ს ბაზარზე მუშაობს ბევრი კომპანია და ბანკი, რომლებიც წარმოადგენენ ამ კრიტერიუმების სხვადასხვა კომბინაციებს. ვიმედოვნებ, რომ ჩემი რჩევები დაგეხმარებათ გაერკვეთ თქვენს ფინანსთა სამყარო'ში გამცილებელთან და თავიდან აიცილოთ ტიპიური შეცდომები ფორექსის ბაზარზე ბროკერის შერჩევის დროს.

ინტერნეტ-ბროკერის შეჩევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საიმედოობას. საიმედოობის დასახასიათებლად შეიძლება გამოდგეს შემდეგი პარამეტრები:

• რამდენი წლის განმავლობაში სთავაზობს აღნიშნული კომპანია მომსახურებას.

• სრული საფოსტო და საბანკო რეკვიზიტების არსებობა.

• ლიცენზია საქმიანობის აღნიშნულ სახეობაზე.

• გაკოტრებისგან დაცვის (დაზღვევის) პირობები.

• გამოძახილები საწარმოზე (შეიძლება გაიგოთ ფორუმებზე, კონფერენციებზე, მომუშავე ტრეიდერების პირადი მიმოწერით და ა.შ.).

• როგორია ფულადი საშუალებების შეტანა-გამოტანის პირობები.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ფინანსების ჩარიცხვა ანგარიშზე მიმდინარეობს უფრო იოლად, ვიდრე მათი უკან გამოტანა. იმის გაგება, როგორ ხდება ეს შერჩეულ კანტორაში, შეიძლება მხოლოდ ტრეიდერთან, რომელმაც სარგებელი მიიღო, ასეთი ჯერ კიდევ საპოვნელია:

• მინიმალური თანხა მუშა ანგარიშის გასახსნელად.

• რომელ სავალუტო წყვილებთან მუშაობს.

• სპრედი ძირითად სავალუტო წყვილებზე.

• კომისია სამუშაოსთვის.

უმჯობესია ბროკერები დაბალი კომისიით მუშაობდნენ (უკეთესია სულ მის გარეშე), მაგრამ დაბალი კომისია შეიძლება ნიშნავდეს მუშაობის შესაბამის ხარისხს.

პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც უნდა იყოს მაღალ დონეზე. პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მოცემულ კომპანიაში დემო ანგარიშზე მუშაობის შემდეგ. ბროკერების უმრავლესობა უფასოდ სთავაზობს აღნიშნულ მომსახურებას, რათა იყოს რამესთან შედარება, აუცილებელია სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის მოსინჯვა.

რა თანხაა აუცილებელი? ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ინტერნეტ-ბროკერებს შორის მინიმალურ თანხაშია, რომელიც უნდა იყოს თქვენს სამუშაო ანგარიშზე ტრანზაქციის ჩატარების დაწყებამდე.

მაგალითად, რუსეთის ცენტრებს შორის არსებობს კომპანიები, რომლებიც იძლევიან საშუალებას დაიწყონ მუშაობა (ჩვენს განსაკუთრებულად ღარიბ ტრეიდერს) მინიმალური დეპოზიტით 1 USD-დან, 100 USD, 300 USD. საეჭვოა ასეთ ფირმებს გაჰქონდეთ თქვენი განაკეთები ბაზარზე. აღნიშნული დაწესებულებები თქვენს წინააღმდეგ თამაშობენ ფორექსის კანონებით. მუშაობის პირობები საკამოდ ხისტია. მაგრამ მრავალი სთავაზობს კარგ პროგრამულ უზრუნველყოფას, მათთან მუშაობა სასიამოვნოა. თუ კი თქვენ შეძლებთ სტაბილური შემოსავლის მიღებას ასეთ დაწესებულებებში, შეიძლება მშვიდად გახვიდეთ უფრო სოლიდურ ბროკერებზე.

მცირე ბროკერებში შეიძლება დაიწყოთ მუშაობა მინიმალური დეპოზიტით **500, 1000, 2000 USD**.

საშუალო საბროკერო კომპანიებს მიეკუთვნება ცენტრები სამუშაო ანგარიშის საწყისი თანხით **5000, 10000, 20000 USD.**

სერიოზული რუსული და დასავლური საბროკერო ცენტრები ორიენტირებულია უფრო მარალ პირველსაწყის თანხაზე **25000, 50000, 10000 USD.**

საკრედიტო მხარი. ფორექსის ბაზარზე სამუშაოდ შეთავაზებული საკრედიტო მხარი სხვადასხვა ბროკერებში

სხვადასხვაა. ყველაზე ხშირად გამოიყენება 100 და 200-ჯერადი მხარი, უფრო 50, 10 და ორჯერადი. რას ნიშნავს ეს? ფორექსზე მუშაობისას სარგებლის მისაღებად უწევთ **100000 USD**-ჯერადი კონტრაქტებით სპეკულირება. ასეთი თანხა ყველას არ გააჩნია, მდიდარი კლიენტი არ ყოფნით, საბროკერო ცენტრები კი, როგორც მინიმუმ, მუშაობენ პროცენტით. ამიტომ ბაზარზე უფრო ფართო (მასიური) შეღწევისათვის სთავაზობენ საკრედიტო მხარს. **1000 USD**-თი 100-ჯერადი მხარით თქვენ მუშაობთ ისევე, თითქოს **100000 USD**. **1000$**-იანი სარგებელი დღე-ღამეში რეალობა ხდება. წაგება აღნიშნულ თანხაზე ნაკლებად რეალურია.

საკომისიო. საბროკერო კომპანიას აღნიშნული შემოთავაზებული მომსახურებისათვის უნდა გადაუხადოთ. გადასახადი შეიძლება იყოს აშკარად გამოკვეთილი და შენიღბული. ყველაზე ხშირად გვხვდება გადასახადი გარიგების ჩატარებისთვის. ის გამოისახება კონკრეტულ თანხაში (მაგ. **20 USD**) ან პუნქტებში (1-2 პუნქტის საფასურად). ასევე გადასახადი იღება ცალკე გარიგების გახსნაზე და დახურვაზე. გადახდა უწევთ აგრეთვე კრედიტის შეთავაზების გადასვლით 0 საათის შემდეგ. ჩვეულებრივ ეს **10-15 USD** სტანდარტულ განაკვეთზე. გვხვდება გადასახადი საინფორმაციო მომსახურეობაზე და პროგრამული უზრუნველყოფის მიცემაზე. არააშკარა გადასახადს ვაწარმოებთ, თანაც ფინანსები გვაქვს კომპანიის ანგარიშზე და არ ვღებულობთ არავითარ საპროცენტო გასამრჯელოს. მაგრამ, სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ არსებობს ცენტრები, რომლებიც გირიცხავენ პროცენტს თანხის მოძიებისათვის თქვენს ანგარიშზე. ასევე, გვხვდება კომპანიები, რომლებიც გვაუწყებენ, რომ მათთან მუშაობისთვის არ არის საჭირო საკომისიო გასამრჯელო და სარგებელს ისინი ღებულობენ სპრედიდან. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ პრაქტიკულად სარგებლობენ ამით, ისინი აფართოებენ სპრედს გარიგების გახსნის ან დახურვის დროს, მაგრამ ურჩევნიათ ამაზე არაფერი თქვან.

3.3. მარჟინალური ვაჭრობა (MARGIN TRADING)

მარჟინალური ვაჭრობის პირობები იძლევა საშუალებას ვალუტის ვალუტზე ყიდვა–გაყიდვა მოხდეს ერთი ვალუტის მეორეზე გაცვლის გარეშე. ყველა ოპერაცია სრულდება სრული ნეიტინგით, ანუ ურთიერთჩთვლით, საბაზრო აქტივის მიწოდების გარეშე.

მარჟინალური ვაჭრობის აზრი მდგომარეობს სავალუტო არბიტრაჟში და კურსების სხვაობის მიღებაში.

მარჟინალური ვაჭრობის პირობა შეადგენს კლიენტის მიერ ბანკში ანგარიშზე გირაოს ანუ მარჟის განთავსებაში, რომელიც განიხილება როგორც მისი საარბიტრაჟო ოპერაციების უზრუნველყოფა, ამიტომაც ტრეიდერი ვერ წააგებს მეტს, ვიდრე მისი მარჟის სიდიდეა.

მარჟინალური ვაჭრობის მეორე თავისებურება არის საკრედიტო მხარის შეთავაზება. **საკრედიტო მხარი** – ეს არის კოეფიციენტი, შეფარდება სავაჭრო ვალუტის მაქსიმალურ შეასაძლებელ ოდენობასა და მარჟის სიდიდეს შორის.

დავუშვათ, რომ თქვენი სავაჭრო ანგარიში შეადგენს **10 000 USD**. მხარი უდრის 100 ანუ 1%-ს. პროცენტებში გამოსახულ მხარს ეწოდება მინიმალური მარჟა. გასაყიდი ვალუტის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც დაიშვება ასეთი მარჟის დროს შეადგენს: **10 000 USD *100 = 1 000 000 USD.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ ტრეიდერს უნდა გააჩნდეს სავაჭრო თანხის 1%.

მხართან მუშაობას შეუძლია ბევრად გაზარდოს პოტენციური სარგებელი.

კლიენტის მარჟის და მიღებული სარგებლის (ან ზარალის) ჯამი შეადგენს **ვარიაციულ მარჟას**. მინიმალური მარჟის შეფარდება ვარიაციულ მარჟასთან არ უნადა აღემატებოდეს 100%-ს, ანუ ერთეულს.

თავისი სპეკულატური მიმართულების გამო, ყოველი ოპ-

ერაცია მარჟინალურ ვაჭრობაში ორი ნაწილისაგან შედგება:

- პოზიციის გახსნა;
- პოზიციის დახურვა – სრული ტრეიდი.

სანამ ოპერაცია არ არის დახურული საპირისპირო გარიგებით, ბროკერს გააჩნია ჩანაწერი ღია პოზიციის შესახებ. სავალუტო ბაზარზე ვაჭრობა წარმოებს ფიქსირებული თანხებიით – **ლოტებით**. თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ 1 000 000 ევრო (1 ლოტი), 2 000 000 ევრო (2 ლოტი), მაგრამ არამც და არამც 150 000 ევრო. დღესდღეობით განასხვავებენ ორი სახის ლოტს:

- სტანდარტული ლოტი;
- მინი ლოტი.

მინი ლოტი, როგორც წესი, სტანდარტულზე 10ჯერ ნაკლებია. გარიგების მარჟინალური უზრუნველყოფა (მარჟა) ტოლია ინსტრუმენტის საბაზრო ვალუტის საბაზრო ღირებულების 1% გამრავლებული ლოტებში გარიგებების მოცულობაზე, ანუ მაგალითად, წყვილებისთვის: **EURUSD, EURJPY, EURGBP** ევროს საბაზრო კურსით 1,3357 და 1 ლოტის მოცულობის გარიგებაზე მარჟა იქნება 1335,7 დოლარი:

margin call level - გაფრთხილების დონე (ჩვეულებრივ 30%-მდე).

stop out level წამგებიანი გარიგების დახურვის დონე (ჩვეულებრივ 20% - მდე).

margin call – ის % გამოთვლა = **(equiti / margin)** * 100%

სადაც,

equitli – კლიენტის სახსრების მიმდინარე დონეა,

margin – კლიენტის მიმდინარე მარჟა.

მარჟინალური ვაჭრობის იდეა მდგომარობს იმაში, რომ **Forex**-ზე სპეკულაციური ინტერესების დაკმაყოფილება შეიძლება ფულის რეალური მიწოდების განხორციელების გარეშე, რაც ამცირებს ზედნადებ ხარჯებს ამ უკანასკნელის გადაზიდვისათვის და იძლევა საშუალებას დოლარებ-

ში მცირე ანგარიშის არსებობისას გახსნათ პოზიციები სხვა ვალუტის დიდი რაოდენობის როგორც ყიდვაზე, ასევე გაყიდვაზე.

ამრიგად შესაძლებელია ძალიან სწრაფი ოპერაციების განხორციელება, მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება, როგორც ვალუტის კურსების აწევის, ასევე დაწევის შემთხვევებში. მრავალი სპეკულაციური ოპერაციები სავალუტო ბაზრებზე ტარდება მარჟინალური ვაჭრობის პრინციპებზე დაყრდნობით. რაც ხორციელდება სასეხო კაპიტალის გამოყენებით. მარჟინალური ვაჭრობა სავალუტო ბაზრებზე მიმდინარეობს ლოტებით. 1 ლოტი საორიენტაციოდ = 1 000 000 დოლარს, მაგრამ მისი გახსნისათვის აუცილებელია გაგაჩნდეთ 0,5%დან 0,4% მდე თანხა.

FOREX-ზე მცირე და საშუალო ინვესტორების მონაწილეობა გახდა შესაძლებელი საბილინგო კომპანიების საშუამავლო მოღვაწეობის წყალობით. მრავალ ქვეყანაში საშუალო და მცირე ინვესტორებს აქვთ გასასვლელი მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე და თავიანთ ოპერაციებში იყენებენ თანხებს, დაწყებული 2000 აშშ დოლარიდან. სადილინგო კომპანია სთავაზობს თავიანთ კლიენტებს საკრედიტო ხაზს, ანუ ეგრეთწოდებულ, სადილინგო ბერკეტს რომელიც რამდენიმეჯერ აღემატება დეპოზიტის თანხას. მაგალითად საკრედიტო ბერკეტი რომელიც თავდებირველ დეპოზიტს 10 000 დოლარის ოდენობით აღემაყტება ასჯერ, იძლევა საშუალებას ოპერირება მოხდეს თანხებით 1 000 000 დოლარამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინვესტორის საკუთარი კაპიტალი შეადგენს მის მიერ ჩატარებული ოპერაციების მხოლოდ 1/3%-ს. მუშაობის ასეთმა სისტემამ სადილინგო (საბროკერო) კომპანიის მეშვეობით საკრედიტო მხარის შეთავაზებით მიიღო "მარჟინალური ვაჭრობის "სახელი.

Margin trading – არის ოპერაციის განხორციელება პოზიციის რაოდენობაზე, რომელიც აღემატება სადაზღვეო დეპოზიტს განსაზღვრული რიცხვით (20,25,30,40,50,100 ან 200), რომელსაც

მიიღებს კომპანია კლიენტის ბრძანებით ოპერაციების ჩატარების დროს მისი საკარაუდო დანაკერგების ანაზღაურების სახით. ან სულ უბრალოდ: "მარჟინალური ვაჭრობის" არსი დაიყვანება შემდეგზე: ინვესტორი დეპოზიტზე განათავსებს გარკვეულ კაპიტალს. და მიეცემა შესაძლებლობა მართოს მიზნობრივი კრედიტები, რომელიც გაიცემა ამ დეპოზიტზე დაყრდნობით, როგორც გირაო. ამით ინვესტორი გარანტირებას ახდენს დაფაროს თავისი დეპოზიტით შესაძლო დანაკარგები გახსნილ სვალუტო პოზიციებზე.

კლიენტი დებს ხელშეკრულებას კომპანიასთან, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი იღებს ვალდებულება კლიენტის დავალებით, საკუთარი სახსრებით და თავისი სახელით განახორციელოს საარბიტრაჟო ოპერაციები. ამასთან მას ექნება დანაკარგების რისკი მსგავსი გარიგებების წარმოებისაგან, ამიტომაც კლიენტს გირაოს სახით ბანკში დეპოზიტზე შეაქვს განსაზღვრული თანხა. ამ დეპოზიტის ზომა განისაზღვრება გამომდინარე ბანკის მიერ განსახორციელებელი გარიგებების ჯამიდან და კლიენტებისათვის შეთავაზებული მხარიდან. **მაგალითად**, დოლარის კონტრაქტის ყიდვა– გაყიდვის გარიგების მინიმალური თანხა შეადგენს 500 000 დოლარს და ინვესტორისათვის შეთავაზებული საკრედიტო მხარი შეადგენს 1 100 მაშინ გირაოს დეპოზიტის მინიმალური თანხა = 500 000 100 = 5 000. თუ საკრედიტო მხარი შეადგენს 1 50, მაშინ გირაოს დეპოზიტის თანხა შეადგენს 10 000 დოლარს. იმ შემთხვევაში სადილინგო კომპანია განიცდის ზარალს ჩატარებული ოპერაციის შედეგად, მაშინ ინვესტორს უჩნდება ვალდებულებები მის წინაშე ამ ზარალის ოდენობით, რომელიც დაიფარება საგირაენო დეპოზიტიდან. თუკი კომპანიამ მიიღო სარგებელი ჩატარებული ოპერაციის შედეგად. მაშინ მათ უჩნდებათ ვალდებულებები ინვესტორთან ამ სარგებლის რაოდენობაზე. მიღებული სარგებელი ირიცხება კლიენტის საგირაენო დეპოზიტზე. აუცილებელ პირობას წარმოად-

გენს კლიენტის მიმართ დაჟალება (ბრძანება). ღია პოზიციის დახურვაზე კომპანია ხომ თავისი ფულით თამაშობს. თუ ასეთი რამ არ მოხდა ბანაკს შეუძლია თვითონ დახუროს პოზიცია, ამასთან კლიენტმა შეიძლება ზარალი განიცადოს. მსოფლიო ბაზარზე ძალზედ იშვიათია სიტუაციები, როდესაც ვალუტების კურსები ერთმანეთთან მიმართებაში იცვლება 2%-ზე მეტად და კლიენტის მიერ გონივრული პირობებში თავისი გირაოს წაგება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუკი ბანკის დილერი ხედავს რომ შესაძლო დანაკარგებმა კურსს არასასურველი მოძრაობის შემთხვევაში გადააჭარბოს დეპოზიტის თანხას, მას შეუძლია დამოუკიდებლად კლიენტის მითითებების გარეშე დახუროს წამგებიანი პოზოცია რომელიც არ აღემატება გირაოს თანხას.

მარჟინალური ვაჭრობა მიმზიდველია თავისი მისაწვდომობით. მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოში საეჭვოდ მიაჩნიათ სახსრების ჩადება წამყვანი უცხოეთის ქვეყნების ფასიან ქაღალდებში, ან ვალუტაში ფიქსირებული შემოსავლის მიღების მიზნით. რათქმაუნდა, აშშ ფედერალური სახაზინოს ობლიგაციები ყველაზე საიმედო და სტაბილურია მაგრამ მათ სიძვირესთან ისინი უზრუნველყოფენ დაბალშემოსავლიანობას (დაახლოებით წლიური 6%) და წარმოადგენენ გრძელვადიანი დაბანდების ობიექტს.

აქციებზე შემოსავლიანობა მეტია, მაგრამ დივიდენდების ზომა პირდაპირ დამოკიდებულია კონკრტულ საწარმოს წარმატებულ მუშაობაზე და მისი აქციონერების არჩევანზე.

უფრო საინტერესოდ მიჩნეულია აქციათა ყიდვა თამაშის მიზნით მათი კურსის მომატებაზე, მაგრამ ამისათვის საჭიროა უფრო მსხვილი დაბანდებები. მარჟინალური ვაჭრობა მოკლებულია ამ ჩამოთვლილ შეზღუდვებს. თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ ან გაყიდოთ თქვენ მოლოდინებთან მიმართებით, ოპერაციების წარმოებისათვის კი საკმარისი იქნება სახსრების გარიგების თანხის სულ რაღაც 1/3%-ის ოდენობით, მაგრამ აუცილებელია საბირჟო ვაჭრობის სპეციფიკის სწავლა და ფსიქოლოგიური მზადყოფნა.

რეალური ანგარიშის გასხნამდე რეკომინდებულია დემო ანგარიშის გახსნა, რომელიც თავისი ფუნქციონალური შესაძლებლობებით პრაქტიკულად არ განსხვავდება რეალური ანგარიშისგან, გარდა იმისა, რომ მასზე მთელი მოგება და ზარალი ვირტუალურია. დემო ანგარიშზე ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვით თქვენ არ რისკავთ საკუთარი ფულით, მაგრამ შეგიძლიათ:

- **FOREX**-ზე ვაჭრობის პრაქტიკული გამოცდილების მიღება;
- **MetaTrader4**-თან მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ფინანსური ბაზრების ანალიზის პროცესის შესწავლა;
- რისკის მართვის საკუთარი სისტემის და სტრატეგიის შემუშავება;

დემო ანგარიშის გახსნისათვის, აუცილებელია პლათფორმა **MetaTrader terminal**-ის დაყენება. მის დასაყენებლად გახსენით მოქაჩული ფაილი და მიყევით ინსტრუქციებს.

1. აირჩიეთ პროგრამის ენა და დააჭირეთ ღილაკს **"Next"**.

2. გაეცანით მოცემული სავაჭრო პლათფორმის შემქმნელების

რეკომენდაციებს და დააჭირეთ ღილაკს **"Next"**.

3. შემდეგ ნაბიჯზე დაგჭირდებათ სალიცენზიო შეთანხმების ყურადღებით წაკითხვა. თუ ეთანხმებით, ჩაურთეთ **"Yes, I agree all conditions of the licence agreement"** და დააჭირეთ ღილაკს **"Next"**.

4. აირჩიეთ კატალოგი, სადაც დადგება პროგრამა. თუ ეთანხმებით შემოთავაზებულ კატალოგს, უბრალოდ დააჭირეთ ღილაკს **"Next"**, თუ არა – ღილაკს **"Browse"**, აირჩიეთ კატალოგი და ამის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს **"Next"**

5. დააჭირეთ ღილაკს "Next". შემდეგ ნაბიჯზე აირჩიეთ ჯგუფი მენიუში " როგრამს". დააჭირეთ ღილაკს "Next".

6. დააჭირეთ ღილაკს "Next" სავაჭრო პლათფორმა ეტათრადერ-ის დასაყენებლად, ან ღილაკს "Back", თუკი საჭიროა რაიმეს შეცვლა.

7. მოითმინეთ, სანამ ინსტალატორი დააყენებს პროგრამას თქვენს კომპიუტერზე.

8. სავაჭრო პლათფორმა **MetaTrader4**-ის დაყენების დასრულებისთანავე, შეგიძლიათ გაუშვათ იგი მონიშნეთ **"Launch MetaTrader 4"** და დააჭირეთ ღილაკს **"Finish"**.

9. პროგრამის გაშვება ასევე შეგიძლიათ მენიუდან **"Start" – "Programs" - "MetaTrader"**, ანდა სამუშაო მაგიდაზე მდებარე მალსახმობზე მიკაკუნებით.

3.5. METATRADER4-ის მახასიათებლები

ინტერნეტ-ტრეიდინგი ნიშნავს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობას ინტერნეტის მეშვეობით, ამიტომ ინტერნეტის ქონის პირობებში შეგიძლიათ სადღეღამისოდ, კვირაში 5 დღე ივაჭროთ ფინანსური ინსტრუმენტებით სავაჭრო პლათფორმა **MetaTrader4**-ის გამოყენებით.

MetaTrader4 – კომპანია **Metaquotes Software Corp**-ის შემუშავებული სავაჭრო პლათფორმაა, რომელიც გაკუთვნილია ფორექსზე, **CFD**, აქციებით, ობლიგაციებით, ფიუჩერსებით, ოფციონებით ვაჭრობისათვის.

სავაჭრო პლათფორმა **MetaTrader4** გახლავთ იოლად სახმარი და ყველაზე მოხერხებული ინტერნეტ-ტრეიდინგისათვის, ასევე ტექნიკური ანალიზისათვის. რამაც განაპირობა მისი, როგორც ფინანსური ბაზრების საუკეთესო სავაჭრო პლათფორმის რეპუტაცია.

MetaTrader საშუალებას იძლევა რეალური დროის რეჟიმში:

• ორდერების შესრულება რამდენიმე წამში;
• ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებების მიღება;
• წამყვანი საინფორმაციო სააგენტოებიდან ფინანსური ნიუსების მიღება;
• ფინანსური ინსტრუმენტები კომპლექსური ანალიზის ჩატარება;
• სავაჭრო ანგარიშის მართვა კომპიუტერის ან მობილურის მეშვეობით.
• ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებათა ისტორიის ანალიზი;
• საკუთარი სტრატეგიების, ტაქტიკის, სავაჭრო სისტემის შემუშავება ელექტრონული ექსპერტების მეშვეობით.

3.6. რეალური ანგარიშის გახსნა

ფორექსის ბაზარზე ვაჭრობის დასაწყებად შემდეგი ეტაპები უნდა გაიაროთ:
• კომპანიის შერჩევა, რომელიც გაგიწევთ მომსახურებას;
• კომპანიის საიტზე უნდა გახსნათ "სავაჭრო ანგარიში";
• შეავსოთ ფორმა;
• მოქაჩოთ სავაჭრო ტერმინალი MetaTrader4;
• შეავსოთ ბალანსი

დაინტერესებულმა პირმა, სავაჭრო ანგარიშის გახსნისას, კომპანიის მიერ შემოთავაზებული კონკრეტული პირობები უნდა გაითვალისწინოს, კერძოდ: მინიმალურ დეპოზიტის ოდენობა, საკრედიტო მხარი, სპრედის მოცულობა, საკომისიოს მოცულობა, რომელიც ბროკერს უნდა გადაუხადოს თრეიდერმა, მინიმალურ ლოტი, ღია პოზიციების ჯამური მაქსიმალური მოცულობა, პოზიციების მაქსი-

მალური რაოდენობა, ტრანზაქციების შესრულების პირობები, კლინტის ალგორითმის მიხედვით სავაჭრო ექსპერტები, მარჟინალური ვაჭრობის პირობებ, ბანკთაშორის ბაზარზე წვდომა და ორდერთა სახეები.

მაგრამ სავაჭრო ანგარიშის სხვადასხვა ტიპი არსებობს, გამომდინარე კლიენტების კატეგორიიდან. კლიენტები კი დაყოფილია სამ კატეგორიად:

1. ახალბედები;
2. პროფესიონალები;
3. ექსპერტ-პროფესიონალები.

სავაჭრო ანაგრიშზე თანხის შეტანა ან გატანა შესაძლებელია საბანკო გადარიცხვით, საკრედიტო ბარათით ან ელექტრონული ანგარიშწორების სისტემებით. შეტანა/გატანის ოპერაციები ხორციელდება ტრეიდერის პირადი კაბინეტიდან.

3.7. სავაჭრო ორდერები

ორდერთა ტიპები. სავაჭრო პლათფორმა **MetaTrader4** ბროკერთან ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვისა და გაყიდვის განკარგულებათა გაგზავნის, ასევე ღია პოზიციების მართვის საშუალებას იძლევა. ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ რამდენიმე ტიპის ორდერებს.

საბაზრო ორდერი — ეს არის კლიენტის განკარგულება ბროკერული კომპანიის მიმართ ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე ფასად ყიდვის ან გაყიდვის შესახებ. ასეთი ორდერის შესრულება იწვევს სავაჭრო პოზიციის გახსნას ან დახურვას.

ყიდვა ყოველთვის ხორციელდება **ASK** ფასად (მოთხოვნის ფასი), გაყიდვა კი - BID ფასად (მიწოდების ფასი). საბაზრო ორდერებს შეიძლება თან ახლდეთ **Stop-Loss** და

Take-Profit განკარგულებები. საბაზრო ორდერის შესრულება დამოკიდებულია მასში გამოყენებულ ფინანსურ ინსტრუმენტზე.

Stop-Loss განკარგულება ბროკერს პოზიციის დახურვაზე, როდესაც მიმდინარე ფასი მიაღწევს ორდერის **Stop-Loss**-ის დონეს. ეს ორდერი თავსდება ტრეიდერისთვის უარეს ფასად, ვიდრე იყო ორდერის გახსნის დროს. იმ შემთხვევაში თუ ფასი მიეა ამ დონემდე, მაშინ პოზიცია დაიხურება ორდერის **Stop-Loss**-ის ფასზე.

Take-Profit - განკარგულება ბროკერს პოზიციის დახურვაზე, როდესაც მიმდინარე ფასი მიაღწევს ორდერის **Take-Profit**-ის დონეს. ეს ორდერი თავსდება ტრეიდერისათვის უკეთეს ფასად, ვიდრე იყო ორდერის გახსნის დროს. იმ შემთხვევაში თუ ფასი მიეა ამ დონემდე, მაშინ პოზიცია დაიხურება ორდერის **Take-Profit**-ის ფასზე.

Stop-Loss და **Take-Profit** მუშაობენ მხოლოდ ღია ორდერებისათვის და არა მომლოდინე ორდერთათვის.

Stop-Loss-ის დაყენება ნიშნავს შესაძლო ზარალის მინიმიზებას თუკი ფინანსური ინსტრუმენტის ფასი წავიდა არაასასურველი მიმართულებით. როცა ღია პოზიცია ხდება მომგებიანი, **Stop-Loss** შეიძლება აჩოჩებული იქნას მომგებიან დონეზე.

Trailing Stop - ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია მოგების მაქსიმალიზაციისათვის. ორდერის ეს სახეობა ძალიან მოხერხებულია, როცა ბაზარზე თვალყურის დევნების საშუალება არ არის. იგი იძლევა **Stop-Loss**-ის მართვის ალგორითმს - X პუნქტიანი მოგების დროს, **MetaTrader** „მიაჩოჩებს“ **Stop-Loss**-ს.

Trailing Stop გამოიყენება ორდერის გახსნის შემდეგ. იგი მოთავსებულია არა სერვერზე, არამედ კლიენტის ტერმინალზე.

მომლოდინე ორდერი - არის განკარგულება ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვისა და გაყიდვის შესახებ სასურველი

ფასის მიღწევის შემთხვევაში.

განასხვავებენ ოთხი ტიპის მომლოდინე ორდერებს:

• **Buy Limit** - პოზიციის გახსნა ყიდვაზე, როცა **Ask** გაუტოლდება ორდერის ფასს. განთავსების დროს მიმდინარე ფასი მეტი უნდა იყოს, ვიდრე **Buy** იმიტ ორდერის ფასი;

• **Buy Stop** - პოზიციის გახსნა ყიდვაზე, როც **Ask** გაუტოლდება ორდერის ფასს. განთავსების დროს მიმდინარე ფასი ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე **Buy Stop** ორდერის ფასი;

• **Sell Limit** - პოზიციის გახსნა გაყიდვაზე, როცა **Bid** გაუტოლდება ორდერის ფასს. განთავსების დროს მიმდინარე ფასი ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე **Sell Limit** ორდერის ფასი;

• **Sell Stop** - პოზიციის გახსნა გაყიდვაზე, როცა **Bid** გაუტოლდება ორდერის ფასს. განთავსების დროს მიმდინარე ფასი მეტი უნდა იყოს, ვიდრე **Sell Stop** ორდერის ფასი.

3.8. ორდერთა შესრულება

ფასები ყველა სავაჭრო ოპერაციებისათვის დგინდება ბროკერის მიერ.

სავაჭრო პლათფორმა **MetaTrader4**-ში არსებობს ორდერთა შესრულების სამი სახეობა:

1. დაუყონებლივი შესრულება

ორდერის შესასრულებლად ბროკერისაგან კოტირების მოთხოვნა საჭირო არ არის, რადგანაც თქვენ მას რეალურ დროის რეჟიმში ხედავთ ფანჯარაში **„New order~**. თუ შემოთავაზებული კოტირებები თქვენთვის მისაღებია, მაშინ ღილაკ **„Buy~** ან **„Sell"**-ზე დაჭერით შეგიძლიათ პოზიციის გახსნა ყიდვაზე ან გაყიდვაზე. პოზიციის გახსნის შემდეგ იგი გამოჩნდება ფანჯარაში **„Terminal"** (ჩანართი **„Trade~**).

2. შესრულება მოთხოვნით

საავალუტე წყვილების კოტირებები ფანჯარაში „**Market Watch**“, რომლებიც ივაჭრებიან ტექნოლოგიით „შესრულება მოთხოვნოთ“ არიან ინდიკატურები, ანუ მათით არ შეიძლება ორდერის შესრულება წინასწარი მოთხოვნის გარეშე. ამ შემთხვევაში ფანჯარა „**New order**—ში გაიჩითება დამატებითი ღილაკი – „ღექუესტ“. ღილაკ „ღექუესტ“-ზე დაჭერის შემდეგ ბროკერი შემოგთავაზებთ კოტირებებს ორდერის შესასრულებლად. შემოთავაზებული კოტირება ძალაში იქნება 5 წამის განმავლობაში. ღილაკებზე `**Buy**“ ან „**Sell**“ დაჭერით თქვენ გაგეხსნებათ ახალი პოზიცია შესაბამისად ყიდვაზე ან გაყიდვაზე. პოზიციის გახსნის შემდეგ იგი გამოჩნდება ფანჯარაში „თერმინალ“ (ჩანართი `**Trade**~).

3. საბაზრო შესრულება

ორდერთა შესრულების ეს სახეობა ნიშნავს, რომ ბროკერი თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას ორდერის შესრულების ფასის შესახებ ტრეიდერთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ტრეიდერის მიერ საბაზრო ორდერის გაგზავნა ამ შემთხვევაში გახლავთ ამ მომენტისათვის საუკეთესო ფასის მოთხოვნა.


თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის ორდერის შესრულების თადარიგს კომპანია ადგენს.

3.9. ტრენდი


ტრენდი ეწოდება ფასის აღმავალ ან დაღმავალ ტენდენციას, რომელიც მოიცავს ფასის რყევებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. იგი ხასიათდება უფრო მაღალი მაქსიმუმების და მინიმუმების მკვეთრი თანმიმდევრობით, აღმავალი ტენდენციის დროს (ნახაზი № 3.1.), და უფრო ღრმა მინიმუმებით და მაქსიმუმებით, დაღმავალი ტრენდის დროს (ნახაზი № 3.2.). აღმავალი ტრენდი ძალაშია მანამდე, სანამ არ გაირღვევა წინა მაქსიმუმი და მინიმუმი, ანუ შემ-

დეგი მაქსიმუმი და მინიმუმი იქნებიან წინაზე ქვევით და არა ზევით. ბოლო წარმოადგენს აუცილებელ პირობას აღმაელი ტრენდისათვის. და პირიქით, დაღმაეალი ტენდენცია ჩაითვლება დარღვეულად, თუ შემდეგი მინიმუმი და მაქსიმუმი იქნებიან წინაზე მაღლა.

ნახაზი №3.1.




ნახაზი №3.2.



სავაჭრო დიაპაზონი

ტრენდისგან განსხვავებით, სავაჭრო დიაპაზონი – ჰორიზონტალური ტენდენციაა, რომელშიც მაქსიმუმებისა და მინიმუმების მიმდევრობა დაახლოებით ერთ დონეზეა (ნახაზი №3.3.). სავაჭრო დიაპაზონი ითვლება დარღვეულად, თუ გარღვეულია მისი ზედა ან ქვედა საზღვარი.

ნახაზი №3.3.



3.10. ტრენდის გაბრძელების ფიგურები

სამკუთხედი. ტრენდის გაგრძელების სამკუთხედი ხშირად წარმოშობადი მოდელია და წარმოადგენს წინაღობისა და საყრდენი ხაზების დაეიწროებას.

სამკუთხედები სამნაირია:


1. სიმეტრიული (ან ტოლგვერდა/სპირალი)
2. აღმავალი
3. დაღმავალი

სიმეტრიული სამკუთხედი. სიმეტრიული (ტოლგვერდა) სამკუთხედი/სპირალი – გრაფიკული მოდელია, რომელშიც მაქსიმუმების და მინიმუმების დახრილობა იკრიბება ერთ წერტილში, ანუ ზედა ხაზი ეშვება, ქვედა კი ადის,

იქმნება ფიგურა რომელიც სამკუთხედს გავს. სხვა სიტყვებით, სიმეტრიული სამკუთხედი კლებადი ტრენდის ხაზებით ფორმირდება. ეს ნიშნავს, რომ არც „ხარები“ და არც „დათვები“ დარწმუნებულნი არ არიან ბაზრის შემდგომ მოძრაობაში და ამის გამო ყიდვისა და გაყიდვისათვის ძალისხმევას იშურებენ. ამ ტიპის ფიგურები ხასიათდებიან ტრენდის გაგრძელებით იმ მიმართულებით, საითაც მიდიოდა ფასი მასში შესვლამდე. მაგრამ ფიგურის ხაზის გარღვევის მიმართულებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის ტიპს. სიმეტრიულ სამკუთხედს ასევე ეძახიან კონსოლიდაციის ზონას, რომელიც ძლიერი აკაწრის ან ვარდნის შემდეგ ხდება ხოლმე.

თუ სიმეტრიულ სამკუთხედს პირობითად სამ ტოლ ნაწილად დაეყოფთ, როგორც წესი ფიგურის გარღვევა ხდება ან შუაში, ან ბოლო მესამედ ნაწილში. რაც ახლოს მიდიან წინაღობისა და სარყდენი ხაზები, მით ცხადი ხდება, რომ უახლოს დროში მოხდება რომელიმე გვერდის გარღვევა. გარღვევის შემდეგ სამიზნე მანძილი სამკუთხედის ფუძის ტოლია (A-B) (ნახაზი №3.4.).

ნახაზი № 3.4.



ნახაზ №3.4.-ზე გამოსახულია სიმეტრიული სამკუთხედი. სიმეტრიული სამკუთხედის ქვედა ხაზის გარღვევამ დაადასტურა დაღმავალი ტრენდის გაგრძელება. ასეთ სიმეტრიულ სამკუთხედს ეწოდენა „მართალი". მაგრამ გახსოვდეთ, რომ არსებობენ ცრუ სიგნალებიც და სამკუთხედის ხაზის გარღვევის შემდეგ ფასი მიდის წინა ტენდენციის საპირისპირო მიმართულებით.

აღმავალი სამკუთხედი. ასეთი სამკუთხედი ფორმირებულია შედარებით ჰორიზონტალური წინაღობის(ზედა) ხაზითა და ზევით აშვერილი ქვედა საზღვრისგან(ხაზისგან). ეს ნიშნავს, რომ „ხარები" ვერ ახერხებენ ფასთა დონის გარღვევას, მაგრამ ფასს თანდათანობით ზევით უჯიკებენ, რაც გრაფიკზე კარგად ჩანს – მინიმუმები სულ უფრო მაღლა და მაღლაა. ეს მოდელი ხარებისაა და ჩვეულებრივ ხდება ზედა საზღვრის გარღვევა.

სამკუთხედის ეს ტიპი ხასიათდება აღმავალ ტრენდზე ფორმირებით და სავარაუდო გარღვევის მიმართულებით დახრილობით, ანუ ფიგურიდან ფასი გადის იმ მხარეს, საითაც მიდიოდა ფიგურაში შესვლამდე. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება, რადგანაც წინაღობის დონე იმდენად ძლიერია ხოლმე, რომ „ხარები" ვერ ახერხებენ „დათვების" ზურგზე დაგდებას. ამიტომ მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობისთვის.

№3.5. ნახაზზე გამოსახულია აღმავალი სამკუთხედი. წინაღობის ხაზის გარღვევა ტრენდის მიმართულებით მოხდა, რამაც შემდგომში ფასის მაგრად აკაწრა გამოიწვია.

დაღმავალი სამკუთხედი. დაღმავალი სამკუთხედი – აღმავალი სამკუთხედის შებრუნებული ვარიანტია, ანუ იგი შექმნილია თითქმის სწორი საყრდენი ხაზისა და ქვემოთ დაბრეცილი ზედა საზღვრისაგან. ეს ნიშნავს, რომ „დათვები" ვერ ახერხებენ ფასთა დონის გარღვევას, მაგრამ ფასს თანდათანობით ქვეით აწვებიან, რაც გრაფიკზე კარგად ჩანს – მაქსიმუმები სულ უფრო დაბლა და დაბლაა, ვიდრე ფასი არ გარღვევს ქვედა საზღვარს.

ნახაზი №3.5



ნახაზი №3.6



№3.6 ნახაზზე ვხედავთ, რომ ფასი ნელ-ნელა აფორმირებს დაღმავალ მაქსიმუმებს, რაც იმაზე მეტყველებს რომ „დათვები“ იწყებენ „ხარების“ დაჯაბნას.


სამკუთხედის ეს ტიპი ხასიათდება დაღმავალ ტრენდზე ფორმირებით და საკარაუდო გარღვევის მიმართულებით დახრილობით, ანუ ფიგურიდან ფასი გადის იმ მხარეს, საითაც მიდიოდა ფიგურაში შესვლამდე. მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება, რადგანაც საყრდენი დონე ძლიერია ხოლმე.

დაღმავალი სამკუთხედის ფორმირება აღმავალ ტრენდზე, პოტენციური შემობრუნების მომასწავებელია.

დროშა – ტრენდის გაგრძელების ყველაზე საიმედო მოდელია, რომელიც ძლიერი მოძრაობის შემდეგ მოკლევადიანი კონსოლიდაციის ფაზის დროს ფორმირდება. სხვა სიტყვებით, დროშა წარმოადგენს პაუზას მკვეთრი მოძრაობების შემდეგ, როცა ბაზარს დასვენება ჭირდება. ამ დროს „ხარები“ ან „დათვები“ აფიქსირებენ თავიანთი მოგების ნაწილს, მაგრამ რადგანაც ამას არაერთდროულად შეებიან, ფორმირდება მეორე მხარეს მიმართული ხანმოკლე ტენდენცია.

ეს ფიგურა ხასიათდება იმ მხარეს დახრილობით, რაც წინ უძღოდა მის ფორმირებას. დროშის ხაზის გარღვევა ზევით ან ქვევით ადასტურებს შესაბამისად აღმავალი ან დაღმავალი ტრენდის გაგრძელებას.

ნახაზი №3.7.




№3.7 ნახაზზე მოყვანილია დროშების მაგალითები და ჩანს, რომ დროშის ქვედა საზის გარღვევამ გამოიწვია დაღმავალი ტრენდი. შედეგად, დროშა პაუზად მოგვეელინა კბილანას ფორმირებამდე. ფიგურის ზედა ხაზის გარღვევა გრაფიკის შუაში გახდა ტრენდის შემობრუნების სიგნალი.

ალამი. ალამი ასევე მოკლევადიანი კონსოლიდაციის ფაზაა ტრენდის შიგნით. ეს ფიგურა, ისევე როგორც დროშა, ძლიერ ტრენდებზე იჩითება, მკვეთრი, ძლიერი მოძრაობის შემდეგ. ალამი წარმოადგენს მეორე მხარეს მიმართულ ხანმოკლე ტენდენციას, მაგრამ აქ კორექციაზე საუბარი არ არის.

ალამი დროშისგან განსხვავდება დახრილი ხაზებით, მაშინ როცა დროშის საზღვრები ერთმანეთის პარალელურია. ალამი სამკუთხედის მსგავსი ფიგურაა, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სამკუთხედის ფორმირებისათვის ბევრად მეტი დროა საჭირო.

ნახაზი №3.8.




როგორც №3.8. ნახაზიდან ჩანს ალამი მიმართულია ძირითადი ტენდენციის საწინააღდეგო მხარეს. მაგრამ ამ ფიგურის დახრილობის მიმართულებას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. გაცილებით მნიშვნელოვანია გარღვევის მიმართულება. აღსანიშნავია, რომ ალამი შეიძლება ტრენდის შემობრუნების ფიგურაც გახდეს. ასეთი ალმის მაგალითი მოცემულია ნახატზე.

მართკუთხედი. მართკუთხედი – ბაზრის მდგომარეობაა, როდესაც ფასი მოთავსებულია წინაღობის და საყრდენ

პარალელურ ხაზებს შორის. მაქსიმუმები და მინიმუმები ამ შემთხვევაში ჰორიზონტალურია. დროშისგან განსხვავებით, მართკუთხედები უფრო ხანგრძლივი კონსოლიდაციის ზონებია, ძლიერი ტრენდის შემდეგ, ხოლო ფასი ფიგურიდან გადის იმ მხარეს, საითაც მიდიოდა ფიგურაში შესვლამდე. (იხ. ნახაზი №3.9.).

ნახაზი №3.9.



სამკუთხედის შემთხვევაში, „ხარები" ან „დათვები" აფიქსირებენ მოგების ნაწილს (კეტავენ პოზიციებს) მაქსიმუმის ან მინიმუმის მიღწევის დროს, ამიტომ ხდება ფასის უკუსვლა, მაგრამ საყრდენი და წინაღობის ხაზები ფასს საზღვრების გარეთ გასვლის საშუალებას არ აძლევენ. როცა შემდგომი მოძრაობისათვის ბაზარი ძალებს მოიკრებს, ხდება გარღვევა და ბაზარი მოძრაობს იქით, საითაც მიდიოდა მართკუთხედში შესვლამდე.


3.11. ტრენდის შემობრუნების ფიგურები

თავი და მხრები. „თავი და მხრები" - ყველაზე საიმედო და ცნობილი გრაფიკული მოდელია, რომელიც შედგება სამი კენწეროსაგან: მარცხენა მხარი, თავი და მარჯვენა მხარი. ამ ფიგურამ ეს სახელწოდება მიიღო ადამიანის ფიგ-

ურასთან მსგავსების გამო. მთავარი განსხვავება „სამმაგი პიკისაგან“ (იხ.ქვევით) ისაა, შუა კენწერო დანარჩენ ორ ცალზე მაღალია, ანუ ამ ფიგურის ყველაზე მაღალი წერტილია. „თავი და მხრები“ დასრულებულად ითვლება, როცა გაირღვევა მისი კისრის ხაზი.

ვნახოთ, როგორ ფორმირდება ეს ფიგურა აღმავალი ტრენდის მაგალითზე. როგორც ვხედავთ, აღმავალი ტრენდი ხასიათდება მაქსიმუმებისა და მინიმუმების მიმდევრობით, თანაც ყოველი შემდეგი მაქსიმუმი და მინიმუმი წინაზე მაღლაა. ფასი ადის მორიგ მაქსიმუმამდე და შემდეგ ხდება უკუსელა. ამის შემდეგ ფასი აღწევს ახალ მაქსიმუმს, მაგრამ შემდგომი კორექციის გამო ვერ ახერხებს უფრო მაღალი მაქსიმუმის ფორმირებას, და ჩამოდის დაახლოებით წინა მინიმუმის დონეზე, რითაც იკეთებს კისრის ხაზს. მიზეზი მარტივია: „ხარები“ იმდენად ვერ არიან ღონეზე, რომ ფასს ზევით უბიძგონ. „ხართა“ ამოქაჩვის შემდეგი მცელობა ასევე უშედეგოა და კეთდება მარჯვენა მხარი, შემდგომი დაშვება არღვევს კისრის ხაზს.

ნახაზი №3.10.



№3.10 ნახაზზე ნაჩვენებია „თავი და მხრების“ კლასიკური მაგალითი, საიდანაც ვხედავთ აღმავალ ტენდენციას, რომელიც აღწევს ახალ მაქსიმუმს A წერტილში. შემდეგ

მოდის დაშვება B წერტილამდე, შემდეგ მორიგი აწევა C წერტილამდე, რის შემდეგაც ფასი ეცემა D წერტილამდე, ქმნის კისრის ხაზს B-D. ფასის დაშვება წინა A მაქსიმუმის ქვეშ აღმავალი ტრენდის დარღვევაზე მეტყველებს. შემდეგ ხდება აწევა E წერტილამდე, რის შემდეგაც ხდება B-D კისრის ხაზის გარღვევა F წერტილამდე. როგორც წესი, ამის შემდეგ ხდება ფასის აწევა კისრის ხაზამდე, რომელიც წინაღობად გადაიქცა. აი ასე ფორმირდება კლასიკური ფიგურა „თავი და მხრები".

გადმობრუნებული ფიგურა „თავი და მხრები" უკუ-სცენარით ფორმირდება.

ნახაზი №3.11.



№3.11 ნახაზზე ნაჩვენებია გადმობრუნებული ფიგურა „თავი და მხრების" მაგალითი.

ორმაგი პიკი - ტენდენციის შემობრუნების მოდელია, რომელიც ორი პიკისაგან შედგება, რაც ასო `M~-ს მოგვაგონებს. ჩვეულებრივ, იგი ფორმირდება ხანგრძლივი აღმავალი ტრენდის შემდეგ. ამ ფიგურის პიკები ქმნიან ორ მაქსიმუმიან დონეს, რომლიც გარღვეასაც ფასი ვერ ახერხებს, რის შემდეგაც ხდება ტრენდის შემობრუნება. ორმაგი პიკი დასრულებულად ითელება, როცა ფასი ეშვება


ლოკალური მინიმუმის ქვევით. №3.12 ნახაზზე ნაჩვენებია ორმაგი პიკის მაგალითი.

ნახაზი №3.12.




ორმაგი ძირი - არის შემობრუნების ფიგურა, რომელიც ორი მინიმუმისაგან შედგება, რაც ასო „ჯ“-ს მოგვაგონებს. ეს ფიგურა წააგავს გადმობრუნებულ „თავსა და მხრებს“, მაგრამ თავი არა აქვს. იგი ფორმირდება დაღმავალ ტრენდზე. დგება მომენტი, როცა ფასი მიაღწევს გარკვეულ დონეს და ვერ ახერხებს მის გარღვევას, შემდეგ ხდება იგივე დონის ხელმეორე ტესტირება, მაგრამ „დათვების“ მიერ ბაზრის კონტროლის დაკარგვის გამო ხდება ტრენდის შებრუნება. ორმაგი ძირი ითვლება დასრულებულად, როცა ფასი აიწევს ლოკალური მაქსიმუმის მაღლა. ნახ. 3.13-ზე ნაჩვენებია ასეთი ფიგურის მაგალითი.

ნახაზი №3.13.



სამმაგი პიკი ტენდენციის შემობრუნების მოდელია, რომელიც სამი პიკისაგან შედგება. ჩვეულებრივ, იგი ფორმირდება ხანგრძლივი აღმავალი ტრენდის შემდეგ. ამ ფიგურის პიკები ქმნიან სამ მაქსიმუმიან დონეს, რომლებიც თითქმის ერთ დონეზე მდებარეობენ და რომლიც გარღვეესაც ფასი ვერ ახერხებს, რის შემდეგაც ხდება ტრენდის შემობრუნება. სამმაგი პიკი დასრულებულად ითვლება, როცა ფასი ეშვება ლოკალური მინიმუმის ქვევით. №3.14 ნახაზზე ნაჩვენებია სამმაგი პიკის მაგალითი.


ნახაზი №3.14.



სამმაგი ძირი - არის შემობრუნების ფიგურა, რომელიც სამი მინიმუმისგან შედგება. ეს ფიგურა წააგავს გადმო-

ბრუნებულ „თავსა და მხრებს“, მაგრამ მას სამივე მინიმუმი დაახლოებით ერთ დონეზე აქვს. იგი ფორმირდება დაღმავალ ტრენდზე. დგება მომენტი, როცა ფასი მიაღწევს გარკვეულ დონეს და ვერ ახერხებს მის გარღვევას, შემდეგ ხდება იგივე დონის ხელმეორე ტესტირება, მაგრამ უშედეგო მცდელობის შემდეგ ხდება ტრენდის შებრუნება. სამმაგი ძირი ითვლება დასრულებულად, როცა ფასი აიწევს ლოკალური მაქსიმუმის მაღლა. №3.15 ნახაზზე ნაჩვენებია ასეთი ფიგურის მაგალითი.

ნახაზი №3.15




V-პიკი – ტენდენციის შემობრუნების მოდელია, რომელიც ვეებერთელა პიკს წარმოადგენს. ასეთი ფიგურის მაგალითი ნაჩვენებია №3.16 ნახაზზე.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ბაზარზე იყო გრძელვადიანი აღმავალი ტრენდი. მაგრამ ყველა ტრენდი ადრე თუ გვიან მთავრდება. V-პიკი „დათვების“ „ხარებზე“ ნანატრი გამარჯვების დასტურია, რის შედეგადაც ბაზარმა შეიცვალა გრძელვადიანი ტენდენციის მიმართულება.

V-ძირი – ტენდენციის შემობრუნების მოდელია, რომელიც ვეებერთელა ღრმულს წარმოადგენს. ასეთი ფიგურის მაგალითი ნაჩვენებია №3.17 ნახაზზე

ნახაზი №3.16.




ნახაზი №3.17.




ნახაზიდან ჩანს, რომ 1985 წლის თებერვლის შუამდე ბაზარზე გექონდა გრძელვადიანი დაღმავალი ტრენდი. მაგრამ V-ძირით მოხდა ტრენდის შეტრიალება, ანუ „ხარების“ გამარჯვება „დათვებზე“.

მრგვალი პიკები და ორმოები. მრგვალი პიკები მაშინ იქმ-

ნახაზი №3.18.



ნახაზი №3.19.




ნება, როცა „ხარები“ თანდათანობით ერიდებიან ყიდვებს, ანუ აგრესიულად ფასს არ წევენ ზევით, ხოლო „დათვები“ დიდად არ ინდომებენ გაყიდვების ამბავში. მრგვალ ღრმულებში სიტუაცია საპირისპიროა – „დათვები“ ნელნელა ქრებიან, ხოლო „ხარები“ ჯერ აგრესიულები არ არ-

იან. ამ მოდელთა მაგალითები ნაჩვენებია №3.18 ნახაზზე.

რომბი. ამ მოდელმა სახელი მიიღო ფიგურა რომბთან მსგავსების გამო. გრაფიკებზე იგი გეომეტრიული აგების თვალსაზრისით იდეალური ვერაა. როგორც წესი, „რომბი“ ტენდენციის შემობრუნების ფიგურაა. მაგრამ თუ „რომბის“ ხაზის გარღვევის შემდეგ ფასი ფიგურის შიგნით შებრუნდება, ე.ი. რაღაც ისე არ ხდება და ჯობია პოზიციის დაკეტვა. „რომბის“ მაგალითი ნაჩვენებია №3.19 ნახაზზე.

ფინჯანი. ეს ფიგურა იშვიათად ფიქსირდება, მაგრამ მის მიერ მოწოდებული სიგნალების ცოდნა სასარგებლოა. ეს ფიგურა წააგავს „მრგვალი ორმოს“ მოდელს. მაგრამ მისგან განსხვავებით „ფინჯანი“ იჩითება ტრენდის შუაში. მოვიყვანოთ „ფინჯანის“ მაგალითი აღმავალ ტრენდზე. ფასი იზრდება, მაგრამ გარკვეულ მომენტში ბაზარს დასვენება ჭირდება და აკეთებს კორექციას: ვაჭრობის მოცულობა მკვეთრად კლებულობს, მას შემდეგ რაც „ხარებმა“ დაისვენეს, ისინი აძლიერებენ მიწოლას და ფასი ადის ახალ მაქსიმუმზე. ამის შემდეგ ხდება კორექცია, მაგრამ იმის გამო, რომ „დათვები“ დარწმუნებულნი არ არიან რომ ფასმა მიაღწია უკიდურეს დონეს, ისინი აგრესიულად არ ყიდიან. „ფინჯანის“ მაგალითი ნაჩვენებია №3.20 ნახაზზე.

ნახაზი №3.20



თავი 4.
ფუნდამენტალური ანალიზი და მისი მეთოდები

4.1. ფუნდამენტალური ანალიზის არსი

ფუნდამენტალური ანალიზი არის ფასის მოძრაობის პროგნოზირების მეთოდები, დაფუძნებული ფინანსურ და სამრეწველო მაჩვენებლების ანალიზზე.

ფუნდამენტალური ფაქტორები ახდენენ მნიშვნელოვან ზეგავლენას, მაგრამ ისინი არ იძლევიან ფასის მოძრაობის ასპროცენტიან გარანტიას. პოზიციის გახსნამდე აუცილებელია ბაზარზე არსებული ტენდენციების შესწავლა, და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელ მხარეს გაიხსნას პოზიცია.

ფინანსურ ბაზრებზე მუშაობისას ანალიზის ორ სახეობას იყენებენ – ტექნიკურს და ფუნდამენტალურს. ანალიზის ორივე სახეობა ცდილობს განჭვრიტოს ფასის შემდგომი მოძრაობა. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფუნდამენტალური ანალიზი ბაზარს უყურებს ეკონომიკის ფუნქციონირების თვალსაზრისიდან, ხოლო ტექნიკური თვით ბაზრის ფუნქციონირების თვალსაზრისიდან.

ფუნდამენტალური ანალიზის სკოლა გამოყენებით ეკონომიკურ მეცნიერებასთან ერთად შეიქმნა. მას საფუძვლად დაედო საზოგადოების მაკროეკონომიკური ცხოვრების ცოდნა და მისი ზეგავლენა კონკრეტული საქონლის ფასის დინამიკაზე. ფუნდამენტალური ანალიზის სკოლის მთავარი ამოცანა - ახალი ტრენდების განჭვრეტაა, შესაბამისად, ფუნდამენტალური ანალიზის დანიშნულება - ფუნდამენტალური ფაქტორების ანალიზი და პროგნოზია და მათი ზეგავლენის შესწავლა ფასთა ტრენდულ დინამიკაზე.

სტრატეგიული ინვესტორები, რომლებიც ახორციელებენ გრძელვადიან ინვესტირებას, ძირითად ყურადღებას აქცევენ ფუნდამენტალურ ანალიზს და უგულებელყოფენ მოკლევადიან ფასთა ტექნიკურ რყევებს. ფუნდამენტალური ანალიზი, პირველ რიგში, ითვალისწინებს სავალუტო კურსების რხევადობას. ამიტომ მიზანშეწონილია განვიხილოთ სავალუტო კურსის არსი, სახეები და კურსის ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორები.

4.2. სავალუტო კურსის არსი და სახეები

სავალუტო კურსი არის ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი (კოტირება), გამოსახული მეორე ქვეყნის ვალუტაში, ძვირფას მეტალებში, ფასიან ქაღალდებში.

ანსხვავებენ სავალუტო კურსების ისეთ სახეობებს, როგორებიცაა:

1) რეგულირების მიხედვით:

- **ფიქსირებული სავალუტო კურსი;**
- **ცვალებადი სავალუტო კურსი** - ცანცარებს დერეფნის ფარგლებში;
- **მცურავი კურსი,** რომელიც იცვლება საბაზრო მოთხოვნა-მოწოდების შესაბამისად;

2) ბაზრის სახეობების მიხედვით:

- **მიმდინარე SPOT კურსი (TOD i TOM);**
- **ფორვარდული კურსი;**
- **ფიუჩერსული კურსი;**
- **საბაზრო სავაჭრო საშუალო შეწონილი კურსი.**

გარეგნულად, სავალუტო კურსი გვეელინება, როგორც ერთი ვალუტის მეორეში გადაყვანის კოეფიციენტი. მაგრამ სავალუტო კურსის ღირებულებით საფუძველს წარმოადგენს ვალუტის მსყიდველუნარიანობა, გამოსახავს რა საშუალო ეროვნულ ფასთა დონეებს საქონელზე, მომსახურებებზე,

ინვესტიციებზე. ეს ეკონომიკური კატეგორია გამოხატავს წარმოებით შეფარდებას მწარმოებლებსა და მსოფლიო ბაზარს შორის. რადგანაც ღირებულება წარმოადგენს წარმოების ეკონომიკური პირობების საყოველთაო გამოხატულებას, ამიტომ სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ერთეულების შედარებითობა დაფუძნებულია ღირებულებით თანაფარდობაზე, რომელიც იქმნება წარმოებისა და გაცვლის პროცესში. მწარმოებლები და მყიდველები სავალუტო კურსის მეშვეობით ეროვნულ ფასებს სხვა ქვეყნების ფასებს ადარებენ. როგორც არ უნდა გამრუდდეს ღირებულების კანონის მოქმედება, სავალუტო კურსი ემორჩილება მის მოქმედებას, ასახავს ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკების ურთიერთკავშირს, სადაც მყარდება ვალუტების რეალური საკურსო თანაფარდობა.

საქონლის გაყიდვისას მსოფლიო ბაზარზე, ეროვნული შრომის პროდუქტი ნახულობს საყოველთაო აღიარებას ინტერნაციონალური ღირებულების ზომის საფუძველზე. ამით სავალუტო კურსი ხელს უწყობს საქონელთა აბსოლიტურ გაცვლადობას მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში. სავალუტო კურსის ღირებულებითი საფუძველი განპირობებულია იმით, რომ წარმოების ინტერნაციონალური ფასი ბაზირდება ქვეყნებში წარმოების ეროვნულ ფასებზე, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე საქონლის ძირითადი მიმწოდებლები არიან.

რისთვის არის საჭირო სავალუტო კურსი?

საავალუტო კურსი საჭიროა:

• საქონლით ვაჭრობისას ვალუტების ურთიერთგაცვლისათვის, მომსახურებების, კაპიტალის და კრედიტების მოძრაობებისთვის. ექსპორტიორი ცვლის მიღებულ უცხოურ ვალუტას ეროვნულზე, რადგანაც სხვა ქვეყნის ვალუტები არ არიან კანონიერი საგადასახადო საშუალება მოცემულ ქვეყანაში. იმპორტიორი ცვლის ეროვნულ ვალუტას უცხოურზე საზღვარგარეთ ნაყიდი საქონლის საფასურის

გადასახდელად. ძვალე ეროვნულით ყიდულობს უცხოურ ვალუტას ვალის დასაფარად და ვალის პროცენტების გასასტუმრებლად;

• მსოფლიო და ეროვნული ბაზრების ფასების შედარებისთვის, ასევე სხვადასხვა ქვეყნების ღირებულებითი მაჩვენებლებისთვის;

• ფირმებისა და ბანკების მიერ ანგარიშთა პერიოდული გადაფასებისათვის უცხოურ ვალუტაში.

ეროვნული გაცვლითი კურსის განსაზღვრის მექანიზმი სავალუტო ბაზარზე გახლავთ სახელმწიფოს რეგლამენტირებული მონაწილეობის წილი და სახელად ჰქვია სავალუტო გაცვლის რეჟიმი. არსებობს კურსწარმოქმნის ადმინისტრატიული და საბაზრო რეჟიმები.

ადმინისტრატიული რეჟიმი გამოდის სავალუტო კურსების მრავალობითი ფორმის სახით, ანუ არსებობს დიფერენცირებული კურსული თანაფარდობები სხვადასხვა ოპერაციების მიმართ. ადმინისტრატიული რეჟიმი გამოიყენება ეკონომიკის კრიზისის დროს, როგორც მასტაბილიზებელი ღონისძიება ინფლაციის დონის შესამცირებლად და ოქროსავალუტე რეზერვების დასაგროვებლად. ადმინისტრატიული რეჟიმის შემოღება — დროებითი ნაბიჯია ეკონომიკური სიტუაციის მოწესრიგების გზაზე ქვეყანაში და კურსწარმოქმნის საბაზრო პირობებზე გადასვლისკენ. პირველად ასეთი რეჟიმი გამოიყენეს 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს.

კურსწარმოქმნის საბაზრო რეჟიმი იყოფა სამ ეტაპად:

1. **ფიქსირებული რეჟიმი** — როდესაც ქვეყნებს ფიქსირებული კურსები აქვთ. ასეთი ქვეყნები აფიქსირებენ თავიანთი ვალუტის ღირებულებას მცირე ან ნულოვანი გადახრებით. ეტალონორი ვალუტები, რომლებთანაც მიბმულია ეროვნული ვალუტები არიან აშშ დოლარი და ევრო.

2. **რეჟიმი, რომლის დროსაც ქვეყნებს აქვთ კურსების შეზღუდული მოქნილობა.** ანუ ეს ისეთი რეჟიმია, როცა

ოფიციალურად დგინდება ვალუტებს შორის თანაფარდობები, რომლებიც უშვებენ კურსის მცირე რყევებს შესაბამისი წესების მიხედვით. ამ რიგის რეგულირებას მიეკუთვნება სავალუტე დერეფნის რეჟიმი — როდესაც დგინდება ეროვნული ვალუტის კურსის რყევის დიაპაზონი, სავალუტე-ფინანსური სისტემის სტაბილიზაციის მიზნით.

3. **მეტი მოქნილობის რეჟიმი.** ვალუტების კურსები თავისუფლად მოძრაობენ მოთხოვნა-მოწოდების ფაქტორთა ზეგავლენით. ამ რეჟიმს აქვს ქვეკატეგორიები:

თავისუფლად მცურავი კურსი (ფრეელყ ფლუცტუატინგ);

მართულად მცურავი კურსი (მანაგედ ფლუცტუატინგ);

კურსი, რომელიც პერიოდულად კორექტირდება.

4.3. სავალუტო კურსზე მოქმედი ფაქტორები

ისევე როგორც ყველა ფასი, სავალუტო კურსიც იხრება ვალუტაზე მოთხოვნა-მოწოდების ზეგავლენით. ამ მთხოვნისა და მოწოდების თანაფარდობა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. სავალუტო კურსის მრავალფაქტორულობა ასახავს მის კავშირს სხვა ეკონომიკურ კატეგორიებთან - ღირებულება, ფასი, ფული, პროცენტი, საგადასახადო ბალანსი და ა.შ. ხდება მათი რთული გადახლართვა და გადამწყვეტად იკვეთება ხან ერთი, ხან მეორე ფაქტორი. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგები:

1. **ინფლაციის ტემპი.** ვალუტის ფარდობა მის მსიდეელუნარიანობასთან, ასახავს ღირებულების კანონის მოქმედებას, წარმოადგენს თავისებურ სავალუტე კურსის ღერძს. სავალუტე კურსზე მოქმედებს ინფლაციის ტემპი. სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში, ქვეყანაში ინფლაციის დონე უკუპროპორციულად მოქმედებს ეროვნული ვალუტის კურსზე, ანუ ინფლაციის მატება იწვევს ეროვნული ვალუტის

კურსის შემცირება და პირიქით. ფულის ინფლაციური გაუფასურება იწვევს მსყიდველუნარიანობის შემცირებას და კურსის ვარდნას იმ ვალუტების მიმართ, სადაც ინფლაციის ტემპი დაბალია.

2. საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა. საგადასახადო ბალანსი უშუალოდ მოქმედებს ვაკუტის კურსის სიდიდეზე. აქტიური საგადასახადო ბალანსი ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის კურსის აწევას, რადგანაც იზრდება მასზე მოთხოვნა უცხოელი დებიტორთა მხრიდან. პასიური საგადასახადო ბალანსი იწვევს ეროვნული ვალუტის ვარდნის ტენდენციას, რადგანაც აღგილობრივი მევალეები ცდილობენ მის გაყიდვას თავიანთი ვალდებულებების დასაფარად. სავალუტე კურსზე საგადასახადო ბალანსის ზეგავლენის ზომები განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობის ხარისხით. რაც მეტია ექსპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, მით მეტია სავალუტე კურსის ელასტიურობა საგადასახადო ბალანსის ცვლილების მიმართ. ამის გარდა, სავალუტე კურსზე მოქმედებს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა საგადასახადო ბალანსის შემადგენელი ნაწილების რეგულირების სფეროში: მიმდინარე ანგარიშები და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშები. სავაჭრო ბალანსის მდგომარეობაზე მოქმედებს ბაჟის ცვლილება, იმპორტის შეზღუდვა, სავაჭრო კვოტები, სუბსიდიები ექსპორტზე და ა.შ. სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს ზრდისას იზრდება ქვეყნის ვალუტაზე მოთხოვნა, რაც ხელს უწყობს მისი კურსის ზრდას, ხოლო უარყოფითი სალდოს დროს ხდება უკუ პროცესი. მოკლევადიანი და გრძელვადიანი კაპიტალის მოძრაობა დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთების დონეზე, შეზღუდვებით ან წახალისებით კაპიტალის შემოდინებაზე და გადინებაზე. კაპიტალის მოძრაობის ბალანსის სალდო ახდებს გარკვეულ ზეგავლენას ეროვნული ვალუტის კურსზე, ანალოგიურად როგორც სავაჭრო ბალანსი. თუმცა ქვეყანაში ნამეტანი ბევრი მოკლევადიანი კაპი-

ტალის შემოდინებაც არ ვარგა, რადგანაც მან შეიძლება მოაჭარბოს ფულადი მასა, რამაც თვის მხრივ გამოიწვიოს ფასთა მატება და ვალუტის გაუფასურება.

3. საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა. ამ ფაქტორის ზეგავლენა სავალუტე კურსებზე აიხსნება ორი გარემოებით. პირველ რიგში, ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მოქმედებს საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობაზე. პრინციპში საპროცენტო განაკვეთის აწევა სტიმულირებს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინებას, ხოლო მისი დაწევა - კაპიტალის გადინებას საზღვარგარეთ. კაპიტალთა მოძრაობა, განსაკუთრებით კი სპეკულაციური "ცხელი" ფულისა, საგადასახადო ბალანსების არასტაბილურობას აძლიერებს. მეორეც, საპროცენტო განაკვეთები მოქმედებენ სავალუტე ბაზრის ოპერაციებსა და ნასესხები კაპიტალის ბაზრებზე. ოპერაციების ჩატარებისას ბანკები ყურადღებას აქცევენ ქვეყნებს შორის საპროცენტო განაკვეთების სხვაობას მოგების ამოღების მიზნით. ისინი უპირატესობას ანიჭებენ იაფი კრედიტის შოვნას სადაც განაკვეთები დაბალია, და განათავსებენ უცხოური ვალუტას იქ სადაც საპროცენტო განაკვეთები მაღალია.

მეორე მხრივ, ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთების ნომინალური ზრდა იწვევს ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის კლებას, რადგანაც მწარმოებლებისთვის კრედიტის აღება ძვირდება. აღების შემდეგ ისისნი ზრდიან თვიანთი პროდუქციის თვითღირებულებას, რაც თავის მხრივ იწვევს ქვეყანაში საქონელზე ფასების ზრდას.

4. სავალუტო ბაზრების მოლოდინები და სპეკულაციური სავალუტო ოპერაციები. თუ რომელიმე ვალუტის კურსს აქვს ვარდნის ტენდენცია, მაშინ ფირმები და ბანკები დროულად ყიდიან მას უფრო მდგრად ვალუტაზე, რაც კიდევ უფრო აუარესებს შესუსტებული ვალუტის პოზიციებს. სავალუტე ბაზრები სწრაფად რეაგირებენ ეკონომიკის და პოლიტიკის ცვლილებებზე.

5. ვალუტის მიმართ ნდობა ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებზე. იგი განისაზღვრება ეკონომიკის მდგომარეობით და ქვეყანაში პოლიტიკური ვითარებით, ასევე ზემოთ განხილული ფაქტორებით. დილერები ითვალისწინებენ არამხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპს, ინფლაციას, ვალუტის მსყიდველუნარიანობას, არამედ მათ პერსპექტივას და დინამიკასაც. ხანდახან ოფიციალური მონაცემების პუბლიკაციის მოლოდინი გაელენას ახდენს ვალუტის მოთხოვნა-მოწოდების თანაფარდობაზე. ხანდახან ბაზარზე ხდება პრიორიტეთა ცელილება პოლიტიკური ამბების სასარგებლოდ, მინისტრთა გადადგომის ჭორებზე და ა.შ.

6. სავალუტო პოლიტიკა. სავალუტო კურსის საბაზრო და სახელმწიფო რეგულირება მოქმედებს მის დინამიკაზე. სავალუტო ბაზარზე კურსის ფორმირებას მოთხოვნა-მოწოდების მექანიზმით ჩვეულებრივ თან ახლავს კურსების მკვეთრი რყევები. ბაზარზე მიიღება რალური სავალუტე კურსი — ეკონომიკის მდგომარეობის მაჩვენებელი, ფულადი მიმიქცევის, ფინანსების, კრედიტების და ვალუტის მიმართ ნდობის მაჩვენებელი. სავალუტე კურსის სახელმწიფო რეგულირება მიმართულია მისი აწევის ან დაწევისაკენ სავალუტე-ეკონომიკური ამოცანებიდან გამომდინარე. ამ მიზნით ტარდება განსაზღვრული სავალუტე პოლიტიკა.

7. ეროვნული შემოსავალი არ არის დამოუკიდებელი შემადგენელი, რომელიც თვითონ შეიცვლება. მაგრამ ჯამში ის ფაქტორები, რომლებიც ცვლიან ეროვნულ შემოსავალს, აქვთ დიდი ზეგავლენა სავალუტე კურსზე. პროდუქტების მოწოდების ზრდა ზრდის ვალუტის კურსს, ხოლო შიდა მოთხოვნის მატება ამცირებს მის კურსს. გრძელვადიან პერიოდში მაღალი ეროვნული შემოსავალი ნიშნავს ქვეყნის ვალუტის მაღალ ღირებულებას.

8. კონიუნქტურული ფაქტორები. ამ ფაქტორებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეცვალონ ეროვნული კურსის სიდიდე მოკლევადიან პერიოდში. ეკონომიკის განვითარების

პერსპექტივის საყოველთაო მოლოდინი, საბიუჯეტო და გარესავაჭრო დეფიციტების ცვლილებები უშუალოდ მოქმედებენ საკალუტო კურსზე. ამის გარდა, საკალუტო ბაზრის მონაწილეების მოლოდინები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საკალუტო კურსის სიდიდეზე. მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყანაში საქმიანი აქტივობის სეზონური პიკები და ვარდნები.

4.4. ეკონომიკური ციკლები

ფუნდამენტალური ანალიზის დროს აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ეკონომიკური ციკლები.

ეკონომიკური ციკლები - საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში რეგულარულად განმეორებადი პერიოდებია. ეკონომიკური ზრდის ზოგად ტენდენციას თან ახლავს ეკონომიკური აქტივობის პერიოდული რყევები: წარმოების მოცულობის შემცირება და გაფართოება, ინვესტიციების, შემოსავალთა დონის, დასაქმების, ფასების, საპროცენტო განაკვეთების, ფასიანი ქაღალდების ღირებულებათა კლება და ზრდა.

ეკონომიკური აქტივობის ციკლი შედგება ოთხი ფაზისგან:

- ვარდნა,
- ძირი,
- აღმასვლა
- პიკი.

აღმასვლა. ციკლის ქვედა წერტილის მიღწევის შემდეგ იწყება აღმასვლის ფაზა, რომელიც ხასიათდება დასაქმებისა და წარმოების ზრდით. ბევრი ეკონომისტი თვლის, რომ ამ სტადიას ახლავს ინფლაციის მცირე დონე, ვიდრე ეკონომიკა არ ამუშავდება სრული სიმძლავრით, ანუ ვიდრე არ მიაღწევს პიკს.

პიკი, ანუ საქმიანი აქტივობის ციკლის კენწერო,

წაროადგენს ეკონომიკური აღმასვლის „უმაღლეს წერტილს“. ამ წერტილში უმუშევრობა თეორიულად აღწევს ყველაზე დაბალ დონეს, ხოლო ეკონომიკა ფუნქციონირებს მაქსიმალური დატვირთვით, ანუ წარმოებაში ამოქმედებულია ქვეყანაში არსებული ყველა კაპიტალური და მუშა რესურსები. როგორც წესი, პიკის დროს მატულობს ინფლაციური ზეწოლა.

ვარდნა ეწოდება წარმოების მოცულობებისა და საქმიანი აქტივობის შემცირების პერიოდს. ვარდნა ხასიათდება უმუშევრობის დონის ზრდით. ეკონომისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ოფიციალურად ვარდნა ანუ რეცესიად ითვლება საქმიანი აქტივობის ისეთი ვარდნა, რომელიც 6 თვე მაინც გრძელდება.

ძირი. ეკონომიკური ციკლის ძირი არის წარმოებისა და დასაქმების „უმდაბლესი დონე“. ითვლება, რომ ძირის მიღწევა ვარდნის მალე დამთავრებას მოასწავებს, რადგანაც ციკლის ეს ფაზა ხანგრძლივი არ არის ხოლმე. მაგრამ ისტორიას ახსოვს გამონაკლისებიც. 1930-იანი წლების დიდი დეპრესია, საქმიანი აქტივობის პერიოდული რყევის მიუხედავად თითქმის ათი წელი გრძელდებოდა.

გრძელი ციკლები ეკონომიკური ციკლები 10 ან მეტი წლის ხანგრძლივობით. ხანდახან თავიანთი მკვლევარების სახელები ქვიათ., მაგალითად:

- **საინვესტიციო ციკლები** (7-11 წელი) შეისწავლა ჩლემენტ ჟუგლარმა;
- **ინფრასტრუქტურული საინვესტიციო ციკლები** (15-25 წელი) შეისწავლა ნობელის ლაურიატმა საიმონ კუზნეცმა;
- **კონდრატიევის ციკლები** (45-60 წელი) აღწერა რუსმა ეკონომისტმა ნიკოლოზ კონდრატიევმა;
- **ფორესტერის ციკლები** (200 წელი) აღწერა ამერიკელმა ინჟინერმა ჯეი ფორესტერმა.

ეკონომიკური აქტივობის ციკლები სხვადასხვანაირებია და განსხვაედებიან თავიანთი ხანგრძლივობით, ცალკეუ-

ლი ფაზების ხანგრძლივობით, მაქსიმუმის სიმაღლითა და მინიმუმის სიღრმით. თანამედროვე პირობებში აღინიშნება ციკლური და საქმიანი აქტივობის რყევების სიგლუვე. გრძელდება შუალედები კრიზისებს შორის, მცირდება მათი სიღრმეები და დამანგრეველი ძალა. კრიზისის ნაცვლად ჩნდება ვარდნის მსუბუქი ფორმა - **რეცესია.**

ითვლება, რომ საქმიანი აქტივობის ცვლილება პირდაპირ ან ირიბად კავშირშია ეკონომიკურ ციკლთან. არსებობს ეკონომიკის მდგომარეობაზე მოქმედი სხვა ფაქტორებიც. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სეზონური რყევები და ხანგრძლივი ტენდენციები. საუკუნეობრივი ტენდენციები განსაზღვრავენ ეკონომიკური ტემპის გრძელვადიან აწევას ან დაწევას.

ეკონომიკური ციკლი ხშირად ასოცირდება წარმოების მოცულობის ცვლილებასთან. ბევრ ეკონომისტს მიაჩნია, რომ წარმოების მოცულობა, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტით იზომება (ВВП), წარმოადგენს ეკონომიკის მდგომარეობის საიმედო მაჩვენებელს. ეკონომიკური ციკლი აღმასვლის ფაზაში აისახება არა ВВП-ს ზრდაზე, არამედ მისი ზრდის ტემპზე. ზრდის ტემპის უარყოფითი მნიშვნელობა 6 თვით ან მეტხანს განიხილება როგორც ეკონომიკაში ვარდნის ნიშანი და პირიქით, თვიდან თვემდე ზრდის მაღალი ტემპი მეტყველებს იმაზე, რომ ეკონომიკა ბუმს განიცდის.

ეკონომიკური აქტივობის ციკლები მიეკუთვნება მცირე ეკონომიკურ ციკლებს, ხანგრძლივობით 10 წლამდე. ისინი გადაიშლებიან დიდი ეკონომიკური განვითარების ციკლების ფონზე, ხანგრძლივობით 50-60 წლამდე. დიდი ციკლები აღმოჩენილია რუსი ეკონომისტის ნ.დ.კონდრატიევის მიერ. ისინი ეკონომიკური კონიუნქტურის აღმავალი და დაღმავალი რყევების ტალღათაგან შედგება, რომელთაგანაც თითოეულო 30 წელიწადი გრძელდება. დიდი ციკლების საფუძველში დევს რევოლუციური ცვლილებები ტექნიკაში და ტექნოლოგიებში, მოხმარებისა და წარმოების სტრუქტურაში.

განვითარებულ ქვეყნებში პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლა ემთხვევა კონდრატიევის ციკლის სიგრძის მეხუთედს. მისი აღმასვლის ფაზის დაწყება დაკავშირებულია ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნასთან, მაღალი და მეცნიერული ტექნოლოგიების ბაზაზე. იგი მოდის 1980-იანი წლების შუაზე და 1990-იანი წლების დასაწყისზე.

4.5. ფინანსური ინსტიტუტები

ფუნდამენტალური ანალიზი მოითხოვს მსოფლიოში ცნობილი ფინანსური ინსტიტუტების შესწავლას და კონკრეტული დასკვნების გაკეთებას.

აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა. ფედერალური სარეზერვო სისტემა **(ED, Federal Reserve System)** - აშშ-ს ცენტრალური საბანკო სისტემაა, რომელიც 1913 წლის 23 დეკემბერს შეიქმნა ფედერალური სარეზერვო სისტემის კანონის შესაბამისად, წარმოადგენს კვაზი-სახელმწიფო სტრუქტურას კერძო კომპონენტებით, რომელშიც შედის:

- **FED**-ის მმართველთა საბჭო;
- ღია ბაზრის ფედერალური კომიტეტი;
- თორმეტი რეგიონალური ფედერალური სარეზერვო ბანკი;
- მრავალი კერძო ბანკი;
- საკონსულტაციო საბჭოები.

FED-ის სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია კანონით **FED**-ის შესახებ, განსაკუთრებული ფინანსური დაწესებულების სახით, რომელიც აერთიანებს დამოუკიდებელი იურდიული პირისა და სახელმწიფო სააგენტოს მახასიათებლებს.

ემისიური ცენტრის მთავრობისაგან დამოუკიდებელობა აიხსნება:

- გადამხდელებისა და მთავრობას შორის ბალანსის

უზრუნველყოფის სწრაფვით;

• აშშ-ში ისტორიულად ჩამოყალიბებული საბანკო სისტემით;

• აშშ-ს მთავრობის ინტერესით მოკლევადიანი ფულადი ემისიების შესაძლებლობების აღკვეთით.

FED-ის ფუნქციებია:

• აშშ-ს ცენტრალური ბანკის მოვალეობის შესრულება;

• კომერციული ბანკებისა და საზოგადოებრიეი ინტერესების ბალანსის მხარდაჭერა;

• საბანკო დაწესებულების ზედამხედველობის და რეგულირების უზრუნველყოფა;

• მომხმარებელთა საკრედიტო უფლებათა დაცვა;

• ფულადი ემისიის მართვა;

• ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა, სისტემური რისკების კონტროლი;

• დეპოზიტართათვის ფინანსური მომსახურებების შეთავაზება, მათ შორის აშშ-ს მთავრობისთვის და ოფიციალური საერთაშორისო დაწესებულებებისთვის;

• საერთაშორისო და შიდა გადახდების სისტემის ფუნქციონირებაში მონაწილეობა;

• ლიკვიდურობის პრობლემის აღმოფხვრა;

• მსოფლიო ეკონომიკაში აშშ-ს როლის განმტკიცება;

FED-ის ხელმძღვანელი ორგანოა 7 წევრიანი მმართველი საბჭო **(Board of Governors)**, რომელსაც აშშ-ს პრეზიდენტი ნიშნავს სენატის კონგრესის მოწონებით. საბჭოს თითოეული წევრი ინიშნება 14 წლის ვადით, ვადის გაგრძელების უფლებით.

მმართველ საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

საბჭოს ფუნქციებია:

• ზედამხედველობა FE-ის სისტემურ ფუნქციონირებაზე

• გადაწყვეტილებების მიღება რეგილირების სფეროში

• საეალუტო რეზერვებისადმი მოთხოვნათა განსაზღვრა

მმართველ საბჭოს ექვემდებარება **FED**-ის 12 რეგიონალური განყოფილება. თითოეულ რეგიონალურ განყოფილებას ყავს თავისი მმართველი საბჭო. საბჭოს 9 წევრი დაყოფილია **A, B** და **C** კლასებად:

A კლასის 3 მმართველი არიჩევა **FED**-ის აქციონერი-ბანკების მიერ საკუთარი წარმომადგენლებიდან (ერთი მსხვილი ბანკიდან, ერთი საშუალოდან, ერთიც წვრილიდან).

B კლასის 3 მმართველი არიჩევა **FED**-ის აქციონერი-ბანკების მიერ არასაბანკო სისტემაში მომუშავე ადამიანთაგან

C კლასის 3 მმართველი ინიშნება **FED**-ის მმართველი საბჭოს მიერ.

ფედერალური სარეზერვო ბანკებს მიეკუთვნება: ბოსტონის ფსბ **www.bos.frb.org**; ნიუ-იორკის ფსბ **www.newyorkfed.org**; ფილადელფიის ფსბ **www.philadelphiafed.org**; კლინველენდის ფსბ **www.clevelandfed.org**; რიჩმონდის ფსბ **www.richmond-fed.org**; ატლანტის ფსბ **www.frbatlanta.org**; ჩიკაგოს ფსბ **www.chicagofed.org**; სენტ-ლუისის ფსბ **www.stlouisfed.org**; მინიაპოლისის ფსბ **www.minneapolisfed.org**; კანზას-სითის ფსბ **www.kansascityfed.org**; დალასის ფსბ **www.dallasfed.org**; სან-ფრანცისკოს ფსბ **www.frbsf.org**

FED-ის რეგიონალური განყოფილებების ფუნქციებია:

• აღრიცხვის განაკვეთის დადგენა **FED**-ის მმართველი საბჭოს ნებართვით;

• ადგილობრივ ეკონომიკური და ფინანსური დაწესებულებების მდგომარეობაზე თვალყურის;

• აშშ-ს მთავრობისა და სხვა დეპოზიტართათვის ფინანსური მომსახურებათა შეთავაზება.

ღია ბაზრის ფედერალური კომიტეტი. FED-ის მმართველი საბჭოსა და რეგიონალურ განყოფილებებს შორის ორგანიზაციულად მდებარეობს ღია ბაზრის ფედერალური კომიტეტი **(FOMC)**, რომელიც მონეტარული პოლიტიკის

გამტარებელი საკვანძო ორგანოა. მისი გადაწყვეტილებები მიმართულია ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისკენ, ფასთა სტაბულურობის და ფულადი მიმოქცევის შენარჩუნების პირობებში.

კომიტეტში ხმის უფლება აქვს **FED**-ის 7 მმართველს და 5 რეგიონალურ განყოფილების წარმომადგენელს.

აქციონერი ბანკები. **FED**-ის ორგანიზაციული სტრუქტურის ქვედა საფეხურზე იმყოფებიან **FED**-ის აქციონერი ბანკები.

ბანკებისთვის მიცემულ **FED**-ის აქციებს გარკვეული შეზღუდვები აქვს: მათი გაცვლა და გაყიდვა შეუძლებელია, მათზე გაიცემა ფიქსირებული დივიდენდი - წლიური 6%.

ნებისმიერი კომერციული ბანკი, რომელიც აკმაყოფილებს **FED**-ის მოთხოვნებს, შეიძლება გახდეს ადგილობრივი რეგიონალური განყოფილების თანამესაკუთრე (აქციონერი). ამჟამად (2009 წ) **FED**-ის სტრუქტურაში შედის აშშ-ს ტერიტორიაზე არსებული ბანკებისა და საკრედიტო კავშირების 38%.

FED-ის აქციონერი ბანკების ფუნქციები:

• **FED**-ის აქციებზე ფიქსირებული დივიდენდის მიღება შეტანილი დეპოზიტის სანაცვლოდ;

• ადგილობრივი რეგიონალური განყოფილების 6 მმართველის არჩევნებში მონაწილეობა.

FED-ის წევრი ბანკები - ყველაზე მსხვილი კერძო კომერციული ბანკებია, რომელთა წილზე მოდის აშშ-ს საკრედიტო სისტემის დეპოზიტების 70%-ზე მეტი. ისინი ფედერალური სარეზერვო ბანკების აქციონერები არიან და იღებენ 6%-იან დივიდენდებს. ამის გარდა, წევრი ბანკები ერთ-ერთი ფედერალური სარეზერვო ბანკის კლიენტები ხდებიან და სარგებლობენ მისი მომსახურებებით, მათ შორის ფულადი სახსრების სესხებით. თანაც წევრი ბანკისთვის სესხის მიცემაზე შეზღუდვები არ არის. ხოლო ის ბანკები, რომლებიც სისტემი წევრები არ არიან, სალაროს შევსებისთვის მიმართავენ თავიანთ კორესპონდენტ ბანკებს - **FED**-ის წევრი ბანკებს.

ძირითადი ფუნქციის - ხელი შეუწყოს ქვეყანაში ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების მხარდაჭერის შესრულებისთვის, FED-ს გააჩნია საბანკო კრედიტის მდგომარეობასა და ფულად მიმოქცევაზე ზემოქმედების რიგი საშუალებები. FED-ის კომპლექსების უშაულო ზემოქმედების ობიექტი გახლავთ საბანკო რეზერვები. ფედერალური სარეზერვო ბანკები FED-ის წევრი ბანკების დეპოზიტების შემნახველები არიან. ეს დეპოზიტები FED-ის წევრი ბანკებების რეზერვების ძირითადი ნაწილია. რეზერვების გაზრდა ან შემცირება, განპირობებული FED-ის ფულად-საკრედიტო რეგულირების რომელიმე გამოყენებული მეთოდის გამო, ახდენს მასტიმულირებელ ან შემაკავებელ ზემოქმედებას ეკონომიკურ პროცესებზე; ტარდება საკრედიტო ექსპანსიის ან საკრედიტო რესტრიქსიის პოლიტიკა.

ის ფინანსურად დამოუკიდებელია, გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი და თავის საქმიანობას აფინანსებს ოპერაციებიდან შემოსავლისგან და ფულის ემისიის მოგებიდან. "მონეტების ჭრის" და მათი ღირებულების რეგულირების უფლება, გადაეცა FED-ს, უფრო ზუსტად ღია ბაზრის ფედერალურ კომიტეტს. ეს კომიტეტი დაარსდა 1936 წელს მმართველ საბჭოზე. დროთა განმავლობაში იგი FED-ის ძირითად ოპერატიულ ორგანოდ იქცა. ხარჯებისა და დივიდენდების გადახდის შემდეგ FED ყოველწლიურად წევრ-ბანკებს გადასცემს სახელმწიფო ხაზინიდან 15-20 მლნ დოლარს. FED-ის დამოუკიდებლობა იმაში გამოიხატება, რომ აშშ-ს პრეზიდენტს უფლება არა აქვს მისცეს FED-ს რაიმე ბრძანება ან გადააყენოს მისი მმართველები.

კანონის თანახმად, FED-ის ყოველმა წევრმა ბანკმა მოზიდული სახსრების გარკვეული ნაწილი უშემოსავლო რეზერვის ფორმით უნდა შეინახოს (ნაწილი - ნაღდი ფულის სახით, ნაწილი - თავისი ოლქის ფედერალურ სარეზერვო ბანკის დეპოზიტზე). FED-ის არაწევრმა ბანკებმა ასევე უნდა იქონიონ რეზერვები (ილინოისის შტატის გარდა), მა-

გრამ ჯერ ერთი, რეზერვების ნორმები სხვადასხვა შტატებში სხვადასხვაა; მეორეც, ამ ბანკებს ნება ეძლევათ მოგების მომტანი ფორმით შეინახონ სახსრები. ამიტომ ხშირად შტატების ბანკებს არ სურთ **FED**-ში შესვლა ან გამოდიან მისგან. ეს უკანასკნელი ადასტურებს იმას, რომ აშშ-ში არ არსებობს საბანკო რეგულირების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა.

FED-ის გადაწყვეტილებებს დამოუკიდებელი ძალა აქვთ და არ საჭიროებენ პრეზიდენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მოწონებას. ანგარიშვალდებულია კონგრესის წინაშე, და **FED**-ის კანონის შესაბამისად, თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს კონგრესის წარმომადგენელთა პალატას წელიწადში ერთხელ, და კონგრესის საბანკო კომიტეტს - წელიწადში ორჯერ.

ინგლისის ბანკი (Bank of England, BoE). ინგლისის ბანკი **(The Governor and Company of the Bank of England)** — სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ასრულებს გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ბანკის მოვალეობას. ბანკი ორგანიზებს ფულადი კომიტეტის მუშაობას, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მართვაზე. ბანკი დაარსდა 1694 წელს პარლამენტის აქტის საფუძველზე. იმ დროიდან დღემდე იგი წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ბანკს.

1998 წელს მიღებული კანონის ბოლო რედაქციის თანახმად, ინგლისის ბანკი იმართება დირექტორთა საბჭოს მიერ. საბჭო შედგება მმართველისაგან **(the Governor)**, მისი ორი მოადგილისაგან **(Deputy Governors)** და საბჭოს 16 წევრისგან **(Non-Executive Directors)**. ყველა მათგანი სამეფო განკარგულებით ინიშნება (ბუნებრივია, პარლამენტის დამტკიცებით).

მმართველი და მისი მოადგილეები ინიშნებიან 5 წლის ვადით, დირექტორთა საბჭოს წევრები სამი წლით. შესაძლებელია ყველა მათგანის ვადის გაგრძელება.

დირექტორთა საბჭო სხდომებს ატარებს თვეში ერთხელ და მის კომპეტენციაში შედის ბანკის მართვის ყველა საკითხი, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გარდა, რომელიც სპეციალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კომიტეტის საქმეა (**The Monetary Policy Committee, MPC**).

ინგლისის ცენტრალური ბანკის ფუნქციები. ინგლისის ბანკი არსულებს ცენტრალური ბანკის ყველა ფუნქციას. ბანკი წყვეტს შემდეგი სფეროების ამოცანებს: ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა და მისი მსყიდველუნარიანობის მხარდაჭერა.

სტაბილური ფასები და ნდობა ეროვნული ვალუტის მიმართ წარმოადგენენ სავალუტო სტაბილურობის ორ მთავარ კრიტერიუმს. ფასთა სტაბილურობა მყარდება იმის რწმენით, რომ ფასები იზრდება მთავრობის მიერ დადგენილი ინფლაციის პარამეტრების შესაბამისად. ბანკი ცდილობს ამ ამოცანის გადაწყვეტას საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გზით, რომელიც განისაზღვრება ინგლისის ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კომიტეტის მიერ.

ეროვნული და მსოფლიო ფინანსური სისტემის მხარდაჭერა. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა გულისხმობს მთელი ფინანსური სისტემის საფრთხეებისგან დაცვას. საფრთხეებს იკვლევს ბანკის ზედამხედველობის ორგანოები და ანალიტიკური სამსახურები. საფრთხეები იფხერება ფინანსური და სხვა ოპერაციების გზით. განსაკუთრებულ შემთხვევებში ბანკი შეიძლება გამოვიდეს "ბოლო ინსტანციის კრედიტორის" როლში.

დიდი ბრიტანეთის ფინანსური სექტორის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ბანკი ფულადი და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის თანამშრომლობს სხვა დაწესებულებებთან, მათ შორისაა:

- დიდი ბრიტანეთის ხაზინა (**HM Treasury**).
- დიდი ბრიტანეთის ფინანსური რეგულირების და ზედამხედველობის სამმართველო (**Financial Services Authority**).

• სხვა ცენტრალური ბანკები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მსოფლიო ფინანსური სისტემის სრულყოფის მიზნით.

ევროპის ცენტრალური ბანკი (European Central Bank). ევროპის ცენტრალური ბანკი - გახლაეთ ევროკავშირისა და ევროზონის ცენტრალური ბანკი, რომელიც 1998 წლის 1 ივნისს დაარსდა.

ბანკის ძირითადი ფუნქციებია:

• ევროზონის საავალუტო პოლიტიკის შემუშავება და გახორციელება;

• ევროზონის ქვეყნების რეზერვების შენახვა და მართვა;

• ევროს ბანკნოტების ემისია;

• საპროცენტო განაკვეთების დადგენა;

• ფასთა სტაბილურობის მხარდაჭერა, ანუ ინფლაციის დონის უზრუნველყოფა არაუმეტეს 2%.

ევროპის ცენტრალური ბანკი სტრუქტურა ასეთია:

• დირექცია

დირექციის შემადგენლობაში შედის ექვსი ადამიანი, მათ შორის **ECB**-ს თავმჯდომარე და მისი მოადგილე. კანდიდატურები წარიდგინება მმართველი საბჭოს მიერ და მტკიცდება ევროზონაში შემავალ სახელმწიფოთა მეთაურთა და ევროპის პარლამენტის მიერ. დირექტორს რვა წლის ვადით ნიშნავენ.

• მმართველი საბჭო

მმართველი საბჭო შედგება **ECB**-ს დირექციის წევრებისაგან და ეროვნული ცენტრალური ბანკების მმართველებისგან. ტრადიციულად ოთხიდან ექვსი ადგილი უკავიათ ოთხი მხსვილი ცენტრობანკის წარმომადგენლებს: საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და ესპანეთის.

ხმის უფლება აქვთ მხოლოდ მმართველი საბჭოს წევრებს. წევრს შეიძლია თავისი შემცვლელის დანიშვნა, თუ იგი დიდი ხნის განმავლობაში ვერ არხერხებს სხდომებზე დასწრებას.

კენჭისყრის ჩასატარებლად საჭიროა საბჭოს წევრთა 2/3-ის დასწრება. თუმცა შეიძლება შეიკრიბოს ECB-ს საგანგებო სხდომა, რომლისთვისაც დამსწრეთა ზღვარი დაწესებული არ არის. გადაწყვეტილება მიიღება უბრალო უმრავლესობით. ტოლი ხმების შემთხვევაში, თაეჯდომარის ხმა გადამწყვეტია. ECB-ს კაპიტალის საკითხების გადაწყვეტა, მოგების გადანაწილება და ა.შ. ასევე კენჭისყრით მიიღება, ხმების წონა ECB-ს საწესდებო კაპიტალში ეროვნული ბანკების წილების პროპორციულია.

ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა (ECBS) - ფინანსური რეგულირების ზეეროვნული ორგანოა, რომელიც აერთიანებს ევროპის ცენტრალურ ბანკს (ECB) და ევროკავშირის 27 ქვეყნის ეროვნულ ბანკებს.

ამ სისტემის არსებობა ევროპული ეკონომიკური და სავალუტო სტრუქტურების განმტკიცების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თავისი ორგანიზაციულობით ECBS წააგავს აშშ-ს ფედერალურ სარეზერვო სისტემას, რომელიც ასევე 12 ნახევრადდამოუკიდებელი სარეზერვო ბანკისაგან შედგება.

ECBS-ში შედის ECB და შემდეგი ეროვნული ბანკები:

- უნგრეთის ეროვნული ბანკი (**Banque Nationale de Belgique**), მმართველი გეი ქუადენი (**Guy Quaden**);
- ბუნდესბანკი (**Deutsche Bundesbank**), მმართველი აქსელ ვებერი (**Axel A. Weber**);
- საბერძნეთის ბანკი (**Bank of Greece**), მმართველი ნიკოლას გარგანასი (**Nicholas C. Garganas**);
- ესპანეთის ბანკი (**Banco de España**), მმართველი მიგელ ფერნანდეს ორდონესი (**Miguel Fernández Ordóñez**);
- საფრანგეთის ბანკი (**Banque de France**), მმართველი კრისტიან ნუაიე (**Christian Noyer**);
- ლუქსემბურგის საეალუტო ინსტიტუტი.

დიდი ბრიტანეთის, დანიის და შვედეთის ეროვნული ცენტრალური ბანკები ევროპული ცენტრალური ბანკების სისტემის

წევრები არიან, მაგრამ არ შედიან ევროზონაში, არ აქვთ ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება, რაც ევროზონის ერთიანი ფულადი პოლიტიკის გატარებას ეხება. ევროზონის ყველა ცენტრალური ბანკი უსიტყვოდ ემორჩილება ევროპის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებებს.

ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემის შექმნის მთავარი მიზანი იყო ევროს კურსისა და ფასთა სტაბილურობის შენარჩუნება ევროზონაში.

მთავარი მიზნის მისაღწევად **ECBS** წყვეტს შემდეგ კონკრეტულ ამოცანებს:

ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრა და გატარება.

ECB-ს მმართველი საბჭო განსაზღვავს ერთიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომელსაც ეროვნული ცენტრალური ბანკები დეცენტრალიზებულად და ჰარმონიულად ნერგავენ. ერთიანი ფულად-საკრედიტო ოპერატიული ჩარჩოები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პრინციპებს: საბაზრო პირობებთან შესაბამისობა, თანაბარუფლებიანი რეჟიმი ყველასთვის, სიამრტიე, ეფექტურობისა და ღირებულების საუკეთესო თანაფარდობის ძიება, დეცენტრალიზაცია, უწყვეტობა, შეთანხმებულობა და **ECBS**-ს გადაწყვეტილებებთან შესაბამისობა.

მონაწილე ქვეყნების ოფიციალური სავალუტო რეზერვების შენახვა და მართვა, ასევე სავალუტე ოპერაციების გახორციელება. ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა ახორციელებს **ECB**-ს მონაწილე ქვეყნების ოფიციალური ოქრო-სავალუტე რეზერვების შენახვასა და მართვას.

იაპონიის ბანკი (Bank of Japan). იაპონიის ბანკი - ცენტარლური ბანკი, რომელიც დაარსდა 1882 წელს. უშვებს ბანკნოტებს იაპონიაში და განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, უზრუნველყოფს ფასობრივ სტაბილურობას და ფინანსური სისტემის სტაბილურობას, ქმნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძვლებს.

იაპონიის ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის

სტრატეგიის შემუშავებითა და მისი გახორციელებით დაკავებულია დირექტორთა საბჭო. იგი შედგება ცხრა წევრისაგან.

საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად ბანკი ახორციელებს შემდეგი სახის საქმიანობებს:

- ეროვნული ვალუტის ფულადი ნიშნების (ბანკნოტების) გამოშვება და მართვა;
- მონეტარული პოლიტიკის ხელმძღვანელობა;
- სააღრიცხვო მომსახურებათა შეთავაზება და ფინანსური სისტემის სტაბილურობის გარანტირება;
- ქვეყნის ბანკებს შორის აღრიცხვიანობის უზრუნველყოფა;
- ფინანსურ ინსტიტუტთა ფინანსური მდგომარეობისა და მმართველი კონდიციების მონიტორინგი და შემოწმება;
- ბოლო მსესხებლის ფუნქცია;
- ოპერაციები სახაზინო და სახელმწიფო ქაღალდებით;
- საერთაშორისო ფინანსური ტრანზაქციები და ოპერაციები;
- ინტერვენციები სავალუტე ბაზარზე;
- საერთაშორისო კონტაქტები;
- ჯამური ეკონომიკური მაჩვენებლების, ეკონომიკური მიმოხილვების პუბლიკაცია და ეკონომიკური პროცესების კვლევა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსახორციელებლად იაპონიის ბანკს შესაბამის წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იაპონიაში ეკონომიკური და ფინანსური პირობების შესახებ. ამასთან დაკავშირებით იაპონიის ბანკი იკვლევს სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს და აქვეყნებს ინფორმაციას საბითუმო ფასთა ინდექსის (**Wholesale Price Indexes**)და კორპორატიულ მომსახურებათა ფასთა ინდექსის (**Corporate Service Price Index**) შესახებ. ბანკი ხელმძღვანელობს საქმიანი აქტივობის რეგულარული მიმოხილვით, რომელიც ტენკანის სახელითაა ცნობილი (**Tankan**).

ფუნდამენტალური ანალიზი ითვალისწინებს მაკროეკონომიკური ინდიკატორების გამოყენებას, შესწავლას და მათ გავლენას ფინანსურ ბაზარზე.

მაკროეკონომიკური ინდიკატორი – არის მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკის გარკვეული სფეროს მდგომარეობას (წარმოება, შრომის ბაზარი, ვაჭრობის სფერო და ა.შ.). მაკროეკონომიკური ინდიკატორები რეგულარულად ქვეყნდება ბაზარზე მკაცრად განსაზღვრულ დროს. ასეთი ინდიკატორების პუბლიკაციის შემდეგ ვაკვირდებით ბაზრის ეოლატილობის (რხევების) ზრდას. ეოლატილობის ხარისხი განისაზღვრება ამა თუ იმ მაჩვენებლის მნიშვნელობით. ამიტომ მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომელი ინდიკატორია მნიშვნელოვანი და რას წარმოადგენს იგი.

აშშ-ს მაკროეკონომიკური მაჩვენებლებია:

ჩიკაგოს მენჯერთა ასოციაციის საქმიანი აქტივობის ინდექსი - Chicago PMI index. ეს არის ჩიკაგოს რეგიონის სამრეწველო დაწესებულებების ინდექსი. წარმოადგენს მენეჯერთა გამოკითხვის შედეგებს წარმოების შესყიდვების სფეროში. ეს ინდექსი ასახავს საწარმოო შეკვეთების მდგომარეობას, წარმოებული პროდუქციის ფასებს და საქონლის მარაგს საწყობებში. ციფრები 50-ის ქვეშ მიუთითებს ეკონომიკის განვითარების ტემპის შენელებაზე, და პირიქით - 50-ის ზევით მიუთითებს რეგიონში ეკონომიკური აქტივობის შესახებ. ინდექსის ზრდა დოლარის კურსის ზრდას იწვევს.

აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ პუბლიკაცია, რომელიც ქვეყნდება ყოველი თვის ბოლო ბიზეს-დღეს 10:00-ზე (EST) ანუ 18:00 თბილისის დროით, ამ საიტზე - **www.napm-chicago.net/home [The National Association of Purchasing Management - Chicago (NAPM)].**

სამომხმარებლო ფასთა ინდექსი - Consumer price index (CPI). განსაზღვრავს საცალო ფასთა ცვლილების დონეს სამომხმარებლო კალათის მიმართ. სამომხმარებლო ფასთა ინდექსი უფრო სარწმუნოდ ითვლება, როცა მასში არ შედის კვებისა და ენერგეტიკული დარგის საქონელი (**core CPI**). ინდექსის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ფასები იმპორტულ საქონელზე, მომსახურებებზე და გადასახადები. გამოდის ორი სახით: **CPI-U** (აფასებს ინფლაციის გავლენას მოსახელეობის ყველა ფენისთვის) და **CPI-W** (მოიცავს მხოლოდ ხმელეთის და საკანცელარიო მუშახელს). ამ ინდექსს ანალიზს უკეთებენ **PI** (წარმოების ფასთა ინდექსი) მაჩვენებელთან ერთად. თუ ეკონომიკა ნორმალურ პირობებში ვითარდება, მაშინ **CPI** და **PPI**-ს ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების აწევა ქვეყანაში. ეს კი, თავის მხრივ გამოიწვევს დოლარის კურსის მატებას, რადგანაც იზრდება მაღალგანაკვეთიან ვალუტაში სახსრების დაბანდების მიმზიდველობა. პუბლიკაცია ქვეყნდება ყოველი თვის შუა რიცხვებში 16:30-ზე თბილისის დროით. **[www.bls.gov/cpi]**

შეკვეთები ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე - Durable goods orders. მაჩვენებელი 5000 მწარმოებლის ყოველთვიური მიმოხილვის საფუძველზე, მოიცავს ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე შეკვეთების სტატისტიკას. ხანგრძლივი მოხმარების საქონლებს მიეკუთვნება ის საქონელი, რომელთა მომხარების ვადა 3 წელს აღემატება. მაგალითად, ავტომობილები, ავეჯი და ა.შ. ეს ინდიკატორი ბაზრისათვის მნიშვნელოვანია, რადგან წარმოდგენას იძლევა ამ პროდუქციის მომხმარებელთა დაჯერებულობის შესახებ მიმდინარე ეკონომიკურ სიტუაციაში. რადგან ხანგრძლივი მოხმარების საქონელი საკმაოდ ძვირია, ამიტომ მათზე შეკვეთების ზრდა მათზე მომხმარებელთა მიერ ფულის ხარჯვის მზადყოფნაზე მიუთითებს. მაშასადამე, ამ მაჩვენებლის ზრდა დადებითი ფაქტორია ეკონომიკის განვითარებისათ-

ეის და იწვევს ეროვნული ვალუტის აწევას. პუბლიკაცია - ყოველი თვის მეოთხე კვირას 16:30-ზე თბილისის დროით [www.census.gov/indicator/www/m3/adv].

საპროცენტო განაკვეთი - FOMC Meeting, percent rate. ამერიკის და მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე დიდი ზეგავლენა აქვს აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკის მოქმედებებს. ამიტომ ბაზრის მონაწილეთა ყურადღება საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების, FOMC-ის ოპერაციების და FED-ის ხელმძღვანელთა განცხადებათა მიმართ დიდია.

FED-ის გეგმიური სხდომები წელიწადში 8-ჯერ იმართება. სხდომაზე განიხილება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია და მისი ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება შემდგომი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მიიღება დირექტიული დოკუმენტები, განისაზღვრება: ფედერალური ფონდების გაყიდვების საკრედიტო საპროცენტო განაკვეთის დონე **Federal Funds Rate** და დისკაუნთ საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობა - **Discount Rate.** შეკრების ჯამური ოქმი **(Minutes of the Federal Open Market Committee)** ქვეყნდება რამდენიმე დღის შემდეგ.

სახელმწიფო ბიუჯეტი - Federal budget. ახასიათებს თანაფარდობას სახელმწიფოს შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. შემოსავლის ხარჯებზე გადაჭარბების შემთხვევაში წარმოიშობა დადებითი სალდო (პროფიციტი). ხარჯების შემოსავალზე გადაჭარბების შემთხვევაში წარმოიშვება უარყოფითი სალდო (დეფიციტი). ეს მაჩვენებელი ახდენს უმნიშვნელო გავლენას ბაზარზე. ჩვეულებრივ, მას იყენებენ ეკონომიკის გრძელვადიანი ანალიზისა და ვალუტების კურსების პროგნოზირებისთვის.

საბიუჯეტო დეფიციტი იწვევს სახელმწიფო ვალის ზრდას და შეიძლება ინფლაციის ზრდის კატალიზატორად მოგვევლინოს. არსებობს პრობლემის მოგვარების ორი საშუალება:

1) ხარჯების შემცირება,

2) გადასახადების გაზრდა.

საბიუჯეტო დეფიციტის არგადაწყვეტით მთავრობა ინფლაციის ზრდას უბიძგებს, და შედეგად საპროცენტო განაკვეთების აწევა მოყვება.

საბიუჯეტო დეფიციტს კონტექსტში განიხილავენ სხვა ინდიკატორებთან:

- სამრეწველო ფასთა ინდექსი (PPI),
- სამომხმარებლო ფასთა ინდექსი (CPI),
- ფულადი აგრეგატები (M1, M2, M3) და სხვ.

[www.fms.treas.gov/mts/index.html].

მთლიანი შიდა პროდუქტი - Gross domestic product (GDP). გახლავთ მთავარი ინდიკატორი, რომლიც ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობას ასახავს. ეკონომიკის განვითარების კეისიანური მოდელის თანახმად შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: **GDP = C + I + S +(E – M),** სადაც C მოხმარებაა, I - ინვესტიციები, S - სახელმწიფო ხარჯები, E - ექსპორტი, M - იმპორტი. GDP გამოისახება ინდექსის სახით მის წინა მნიშვნელობის თანაფარდობასთან. GDP-ს ზრდა იწვევს ეროვნული ვალუტის აწევას. GDP-ს საკმაოდ დიდი რყევები ბაზარზე ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას, ამის მიზეზია სუფთა ექსპორტისა და მარაგის მოცულობათა რყევები [www.bea.gov/national/index.htm#gdp].

GDP-ს დეფლატორი - GDP deflator. GDP-ს დეფლატორი გახლავთ სამომხმარებლო ფასთა ინდექსის ანალოგი (CPI) და აჩვენებს GDP-ში შემავალ ყველა საქონლის ფასის ცვლილების დონეს. დეფლატორი აგრერიებული ფასთა ინდექსია, განკუთვნილი ფასის გაელენის მოშორებისთვის და შემდეგი მაჩვენებლების დინამიკის განსაზღვისათვის:

მთლიანად, ეკონომიკის დარგების მიხედვით, საბოლოო მოხმარების მიმართულებით, ქვეყნის საერთო შემოსაელის და ცალკეული სოცლიაური ჯგუფების მიხედვით.

GDP-ს დეფლატორი ბაზირდება წარმოების მიმდინარე

სტრუქტურაზე. სხვადასხვა წლების GDP-ს დეფლატორები ასახავენ საქონლისა და მომსახურებათა სხვადასხვა კრებულს, ამიტომ სხვადახვა წლების დეფლატორები ერთმანეთში შესაბამისი არ არის.

GDP-ს დეფლატორის სიდიდე ქვეყნდება GDP-სთან ერთად სამჯერ – წინასწარი (**Advanced**), გადახედილი (**Revised**) და საბოლოო (**Final**). მაჩვენებელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბაზარზე. საპროცენტო განაკვეთის აწევის მოლოდინის პირობებში, მისი ზრდა იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის ზრდას და საპროცენტო განაკვეთების აწევას [**www.stats.bls.gov**].

შესყიდვების ეროვნული ასოციაციის მენეჯერთა საქმიანი აქტივობის ინდექსი - ISM index (Institute of Supply Managment index, yofili NAPM - National Association of Purchasing Managers). ეს ინდექსი ახალი საწარმოო შეკვეთების, სამრეწველო წარმოების მოცულობის, დასაქმების, ასევე საქონლის მარაგების და მომწოდებელთა სისწრაფის ცვლილებათა შეფასებისათვის გამოიყენება. ინდიკატორი ყოველთვიურად გამოითვლება წარმოების სექტორის ასეული წარმომადგენელის გამოკითხვის საფუძველზე, რომლებიც შედიან საწარმოო საქმიანობის კომიტეტის შემადგენლობაში (**Manufacturing Business Survey Committee**). ინდექსი უჩვენებს ცვლილების ტემპსა და მიმართულებას, თითოეული საქმიანობის სახეობისთვის. საქმიანი ოპტიმიზმის ინდექსი **ISM** შედგება შემდეგი მონაცემებისგან: შეკვეთები, პროდუქცია, დასაქმება, მატერიალურ-საწარმოო მარაგები, მოწოდების ვადები, ექსპორტისა და იმპორტის ფასები. განიზაზღერება 4000 კომპანიის მენეჯერთა გამოკითხვის საფუძველზე. ინდექსის მნიშვნელობა 50%-ის ზევით განიხილება, როგორც საწარმოო აქტივობის ზრდის მაჩვენებელი, 50%-ის დაბლა ზრდის ტემპის შენელებას მიუთითებს. 40%-ის დაბლა დავარდნისას იწყება საუბრები რეცესიაზე. ხშირად ამ ინდექსის სიდიდეზე გავლენას ახდენს ფსიქო-

ლოგიური ფაქტორების გაყალება და არა საქმის ფაქტიური ვითარება. ბაზარზე ახდენს შეზღუდულ ზეგავლენას. ინდექსის ზრდა იწვევს დოლარის კურსის ზრდას [www.ism.ws/ISMReport/index.cfm].

თვეში ახლადშექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, სასოფლო-სამეურნეო დარგების გარდა - Nonfarm payrolls. დასაქმების დონის განსაზღვისათვის აშშ-ს სტატისტიკაში იზომება ორი დამოუკიდებელი მახასიათებელი:

1. ორგანიზებული დასაქმების მაჩვენებელი (establishment employment), დაფუძნეული გადახდის უწყებათა მონაცემებზე არა სასოფლო-სამეურნეო სექტორის ხელფასებიდან (Nonfarm Payrolls);

2. თვითდასაქმების მაჩვენებელი (household employment), მოსახლეობას შორის პერსონალური გამოკითხვის შედეგებით, სასოფლო-სამეურნეო მუშახელისა და კერძო მეწარმეთა ჩათვლით; დასაქმებულად ითვლება ის, ვინც იღებდა ხელფასს კვირის განმავლობაში ან დაკავებული იყო საკუთარი ბიზნესით (self-employed), ან არ მუშაობდა საპატიო მიზეზის გამო (ავადყოფობა, შვებულება, სამუშაო კონფლიქტი), მაგრამ ჰქონდა სამუშაო ადგილი/ბიზნესი. უმუშევრად ითვლება ის, ვინც 4 კვირის განმავლობაში ცდილობდა სამუშაოს პოვნას.

Nonfarm payrolls ძალიან ძლიერი ინდიკატორია, რომელიც ქვეყანაში დასაქმების დონეს უჩვენებს. ამ მაჩვენებლის ზრდა ახასიათებს დასაქმებულობის ზრდას და იწვევს დოლარის კურის ზრდას. მას ეძახიან "ინდიკატორს, რომელსაც ბაზარი მიჰყავს". არსებობს ემპირიული წესი, რომ მისი ზრდა 200 000-ით თვეში უტოლდება GDP-ს ზრდის 3%-ს [www.bls.gov/news.release/empsit.toc.htm]

საცალო გაყიდვები - Retail Sales. ინდექსი უჩვენებს მოცულობის ცვლილებას საცალო გაყიდვების სფეროში. ახასიათებს სამომხმარებლო ხარჯებისა და მოთხოვნის დონეს. ამ ინდიკატორს ყოფენ: "ავტომობილების გაყიდვე-

ბად" და "დანარჩენის გაყიდვებად".

საცალო გაყიდვების მოცულობა შედის GDP-ს ფორმულაში. მნიშვნელოვანი ინფორმაციაა სამომხმარებლო საქონელზე გაყიდვების პროცენტული ცვლილება. მონაცემების ნაკლი: საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯების ასახვა, მომსახურებათა შეძენის იგნორირება, ვოლატილნობა, ხშირი გადახედვა და რთული პროგნოზირება. ინდიკატორის ზრდა დადებითი ფაქტორია ეკონომიკისთვის, იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის ზრდას. მოსალოდნელზე დაბალი სიდიდე ინტერპრეტირდება როგორც GDP-ის ზრდის კლების, დაბალი ინფლაციის, დაბალი საპროცენტი განაკვეთების და ობლიგაციების ბაზრის ზრდის სიგნალი. მაღალი მონაცემები იწვევს უკუ რეაქციას.

გაყიდვები იყოფა 2 ძირითად კატეგორიებად: ხანგრძლივი (40%) და არახანგრძლივი (60%) მოხმარების პროდუქტების გაყიდვები.

ხანგრძლივი მოხმარების პროდუქტებში დომინირებენ ავტომობილები (3/5); დანარჩენი 2/5 მოდის სამშენებლო მასალებზე, ავეჯზე, საოჯახო საქონელზე.

არახანგრძლივი მოხმარების პროდუქტებში შედის: ფართო მოხმარების პროდუქტები, საკვები, საწვავი, რესტორანი, წამლები.

საცალო გაყიდვების ზრდა დადებითი ფაქტორია ეკონომიკის განვითარებისთვის და იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის ზრდას. ბაზარზე ახდენს შეზღუდულ ზეგავლენას. მონაცემები გროვდება აღწერის ბიუროს მიერ **(U.S. Census Burcau)**, მთელი ქვეყნის ორგანიზაციების შემთხვევითი გამოკითხვის შედეგებით **[www.census.gov/marts/www/marts.html]**.

ევროზონის მაკროეკონომიკური ინდიკატორები:

საგადასხდელო ბალანსი - Balance of payment. უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, გამოიყენება ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის აღწერისათვის, წარმოადგენს ქვეყნიდან და

ქვეყნისაკენ. ყველა გადახდის ჯამს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. საგადასხდელო ბალანსი იყოფა ორ ქვეანგარიშად: მიმდინარე საგადასახადო ბალანსი და კაპიტალისა და კრედიტის მოძრაობის ანგარიში.

სავაჭრო ბალანსი - Balance of trade. სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის, გამოსახული ფასებში. გამოდის ყოველთვიურად. ბაზარზე სუსტ ზეგავლენას ახდენს. სავაჭრო ბალანსი დაწერილებითაა აღწერილი აშშ-ს ინდიკატორებში.

საქმიანი კლიმატის ინდექსი - Business climate indicator. ინდიკატორი ასახავს ევროზონის საქმიანი წრეების გამოკითხვის შედეგებს და მათ აზრს მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის მიმართ. ქვეყნდება ყოველთვიურად 13:00-ზე თბ.დროით, თვის 28-31 რიცხვში.

სამომხმარებლო ნდობის ინდექსი - Consumer confidence indicator. ინდექსი წარმოადგენს ოთხ შეკითხვაზე ბალანსის საშუალო არითმეტიკულს: საკუთარი საოჯახო მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის შეფასება, ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური სიტუაციის შეფასება წარსულში და აზრი მომავლის შესახებ, დიდი შეძენების მისაღებლობა ამ მომენტისათვის. გამოკითხვა ტარდება მოსახლეობის ყველა ფენაში. შეკითხვები უშვებენ მხოლოდ ცალსახა პასუხებს „კი — არა", „ცუდი კარგი". ეს ინდიკატორი ბაზარზე სუსტად მოქმედებს.

ეკონომიკური განწყობის ინდექსი - Economic sentiment indicator. ეს ინდიკატორი ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის პერსპექტივის შეფასების თვალსაზრისით. იგი კომპოზიტური აგრეგატია და რთულად გამოითვლება. მის სიდიდეზე სამრეწველო ნდობის ინდექსსა და სამომხმარებლო ნდობის ინდექს ერთნაირი გავლენა აქვთ. ამის გარდა, მის გამოთვლაში გამოიყენება მშენებლობის ნდობის ინდექსი და აქციათა ფასის ინდექსი. ფინანსურ ბაზარზე ახდენს დიდ ზეგავლენას.

მთლიანი შიდა პროდუქტი - Gross domestic product (GDP). ქვეყანაში ნაწარმოები საქონლისა და მომსახურებათა ჯამი, გამოსახული ფასში. ბაზრის მიერ ინდიკატორის სიდიდე კარგად პროგნოზირებადია, ამიტომ ბაზარზე დიდ გავლენას არ ახდენს. გამოდის ყოველკვარტალურად. განიხილება სამ დამოუკიდებელ კომპონენტში:

• როგორც ქვეყნის საქონლის და სერვისის ფულადი ჯამი, პლიუს გადასახადები, მინუს წარმოების სუბსიდიები.

• როგორც ნაწარმოები საქონლისა და სერვისებზე დახარჯული სახსრების ჯამი, პლიუს ექსპორტი, მინუს იმპორტი.

• როგორც ეკონომიკის შემოსავლის შემადგენელი სახსრების ჯამი.

ინდიკატორი გამოდის კვარტალში ერთხელ და ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბაზარზე.

ფასები იმპორტზე - Import prices. ინდიკატორი ასახავს თვეში იმპორტზე ფასთა ცვლილებას. წარმოადგენს ინფლაციის ინდიკატორს. გამოდის ყოველთვიურად. ინდიკატორს ბაზარი ყურადღებას აქცევს.

სამრეწველო წარმოება - Industrial production. უჩვენებს ქვეყანაში სამრეწველო წარმოების მოცულობის ცვლილების დონეს. ინდიკატორი ითვალისწინებს გადამამუშავებელ და მომპოვებელ მრეწველობას, სატყეო მეურნეობას და ელექტროობის წარმოებას. გამოდის ყოველთვიურად. ინდიკატორს ბაზარი ყურადღებას აქცევს.

სამრეწველო შეკვეთები - Manufacturing orders. ინდიკატორი უჩვენებს გერმანული საწარმოების პროდუქციაზე შეკვეთების რაოდენობის ცვლილებას. ასახავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს. გამოდის ყოველთვიურად. ინდიკატორს ბაზარი ყურადღებას აქცევს.

გადამამუშავებელი მრეწველობის საქონლის გამოშვება - Manufacturing production. ასახავს გადამამუშავებელი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის

ცვლილებას. გამოდის ყოველთვიურად. ინდიკატორს ბაზარი ყურადღებას აქცევს.

ფულადი აგრეგატი M3 - M3 money supply. მოიცავს ბრუნვაში არსებული ნაღდი ფულის მოცულობას, თანხებს ანაბრებზე, 4 წლიან დეპოზიტებს. ითვლება ინფლაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშველოვან ინდიკატორად. საჭიროა ამ აგრეგატის ცვლილების პროგნოზებზე და მისი სიდიდის გამოსელაზე თვალყური. ბაზრის რეაქცია შეიძლება მაშტაბური იყოს. გამოდის ყოველთვიურად.

საქმიანი აქტივობის ინდექსი - PMI. მიკუთვნება გამოსაკითხ ან დიფოზურულ ინდექსთა რიცხვს. აიგება მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამოკითხვის საფუძველზე, რომლებიც პასუხობენ შეკითხვაზე „გაუმჯობესდა თუ არა თქვენი ბიზნესის მდგომარეობა ახალი შეკვეთების, ფასების, შრომის ბაზრის, შეკვეთათა მოწოდების ვადების და ა.შ. მიმართ?“, რესპოდენტი ირჩევს პასუხის სამი ვარიანტიდან: „არა“, „დიახ“, „არ შეცვლილა“. მსგავსი ინდექსები ეფექტურად ასახავენ ეკონომიკური ციკლის დინამიკას.

ზრდის შემდეგ ინდექსის კლების დასაწყისი ბიზნეს-ციკლის ზრდის **(expansion)** სტადიიდან ვარდნის ციკლში **(recession)** გადასვლას მოასწავებს, ხოლო ვარდნის შემდეგ ზევით შეტრიალება აღდგენის დაწყებას **(recovery)** მოასწავებს. დიფოზურულ ინდექსთა ეკონომიკურ დინამიკასთან მჭიდრო კავშირი მომავალი სიდიდის პროგნოზირების საშუალებასაც იძლევა.

ინდიკატორის სიდიდეა 50 პუნქტის დონეზე მიუთითებს იმას, რომ სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა საწარმოო სექტორის არც გაფართოება და არც შემცირება. ამ ნიშნულის გადაჭარბება ნიშნავს ზრდას სექტორში. 50-ის ქვევით შეიძლება საუბარი იმაზე, რომ მრეწველობაში ტემპის კლება შეინიშნება.

ინდიკატორი ბაზარზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ხშირად სასარგებლოა არამხოლოდ ზოგადი ინდექსის,

არამედ მისი მნიშვნელოვანი კომპონენტების ანალიზი.

უმუშევრობის დონე Unemployment rate. უმუშევრობის დონე - შრომისუნარიანი მოსახელეობის პროცენტი, რომელიც აქტიურად ეძებს სამუშაოს, მაგრამ პოვნას ვერ ახერხებს.

ქვეყნდება ყოველთვიურად 13:00-ზე თვის 01-04 რიცხვში.

დიდი ბრიტანეთის მაკროეკონომიკური ინდიკატორები:

საშუალო ხელფასი - verage earnings. ინდიკატორი ანგარიშდება ბოლო სამი თვის მანძილზე ხელფასების ზრდის გათვალისწინებით. იგი ინფლაციის მომავალი დონის კარგი მაჩვენებელია, რადგან ხელფასების ზრდა, თუ იგი კომპენსირებული არ არის შრომის წარმადობის ზრდით, გახლავთ ფასების ზრდის მიზეზი. წარმოადგენს ერთ-ერთ განმსაზღვრელ ინდიკატორს, რომლის მიხედვითაც ინგლისის ბანკი ადგენს საპროცენტო განაკეთების დონეს.

ქვეყნდება 12:30-ზე, 15-18 რიცხვში.

მთლიანი შიდა პროდუქტი - Gross domestic product (GDP). მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) გახლავთ ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და სერვისების ჯამი, გაამოსახული ფასებში. იგი მთავარი ინდიკატორი, რომლიც ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობას ასახავს. ეკონომიკის განვითარების კეისიანური მოდელის თანახმად GDP შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: **DP = C + I + S +(E – M),** სადაც **C** - მოხმარებაა, **I** - ინვესტიციები, **S** - სახელმწიფო ხარჯები, **E** ექსპორტი, **M** - იმპორტი. GDP გამოისახება ინდექსის სახით მის წინა მნიშვნელობის თანაფარდობასთან. ინდიკატორის მნიშვნელობის მიუხედავად, მისი ზეგავლება ბაზარზე მცირეა, იმიტომ რომ მისი სიდიდე კარგად პროგნოზდება ბაზრის მიერ სხვა მონაცემებზე დაყრდნობით.

გამოდის ყოველკვარტალურად. ქვეყნდება და გადაიხედება ყოველთვიურად.

საცალო ფასთა ინდექსი - Retail Prices Index (RPI).

საცალო ფასთა ინდექსი - საქონელსა და მომსახურებაზე ფასთა ცვლილების საშუალო მნიშვნელობაა. დგინდება და ქვეყნდება ყოველთვიურად. გახლავთ ინფლაციის დონის ინდიკატორი. გამოიყენება პენსიების ინდექსირებისთვის, შემწეობების ზომების კორექტირებისთვის. ინგლისის ბანკი ადგენს საპროცენტო განაკვეთს საცალო ფასთა ინდექსის საფუძველზე.

ქვეყნდება ყოველთვიურად, 12:30-ზე, 14-19 რიცხვში.

სამომხმარებლო კრედიტის სუფთა მოცულობა - Net Consumer Credit. ფიზიკური პირების კრედიტების თანხა. ასახავს სამომხმარებლო დაკრედიტების მოცულობის ცვლილებას. ინდიკატორის დიდი მნიშვნელობა მეტყველებს ეკონომიკის "გადახურებაზე", - როდესაც მომხმარებლები სესხულობენ იმაზე მეტ კრედიტს, ვიდრე საჭიროა ნორმალური დონის ცხოვრებისათვის.

ქვეყნდება ყოველთვიურად, 12:30-ზე, 29-31 რიცხვში.

უმუშევართა შემწეობის განაცხადების დონე - Claimant count rate. Claimant count - დასაქმების ცენტრებში უმუშევრების მიერ შეტანილი განაცხადების რაოდენობა. ასახავს მიმდინარე ცვლილებებს უმუშევრობის დონეში.

ქვეყნდება ყოველთვიურად, 12:30-ზე, 11-17 რიცხვში.

სავაჭრო ბალანსი - Trade balance. სავაჭრო ბალანსი წარმოადგენს ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობათა სხვაობას.

ქვეყნდება ყოველთვიურად, 12:30-ზე, 9-11 რიცხვში.

იაპონიის მაკროეკონომიკური ინდიკატორები

ტანკანის ინდექსი - TANKAN. ყოველკვარტალური ეკომომიკური მიმოხილვა, რომელსაც აქვეყნებს იაპონიის ბანკის კვლევისა და სტატისტიკის დეპარტმანემტი. მიმოხილვა შედგება 800-ზე მეტი კომპანიის, ფირმის და ინსტიტუტის შეფასების საფუძველზე შემდეგი ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით: 1) ბიზნესის გაძღოლის პირობები; 2) წარმოება და სიჭარბე; 3) მოთხოვნა და მოწოდება, ფასთა დონე; 4)

შემოსავლები; 5) პირდაპირი ინვესტიციები; 6) დასაქმება; 7) საგადასახადო პირობები. თანკან გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი იაპონური ინდიკატორი.

ქვეყნდება ყოველკვარტალურად, 03:50-ზე თოის დასაწყისში.

საგადასახადო ბალანსი Balance of payments. საგადასახადო ბალანსი სისტემატურად აჯამებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ყველა ეკონომიკურ ტრანზაქციებს. საგადასახადო ბალანსი წარმოადგენს ქვეყანაში შემომავალი გადახდებისა და ქვეყნიდან გამავალი გადახდების ჯამს.

ქვეყნდება ყოველთვიურად, 03:50-ზე შუა თვეში.

სავაჭრო ბალანსი - Trade Balance. სავაჭრო ბალანსი წარმოადგენს ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობათა სხვაობას და ქვეყნდება ყოველთვიურად 03:50-ზე შუა თვეში.

სამრეწველო წარმოების ინდექსი - Industrial production index. უჩვენებს ქვეყანაში სამრეწველო წარმოების მოცულობის ცვლილებას და ქვეყნდება ყოველთვიურად 03:50-ზე.

მთლიანი შიდა პროდუქტი - Gross domestic product (GDP). მთავარი ინდიკატორი, რომელიც ასახავს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობას. ეკონომიკის განვითარების კეინსიანური მოდელის თანახმად GDP შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: $GDP = C + I + S + (E - M)$, სადაც C - მოხმარებაა, I - ინვესტიციები, S - სახელმწიფო ხარჯები, E ექსპორტი, M - იმპორტი. GDP გამოისახება ინდექსის სახით მის წინა მნიშვნელობის თანაფარდობასთან. ქვეყნდება ყოველკვარტალურად 03:50-ზე, 14-16 რიცხვში.

უმუშევრობის დონე - Unemployment rate. უმუშევრობის დონე - შრომისუნარიანი მოსახელეობის პროცენტი, რომელიც აქტიურად ეძებს სამუშაოს, მაგრამ პოვნას ვერ ახერხებს. ქვეყნდება ყოველთვიურად 03:30-ზე.

წამყვანი და თანხვედრი ინდიკატორების ინდექსები

Leading and coincident indices. წამყვან ინდიკატორთა ინდექსი გახლავთ 13 ძირითადი სხვადასხვა ინდიკატორის შეწონილი საშუალო მნიშვნელობა. გამოიყენება ეკონომიკის მომავალი მდგომარეობის შეფასებისთვის. თანხვედრ ინდიკატორთა ინდექსი შედგება 11 ინდიკატორისაგან და განკუთვნილია ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობის შეფასებისთვის. ქვეყნდება ყოველთვიურად 09:00-ზე, 4-8 რიცხვში.

თავი 5.
ტექნიკური ანალიზის არსი და მისი მეთოდები

5.1. ტექნიკური ანალიზის ცნება

ტექნიკური ანალიზი – საჯალუტო კურსების ცვლილების პროგნოზირების მეთოდია, დაფუძნებული ბაზრის მდგომარეობის შესწავლაზე. ტექნიკური ანალიზი მოიცავს ბაზრის შესახებ მონაცემებს წარსულში და ამ მომენტისთვის. ინვესტორი, მიიღებს რა ინფორმაციას, ცდილობს ამოიცნოს სიგნალები, რასაც ბაზარი იძლევა ფასთა მოძრაობის შესახებ.

პრაქტიკულად თითოეული ტრეიდერი იყენებს ტექნიკური ანალიზის სხვადახვა ფორმებს. ყველაზე ჯიუტი ფუნდამენტალისტებიც კი უყურებენ გრაფიკებს პოზიციის გახსნა/დახურვამდე, რადგანაც ეს ეხმარება ბაზარში შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის საუკეთესო მომენტების შერჩევაში. თანაც, გრაფიკები გვაძლევენ ინფორმაციას წარსულში ფასის მოძრაობის შესახებ, ანუ ისინი ინტერპრეტირებენ ბაზრის მდგომარეობას. ხოლო ინვესტორებს, ამაზე დაყრდნობით უადვილდებათ იმის განსაზღვრა, ყიდულობენ თუ არა კარგ ფასად, ყიდიან თუ არა ტრენდის პიკზე და ა.შ.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ „ტექნიკოსები“ იგნორირებენ ფუნდამენტალურ მონაცემებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ბევრი წარმატებული ტრეიდერი უთავსებს ტექნიკურ და ფუნდამეტალურ ანალიზებს, და ერთხმად გვეუბნებიან, რომ ფასი უკვე შეიცავს ყველა ფუნდამეტალურ მონაცემს. რადგან ფასმა უკვე „აითვისა“ ინფორმაცია, მან მოხატა რაიმე გრაფიკული მოდელი ან ფიგურა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ფასის შემდგომი მოძრაობის განჭვრეტა.

ტექნიკური ანალიზი დაფუძნებულია სამ „პოსტულატზე“:

1. ფასი ასახავს ყველაფერს: ნებისმიერ ინფორმაციას ითვალისწინებს ბაზარი და პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს ფასის ცვლილებაზე.

2. ფასები დადიან ტრენდებად: ფასთა მოძრაობები შემთხვევითი არ არის – ის განჭვრეტადია.

3. ისტორია მეორდება: ფასი ითვალისწინებს რა, ერთნაირ ინფორმაციებს სხვადასხვა დროს, იმეორებს თავის მოძრაობებს.


52. გრაფიკთა ანალიზი

გრაფიკის სახეები. ტექნიკური ანალიზი ითვალისწინებს სამი სახის გრაფიკის ანალიზს:


1. ხაზობრივი გრაფიკის (ნახაზი №5.1)
2. სვეტების გრაფიკის (ნახაზი №5.2)
3. იაპონური სანთლების გრაფიკის (ნახაზი №5.3)

ბოლო ორი მათგანი იძლევა უფრო მეტ ინფორმაციას: გახსნისა და დახურვის ფასები, მაქსიმუმები და მინიმუმები.


ნახაზი №5.1. ხაზობრივი გრაფიკი



ნახაზი №5.2. სვეტების გრაფიკი



ნახაზი №5.3. იაპონური სანთლების გრაფიკი





საყრდენი და წინააღმდეგობის დონეები. საყრდენი ან წინაღობის ხაზი წარმოადგენს რაღაც დონეს, რომლის მიღწევისას ფასი ვეღარ ახერხებს შესაბამისად დაწევას ან აწევას. დამყარებულ სავაჭრო დიაპაზონში ფასი ხვდება წინაღობისა და საყრდენ დონეებს. სხვა სიტყვებით რომ

ეთქვათ, როცა ფასი მიაღწევს გარკვეულ დონეს, „ხარები“ ან „დათვები“ იწყებენ აგრესიულ ყიდვებს ან გაყიდვებს, რადგანაც მათ არ აწყობთ ესა თუ ის დონე და გარკვეულ მომენტში ბაზარზე მოთხოვნა და მოწოდება ერთმანეთის ტოლი ხდება, ამით ისინი ქმნიან წინაღობის ან საყრდენ ხაზებს. მაგრამ, როცა ხდება საეჭრო დიაპაზონის ზევით ან ქვევით გარღვევა, მაშინ წინა საყრდენი დონე გადაიქცევა წინაღობად (ნახაზი №5.4), ხოლო გარღვეული წინაღობა - საყრდენ დონედ (ნახაზი №5.5).

№5.4 ნახაზზე ვხედავთ საეჭრო დიაპაზონს, ფასი არღვევს საყრდენ დონეს, რომლიც ხდება წინაღობის ხაზი. ეს მოგვიანებით დადასტურდა, ფასმა მიაღწია აღნიშნულ დონეს, მაგრამ ზევით გარღვევის უშედეგო მცდელობამ გამოიწვია გრძელვადიანი დაღმავალი ტრენდი.

ნახაზი №5.4. წინაღობის დონე







№5.5 ნახაზზე ნაჩვენებია საეჭრო დიაპაზონის არსებობა, რამდენიმე მცდელობის შემდეგ ფასი არღვევს ზედა საზღვარს (წინაღობის ხაზი) და ძველი წინაღობის დონე ხდება გრძელვადიანი საყრდენი დონე.

ტრენდის ხაზის გარდა, საყრდენ და წინაღობის დონეებად შეიძლება მოგვეელინონ მინიმუმები და მაქსიმუმები (ნახაზი №5.6 და ნახაზი №5.7). წინა მაქსიმუმი და მინიმუმი მაინცდამაინც არ ნიშნავს იმას, რომ იქიდან აირეკლება ფასი. ისინი გვკარნახობენ, რომ მათთან ფასის მიახლოებისას შეიძლება დახვდეთ საყრდენი ან წინაღობის დონეები მინიმუმისა და მაქსიმუმის მნიშვნელობებთან, რაგდანაც ბაზარს ახსოვს, რომ ამ დონეზე „ხარებისა“ და „დათვების“ ძალთა თანაბარი თანაფარდობა იყო, და ფასის საყრდენთან მიახლოებისას ყველა დაიწყებს ყიდვას, ხოლო წინაღობასთან მიახლოებისას - გაყიდვას. წინა მინიმუმის ან მაქსიმუმის გაელა ფასის მოძრაობის შემდგომი გაგრძელების მომასწავებელია.

ნახაზი №5.6. მინიმალური წინაღობა




ნახაზი №5.7. მაქსიმალური წინაღობა



საყრდენი და წინაღობის დონეთა გარღვევის კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს 2-3 ცალი დაკეტვის მიმდევრობა შესაბამისად აღნიშნული დონის ქვევით ან ზევით, რადგანაც უბრალო განჭვრეტა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მოხდა ჭეშმარიტი გარღვევა, საჭიროა მეტი დამაჯერებლობა

(ნახაზი №5.8). არსებობს კიდევ რამდენიმე მიდგომა კრიტერიუმების დასადგენად: გარღვევის სიღრმე, ფასის გასვლის სიდიდე პროცენტებში და სხვ.


ნახაზი №5.8. ჭეშმარიტი გარღვევა




საყრდენ ან წინაღობის ხაზად შეიძლება მოგვეყლინოს კონცენტრაციის (სიმკვრივის) დონე:

- სვეტების დონე (ნახაზი №5.9)
- სანთლების დონე (ნახაზი №5.10)
- მინიმუმების დონე (ნახაზი №5.11)
- მაქსიმუმების დონე (ნახაზი №5.12)


ნახაზი №5.9. სვეტების დონე



ნახაზი №5.10. სანთლების დონე



ნახაზი №5.11. მინიმუმების დონე



ნახაზი №5.12. მაქსიმუმების დონე



5.3. ბაზრის ინდიკატორები

ბაზრის ინდიკატორები არის ინსტრუმენტის ფასის ან მოცულობის მათემატიკური გამოსახვა, რომელიც გამოიყენება სავაჭრო ინსტრუმენტის ფასის ცვლილების ანალიზისატვის ან მისი მომავალი ცვლილების პროგნოზირებისატვის. ინდიკატორზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებას როდის და როგორ გახსნან ან დახურონ პოზიცია.

ფუნქციონალური თვისებებიდან გამომდინარე ინდიკატორები იყოფა ორ ჯგუფად:

- ტრენდული, ანუ ტენდენციის ინდიკატორები;
- ოსცილატორები

ტრენდული ინდიკატორები ორიენტირებულია ფასის ერთი მიმართულებით მოძრაობის გამოვლენაზე და ამ მიმართულებით მოძრაობის დასრულების მომენტის, ე.წ. შემობრუნების მომენტის გამოვლენისათვის. ისინი ამას აკეთებენ ფასის ცვლილების სინქრონულად ან დაგვიანებით.

ოსცილატორები ორიენტირებულია შემობრუნების მომენ-

ტის გამოყენებაზე წინსწრებით ან სინქრონულად.

სტოქასტიკური ოსცილატორი (Stochastic Oscillator). როცა ინდიკატორზე იწყებ საუბარს და უნდა შეარჩიო რომელი ინდიკატორი გამოიყენო, მაშინ ორი აზრი არ უნდა არსებობდეს, აუცილებლად უნდა დაიწყო სტოქასტიკური ინდიკატორით. არა იმიტომ, რომ ეს ინდიკატორი ზუსტ და უტყუარ შედეგს იძლევა, არამედ იმიტომ რომ ეს არის ერთერთი ყველაზე გავრცელებული და გამოყენებადი ინდიკატორი.

სტოქასტიკური ოსცილატორი გვიჩვენებს დახურვის მიმდინარე ფასის ფარდობას მაქსიმუმ/მინიმუმის მიმართ. იგი შექმნილია ბაზრის ერთი თვისების ექსპლუატაციისათვის: როცა ბაზარზე ხდება აწევა, დახურვის ფასი ახლოსაა ხოლმე სავაჭრო დიაპაზონის ზედა საზღვართან და პირიქით, ვარდნის დროს დაკეტვის ფასი ახლოსაა სავაჭრო დიაპაზონის ქვედა საზღვართან. შტოკჰასტიც სცილლატორ ზომავს ბოლო პერიოდის დახურვის ფასის მდებარეობას ზედა და ქვედა საზღვრების მიმართ.

როგორც ვიცით, ძირითადად ინდიკატორებში, ოპერირება ხდება ოთხ ფასზე:

- გახსნის ფასი,
- დახურვის ფასი,
- დროის ინტერვალში დაფიქსირებული მაქსიმალური ფასი,
- მინიმალური ფასი.

სტოქასტიკის მუშაობას საფუძვლად უდევს დახურვის ფასის კონტროლი მაქსიმუმის და მინიმუმის ფასებს შორის. როცა ფასი მიდის ზემოთ დახურვის ფასს აქვს ტენდენცია მიუახლოვდეს მაქსიმუმს, ხოლო როცა ფასი მიდის ქვემოთ, დახურვის ფასი უახლოვდება მინიმუმის ფასს.

სტოქასტიკი შედგება ორი მომელები ხაზისგან **%K** და **%D** რომლებიც გამოითვლება ფორმულით:

%K = (CLOSE – MIN (LOW (%K))) / (MAX (HIGH (%K)) – MIN (LOW (%K))) * 100

სადაც: CLOSE – მიმდინარე დახურვის ფასია,

MIN (LOW (%K)) – მინიმალური ფასი %K ცალი პერიოდის განმავლობაში,, MAX (HIGH (%K)) – მაქსიმალური ფასი %K პერიოდის განმავლობაში.

%D = MA (%K, N)

სადაც:

N – გასაშუალოების პერიოდია;


MA – მცოცავი საშუალო*.

(მცოცავი საშუალო რომელიმე N პერიოდზე გულისხმობს, ბოლო N ცალი მნიშვნელობის აღებას დროის ყოველ მომენტში, დაჯამებას და გაყოფას N-ზე, ანუ გასაშუალოებას ყოველთვის ბოლო მნიშვნელობების გათვალისწინებით. აქედან მოდის სიტყვა "მცოცავი").*


ინდიკატორის მნიშვნელობა იცვლება -1 და 1-ს შორის, ან 0% და 100%-ს შორის.

მისი საშუალებით მსჯელობა ხდება შემდეგნაირად: გრაფიკზე ავლებენ ორ ჰორიზონტალურ ხაზს 20%-ის და 80%-ის დონეზე (ეს დონეები ინდივიდუალურად შერჩევადია. როცა ფასი არის 20%-ს ქვემოთ, ითვლება რომ ბაზარი იმყოფება ზე გაყიდვების მდგომარეობაში, ანუ ზედმეტად ბევრი გაყიდვის ოპერაცია შესრულდა ზედმეტად დაბალ ფასში, და ვარაუდობენ რომ როცა ინდიკატორი ქვემოდან ზემოთ კვეთს 20%-იან დონეს, ბაზრის ფასი წავა ზემოთ. და პირიქით 80%-იანი დონისთვის, თვლიან, რომ როცა ფასი არის 80%-ს ზემოთ, ითვლება რომ ბაზარი იმყოფება ზე ნაყიდობის მდგომარეობაში, ანუ ზედმეტად ბევრი ყიდვის ოპერაცია შესრულდა ზედმეტად მაღალ ფასში, და ვარაუდობენ რომ, როცა ინდიკატორი ზემოდან ქვემოთ კვეთს 80%-იან დონეს, ბაზრის ფასი წავა ქვემოთ (იხ. გრაფიკი №5.1.)

გრაფიკი №5.1.



ყველა ინდიკატორის მინუსი ის არის, რომ ისინი ეყრდნობიან უკვე მომხდარ ფაქტებს და შემდეგ გამოაქვთ შედეგი, ანუ დროში აგვიანებენ. ამიტომ ყველა პროგნოზი ინდიკატორებზე დაყრდნობით, უფრო ფსიქოლოგიური დანიშნულებისაა ვიდრე პრაქტიკული. როგორ გამოიყენებთ ინდიკატორს, და გამოიყენებთ თუ არა საერთოდ დამოკიდებულია თითოეული ტრეიდერის სტრატეგიაზე. ახალბედებს კი მივუთითებ, რომ ერთი კონკრეტული ინდიკატორის ჩვენებაზე დაყრდნობით ვაჭრობა შეიცავს შეცდომის და დეპოზიტის დაკარგვის საფრთხეს. ავტორის მიერ დამუშავებულია ინდიკატორი, რომელიც აფიქსირებს სხვა ინდიკატორების ქცევის სტატისტიკას, ინდიკატორის ყოველი წერტილისთვის. ეს სტატისტიკა ნათლად აჩვენებს, რომ ინდიკატორის ქცევის შესახებ საზოგადოდ მიღებული შეხედულება, უმეტესად არ არის ერთმნიშვნელოვანი და იქ სადაც ინდიკატორი გვპირდება ფასის უტყუარ აღმასვლას, რეალურად ხდება დაღმასვლა და პირიქით (იხ. გრაფიკი №5.2.).



ამიტომ მოიხმარეთ ინდიკატორები დიდი სიფრთხილით და დაკვირვებით. რეალურად, ინდიკატორები უნდა გახდეს არა ძირითადი სიგნალი გაყიდვის ან ყიდვის შესახებ, არამედ თქვენს მიერ, მრავალ ფაქტორზე დამყარებული, გაყიდვის ან ყიდვის გადაწყვეტილების, კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანი.

საშუალო მცოცავი Moving Average - საშუალო მცოცავი ყველაზე მარტივი და პოპულარული ინდიკატორია ტექნიკურ ანალიზში. ის საშუალო მცოცავ ტრენდულ ინდიკატორებს მიეკუთვნება, იგი გვეხმარება ახალი ტენდენციის დაწყებისა და დამთავრების დადგენაში, მისი დახრილობის კუთხით შეიძლება ტრენდის ძალის (მოძრაობის სიჩქარის) განსაზღვრა. იგი სხვა ტექნიკური ინდიკატორების უბრალესობის საფუძვლად გამოიყენება.

საშუალო მცოცავის ერთ-ერთი მოდიფიკაციაა შეწონილი საშუალო მცოცავი (Weighted Moving Average). შეწონილი საშუალო მცოცავი წარმოადგენს გარკვეული პერიოდის განმავლობაში არითმეტიკულ შეწონილ რყევათა

საშუალოს. ანალიტიკური ინსტრუმენტის როლში იგი გაუმჯობესებულია საშუალო მცოცავთან შედარებით.

სხვადასხვანაირი საშუალო მცოცავები აგლუვებენ ფასის მონაცემებს და აადვილებენ ტრენდთა იდენტიფიკაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რხევად ბაზრებზე.

საშუალო მცოცავთა გამოყენებისას დაგვიანების შემცირებისათვის, ტექნიკური ანალიტიკოსები ხშირად ხმარობენ ექსპონენციალურ საშუალო მცოცავს ხპონენტიალ ოვინგ ვერაგე (EMA). ექსპონენციალური საშუალო მცოცავი ამცირებს დაგვიანებას და ბოლო ფასებს მეტ წონას ანიჭებს ვიიდრე ძველ ფასებს. ეს ფასის მიმდინარე ცვლილებაზე სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა.

საშუალო მცოცავთა კონვერტები (Moving Average Envelopes) - შედგება ორი საშუალო მცოცავისაგან, ერთი მიმართულია ზევით, მეორე კი ქვევით გარკვეული პროცენტით(კონვერტის კოეფიციენტი ეწოდება). ხანდახან ხატავენ მესამე ხაზსაც ცენტრალურ საშუალო მცოცავს, რომლის მიმართაც ხდება წანაცვლება. ითვლება, რომ კონვერტი განსაზღვრავს ფასთა ნორმალურ რხევათა საზღვრებს (ზედას და ქვედას). ზოლის გამოყენების პრინციპი შემდეგია: რხევების შემდეგ ფასი უბრუნდება ძირითად ტრენდს (თავის ცენტრალურ საშუალო მცოცავთან).

ბოლინჯერის ლენტი (Bollinger Band) - წააგავს საშუალო მცოცავთა კონვერტებს, მაგრამ დაფუძნებულია ბაზრის მიმდინარე ვოლატილობაზე (რხევებზე). საშუალო მცოცავთა კონვერტებისაგან განსხვავებით, ბოლინჯერის ლენტი იცვლება არამარტო მოძრაობის მიმართულების, არამედ მოძრაობის ხასიათის შესაბამისად. ბოლინჯერის ლენტი იძლევა იმის სტატისტიკურ შეფასებას, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს მოკლევადიანი მოძრაობა მანამდე, ვიდრე იგი ძირითად ტენდენციას დაუბრუნდება.

საშუალო მომართული მოძრაობის ინდიკატორი (Average Directional Index (ADX)). ემსახურება ტრენდის ძალის გან-

საზღვრას, გააგრძელებს ტრენდი სელას თუ იგი შესუსტდება. ფაქტიურად **ADX** მიეკუთვნება ოსცილატორთა კლასს, რომლებიც ცანცარებენ 0-დან 100-მდე დიაპაზონში. 60-ის ზევით ასვლა იშვიათად ხდება. მნიშვნელობა 20-ის ქვევით მეტყველებს სუსტი ტრენდის შესახებ, მნიშვნელობა 40-ის მაღლა ძლიერი ტრენდის შესახებ. 40-ის ზევით ყოფნა ძლიერ აღმავალ ან ძლიერ დაღმავალ ტრენდზე მიუთითებს. **ADX** ასევე გამოიყენება ბაზარზე პოტენციური ცელილებების დასადგენად. როდესაც ინდიკატორის ჩვენება ადის 20-ის მაღლა ქვევიდან ზევით - ამან შეიძლება მიანიშნოს ტრენდის შეცვლაზე და მის შემდგომ განვითარებაზე. როცა ინდიკატორი უჩვენებს 40-ზე ნაკლებს, ეს ნიშნავს რომ ტრენდმა ძალა დაკარგა.

საშუალო ჭეშმარიტი დიაპაზონი (Average True Range) - ვოლატილობის ინდიკატორი. ჭეშმარიტი დიაპაზონი განისაზღვრება როგორც მაქსიმალური ამ სამი მნიშვნელობიდან:

- მიმდინარე მაქსიმუმსა და მიმდინარე მინიმუმს შორის სხვაობა;
- მიმდინარე მაქსიმუმისა და წინა დახურვის სხვაობის მოდული;
- მიმდინარე მინიმუმისა და წინა დახურვის სხვაობის მოდული.

თუ პერიოდის შიგნით (სხვაობა მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის) რხევის დიაპაზონი საკმაოდ დიდია, მაშინ ინდექსის მნიშვნელობა გამოითვლება მისგან გამომდინარე. თუ სხვაობა მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის მცირეა, მაშინ ინდექსის გამოთვლისთვის დანარჩენი ორი მეთოდი იხმარება. ბოლო ორი ვარიანტი მაშინ გამოდის, როცა წინა დახურვა მიმდინარე მაქსიმუმზე მეტი ან წინა დახურვა ნაკლებია ვიდრე მიმდინარე მინიმუმი.

სავაჭრო არხის ინდექსი (Commodity Channel Index (CCI)) სავაჭრო არხის ინდექსი შეიქმნა, როგორც შემო-

ბრუნების წერტილების დასადგენი ინდიკატორი. მოსაზრება, რომელსაც დაფუძნებულია ინდიკატორი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა აქტივი მოძრაობს, გარკვეული ციკლების ზემოქმედებით, ხოლო მაქსიმუმები და მინიმუმები ჩნდებიან გარკვეული ინტერვალებით. **CCI** მიეკუთვნება ოსცილატორთა ტიპს, რომლებიც ფასის მოძრაობის სიჩქარეს ზომავენ.

ცვლილების სისწრაფე (Rate of Change (ROC)) ერთერთი ყველაზე მარტივი და ძალიან ეფექტური ოსცილატორი, რომელიც გვიჩვენებს ერთი პერიოდიდან მეორესაკენ ფასის პროცენტულ ცვლილებას. **Rate of Change** გამოითვლება, როგორც მიმდინარე ფასის შედარება წინა პერიოდის ფასთან, რომელიც მიმდინარეს პერიოდით ჩამორჩება. პერიოდი შეიძლება იყოს ინტერვალები წუთიდან თვემდე.

ფარდობითი ძალის ინდექსი (Relative Strength Index) კიდევ ერთი მეტად პოპულარული ოსცილატორი, რომელიც მოძრაობის ძალას აფასებს. **Relative Strength Index** ფასის აწევის სიდიდეს ადარებს დაწევის სიდიდესთან და იძლევა ამ ინფორმაციას რიცხვის სახით, რომელიც 0-დან 100-მდე დიაპაზონში მერყეობს. **RSI**-ს ერთადერთი პარამეტრია - დროის პერიოდი, რომელიც გამოთვლის დროს გამოიყენება.

სწრაფი ინდიკატორი (indikatori Momentum) - გვიჩვენებს ფასის ცვლილების სისწრაფეს, ანუ ტემპს. მომენტუმი ყველაზე მარტივი ტრენდული ინდიკატორია. მიმდინარე დახურვის ფასის წინას მიმართ გადაჭარბება მიუთითებს აღმავალ ტრენდზე, ხოლო თუ მიმდინარე ფასი დაბალია წინასთან შედარებით - ნიშნავს დაღმავალ ტრენდს. ხანდახან იხმარება გაუთოებული მომენტუმი, რათა შემცირდეს მისი ვოლატილობა. ამ მიზნით ხმარობენ საშუალო მცოცავებს. ინდიკატორი ხშირ შემთხვევებში წინმსწრებია ძირითადი საფასო მოძრაობის მიმართ.

იშიმოკუს ინდიკატორი (iSimokus ინდიკატორი) - შეიქმნა იაპონიაში სანთლის ანალიზთან ერთად სამუშაოდ. იშიმოკუ შეიმუშავა ანალიტიკოსმა სახელად გოიჩი ჰოსონდა (**Goichi**

Hosoda) ნიკკეის ინდექსისათვის. იშიმოკუ ითვლება ტრენდულ ინდიკატორად (თუმცა მის შიგნით არის კონტრტრენდული ანალიზის ელემენტებიც): იგი კარგ სიგნალებს იძლევა ტრენდის დროს და ნორმალურებს რენჯის დროს.

5.4. იაპონური სანთლები

იაპონური სანთლების გრაფიკები ტექნიკური ანალიზის ყველაზე პოპულარული და ძველი ფორმაა. ბევრი ტრეიდერი სარგებლობს სანთლებით სავალუტე და საფონდე ბირჟებზე. საეჭრო პლათფორმათა უმრავლესობას აქვს განყოფილება „იაპონური სანთლები". გრაფიკის ასეთი სახეობა ფინანსურ ბაზრებზე მუშაობის საბაზო გრაფიკული ინსტრუმენტი გახდა.

რაშია იაპონური სანთლების მიმზიდველობა?

პირველ რიგში, სანთელთა გრაფიკული ინსტრუმენტები იმდენად მრავალმხრივია, რომ შეიძლება მათი გამოყენება ნებისმიერ დასავლურ ტექნიკურ ინსტრუმენტებთან.

მეორეც, იაპონურ სანთლებს შეუძლიათ სიგნალების მოწოდება იმაზე ადრე, ვიდრე სხვა ნებისმიერ ტექნიკური ანალიზის ინსტრუმენტს. ხანდახან კი ისეთი სიგნალებისაც კი, რომლებიც დასავლურ ტექნიკური ანალიზის ინსტრუმენტებს საერთოდ არ შეუძლიათ.


მესამე, ფართოდ გამოყენება ინვესტირების, ჰეჯირების, ფიუჩერსებით, აქციებით, ოფციონებით, ვალუტებით ვაჭრობის ანალიზისას.

მეოთხე, ფიგუარათა აღწერის ტერმინოლოგიის სილამაზე და ხატოვნება (იხ.ქვეით).

იაპონური სანთლები შედგება ოთხი სახის ფასისაგან:

- **Open** – ნიშნავს გახსნის ფასს,
- **High** – მაქსიმალურ ფასს **N** პერიოდის განმავლობაში,
- **Low** – მინიმალურ ფასს **N** პერიოდის განმავლობაში,

• **Close** – დახურვის ფასს.




სანთელთა გრაფიკების უპირატესობა იმაშია, რომ სანთლის ფერი მიუთითებს ვინ გაიმარჯვა – ხარებმა თუ დათვებმა.

• გრძელი თეთრი ტანი გვეუბნება, რომ ბაზარზე ბატონობენ ხარები,

• გრძელი შავი კი - დათვები.


• გრძელ თეთრ სანთელს ჩლოსე ყოველთვის მაღლა აქვს, ვიდრე **Open**.

• გრძელ შავ სანთელს კი პირიქით - **Open** ყოველთვის მაღლა აქვს, ვიდრე **Close**.



სანთელი, რომლის გასნისა და დაკხურვის ფასები ერთმანეთს ემთხვევა, ეწოდება დოჯი. გვერდითი ტრენდის დროს ეს სანთელი არანაირ სიგნალებს არ იძლევა. მაგრამ, ტრენდის დროს, დოჯის გამოჩენა გვაძლევს სიგნალს ტენ-


დენციის შესაძლო შემობრუნების შესახებ.



ხართა სანთლები და მათი კომბინაციები. ხართა სანთლებს მიეკუთვნება:


- ჩაქუჩი;
- ხარის შთანთქმა;
- დილის ვარსკვლავი.

ჩაქუჩი. დახასიათება: სანთელი ძალიან გრძელი ქვედა ჩრდილით და პატარა ტანით (შავი ან თეთრი) ზედა კიდესთან. რაც გრძელია ქვედა ჩრდილი, მით ძლიერია სანთლის მიერ მოწოდებული სიგნალი. (ნახაზი №5.13)




ხარის შთანთქმა. დახასიათება: ბაზარი იმყოფება დაღმავალ ტრენდში, თეთრი ტანი შთანთქავს წინა პერიოდის შავ ტანს. იმისათვის, რომ შთანთქმა იყოს ჭეშმარიტი, ბაზარზე უნდა იყოს გამოკვეთილი დაღმავალი ტრენდი. (ნახაზი №5.14)

ნახაზი №5.14. ხარის შთანთქმა



დილის ვარსკვლავი. დახასიათება: სანთელთა კომბინაცია, რომელიც შედგება გრძელი შავი ტანისაგან, რასაც მოყვება პატარა თეთრი ან შავი ტანი, შემდეგ მოდის თეთრი ტანი. (ნახაზი №5.15)

ნახაზი №5.15 დილის ვარსკვლავი




დათვთა სანთლები და მათი კომბინაციები. დათვების სანთლებს მიეკუთვნება:

- სახრჩობელა;
- ვარდნილი ვარსკვლავი;
- დათვის შთანთქმა;
- შავი ღრუბელი;
- საღამოს ვარსკვლავი.


სახრჩობელა. დახასიათება: გრძელი ქვედა ჩრდილი და პატარა ტანი (თეთრი ან შავი) სანთლის ზედა კიდესთან. ეს სანთელი იჩითება აღმავალ ტრენდზე (იხ. ნახაზი №5.16).

ნახაზი №5.16. სახრჩობელა



ვარდნილი ვარსკვლავი. დახასიათება: გრძელი ზედა ჩრდილი და პატარა ტანი (თეთრი ან შავი) სანთლის ქვედა კიდესთან. ეს სანთელი იჩითება აღმავალ ტრენდზე. (იხ. ნახაზი №5.17)

ნახაზი №5.17. ვარდნილი ვარსკვლავი



დათვის შთანთქმა. დახასიათება: ბაზარი იმყოფება აღმავალ ტრენდში, შავი ტანი შთანთქავს წინა პერიოდის თეთრ ტანს. იმისათვის, რომ შთანთქმა იყოს ჭეშმარიტი, ბაზარზე უნდა იყოს გამოკვეთილი აღმავალი ტრენდი. (იხ. ნახაზი №5.18)


ნახაზი №5.18. დათვის შთანთქმა



შავი ღრუბლები. დახასიათება: ორი სანთლისაგან შედგენილი კომბინაცია. პირველი სანთელი თეთრია, მეორე – შავი, თანაც შავი სანთლის გახსნის ფასი უნდა აღემატე-


ბოდეს თეთრი სანთლის მაქსიმუმს, ხოლო შავი სანთლის დახურვის ფასი იმყოფებოდეს თეთრი სანთლის ტანის შიგნით. (იხ. ნახაზი №5.19)

ნახაზი №5.19. შავი ღრუბლები



საღამოს ვარსკვლავი. დახასიათება: სანთელთა კომბინაცია, რომელიც შედგება მაღალი თეთრი ტანისგან, რომელსაც მოყვება პატარა თეთრი ან შავი ტანი, შემდეგ მოდის შავი ტანი. (ნახაზი №5.20).

ნახაზი №5.20. საღამოს ვარსკვლავი



თავი 6.
რისკები და ჰეჯირება ფორექსის ბაზარზე

6.1. რისკის არსი და კლასიფიკაცია

რისკის მართვის სისტემაში მნიშვნელოვანი მომენტი მათი კლასიფიკაციაა. სწორად აგებული კლასიფიკაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს შედეგების სიზუსტეს და მართვის ეფექტურობას. რისკების კლასიფიკაცია ეს არის მათი დაყოფა ცალკეულ ნაწილებად გარკვეული ნიშნებით კონკრეტული შედეგების მიღწევის მიზნით. რისკების მეცნიერულად დასაბუთებული კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა მკვეთრად იყოს განსაზღვრული თითოეული რისკის ადგილი მათ საერთო სისტემაში. იგი საშუალებას იძლევა რისკის მართვისას გამოყენებული იქნას შესაბამისი ხერხები და მეთოდები. რისკების სისტემა მოიცავს რისკების კატეგორიებს, ჯგუფებს, სახეებს, ქვესახეებს და სახესხვაობებს.

შესაძლო შედეგების მიხედვით (სარისკო მოვლენის) რისკები შეიძლება ორ დიდ კატეგორიად დავყოთ: სუფთა და სპეკულაციური.

სუფთა რისკები აღნიშნავენ შესაძლებლობას, მიღებული იქნას ნულოვანი ან უარყოფითი შედეგი. ასეთ რისკებს მიეკუთვნებათ ბუნებრივი, ეკოლოგიური, პოლიტიკური, სატრანსპორტო და კომერციული რისკების ნაწილი (ქონებრივი საწარმოო და სავაჭრო)

სუფთა რისკი ეს არის მოულოდნელი და დაუგეგმავი დანაკარგის საფრთხე მოსალოდნელი ალტერნატიული შესაძლო მოგების გარეშე. სუფთა რისკი ხასიათდება სამი ძირითადი პარამეტრით:

- მოსალოდნელი და არასასურველი შედეგები. დანაკარ-

გებს შეიძლება ქონდეს ადგილი ან არა.

• ობიექტური შესაძლებლობა. სუფთა რისკი არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მოვლენის არასასურველი განვითარება რეალური სამყაროს აუცილებელ თვისებას წარმოადგენს.

• გათვლადობა. სუფთარისკის ხარისხი ყოველთვის არ ექვემდებარება გამოთვლას.

სპეკულაციური რისკები გამოიხატება შესაძლებლობაში, მოვლენათა განვითაარების სხვადასხვა ვარიანტების შედეგად მიღებული იქნას როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგი. რისკების ეს კატეგორია ყოველთვის არსებობს ბიზნესში. სწორედ ასეთი რისკების თავის თავზე აღებაში მდგომარეობს მეწარმის როლი ეკონომიკაში. არსებობს ორი ამოცანა, რომელათა გადაჭრისკენაც მიისწრაფვიან მეწარმეები: შეინარჩუნონ არსებული გარკვეული კეთილდღეობა (ქონება) და (ან) გაამრაველონ იგი. არც ერთი და არც მეორე ამოცანა არ შეიძლება გადაიჭრას რისკის გარეშე დაიკარგოს ან შემცირდეს არსებული კეთილდღეობა.

წარმოშობის ძირითადი მიზეზების მიხედვით რისკები შემდეგ ჯგუფებად იყოფიან: ბუნებრივი, ეკოლოგიური, სატრანსპორტო და კომერციული.

ბუნებრივს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ბუნების ძალთა სტიქიურ გამოვლინებებეთან: მიწისძვრები, ქარიშხლები, ხანძრები, ეპიდემიები და ა.შ.

კოლოგიური რისკის ქვეშ მოიაზრება მოქალაქეთა პასუხისმგებლობის დადგომის ალბათობა გარემოსთვის ან მესამე პირებისთვის ზიანის მიყენების გამო. ის შეიძლება წარმოიქმნას მშენებლობის და სამრეწველო ობიექტების ექსპლუატაციის პროცესში და სამრეწველო რისკის შემადგენელი ნაწილია. გარემოს დაზიანება გამოიხატება ტყის მასივების, წყლის, ჰაერის და მიწის რესურსების დაბინძურებასა და განადგურებაში, ბიოსფეროსა და სასოფლო-სამეურნეო საკარგულებისთვის ვნების მიყენებაში.

ეკოლოგიური რისკის განსაზღვრისას განიხილება რისკის სამი ტიპი:

- ზიანი, რომელიც გარემოს მომატებული საფრთხის წყაროდან მიადგება.
- ზიანი, რომელიც ადამიანთა ჯანმრთელობას ადგება გარემომცველ ბუნებრივ გარემოზე მავნე ზემოქმედების გამო.
- ზიანი რომელიც მოქალაქეთა ქონებას ადგება.

საწარმოო, როგორც მომატებული საშიშროების წყარო, ვალდებულია უზრუნველჰყოს მოსახლეობის და გარემოს მავნე ზემოქმედებისგან დაცვის უზრუნველყოფის ზომები. ეკოლოგიური რისკების მართვის მექანიზმებად გამოიყენება სავალდებულო ეკოლოგიური დაზღვევა.

პოლიტიკური რისკები დაკავშირებულია პოლიტიკურ მდგომარეობასთან ქვეყანაში და სახელმწიფოს მოღვაწეობასთან. პოლიტიკური რისკები წარმოიშობა სამრეწველო სავაჭრო პროცესების პირობების დარღვევის გამო იმ მიზეზებით, რომლებიც სამეურნეო სუბიექტთან უშუალო დამოკიდებულებაში არ არიან.

პოლიტიკურ რისკებს მიეკუთვნებათ რისკები, რომლებიც შემდეგი მიზეზით წარმოიშობა:

- მყიდველის არამყიდველუნარიანობა;
- შემკვეთის უარი გადაიხადოს პროდუქციის ღირებულება;
- კონტრაქტის დადების შემდეგ პროდუქციაზე ფასების ცვლილება;
- პროდუქციაზე მოთხოვნილების შემცირება;

სტრუქტურული ნიშნით კომერციული რისკები იყოფიან: ქონებრივ, საწარმოო, სავაჭრო და ფინანსურ რისკებად.

ქონებრივი რისკები – ეს რისკებია, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქე-მეწარმის ქონების დაკარგვის ალბათობასთან ქურდობის, დივერსიების, უყურადღებობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულებელყოფის და ა.შ გამო.

საწარმოო რისკები – წარმოადგენენ საფრთხეს მიადგეს ზარალი საწარმოს (რისკის ობიექტს) და მესამე პირებს საწარმო პროცესის ნორმალური მიმდინარეობის დარღვევის გამო. მათ მიეკუთვნება აგრეთვე საწარმო მოწყობილობების და ტრანსპორტის დაზიანების ან დაკარგვის საფრთხე, შენობა-ნაგებობების დანგრევის საფრთხე ისეთი გარეშე ფაქტორების ზეგავლენით, როგორიცაა ბუნების ძალები და ბოროტგანზრახული მოქმედებები.

სამრეწველო წარმოებისთვის უფრო სერიოზული და ხშირია მანქანების და მოწყობილობების დაზიანების რისკი, ხოლო უფრო რთულ შემთხვევაში ავარიული სიტუაციის წარმოშობა. ეს საწარმოო ობიექტზე შეიძლება სახვადასხვა ხასიათის მოვლენების შედეგად მოხდეს:

• ბუნებრივი – მიწისძვრები, წყალდიდობები, მეწყერები, ქარიშხალი, მეხის დაცემები, შტორმი, ვულკანის ამოფრქვევა და ს.ა

• ტექნოგენური – შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, მანქანების მწყობრიდან გამოსვლა, შეცდომები მათი პროექტის და მონტაჟის დროს, ბოროტგანზრახვით მოქმედებები, პერსონალის შეცდომები, მოწყობილობების დაზიანება სამშენებლო–სარემონტო სამუშაოების დროს, საფრენი ობიექტებს ან მათი ნაწილების ჩამოვარდნა და სხვ.

• შერეული – ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა ადამიანის ტექნოგენური მოქმედებების შედეგად, მაგ: ნავთობის შადრევნის წარმოქმნა ჭაბურღილის სადაზვერეო ბურღვის დროს ან მეწყერის წარმოშობა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას.

ეს მოვლენები იწვევენ არასასურველი შედეგების რამოდენიმე ჯგუფს: აფეთქება, ხანძარი, მექანიზმების და მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა, გარემოს, პერსონალის და მესამე პირების დაზიანება, პროდუქციის წარმოების შემცირება და სხვ.

სავაჭრო რისკები – ეს არის რისკები, რომლებიც და-

კავშირებულია გადახდების შეფერხების გამო გამოწვეულ ზარალთან, საქონლის ტრანსპორტირების დროს მისი ღირებულების გადახდაზე უარით, საქონლის არადროული მიწოდებით და ა.შ.

ფინანსური რიკები – დაკავშირებულია ფინანსური რესურსების (ფულადი სახსრების) შესაძლო დანაკარგებთან.

ფინანსური რიკები ორ სახედ იყოფა:

- რისკი, რომელიც ფულის მსყიდველობითუნარიანობასთანაა დაკავშირებული.
- რისკი რომელიც კაპიტალდაბანდებასთანაა დაკავშირებული(ინვესტიციური რისკი)

ფულის მსყიდველობითუნარიანობასთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკების შემდეგი სახესხვაობები: ინფლაციური და დეფლაციური რისკები, სავალუტო რისკები, ლიკვიდობის რისკები.

ინფლაცია ნიშნავს ფულის გაუფასურებას და შესაბამისად ფასების ზრდას. დეფლაცია ინფლაციის საპირისპირო პროცესია. ის გამოხატება ფასების შემცირებით და ფულის მსყიდველიანობის მატებით.

ინფლაციური რისკი – ეს არის რისკი იმისა, რომ ინფლაციის ზრდის დროს მიღებული ფულადი სახსრები უფასურდება რეალური მსყიდველუნარიანობის თვალსაზრისით. ასეთ პირობებში მეწარმე რეალურ დანაკარგებს იღებს.

დეფლაციური რისკი – ეს არის რისკი იმისა რომ დეფლაციის ზრდის დროს ხდება ფასების დონის დაცემა, წარმოების ეკონომიკური პირობების გაუარესება და შემოსავლის შემცირება.

სავალუტო რისკები – წარმოადგენენ სავალუტო დანაკარგების საფრთხეს, რაც დაკავშირებულია ერთი სახელმწიფოს ვალუტის კურსის ცვლილებით მეორესთან მიმართებაში გარეეკონომიკური, საკრედიტო და სხვა სავალუტო ოპერაციების მიმდინარეობის დროს. სავალუტო რისკები იყოფა:

- ოპერაციულ რისკებად,
- ტრანსლაციურ რისკებად,
- ეკონომიკურ რისკებად.

ოპერაციული სავალუტო რისკი შეიძლება განისაზღვროს როგორც ზარალის წარმოშობა ან შემოსავლის ზომების შემცირება გაცვლის კურსის ცვლილების შედეგად და მისი ზემოქმედება პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებულ მოსალოდნელ შემოსავლებზე.

ტრანსლაციური სავალუტო რისკი წარმოიშვება იმ შემთხვევაში, თუ ძირითად საწარმოს გააჩნია შვილობილი ან ფილიალები საზღვარგარეთ. მისი წინაპირობაა კომპანიის აქტივებსა და პასივებს შორის შესაძლო შეუსაბამობა, რაც სხვადასხვა ქვეყნის ვალუტით ითვლება. სტრუქტურული ქვეგანყოფილების ადგილსამყოფელ ქვეყანაში გაცვლითი კურსის შემცირება დედობილი კომპანიის ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტასთან მიმართებით იწვევს მისი მოგების მოჩვენებით შემცირებას. თუ საწარმოს აქვს კონსოლიდირებული ბალანსი, მაშინ გაცვლითი კურსის შემცირების შემთხვევაში ფილიალის ან შვილობილი საწარმოს აქტივების და პასივების გადაანგარიშება მოჩვენებით დანაკარგებთან მიგვიყვანს. ასე რომ ტრანსლაციური საეალუტო რისკი შემდეგ შემთხვევებში წარმოიქმნება:

- კომპანიის ეფექტურობის საერთო შეფასების აუცილებლობის დროს, რომელშიც შედის მისი საზღვარგარეთული ფილიალები.
- როცა აუცილებელი ხდება კონსოლიდირებული ბალანსის შედგენა.
- როცა აუცილებელია გადასახადების გადაანგარიშება დედობილი ქვეყნის ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტაში.

ეკონომიკური სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც გადაცვლის კურსის ცვლილების არასასურველი გავლენის ალბათობა საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ის წარმოიშვება მაგ: საქონელბრუნვის მოცულობის ან

წარმოების საშუალებებზე და მზა პროდუქციაზე ფასების ცვლილებით ქვეყანაში აგრეთვე საწარმოს კონკურენტუნარიანობის ცვლილებით. მის ზემოქმედებას სხვა მისეზებიც შეიძლება ქონდეს, მაგ: სამთავრობო ზომები, რომლებიც ეროვნული ვალუტის კურსის დაცემითაა გამოწვეული (ხელფასის ზომის ზრდის ხელოვნური შეჩერება, უცხოური ვალუტის ბრუნვის შეზღუდვა, ფულის ცვლა და ა.შ.) ეკონომიკური საფრთხე ყველაზე ძლიერად გამოვლინდება ქვეყნებში, რომლებიც საქონლის იმპორტზეა დამოკიდებული. თუ, მაგ. საქონლის წარმოება იმპორტულ კომპანიებზეა დამოკიდებული, მაშინ უცხოური ვალუტის ზრდა ეროვნულთან მიმართებაში ზრდის პროდუქციის ღირებულებას და ამცირებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც სამამულო ნედლეულს იყენებენ. უცხოური ვალუტის კურსის ზრდა სტიმულს აძლევს საექსპორტო-საიმპორტო წარმოებას და ავიწროებს წარმოებას, რომელიც იმპორტზეა დამოკიდებული.

ლიკვიდურობის რისკები –ეს არის რისკები, რომლებსაც ადგილი აქვთ ფასიანი ქაღალდების ან სხვა საქონლის რეალიზაციის დროს შესაძლო დანაკარგებთან მათი სამომხმარებლო ღირებულების ან ხარისხის შეფასების ცვლილების გამო.

ლიკვიდურობის რისკი შეიძლება იყოს ძალიან მაღალი იმ შემთხვევაში, თუ ბანკი არ ფლობს იფორმაციას ახალ სესხებზე მოთხოვნილების გაზრდის და ანგარიშების მასიური ამოღების შესახებ.

ტრადიციული ანალიტიკური მეთოდიკები ადარებენ შემოსავლების მგრძნობელობას პროცენტების სახით აქტივებიდან შემოსავლების ცვლილებასთან, დანახარჯების მგრძნობელობასთან პროცენტების გადახდაზე პასივებით პროცენტების ღირებულებების ცვლილებასთან. ამის მიზანია განისაზღვროს როგორ შეიცვლება სუფთა შემოსავალი

პროცენტების სახით საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო. ნაკლებად გავრცელებულია პირტფელის ყოველმხრივი ანალიზის მეთოდიკა, ხდება აქტივების ხანგრძლივობის შედარება პასივების ხანგრძლივობასთან; შემდეგ ხდება სუფთა შემოსავლის ცვლილებათა (პროცენტების სახით) ზეგავლენის და სააქციო კაპიტალის ანალიზი. ხანგრძლივობა – ეს არის სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდების ფასების მიმართ მგრძნობელობის ზომა.

ინვესტიციური რისკები შიცავენ რისკების შემდეგ ქვესახეებს: დაკარგული მოგების რისკი, შემოსავლიანობის შემცირების რისკი, პირდაპირ ფინანსური დანაკარგების რისკი.

დაკარგული მოგების რისკი – ეს არის გვერდითი (არაპირდაპირი) ფინანსური ზარალის დადგომის რისკი, რაც შეიძლება მოხდეს ამათუიმ ღონისძიების განხორციელების გამო (მაგ. დაზღვევის, ინცესტიციის და ა.შ.)

შემოსავლიანობის შემცირების რისკი შეიძლება წარმოიშვას საპორტფელო ინვესტიციებით, კრედიტებით და დაბანდების პროცენტების და დივიდენდების შემოღების შედეგად. საპორტფელო ინვესტიციები დაკავშირებულია საინვესტიციო პორტფელის ფორმირებასთან და ეს არის ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების შეძენა. ტერმინი „საპორტფელო“ წარმოიშვა იტალიური „**porto foglio**“, რაც ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ერთობლიობას, რომელიც ინვესტორს გააჩნია. შემოსავლიანობის შემცირების რისკი შეიცავს შემდეგ სახესხვაობებს: საპროცენტო რისკები და საკრედიტო რისკები.

საპროცენტო რისკებს განეკუთვნება დანაკარგის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება განიცადონ კომერციულმა ბანკებმა, საკრედიტო დაწესებულებებმა, საინვესტიციო ინსტიტუტებმა, სელექციურმა კომპანიებმა იმ საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად, რომლებსაც ისინი იხდიან მოზიდული სახსრების მიხედვით, მიღებული საკრედიტო

განაკვეთებზე. საპროცენტო რისკებს აგრეთვე მიეკუთვნება დანაკარგების რისკები, რომლებიც შეიძლება განიცადონ ინვესტორებმა აქციათა დივიდენდების, ბაზარზე ობლიგაციათა საპროცენტო განაკვეთების, სერტიფიკატების და სხვა ფასიანი ქაღალდების ფასების ცვლილებების შედეგად.

პროცენტის საბაზრო განაკვეთის ზრდას ფასიანი ქაღალდების საკურსო ღირებულების შემცირებამდე მიეყვანართ, განსაკუთრებით – ფიქსირებულპროცენტიანი ობლიგაციების. პროცენტების ზრდის დროს შეიძლება დაიწყოს იმ ფასიანი ქაღალდების მასიური დაცემა, რომლებიც ემიტირებულია უფრო დაბალი ფიქსირებული პროცენტებით და რომელთა გამოშვების პირობა ითვალისწინებს ვადამდელ განაღდებას. საპროცენტო რისკს იღებს ინვესტორი, რომელიც სახსრებს საშუალოვადიან და გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში ათავსებს და ხდება საშუალო საბაზრო პროცენტის ზრდა ფიქსირებულ დონესთან შედარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტორს შეეძლო მიეღო დამატებითი შემოსავალი პროცენტის გაზრდის ხარჯზე, მაგრამ არ შეუძლია გამოათავისუფლოს თავისი სახსრები, რომლებიც ზემოთ ნაჩვენები პირობებით აქვს განთავსებული. საპროცენტო რისკს იღებს ემიტენტი, რომელიც ბრუნვაში უშვებს საშუალოვადიან და გრძელვადიან ფასიან ქაღალდებს ფიქსირებული პროცენტით. სხვაგვარად რომ ვთქვათ ემიტენტს შეუძლია მიიზიდოს სახსრები ბაზრიდან უფრო დაბალი პროცენტით, მაგრამ იგი უკვე შეზღუდულია მის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით. რისკის ამ სახეს საპროცენტო განაკვეთების სწრაფი ზრდისას ინფლაციის პირობებში მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდებისთვისაც აქვს მნიშვნელობა.

საკრედიტო რისკი – არის საშიშროება იმისა, რომ დამქირაველებელმა არ გადაიხადოს კრედიტორის კუთვნილი ძირითადი ვალი და პროცენტები. ეს შეიძლება რამოდენიმე მიზეზით მოხდეს: დაუმთავრებელი მშენებლობა, საბაზრო

და ზოგადეკონომიკური სიტუაციის ცვლილება, საინვესტიციო პროექტის არასაკმარისი მარკეტინგული დამუშავება, საგანგებო მოვლენები. კრედიტორისთვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რომ დაუბრუნდეს თანხა და პროცენტები, არამედ დაბრუნების ვადებსაც. ასე რომ კრედიტორისთვის არსებობს პირდაპირი დანაკარგების რისკი, რაც ხდება საკრედიტო თანხის ან მისი ნაწილის დაუბრუნებლობის დროს და არაპირდაპირი დანაკარგების რისკი, როცა ხდება ძირითადი ვალის ან პროცენტის შეჩერება. საკრედიტო რისკს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი მოვლენის რისკი, რომლის შედეგადაც ემიტენტს, რომელმაც ფასიანი ქაღალდები გამოუშვა, აღარ შეუძლია გადაიხადოს პროცენტები ან ძირითადი ვალის თანხა. საკრედიტო რისკების შემცირების რამოდენიმე გზა არსებობს. მათ შორისაა:საფინანსო ღონისძიებები – საფინანსო გარანტიების მიღება და დაზღვევა. რისკი მართვის ამათუიმ მეთოდის გამყენების მიზანმიმართულობის განსაზღვრა მოცემულშემთხვევაში შეადგენს დარგის საერთო სტრატეგიის მოდელის შემადგენელ ნაწილს ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების დროს. საკრედიტო რისკები აგრეთვე შეიძლება პირდაპირი ფინანსური დანაკარგების რისკებსი ნაირსახეობაც იყოს.

პირდაპირი ფინანსური დანაკარგების რისკები შემდეგ სახესხავაობებს შეიცავენ: საბირჟო რისკი, სელექციური რისკი, გაკოტრების რისკი, აგრეთვე საკრედიტო (ფინანსური) რისკი.

საბირჟო რისკი ეს არის დანაკარგების საფრთხე საბირჟო გარიგებებიდან. ამ რისკებს მიეკუთვნებათ: კომერციულ გარიგებებში გადაუხდელობის რისკი, ბროკერული ფირმებისთვის საკომისიო ჯილდოების გადაუხდელობის რისკი და ა.შ.

სელექციური რისკები (სიტყვიდან **selecio** – არჩევანი, შერჩევა) – ეს არის კაპიტალდაბანდების მეთოდის არასწორი არჩევანის რისკი ფასიანი ქაღალდების სახით სხვა

სახის ფასიან ქაღალდებთან შედარებით ინვესტიციური პორტფელის ფორმირების დროს.

გაკოტრების რისკი ეს არის საფრთხე, რომელიც წარმოიქმნება კაპიტალის განთავსების მეთოდის არასწორი არჩევის დროს, მეწარმის მიერ საკუთარი კაპიტალის სრული დაკარგვის და მის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების უუნარობის დროს და ამის შედეგად ადგილი აქვს მეწარმის გაკოტრებას.

საკრედიტო (ფინანსური) რისკი დროის ფუნქციას წარმოადგენს. როგორც წესი რისკის ხარისხი მოცემული ფინანსური აქტივისთვის ან კაპიტალდაბანდების ვარიანტისთვის დროის მიხედვით იზრდება. მაგ, იმპორტიორის შემოსავლები (დანაკარგები) დამოკიდებული იქნება პერიოდზე, კონტრაქტის დადების მომენტიდან გარიგრბის მიხედვით გადახდების ვადამდე, იმდენად, რამდენადაც უცხოური ვალუტის კურსი იმ ქვეყნის ვალუტის კურსთან შედარებით, სადაც ხდება საქონლის შეტანა შეიძლება შეიცვალოს.

საწარმოს (ბანკის) რისკების დეტალური ჩამონათვალი მხოლოდ სოციალური გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება იყოს შედგენილი.

6.2. სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე არსებული რისკები

ჩვენი მიზანია დაინტერესებულ პირს გავაცნოთ რისკები, რომლებიც თან სდევს სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სავაჭრო საქმიანობას. კლიენტმა უნდა გაიცნობიეროს ამ რისკების გამო ზარალის მიღების ალბათობა. მოცემულ გაფრთხილებას ინფორმაციული ხასიათი აქვს და არ უნდა განიხილოს კლიენტმა, როგორც შესაძლო არსებული რისკების ჩამონათვალი.

1. საკრედიტო მხარის გამოყენება: საკრედიტო მხარი არის გირაოს თანხისა და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობა. საკრედიტო მხარის ეფექტმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კლიენტის საეჭრო ანგარიშზე. კლიენტს უნდა ესმოდეს, რომ როდესაც ბაზარი მიდის გახსნილი ორდერების საწინააღმდეგო მხარეს, ზარალის მიღების ალბათობა ძალზედ მაღალია. საკუთარი რესურსების გამოყენებაზე პასუხისმგებლობა, ასევე ყველა რისკის გათვალისწინება მთლიანად კლიენტს ეკისრება.

2. ინსტრუმენტთა არასტაბილურობა. ინსტრუმენტთა უმრავლესობამ დღის განმავლობაში საგრძნობი ცვლილებები შეიძლება განიცადონ, რამას შეიძლება კლიენტს მოგება ან ზარალი მოუტანოს.

3. ტექნიკური რისკები

3.1. კომპანია თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას კლიენტის ფინანსური ზარალის გამო, რომელიც მისი(კლიენტის) ელექტრული, კომუნიკაციური და ინფორმაციული სისტემების გაუმართაობის გამო შეიქმნა.

3.2. ტერმინალით მუშაობისას კლიენტი საკუთარ თავზე იღებს რისკებს, რომლებიც შემდეგი მიზეზების გამო წარმოიშვნენ:

- გაუმართაობა მოწყობილობებში, პროგრამულ უზრუნველყოფაში, კავშირში კლიენტის მხრიდან;
- კლიენტის მოწყობილობების მუშაობის ხარვეზები;
- კლიენტის ტერმინალის გამართვის შეცდომები;
- ტერმინალის ვერსიის განუახლებლობა;
- ტერმინალის ხმარების ინსტრუქციის დარღვევა.

3.3. კლიენტს უნდა ესმოდეს, რომ ტელეფონის გამოყენებით ორდერების შესრულებისას, შეიძლება შეიქმენას ოპერატორტან დაკავშირების პრობლემა, განსაკუთრებით პიკური დატვირთვების დროს.

4. საბაზრო რისკები. კლიენტი თანახმაა იმაზე, რომ ბაზარზე ნორმალურისაგან განსხვავებული პირობების წარ-

მოშობისას, მოთხოვნების დამუშავების დრო შეიძლება გაიზარდოს.

5. სავაჭრო პლათფორმასთან დაკავშირებული რისკები:

5.1. კლიენტს უნდა ესმოდეს, რომ კლიენტის განკარგულებები შემოდის კომპანიის სერვერზე და სრულდება რიგის მიხედვით, ამიტომ სანამ გაგზავნილი მოთხოვნა შესრულებული არ იქნება, შემდეგი მოთხოვნის გაგზავნა არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე მოთხოვნა უარყოფილი იქნება.

5.2. კლიენტს უნდა ესმოდეს, რომ ორდერის ფანჯრის დაკეტვა არ იწვევს გადაცემული განკარგულების გაუქმებას.

5.3. კომპანიის სერვერის მიერ კლიენტისთვის მიწოდებული კოტირებები სარწმუნოდ ითვლება. კომპანიის სერვერთან ცუდი კავშირის დროს, კლიენტამდე შეიძლება მივიდეს დაგვიანებული ინფორმაცია კოტირებათა ბაზიდან.

6. საკომუნიკაციო რისკები:

6.1. კლიენტს უნდა ესმოდეს ელექტრონული ფოსტით გადაცემულ ინფორმაციაზე არასანქცირებული შელწევის რისკი, თუკი იგი დაშიფრული არ არის.

6.2. კომპანია პასუხისმგებელი არ არის კლიენტის ფინანსური ზარალის გამო, რომელიც კლიენტმა განიცადა კომპანიისგან შეტყობინების დაგვიანების ან არმიღების გამო.

6.3. კლიენტი პასუხისმგებელია თავის სავაჭრო ანგარიშზე წვდომის კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვაზე. კომპანია პასუხისმგებელი არ არის კლიენტის ფინანსური ზარალის გამო, რომელიც კლიენტმა განიცადა ამ ინფორმაციის მესამე პირებზე გამხელის გამო.

7. ფორს-მაჟორული ვითარებები. კომპანია პასუხისმგებელი არ არის კლიენტის ფინანსური ზარალის გამო, რომელიც ფორს-მაჟორულმა ვითარებებმა გამოიწვია.

რისკის კონტროლი წარმატებული ვაჭრობის არსებით ნაწილს წარმოადგენს. რისკის ეფექტური მართვა მოითხოვს არა მხოლოდ რისკის ზომაზე ყურადღებით დაკვირვებას, არამედ დანაკარგების მინიმიზაციის სტრატეგიას. იმის გაგება, თუ როგორ აწარმოოს კონტროლი რისკის ზომაზე, საშუალებას აძლევს ახალბედა ან გამოცდილ თრეიდერს გააგრძელოს ვაჭრობა მაშინაც კი, როდესაც იქმნება გაუთვალისწინებელი დანაკარგები.

რადგანაც ყოველი გარიგებისას არსებობს რისკის გარკვეული ხარისხი, რისკის მართვის ზოგიერთი ზოგადი პრინციპების გამოყენება შეამცირებს პოტენციურ დანაკარგს. რისკზე კონტროლის ზოგიერთი საყოველთაოდ მიღებული აქსიომები მოყვანილია ქვემოთ და შეიძლება გამოიყენოს ყველამ, ვინც ოდესღაც ვაჭრობდა ან ჩაფიქრებული აქვს ეს საქმე.

წესი 1: ჩაატარეთ წინასწარი სამუშაო დამოუკიდებლად.

სამუშაოს ჩატარება გარიგების წინ - არის მოვალეობა, რომელსაც ვერაფრით შეცვლი. ყველა მყიდველზე არის კარგად ინფორმირებული გამყიდველი და ყოველ გამყიდველზე არის კარგად ინფორმირებული მყიდველი. ყველა ცდილობს საკუთარი სარგებლის მაქსიმიზაციას. სანამ საკუთარ ფულს რისკს დაუქვემდებარებთ, თქვენ უნდა გქონდეთ საფუძვლიანი, კარგად გააზრებული მიზეზი, რატომ გინდათ იყიდოთ ის, რისი გაყიდვაც ჯერ კიდევ ვილაცას სურს. ყველაფრის გარეშე - ვაჭრობა არის „კაპიტალის დაგროვების“ თამაში. ჰკითხეთ საკუთარ თავს, რა ვიცი ისეთი, რომელიც არ იცის გამყიდველმა (ან მყიდველმა)? იყავით ფრთხილად და გამოხატეთ პატივისცემა იმ ადამიანის მიმართ, ვინც დგას დახლის მეორე მხარეს.

თქვენ ნათლად უნდა გქონდეთ გააზრებული, როგორ საფინანსო რისკს შეიძლება შეეჯახოთ ნებისმიერ მომენტში.

საშინაო სამუშაოს ნაწილი მოიცავს პოტენციური ზარალის შეფასებას იმ შემთხვევაში, თუ კი ბაზარი დაიწყებს თქვენს საპირისპიროდ მოძრაობას 5%, 10% ან 20%. წინასწარი საშინაო სამუშაოს შესრულება ვაჭრობაში დაგეხმარებათ აგრეთვე გამოითვალოთ ყველაზე უარესი შესაძლო შედეგი, რისკის პოტენციურ მიდრეკილებას.

თქვენ შეგიძლით შეამციროთ რისკი, თუ კი შემოიფარგლებით გარიგებებით, რომელთა ექსპერტიზის ჩატარება თქვენს ძალებშია (ეს არის სწორედ წინასწარი საშინაო სამუშაოს შესრულება). მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა ერთ ტრეიდერი მაშინ გაიქცა ფორთოხლის წვენის ფიუჩერსების საყიდლად, როდესაც მოულოდნელად აციდა ფლორიდაში. მხოლოდ მოგვიანებით გაიგო მან, რომ ყინვით დაზიანებული ფორთოხალი შეიძლება გაიყიდოს ფორთოხლის წვენის საწარმოებლად, რეალურად, უეცარმა აციებამ გაზარდა და არა შეამცირა ფორთოხლის წვენის მიწოდება, მიწოდების სიჭარბემ კი ძლიერ დასწია ფასები ფორთოხლის წვენის ფიუჩერსებზე. ტრეიდერს რომ ჩაეტარებინა წინასწარი საშინაო სამუშაო, მაშინ მას ეცოდინებოდა, თუ რა შედეგი მოყვებოდა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს.

წესი 2: შექმენით ვაჭრობის გეგმა და მისდიეთ მას.

ყოველმა თრეიდერმა უნდა შექმნას ვაჭრობის საკუთარი მეთოდოლოგია. ვაჭრობის მეთოდოლოგია ანუ მოდელი შეიძლება იყოს დაფუძნებული ფუნდამენტურ ფაქტორებზე, ტექნიკურ ინდიკატორებზე ან ორივეს კომბინაციებზე. მეთოდოლოგია ფართოდ უნდა იყოს ტესტირებული და მუშავდებოდეს მანამდე, სანამ ის არ გააკეთებს სასურველი და ხანგრძლივი დადებითი შედეგის დემონსტრირებას. სანამ ფულს დააბანდებდეთ, დარწმუნდით რომ თქვენი ვაჭრობის მეთოდოლოგია გონიერული და მომგებიანია. თქვენი ვაჭრობის გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი მდგომარეობს იმ თანხის შეზღუდვის დადგენაში, რომელიც თქვენ შეიძლება დაკარგოთ. თუ კი თქვენ მიაღწევთ აღნიშნულ შეზღუდვას,

გამოდით თამაშიდან. მისდიეთ ვაჭრობის თქვენს გეგმას და მოერიდეთ იმპულსურ გარიგებებს. თუ კი თქვენ არ მისდევთ თქვენს გეგმას, ესე იგი ის არ გაგაჩნიათ.

სავაჭრო გეგმა გეხმარებათ მოახდინოთ იმ საკვანძო ფაქტორების იდენტიფიცირებაში და შეფასებაში, რომლებიც გაელენას ახდენენ თქვენს გარიგებებზე და შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი სასწაელო იარაღი შემდგომი გარიგებებისთვის. გონიერი გეგმა აგრეთვე აღძრავს თქვენში სიმტკიცის აუცილებელ გრძნობას. ასევე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ როდესაც გაგაჩნიათ განსაზღერული გეგმა, თქვენ ივაჭრებთ იმპულსურად.

მაგრამ ბრმად არ მიემხროთ ვაჭრობის გეგმას. თუ კი თქვენ ვერ ხედებით, რას მოიმოქმედებს ბაზარი ან თქვენი ემოციური წონასწორობა რამდენადმე დარღეულია, დახურეთ ყველა პოზიცია. როდესაც ქმნით ვაჭრობის საკუთარ სტრატეგიას, ნუ მოუსმენთ ბროკერს და ნუ განახორციელებთ ინვესტიციებს საბაზრო რჩევების ან ჭორების საფუძველზე. თქვენი ფული რისკის ქვეშ იქნება. სანამ ვაჭრობას დაიწყებდეთ, განახორციელეთ წინასწარი საშინაო სამუშაო და მოიფიქრეთ გარიგებების საკუთარი დასაბუთება.

წესი 3: აწარმოეთ დივერსიფიცირება.

დივერსიფიკაცია ნიშნავს ცვლილებას, მრავალფეროვნებას. კაპიტალის კონცენტრაციის ერთ-ერთი ფირმაა. საპორტფელო რისკი მცირდება დივერსიფიკაციის მეშვეობით. არ დადოთ სანაძლეო მთელი ფულით ერთ გარიგებაზე. დივერსიფიცირება გაუკეთეთ რისკის ოდენობას, მაგალითად, ივაჭრებთ ერთ პოზიციაზე თქვენი კაპიტალის არაუმეტეს 1%-5%-ით. (კონტრაქტები დასრულების სხვადასხვა ვადებით ერთ და იგივე კონტრაქტზე ითელება ერთ პოზიციად).

განიხილეთ დივერსიფიკაცია სხვადასხვა ბაზრებზე და ვაჭრობის სხვადასხვა სისტემებით. რათა იყოს უფრო ეფექტური, დივერსიფიკაცია უნდა შეიცავდეს ფასიან ქაღალდებს, რომლებიც ძლიერად არ კორელირებენ ერთმანეთთან

(ანუ არ მოძრაობენ ერთ და იგივე მიმართულებით ერთ და იგივე დროში). მაღალი დადებითი კორელაცია ამცირებს დივერსიფიკაციის სარგებლობას. ყურადღებით გააკონტროლეთ კავშირები ყველა თქვენს პოზიციებს შორის, გაუკეთეთ თქვენს პორტფელს დებალანსირება და კორექტირება.

წინასწარ განსაზღვრული სტოპ-ორდერები ზღუდავენ რისკის სიდიდეს და ამცირებს თქვენს დანაკარგებს სწრაფად მოძრავ ბაზრებზე. მიიღეთ სტოპ-ლოსის მკაცრი წესი, მაგალითად, სწრაფად გამოდით თამაშიდან, თუ კარგავთ 5-7%-ს და მისდიეთ მას.

წესი 4: ნუ გაუკეთებთ ინვესტირებას ყველა თქვენს ფულს.

სანამ ხელშეკრულებას (გარიგებას) დადებთ, დარწმუნდით, რომ თქვენ განაგებთ საკმარის კაპიტალს, რათა კომპენსირება გაუკეთოთ მოულოდნელ ზარალს. თუ კი შესაძლო გარიგება გამოიყურება მოულოდნელად მომგებიანი, მაშინ, შესაძლებელია, თქვენ ზედმეტად ოპტიმისტური ხართ. ბაზრები ჩვეულებრივ იშვიათად არის ისე კარგი, როგორც ისინი შეიძლება მოგეჩვენოთ ერთი შეხედვით. თუ კი ბაზარი მოულოდნელად ქვემოთკენ დაეშვა, გონივრული იქნება გაგაჩნდეთ განკარგულებაში რაღაც კაპიტალი, რათა კომპენსირება გაუკეთოთ მცირე დანაკარგებს ან მოთხოვნებს დამატებითი მარჟის შეტანაზე. რაღაც კაპიტალი, რომელიც გამოყოფილია დამატებით ყიდვებზე, ამცირებს სტრესს, ამცირებს აუცილებლობას თქვენ თავზე მიიღოთ ზედმეტი რისკი და ჩვეულებრივ, გეხმარებათ კარგად გეძინოთ ღამე.

წესი 5: გამოიყენეთ სტოპ-ორდერები.

წინასწარ განსაზღვრული სტოპ-ორდერები ზღუდავს რისკის სიდიდეს და ამცირებს თქვენს დანაკარგებს სწრაფად ცვლად ბაზრებზე. მიიღეთ სტოპ-ლოსის მკაცრი წესი, მაგალითად, სწრაფად გამოხვიდეთ თამაშიდან, თუ კარგავთ 5-7%. ყველაზე გამოცდილი თრეიდერებიც კი, რომ არაფერი ეთქვათ წარმატებულებზე, გამოიყენებენ სტოპ-ლოსებს,

რათა შეამცირონ რისკის სიდიდე. მიიღეთ ვალდებულება თამაშიდან გამოსვლაზე, თუ კი თქვენი გეგმა არ იმუშავებს. სტოპ-სიგნალები საჭიროა იმისათვის, რათა დაგიცვათ თქვენ. გამოიყენეთ ისინი, როდესაც იწყებთ თამაშს. ზოგიერთი თრეიდერი იყენებს სტოპ-სიგნალებს დროში. თუ კი ბაზარი ისე არ იქცევა, როგორც თქვენ ელოდით, გამოდით ბაზრიდან მაშინაც, თუ კი ფული არ დაგიკარგავთ. სტოპ-სიგნალები დროში შეგახსენებთ, რომ თქვენ უნდა დასტოვოთ ბაზარი, თუ არა ხართ დარწმუნებული, სინამდვილეში რა ხდება იქ.

წესი 6: ივაჭრეთ თრენდის მიხედვით.

ნაკლებსავარაუდოა, რომ თქვენ განიცადოთ ზარალი, თუ კი მიჰყვებით ბაზრის თრენდს. ბაზრის მიმართულებას არ აქვს მნიშვნელობა, სანამ თქვენ გახსნილი გაქვთ პოზიცია გამოჩენილი თრენდის მიხედვით. თუ თქვენ გახსნილი გაქვთ წარუმატებელი პოზიცია, მაშინ სისტემატურად შეამცირებთ რისკის ოდენობას.

წესი 7: დაუშვით შეცდომები და იწვნიეთ ზარალი (დანაკარგი)

რისკის კონტროლის მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს უნარში, აღიაროთ, რომ თქვენ არასწორი ხართ და სწრაფად დასტოვოთ თამაში, თუნდაც ეს ნიშნავდეს ფულის დაკარგვას. საუკეთესო ტრეიდერებიც კი დროდადრო განიცდიან ზარალს. მაგრამ ჩვენ ყველანი ვერ ვიტანთ საკუთარი შეცდომების აღიარებას, ამიტომაც ძნელია ამ წესის მიყოლა. აქსიომა მარტივია: აცადეთ მოგებას (სარგებელს) დაგროვება და შეამცირეთ დანაკარგები. შეამცირეთ რისკის ოდენობა, თუ კი ბაზარი თქვენს საწინააღმდეგოდ მოძრაობს. ნუ დაუმატებთ წამგებიან პოზიციას ზარალის კომპენსირების იმედით. თუ კი თქვენ ვერ ხვდებით, რას აკეთებს ბაზარი, გამოდით თამაშიდან. აგრეთვე არ ღირს წამგებიანი გარიგების დასრულებისთანავე შემდეგი გარიგების დადება ამოღების იმედით - უპირველესად უნდა დააცხროთ ემოციები.

წესი 8: ივაჭრეთ დაცვის ზომების მიხედვით.

პაულ ჯონესმა გამოხატა დიადი აზრი ვაჭრობაზე საფეხბურთო ტერმინებში: „ვაჭრობის ყველაზე მნიშვნელოვანი წესი მდგომარეობს იმაში, რომ დიდებულად ითამაშოთ დაცვაში და არა დიდებულად თავდასხმაში“. იფიქრეთ ჯერ იმაზე, რა შეიძლება დაკარგოთ და შეადარეთ შესაძლო მოგებას. უმჯობესია წინასწარ გაამახვილოთ ყურადღება მოვლენების ნეგატიური განვითარების შესაძლებლობაზე და შეადგინოთ გეგმა, ვიდრე შემდეგ ყველაფერი ცვალოთ მომხდარი ფაქტის გამო.

მუდმივად დაუშვით აზრი, რომ ბაზარმა შეიძლება დაიწყოს თქვენი საწინააღმდეგო მოძრაობა და ამისათვის წინასწარ მოემზადეთ. გამოთვალეთ კრედიტის მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობა. თუ კი აუცილებელია, კორექტირება გაუკეთეთ სტოპ-სიგნალებს იქ, სადაც ყველაზე მეტად ერგება. შექმენით ბაზრიდან გამოსვლის გეგმა. ამიტომაც, როდესაც ბაზარი თქვენ საპირისპიროდ დაიწყებს მოძრაობას, თქვენ ამისათვის მზად იქნებით. დაიცავით ის, რაც გაგაჩნიათ.

წესი 9: ნუ გადააჭარბებთ ვაჭრობაში.

შეამცირეთ რისკის ოდენობა დაბალი განაკვეთების შემცირების და დასადები გარიგებების შეკვეცის მეშვეობით. გაერკვიეთ იმ რისკებში, რომლებიც თქვენ გემუქრებათ. შემოიზღუდეთ ერთი გარიგებით, რომელიც თქვენთვის უფრო მიმზიდველია. ეს გაიძულებთ თქვენ შეასრულოთ საშინაო სამუშაო, რომელიც შეამცირებს იმპულსურ და ემოციურ გარიგებებს. რადგანაც გარიგება რაც ნაკლები იქნება, თქვენ მით უფრო მომთმენი იქნებით. საბედნიეროდ, გარიგებების ნაკლები რაოდენობა ამცირებს აგრეთვე საკომისიოების რაოდენობას, რომელსაც თქვენ იხდით.

წესი 10: აკონტროლეთ თქვენი ემოციები.

ყველა თრეიდერი დროდადრო განიცდის ძლიერ სტრესს და ზარალობს. მოუსვენრობა, აშლილობა, დეპრესია, ხან-

დახან სასოწარკვეთა არის ბაზარზე თამაშის ნაწილი. რისკის მართვის ნაწილს შეადგენს ამ ემოციების კონტროლის უნარი. უფლება არ მისცეთ ემოციებს მართოს თქვენი ვაჭრობა. დიდი ყურადღება მიაპყარით იმას, რასაც აკეთებთ. ივაჭრეთ ინფორმირებული, რაციონალური გადაწყვეტილებების და არა ემოციების და ფანტაზიების საფუძველზე. სხვა ტრეიდერებთან ურთიერთობა არის საკუთარ ემოციებზე კონტროლის ერთ-ერთი ხერხი. სხვა ტრეიდერებს ესმით ის პრობლემები, რომლებსაც თქვენ წააწყდით და შეუძლიათ უზრუნველყონ ემოციური მხარდაჭერა, როდესაც თქვენ გამბედაობა (ვაჟკაცობა) გაკლდებათ. ეს გეხმარებათ გაიგოთ, რომ თქვენ მარტო არ ხართ, რომ სხვებსაც შეეხო მსგავსი პრობლემები და გადალახეს ისინი.

წესი 11: თუ კი ეჭვი შეგეპარათ, გამოდით თამაშიდან.

პირადი ეჭვები მოწმობს იმაზე, რომ თქვენი ვაჭრობის გეგმაში ყველაფერი კარგად არ არის. ბაზრიდან სწრაფად უნდა გამოხვიდეთ:

- თუ ბაზარი არარაციონალურად მოქმედებს;
- თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული პოზიციაში;
- თუ არ იცით, როგორ მოიქცეთ;
- თუ არ შეგიძლიათ ღამით დაძინება.

სანამ თქვენს ფულს რისკის ქვეშ დააყენებთ, თქვენ უნდა იყოთ დარწმუნებული, რას აკეთებთ და რომ თქვენ გაგიმართლებთ.

დასკვნა: რისკის მართვის საფუძველში შედის ოთხი ძირითადი საფეხური:

სრული გაგება იმისა, რა რისკები ემუქრება გარიგებას.

შეძლებისდაგვარად იმ რისკების მოცილება, რომლებიც არ არის აუცილებელი.

უნდა გქონდეთ გარკვეული, რა რისკები დაიშვება გარიგების დადებისას.

უნდა იმოქმედოთ სწრაფად, რათა შემცირდეს რისკის

ოდენობა, თუ კი ბაზარი თქვენს საპირისპიროდ მოძრაობს.

ბევრი თრეიდერისათვის რისკზე კონტროლის საკვანძო მომენტი მდგომარეობს უნარში - დანაკარგი შემცირდეს მანამ, სანამ ის მიგვიყვანს გაკოტრებასთან. **ედვინ ლეფევრი**- ავტორი წიგნისა **„Reminiscences a Stock of Operator"**, წერდა: „ტრეიდერის მტრებია ის ფაქტები, რომლებიც იწვევენ მის დაღუპვას: უმეცრება, სიხარბე, შიში და იმედი". თუმცა ამ შინაგანი მტრების დამარცხება ვერასოდეს იქნება მიღწეული, მაგრამ რისკის კონტროლის ეფექტურ მეთოდიკებს შეუძლია მათი ნეგატიური ზეგავლენის მინიმიზირება. რისკის კონტროლის რაციონალურმა სტრატეგიამ, პირიქით, უნდა მიგვიყვანოს ნაკლებ და უფრო იაფ არამომგებიან გარიგებებთან.

6.4. რა არის ჰეჯირება?

ჰეჯირება არის რისკის დასაწევად ერთი ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია საბაზრო ფაქტორების არახელსაყრელი გავლენით მეორეს ფასზე, რაც უკავშირდება პირველ ინსტრუმენტს ან მის მიერ გენერირებულ ფულის ნაკადებს.

საგარეო ვაჭრობის ოპერაციებით დასაქმებული კომპანიები (ექსპორტიორები და იმპორტიორები) მთელ მსოფლიოში არიან საერთაშორისო სავალუტო ბაზრის ფორექსის აქტიური მონაწილეები. ექსპორტიორებს გააჩნიათ მუდმივი ინტერესი გაყიდონ უცხოურის ვალუტა, იმპორტიორებს კი – იყიდონ ის. ფორექსის საერთაშორისო ბაზარზე ვალუტების კურსი მუდმივად იცვლება. ამის შედეგად ვალუტაზე საქიდელი ან გასაყიდი საქონლის რეალური ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს და კონტრაქტი, რომელიც მომგებიანი ჩანდა, შედეგად წამგებიანი აღმოჩნდეს. რათქმაუნდა, არსებობს უკუ სიტუაციები, როდესაც ვალუტ-

ის კურსის შეცვლას მოგება მოაქვს, მაგრამ სავაჭრო კომპანიის მიზანი არარის სავალუტო კურსების ცვლილებები და სარგებლის მიღება. სავაჭრო კომპანიისათვის მნისვნელოვანია ჰქონდეს საშუალება დაგეგმოს საყიდელი ან გასაყიდი საქონლის რეალური თვით ღირებულება.

საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებით დასაქმებულ მსხვილ ფირმებს გააჩნიათ ანალიტიკური განყოფილებები, რომლებიც ახორციელებენ სავალუტო კურსების პროგნოზირებას. მაგრამ, პროგნოზირება არ იძლევა საშუალებას მთლიანად გამოირიცხოს გაურკვეველობა, ამიტომაც კომპანიები თავიანთ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ სავალუტო კურსების ჰეჯირებას.

ისმის კითხვა: რა არის ჰეჯირება და რას იძლევა ის?

ფულადი სახსრები, აგრეთვე მომავალი შემოსავლები და ხარჯები უცხოური ვალუტით, განიცდიან სავალუტო რისკებს. ჩვეულებრივ კომპანიაში აღრიცხვა წარმოებს ერთ რომელიმე ვალუტაში (მაგალითად, აშშ დოლარებში), მაშასადამე, სტატიების გადაფასების შედეგად უცხოურ ვალუტაში, შესაძლოა მოგება ან წაგება ამ ვალუტების კურსების შეცვლისას.

სავალუტო კურსის ჰეჯირება – არის სახსრების დაცვა სავალუტო კურსების არახელსაყრელი მოძრაობისაგან, რომელიც მდგომარეობს ამ სახსრების მიმდინარე ღირებულების ფიქსირებაში ფორექსის ბაზარზე გარიგებების დადების მეშვეობით. ჰეჯირებას საქმე ისე მიჰყავს, რომ კომპანიისათვის ქრება კურსების ცვლილების რისკი, რაც იძლევა შესაძლებლობას დაიგეგმოს საქმიანობა და გამოჩნდეს ფინანსური შედეგი, რომელიც არ არის დამახინჯებული კურსის რხევებით. ჰეჯირება იძლევა საშუალებას წინასწარ განისაზღვროს პროდუქციის ფასები, გამოითვალოს სარგებელი, ხელფასები და ა.შ.

ფორექსის ბაზარზე გარიგებები ხორციელდება **მარჟინალური ვაჭრობის** პრინციპებით. ვაჭრობის ამ სახეობას

გააჩნია რიგი თავისებურებები, რამაც ის ძლიან პოპულარული გახადა.

მცირე სასტარტო კაპიტალი იძლევა საშუალებას განხორციელდეს გარიგებები, რომლებიც მრავალჯერ (ათეულობით და ასეულობით) აღემატება მას. ამ მატებას უწოდებენ ბერკეტს **(Leverage).**

ეაჭრობა წარმოებს რეალური ფულის მიწოდების გარეშე, რაც ამცირებს ზედმეტ ხარჯებს და იძლევა საშუალებას გაიხსნას პოზიციები ვალუტის როგორც ყიდვაზე, ასევე გაყიდვაზეც (მათ შორის, დეპოზიტის ვალუტისგან განსხვავებულიც).

სავალუტო რისკის ჰეჯირება გარიგებებით რეალური სახსრების მოძრაობის გარეშე (ბერკეტის გამოყენებით) დამატებით შესაძლებლობებს იძლევა, განსაკუთრებით, საშუალებას იძლევა არ იყოს კომპანიის ბრუნვიდან მოცდენილი მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები. აგრეთვე ვალუტის გაყიდვის შესაძლებლობას იძლევა, რომლის მიღებაც მომავალში შეიძლება.

არსებობს ჰეჯირების ორი ტიპი:

- მყიდველის ჰეჯირება;
- გამყიდველის ჰეჯირება.

მყიდველის ჰეჯირება გამოიყენება იმ რისკის შესამცირებლად, რომელიც უკავშირდება საქონლის ფასის ზრდას.

გამყიდველის ჰეჯირება გამოიყენება საპირისპირო სიტუაციაში – რისკის შესამცირებლად, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ფასის შესაძლო დაწევასთან.

ჰეჯირების საბაზრო ხერხებია:

- ფიუჩერსული კონტრაქტის ვადიან ბაზარზე ყიდვა,
- "ქოლის" ტიპის ოფციონის ყიდვა;
- "ფუთის" ტიპის ოფციონის გაყიდვა.

ჰეჯირების ძირითადი პრინციპებია:

1. ჰეჯირების ეფექტური პროგრამა არ ისახავს მიზნად მთლიანად აღმოფხვრას რისკი; ის შემუშავდება, რათა

მოახდინოს რისკის ტრანსფორმირება მიღებული ფორმებიდან მისაღებში. ჰეჯირების მიზანია რისკის ოპტიმალური სტრუქტურის მიღწევა, ანუ ჰეჯირების უპირატესობებს ან მის ღირებულებას შორის თანაფარდობის მიღება.

2. ჰეჯირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს მნიშვნელოვანია პოტენციური დნაკარგის სიდიდის შეფასება, რომელიც კომპანიამ შეიძლება განიცადოს ჰეჯზე უარის თქმის შემთხვევაში. თუ პოტენციური ზარალი უმნიშვნელოა (მაგალითად, ნაკლებად მოქმედებს ფირმის შემოსავალზე), სარგებელი ჰეჯირებისაგან თუ ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე დანახარჯი მის განხორციელებაზე, ასეთ შემთხვევაში უმჯობესია კომპანიამ თავი შეიკავოს ჰეჯირებისაგან.

3. როგორც ნებისმიერი ფინანსური საქმიანობა, ჰეჯირების პროგრამა მოითხოვს წესების და პროცედურების შინაგანი სისტემის შემუშავებას.

4. ჰეჯირების ეფექტურობის შეფასება მხოლოდ კონტექსტში (უაზრობაა საუბარი ჰეჯირების ოპერაციის შემოსავლიანობაზე ან მისგან ზარალზე სპოტ-ბაზარზე ძირითადი საქმიანობისგან მოწყვეტით).

5. ჰეჯირების ზოგადი პრინციპი საგარეო სავაჭრო ოპერაციებში, მდგომარეობს სავაჭრო ანგარიშზე სავალუტო პოზიციის გახსნაში სახსრების კონვერტირების მომავალი ოპერაციებისათვის. იმპორტიორისათვის აუცილებელია უცხოური ვალუტის ყიდვა, ამიტომაც ის წინასწარ ხსნის პოზიციას ვალუტის ყიდვით სავაჭრო ანგარიშზე, ვალუტის რეალური ყიდვის დადგომის მომენტში თავის ბანკში ის ხურავს ამ პოზიციას. ექსპორტიორისათვის აუცილებელია უცხური ვალუტის გაყიდვა, ამიტომაც ის წინასწარ ხსნის პოზიციას ვალუტის გაყიდვით სავაჭრო ანგარიშზე, თავის ბანკში ვალუტის რეალური მომენტის დადგომის დროს (მომენტში) ხურავს ამ პოზიციას.

რა არის აუცილებელი ჰეჯირების დაწყებისთვის? იმ-

ისათვის, რათა გამოყენებული იქნეს ის უპირატესობები, რომლებსაც ჰეჯირება იძლევა, აუცილებელია სავაჭრო ანგარიშის გახსნა კომპანიაში, რომელიც წარმოადგენს მომსახურეობას ფორექსის ბაზარზე. ჩვეულებრივ კლიენტებს სთავაზობენ მარჟინალურ ვაჭრობას ფორექსის ბაზარზე ნაიდი ან გაყიდული ვალუტის რეალური მიწოდების გარეშე.

საჰეჯირებო აქტივის სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი საქონელი ან საფინანსო აქტივი, რომელიც არსებობს ან დაგეგმილია მისი შეძენა ან წარმოება. ჰეჯირების ინსტრუმენტი შეირჩევა ისე, რომ საჰეჯირებო აქტივის ფასის ან მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების არახელსაყრელი ცვლილებების კომპენსირება ხდებოდეს საჰეჯირებო აქტივის შესაბამისი პარამეტრების ცვლილებით.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

1. ბენზინის მწარმოებელი ყიდულობს ნავთობს და გეგმავს მის მიერ წარმოებული ბენზინის გაყიდვას სამ თვეში. მაგრამ, მას ეშინია, რომ ამ დროის განმავლობაში (მასთან ერთად კი ბენზინის) ფასი დაიწევს, რაც გამოიწვევს არასაკმარის მოგებას, შესაძლოა ზარალსაც. რათა შეამციროს რისკი, ის დებს ფორვარდულ კონტრაქტს ბენზინის მიწოდებაზე შესრულების ვადით სამი თვის შემდეგ.

2. წინა მაგალითში ბენზინის მწარმოებელმა თავი დაიზღვია ნავთობის ფასის დაწევისაგან, მაგრამ ამასთანავე დაკარგა შესაძლებლობა მიეღო დამატებითი მოგება მასზე ფასის შესაძლო მომატების შემთხვევაში. ფორვარდული კონტრაქტის გაყიდვის მაგიერ მას შეეძლო შეეძინა "ფუტის" ტიპის ოფციონი ბენზინის ფიუჩერსულ კონტრაქტზე შესრულების ვადით სამი თვის შემდეგ (ან ცოტა მეტით). ამ ტიპის ოფციონი მფლობელს აძლევს საშუალებას გაყიდოს საქონელი წინასწარ მოლაპარაკებული ფასით ან უარი თქვას გარიგებაზე. ბენზინის მწარმოებელმა რაღაც თანხა დახარჯა დღეს, დააფიქსირა მიწოდების მინიმალური ფასი.

შეინარჩუნა შესაძლებლობა გაყიდოს ბენზინი უფრო ძვირად, თუ საბაზრო კონიუნქტურა მისთვის ხელსაყრელად წარიმართება.

3. ევროპული ფირმა გეგმავს ექვსი თვის შემდეგ აიღოს დოლარის კრედიტი ბანკში სამი თვით **LIBOR+3%** განაკვეთით. რათა შეამციროს მისი მომსახურების საფასურის გაზრდის რისკი საპროცენტო განაკვეთების გაზრდის შემთხვევაში. ის **CME** ბირჟაზე ყიდის ფიუჩერსს სამთვიანი ევროდოლარის დპოზიტზე ვადის ექვსი თვის შემდეგ შესრულებით (ფიუჩერსული ფასი ამ შემთხვევაში განისაზღვრება როგორც 100% – განაკვეთი დეპოზიტზე, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ზრდასთან მომგებიანია "მოკლე" პოზიცია სასწრაფო (ანუ ვადიან) ბაზარზე, ანუ გაყიდვა).

4. აშშ-ში ინვესტორს თავისი პორტფელის კონსერვატიულ ნაწილში შეაქვს აშშ ხაზინის ოცდაათწლიანი ობლიგაციები ფიქსირებული საკუპონო შემოსავლით. იმისათვის, რომ დაიცვას ამ ობლიგაციებზე რეალური შემოსავალი ინფლაციის გავლენისაგან, მას შეაქვს პორტფელში ობლიგაციები ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლით კუპონებზე და ნომინალზე, რომლებიც ინდექსირებულია ინფლაციის მიმდინარე დონეზე (სამომხმარებლო ფასების ინდექსი **CPI-U**).

5. იაპონურ ფირმას შემოაქვს აშშ-ში საქონელი დამს საფასურს დოლარებში იღებს, რომლის კონვენტირება იენებში ხდება. დოლარის მიმართ იენის კურსის ზრდასთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირებისათვის ფირმა ყიდულობს ფიუჩერსს **JPY\USD**.

6. ტეხასის შტატის ადგილობრივი გადასახადის 25% მოდის ნავთობმომპოვებელ და ნავთობგადამამუშავებელ კომპანიებზე. ნავთობზე მსოფლიო ფასების ვარდნისას გადასახადის შემოსავლები მცირდება. იმისათვის, რომ სტაბილურად შემოვიდეს მომავალი ფულადი ნაკადები, შტატის ადმინისტრაციამ შეიმუშავა ნავთობის გაყიდვის მომავალი ფასის ჰეჯირების პროგრამა (ეს რეალური მაგალითია).

როგორც აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, ჰეჯირება შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც დანაკარგის რისკის შესამცირებლად, რომლებიც უკავშირდება საქონელზე ფასის შეცვლას, ასევე სხვა საბაზრო ფაქტორებზე (ვალუტების გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები). შემდგომში ძირითად ყურადღებას ჩვენ დავუთმობთ სწორედ სასაქონლო პოზიციების ჰეჯირებას. კომპანია სანამ გასცემდეს პასუხს საკვანძო საკითხს „უნდა ჰეჯირება თუ არა", კომპანიამ უნდა შეაფასოს თავისი ფასების რისკზე დამოკიდებულების ხარისხი. ამ დამოკიდებულებას ადგილი აქვს შემდეგი პირობების შესრულებისას:

1. ფასები საწყის მასალებზე (მომსახურებაზე) ან გამოშვებულ პროდუქციაზე მუდმივი არ არის.
2. კომპანიას არ შეუძლია თავისი შეხედულებებით დაადგინოს ფასები საწყის მასალებზე (მომსახურებაზე).
3. კომპანიას არ შეუძლია თავისუფლად დაადგინოს ფასი მომავალ პროდუქციაზე და ამასთანავე შეინარჩუნოს რეალიზაციის მოცულობა (ნატურალურ გამოსახულებაში).

6.5. ჰეჯირების ძირითადი ინსტრუმენტები

სანამ კონკრეტულ ინსტრუმენტებზე ვისაუბრებთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც გამოვიყენებთ ტერმინს "ჰეჯირება", უპირველესად მხედველობაში გვაქვს გარიგების მიზანი და არა გამოსაყენებელი საშუალებები. ერთ და იგივე ინსტრუმენტს იყენებს ჰეჯერიც და სპეკულანტიც, განსხვავება მხოლოდ მათ დანიშნულებაშია. ჰეჯერი გარიგებას დებს რისკის შემცირების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია დასის შესაძლო მოძრაობასთან; სპეკულანტი გააზრებულად იღებს რისკს თავის თავზე, რადგანაც ვარაუდობს ხელსაყრელ გამოსავალს.

ვაჭრობის ორგანიზების ფორმიდან გამომდინარე, ჰე-

ჯირების ყველა ინსტრუმენტი შეიძლება დაიყოს საბირჟო და ბირჟისგარეშე ინსტრუმენტებად.

ჰეჯირების ბირჟისგარეშე ინსტრუმენტებია – პირველ რიგში, ფორვარდული კონტრაქტები და სასაქონლო სვოპები. ასეთი ტიპის გარიგებებს პირდაპირ აწარმოებენ კონტრაგენტებს შორის ან დილერის შუამდგომლობით (მაგალითად, სვოპის დილერის მეშვეობით).

ჰეჯირების საბირჟო ინსტრუმენტებია - სავაჭრო ფიუჩერსები და ოფციონები. ამ ინსტრუმენტებით ვაჭრობა წარმოებს სპეციალიზირებულ სავაჭრო მოედნებზე (ბირჟებზე); ამასთან არსებითი მომენტი არის ის, რომ ერთ მხარედ ყიდვა-გაყიდვის ყოველ გარიგებაში არის ბირჟის საანგარიშსწორებო პალატა, რომელიც იძლევა როგორც გამყიდველის, ასევე მყიდველის თავიანთი მოვალეობების შესრულების გარანტიას. საბირჟო საქონლის მიმართ ძირითადი მოთხოვნა არის მათი სტანდარტიზაციის შესაძლებლობა. სტანდარტიზირებულ საქონელს პირველ რიგში მიეკუთვნება ნავთობი და ნავთობპროდუქტები, გაზი, ფერადი და ძვირფასი ლითონები, აგრეთვე სასურსათო საქონელი (მარცვლეული, ხორცი, შაქარი, კაკაო და ა.შ.).

ახალა მოკლედ ჩამოვთვალოთ საბირჟო და არასაბირჟო ჰეჯირების ინსტრუმენტების ძირითადი ღირსებები და ნაკლოვანებები:

არასაბირჟო ინსტრუმენტების დადებითი მხარეები:

• მაქსიმალური ხარისხით ითვალისწინებენ კონკრეტული კლიენტის მოთხოვნებს საქონლის ტიპზე, პარტიის ოდენობაზე და მიწოდების პირობებზე.

არასაბირჟო ინსტრუმენტების ნაკლოვანებები:

• დაბალი ლიკვიდურობა – ადრე დადებული ხელშეკრულებების გაუქმება, როგორც წესი, დაკავშირებულია მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებთან;

• შედარებით მაღალი ზედნადები ხარჯები;

• კონკრეტული შეზღუდვები პარტიის მინიმალურ ოდენობაზე;

• კონტრაგენტის მოძიების სირთულეები;

• მყიდველს და გამყიდველს შორის პირდაპირი გარიგებების დადების შემთხვევაში ჩნდება მხარეებს შორის თაეიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.

საბირჟო ინსტრუმენტების დადებითი მხარეები:

• ბაზრის მაღალი ლიკვიდურობა (პოზიცია შეიძლება გაიხსნას და ლიკვიდირებული იქნეს ნებისმიერ მომენტში);

• მაღალი საიმედოობა – ყოველ გარიგებაზე კონტრაგენტად გვევლინება ბირჟის საანგარიშსწორებო პალატა;

• შედარებით დაბალი ზედნადები ხარჯები გარიგების საწარმოებლად;

• მისაწვდომობა – ტელეკომუნიკაციების საშუალებებით ბირჟების უმეტეს ნაწილზე ვაჭრობის წარმოება შეიძლება პლანეტის ნებისმიერი წერტილიდან.

საბირჟო ინსტრუმენტების ნაკლოვანებები:

• საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები საქონლის ტიპზე, პარტიის ოდენობაზე და მიწოდების პირობებზე.

ფიუჩერსული ფასი. ვადიანი საბირჟო ინსტრუმენტების გამოყენება რეალური საქონლის გარიგებების ჰეჯირებისათვის დაფუძნებულია იმაზე, თუ როგორ იცვლება საქონლის ფიუჩერსული ფასი და მისი ფასი სპოტ-ბაზარზე. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ იარსებებდა საარბიტრაჟო ოპერაციების შესაძლებლობა ნაღდ და ვადიან ბაზრებს შორის. მაგალითად, თუ ფიუჩერსული ფასი მნიშვნელოვნად აღემატება "სტოპ-ფასს", მაშინ არსებობს შემდეგი შესაძლებლობა:

1. კრედიტის აღება;
2. საქონლის პარტიის ყიდვა სპოტ-ბაზარზე;
3. ფიუჩერსული კონტრაქტის გაყიდვა ვადიან ბაზარზე;
4. ვადიანი კონტრაქტის დახურვისას რეალური საქონლის მიწოდების შესრულება;
5. ანგარიშსწორება მიღებული კრედიტის მიხედვით.

ამრიგად, სხვაობა ფიუჩერსულ ფასს და სპოტ-ფასს შორის ასახავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სასესხო კაპიტალის

ღირებულება (ანუ საპროცენტო განაკვეთების მიმდინარე დონე) და საქონლის აღნიშნული სახეობის შენახვის ღირებულება. **ამ სხვაობას ბაზისი ეწოდება.** ბაზისი შეიძლება იყოს როგორც დადებითი (ისეთი საქონლისთვის, რომელთა შენახვა ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ნავთობი და ფერადი ლითონები), ასევე უარყოფითი (საქონლისთვის, რომლის ფლობას მიწოდების ვადამდე დამატებითი სარგებელი მოაქვს, მაგალითად, ძვირფასი ლითონები).

ბაზისის სიდიდე მუდმივი არ არის: ის განიცდის როგორც სისტემატურ, ასევე შემთხვევით ცვლილებებს. ზოგადი კანონზომიერება არის ბაზისის აბსოლუტური სიდიდის შემცირება ფიუჩერსული კონტრაქტის მიხედვით მიწოდების ვადის მოახლოებისას. უნდა აღინიშნოს, რომ ნაღდი საქონლის აჟიოტაჟური მოთხოვნის არსებობისას ბაზარი შეიძლება საწინააღმდეგო მდგომარეობაში გადავიდეს, როდესაც ნაღდი ფასები აღემატება ფიუჩერსულს, თანაც ეს სიჭარბე შეიძლება იყოს საკმაოდ მნიშვნელოვანი.

6.6. ჰეჯირების სტრატეგიები

ჰეჯირების სტრატეგია არის ჰეჯირების კონკრეტული ინსტრუმენტების და მათი გამოყენების ხერხების ერთობლიობა საფასო რისკების შესამცირებლად.

ჰეჯირების ყველა სტრატეგია დაფუძნებულია "სპოტ-ფასის" და ფიუჩერსული ფასის პარალელურ მოძრაობაზე, რომლის შედეგია ვადიან ბაზარზე ზარალის ანაზღაურება, რომელიც გამოცდილია რეალური საქონლის ბაზარზე. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეს მსგავსება სრულყოფილი არ არის. ბაზისის ცვალებადობას თან მოჰყვება ნაშთიანი რისკი, რომელიც არ აღმოიფხვრება ჰეჯირებით.

განვიხილოთ ჰეჯირების ძირითადი ხერხები გამყიდველის ჰეჯის მაგალითზე.

1. ჰეჯირება ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით

ეს სტრატეგია მდგომარეობს ფიუჩერსული კონტრაქტების ვადიან ბაზარზე იმ რაოდენობით გაყიდვაში, რომელიც შეესაბამება რეალური საქონლის საჰეჯირებო პარტიის მოცულობას (სრული ჰეჯი) ან ნაკლებს (ნაწილობრივი ჰეჯი).

გარიგება ვადიან ბაზარზე ჩვეულებრივ ხორციელდება დროის მომენტში, როდესაც:

1. გამყიდველს რწმუნების მეტი წილით შეუძლია საქონლის სარეალიზაციო პარტიის თვითღირებულების პროგნოზირება;

2. ვადიან ბაზარზე ჩამოყალიბდა მისაღები (სასურველი) მოგების უზრუნველმყოფი ფასების დონე.

მაგალითად, თუ ბენზინის მწარმოებელს სურს მისი გაყიდვის მომავალი ფასის ჰეჯირება და ნავთობის გადამუშავების ხარჯების შეფასება შესაძლებელია მისი შესყიდვის მომენტში, ამავე მომენტში ხორციელდება ჰეჯში შესვლა, ანუ იხსნება პოზიციები ვადიან ბაზარზე.

ჰეჯირება ფიუჩერსული კონტრაქტების დახმარებით აფიქსირებს საქონლის მომავალი მიწოდების ფასს, ამასთანავე "სპოტ" ბაზარზე ფასების დაწევის შემთხვევაში მიუღებელი სარგებელი იქნება კომპენსირებული გაყიდული ვადიანი კონტრაქტების შემოსავლით (ფიუჩერსული ფასის დაწევისას გაყიდულ ფიუჩერსს მოგება მოაქვს), მაგრამ მედლის მეორე მხარეა რეალურ ბაზარზე ფასების ზრდის გამოყენების შეუძლებლობა. დამატებით სარგებელს "სპოტ" ბაზარზე ამ შემთხვევაში შთანთქავს გაყიდული ფიუჩერსების ზარალი.

ჰეჯირების ამ ხერხის მეორე ნაკლი არის აუცილებლობა მუდმივად იყოს ხელშეწყობილი გახსნილი ვადიანი პოზიციების საგარანტიო უზრუნველყოფის განსაზღვრული ოდენობა (ზომა). "სპოტ" ფასის რეალურ საქონელზე დავარდნის შემთხვევაში, საგარანტიო უზრუნველყოფის მინიმალური ზომის ხელშეწყობა არ არის კრიტიკული პირობა,

რადგანაც ამ შემთხვევაში გამყიდველის საბირჟო ანგარიში შეივსება ვარიაციული მარჟით გაყიდული ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით; მაგრამ "სპოტ" ფასის გაზრდის (მასთან ერთად კი ფიუჩერსულის) შემთხვევაში, ვარიაციული მარჟა ღია ვადიანი პოზიციებისათვის მიდის საბირჟო ანგარიშიდან და შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი თანხების შეტანა.

2. ჰეჯირება "ფუთ" ტიპის ოფციონის ყიდვით

"ფუთ" ტიპის ოფციონის ამერიკელ მფლობელს აქვს უფლება (მაგრამ ვალდებული არ არის) ნებისმიერ დროს გაყიდოს ფიუჩერსული კონტრაქტი ფიქსირებულ ფასში (ოფციონის შესრულების ფასში). ამ ტიპის ოფციონის ყიდვის შემდეგ საქონლის გამყიდველი აფიქსირებს გაყიდვის მინიმალურ ფასს და ინარჩუნებს შესაძლებლობას გამოიყენის მისთვის ხელსაყრელი ფასის მომატება. ფიუჩერსული ფასის ოფციონის შესრულების ფასზე დაბლა დაწევისას, მფლობელი ასრულებს მას (ან ყიდის) და კომპენსირებას ახდენს რეალური საქონლის ბაზარზე დანაკარგებისათვის; ფასის მომატების შემთხვევაში ის უარს აცხადებს თავის უფლებაზე შეასრულოს ოფციონი და ყიდის საქონელს მაქსიმალურად შესაძლებელ ფასში. მაგრამ, ფიუჩერსული კონტრაქტისაგან განსხვავებით, ოფციონის ყიდვისას პრემის გადახდაც ხდება, რომელიც იკარგება შესრულებაზე უარის გაცხადების შემდეგ. ნაყიდი ოფციონი არ მოითხოვს საგარანტიო უზრუნველყოფას.

ამრიგად, ჰეჯირება "ფუთ" ტიპის ოფციონის ყიდვით ანალოგიურია ტრადიციული "დაზღვევის" დამზღვევი მიიღებს ანაზღაურებას მოვლენათა მისთვის არასასურველი განვითარების შემთხვევაში (სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას) და კარგავს სადაზღვევო პრემიას სიტუაციის ნორმალური განვითარების დროს.

3. ჰეჯირება "ქოლ" ტიპის ოფციონის გაყიდვით

ამერიკული "ქოლ" ტიპის ოფციონის მფლობელს აქვს

უფლება (მაგრამ, ვალდებული არ არის) ნებისმიერ დრის შეიძინოს ფიუჩერსული კონტრაქტი ფიქსირებულ ფასში (ოფციონის შესრულების ფასში). ამრიგად, ოფციონის მფლობელს შეუძლია მისი შესრულება, თუ კი მიმდინარე ფიუჩერსული ფასი შესრულების ფასზე მეტია. ოფციონის გამყიდველისათვის სიტუაცია პირიქითაა – ოფციონის გაყიდვის დროს მიღებულ პრემიაზე ის იღებს ვალდებულებას ოფციონის მყიდველის მოთხოვნით გაყიდოს ფიუჩერსული კონტრაქტი მისი შესრულების ფასად.

"ქოლ" ტიპის გაყიდულ ოფციონზე საგარანტიო დეპოზიტი გაითვლება ფიუჩერსულ კონტრაქტზე გაყიდული დეპოზიტის ანალოგიურად: ამრიგად, ეს ორი სტრატეგია ბევრ რამეში ჰგავს ერთმანეთს; მათი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ოფციონის გამყიდველის მიერ მიღებული პრემია ზღუდავს მის შემოსავალს ვადიან პოზიციაში; შედეგად, გაყიდული ოფციონი კომპენსირებას უკეთებს საქონლის ფასის დაწევას სიდიდეზე, რომელიც არ აღემატება მის მიერ აღებულ პრემიას.

4. ჰეჯირების სხვა ინსტრუმენტები

შემუშავებულია ჰეჯირების სხვა ხერხების მნიშვნელოვანი რაოდენობა (მაგალითად, "ქოლ" ტიპის ოფციონის გაყიდვა და მიღებული პრემიის გამოყენება "ფუთ" ტიპის ოფციონის საყიდლად შესრულების ნაკლები ფასით და "ქოლ" ტიპის ოფციონის შესრულების მეტი ფასით). ჰეჯირების კონკრეტული ინსტრუმენტების შერჩევა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ჰეჯერის ბიზნესის მოთხოვნილებების, ეკონომიკური სიტუაციის, დარგის პერსპექტივების და მთლიანად ეკონომიკის დეტალური ანალიზის შედეგად. რეალიზაციის თვალსაზრისით ყველაზე მარტივია საქონლის ერთეული პარტიის სრული **მოკლევადიანი ჰეჯირება**. ამ შემთხვევაში ჰეჯერი ხსნის პოზიციას ვადიან ბაზარზე, რომლის მოცულობა რაც შეიძლება ზუსტად შეესაბამება რეალური საქონლის სარეალიზაციო პარტიის მოცულობას, ფიუჩერსული

კონტრაქტის შესრულების ვადა შეირჩევა რეალური გარიგების ვადის შესრულებასთან ახლოს. პოზიციები ვადიან ბაზარზე იხურება "სპოტ" ბაზარზე გარიგების შესრულების მომენტში. მაგრამ, ბიზნესის რეალური მოთხოვნების დაკმაყოფილება ყოველთვის არ არის შესაძლებელი ასეთი მარტივი სქემის დახმარებით.

გრძელვადიანი გარიგებების ჰეჯირების აუცილებლობისას (ერთ წლამდე), ჩვეულებრივ ვერ ხერხდება ვადიანი კონტრაქტის შერჩევა შესრულების შესაბამისი ვადით, რომელსაც გააჩნია საკმაო ლიკვიდურობა. ამ შემთხვევაში იყენებენ ტაქტიკას, რომელსაც "გადაგორება" (რდლ-ოვერ) უწოდეს. ეს მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ იხსნება პოზიცია ახლო კონტრაქტზე (მაგალითად, 6 თვეზე შესრულების ვაით), ლიკვიდურობის გაუმჯობესებასთან ერთად კი მიწოდების უფრო შორეულ ვადებზე, ახლო თვეების პოზიციები და იზსნება პოზიციები უფრო შოეულზე.

უფრო რთულია აგრეთვე **ჰეჯირების განხორციელება წარმოების უწყვეტ ან უწყვეტთან ახლოს მყოფ ციკლთან.** ამ შემთხვევაში ვადიან ბაზარზე მუდმივად არსებობენ ღია პოზიციები მიწოდების სხვადასხვა ვადებით. ასეთი მუდმივად ცვალებადი "ნაღდ-ვადიანი" პოზიციის მართვა შეიძლება რთული ამოცანა გახდეს.

ყოველთვის ვერ ხერხდება რეალური გარიგების ობიექტის ზუსტად შესაბამისი საბირჟო საქონლის შერჩევა. ასეთ შემთხვევაში უწევთ დამატებითი ანალიზის ჩატარება იმისათვის, რომ გაირკვეს, რომელი საბირჟო საქონელი ან, შესაძლოა, საქონლის ჯგუფი, უკეთესად ექვემდებარება რეალურ ბაზარზე სასაქონლო პოზიციის ჰეჯირებას.

ფასის ცვალებადობის ზოგიერთ შემთხვევაში ასევე იცვლება გასაღების პოტენციური მოცულობები. ამასთან, ჰეჯირების ზემოთჩამოთვლილი სქემები არაეფექტური აღმოჩნდება, რადგანაც ჩნდება "არასაკმარისი ჰეჯირების" სიტუაცია (ჰეჯის მოცულობა რეალური პოზიციის მოცუ-

ლობაზე ნაკლებია) ან "გადამეტებული ჰეჯირების" სიტუაცია (ჰეჯის მოცულობა მეტია რეალური პოზიციის მოცულობაზე). ორივე სიტუაციაში რისკი იზრდება. გამოსავალია დინამიკური ჰეჯირება, როდესაც ხდება რეალურ ბაზარზე ვადიანი პოზიციის სიტუაციის ზომის შესაბამისობის მუდმივი ანალიზი და თუ აუცილებელია, ამ ზომის შეცვლა.

6.7. ჰეჯირების ღირებულება

ჰეჯირების ძირითადი განსხვავება სხვა სახის ოპერაციებისაგან არის ის, რომ მისი მიზანი არის არა დამატებითი მოგების (სარგებლის) ამოღება, არამედ პოტენციური ზარალის რისკის შემცირება.

რადგანაც რისკის შესამცირებლად, პრაქტიკულად, ყოველთვის საჭიროა გადახდა, ჰეჯირებას მოსდევს დამატებითი ხარჯები (პირდაპირი ხარჯების ან მოგების არასრულად მიღების სახით.) ჩამოვთვალოთ ასეთი დანახარჯების რამდენიმე წყარო:

გარიგების დადებისას ჰეჯერი. რისკის ნაწილს გადასცემს კონტრაგენტს. ასეთ კონტრაგენტს შეიძლება წარმოადგენდეს მეორე ჰეჯერი (რომელიც აგრეთვე ამცირებს თავის რისკს) ან სპეკულანტი, რომლის მიზანია მომავალში დახუროს პოზიცია მისთვის უფრო ხელსაყრელ ფასში. ამრიგად, სპეკულანტი თავის თავზე იღებს დამატებით რისკს, რისთვისაც ღებულობს კომპენსაციას რეალური ფულადი სახსრების სახით (მაგალითად, ოფციონის გაყიდვის დროს) ან შესაძლებლობას, მიიღოს ისინი მომავალში (ფიუჩერსული კონტრაქტის შემთხვევაში).

საკომისიო გადასახადები. ჰეჯირებაზე დანახარჯების მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ დადებულ გარიგებას, თან სდევს ხარჯები საკომისიო გადასახადების და ყიდვა-გაყიდვის ფასების სხვაობის სახით.

საგარანტიო დეპოზიტი. დანახარჯების კიდევ ერთი მუხლი, ჰეჯირების ვადიანი საბირჟო ინსტრუმენტების გამოყენების განხორციელების დროს არის - საგარანტიო დეპოზიტი, რომელსაც ახდენენებს ბირჟა გარიგების მონაწილეებს თავიანთი მოვალეობების შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ დეპოზიტის სიდიდე ჩვეულებრივ შეადგენს საჰეჯირებო პოზიციის მოცულობის 2-დან 20%-მდე და პირველ რიგში განისაზღვრება საბაზრო საქონლის ფასის ცვალებადობით. საგარანტიო უზრუნველყოფა საჭიროა მხოლოდ იმ ვადიანი ინსტრუმენტებისათვის, რომლებზეც მათ მფლობელს ექმნება ან შეიძლება შეექმნეს განსაზღვრული გარემოებები, ანუ ფიუჩერსებისათვის და გაყიდული ოფციონებისათვის.

ვარიაციული მარჟა. ჰეჯირების განხორციელებაზე დანახარჯების კიდევ ერთი წყაროა ვარიაციული მარჟა, რომელიც ყოველდღიურად გაითვლება ფიუჩერსულ, ზოგიერთ შემთხვევაში – საოფციონერო პოზიციებზე. ვარიაციული მარჟა იხსნება ჰეჯერის საბირჟო ანგარიშიდან, თუ ფიუჩერსული ფასი მოძრაობს მის ვადიანი პოზიციების საპირისპიროდ (ანუ რეალურ ბაზარზე მისი პოზიციის მხარისკენ) და დაიდება ანგარიშზე, თუ კი ფიუჩერსული ფასი მოძრაობს სხვა მხარეს. მაგრამ აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სახსრების მოძრაობა გარიგების ვადიან ნაწილში ჩვეულებრივ წინ უსწრებს სახსრების მოძრაობას მის ნაღდ ნაწილში.

მაგალითად, ფიუჩერსული კონტრაქტების ჰეჯირების სემთხვევაში, თუ კი ჰეჯერი ზარალს განიცდის რეალური საქონლის ბაზარზე და სარგებელს ღებულობს ფიუჩერსულ ბაზარზე, ვარიაციულ მარჟას ღია ფიუჩერსების მიხედვით ის იღებს რეალურ ბაზარზე ზარალის ფიქსირებამდე (ანუ სიტუაცია მისთვის ხელსაყრელია). მაგრამ, წინააღმდეგ შემთხვევაში (ზარალი ვადიან კონტრაქტებზე და სარგებელი "სპოტ" ბაზარზე) ჰეჯერი იხდის ვარიაციულ მარჟას საქონლის რეალური მიწოდებიდან სარგებლის მიღებამდე, რამაც

შეიძლება გამოიწვიოს ჰეჯირების საფასურის გაზრდა.

რისკი, რომელიც დაკავშირებულია გადაჰეჯირებულ პოზიციასთან. ჰეჯირების მიზანია საფასო რისკის დაწევა, მაგრამ რეალური აქტივის ბაზარზე ფასის არახელსაყრელი მოძრაობისგან დამოკიდებულების სრულად გამორიცხვა ვერ ხერხდება, მეტიც, ჰეჯირების არასაკმარისად შემუშავებულ სტრატეგიას შეუძლია გაზარდოს კომპანიის მიდრეკილება საფასო რისკის მიმართ. ჰეჯირებისათვის დამახასიათებელი რისკის ძირითადი ტიპია რისკი, რომელიც დაკავშირებულია რეალური აქტივის ფასის არაპარალელურ მოძრაობასთან და შესაბამის ვადიან ინსტრუმენტებთან (სხვაგვარად ბაზისის ცვალებადობასთან). საბაზისო რისკს ადგილი აქვს მოთხოვნის და მიწოდების კანონის რამდენადმე სხვადასხვაგვარი მოქმედების გამო ნაღდ და ვადიან ბაზრებზე. რეალური და ვადიანი ბაზრების ფასები ძლიერ არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რადგანაც აქ ჩნდება საარბიტრაჟო შესაძლებლობები, რადგანაც ვადიანი ბაზრის მაღალი ლიკვიდურობის წყალობით ისინი პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანება, მაგრამ რაღაც საბაზისო რისკი ყოველთვის შენარჩუნდება.

საბაზისო რისკის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენენ ადმინისტრაციული შეზღუდვები ფიუჩერსული ფასის მაქსიმალურ დღიურ რხევებზე, რომლებიც დადგენილია ზოგიერთ ბირჟებზე. ასეთი შეზღუდვების არსებობას შეუძლია მიგვიყვანოს იქამდე, რომ თუ ვადიანი პოზიციების დახურვა აუცილებელია რეალური აქტივის ფასის ძლიერი მოძრაობის დროს, სხვაობა ფიუჩერსულ და "სპოტ" ფასებს შორის შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი.

რისკის სხვა ტიპი, რომელთანაც ბრძოლაში ჰეჯირება უძლურია – არის **სისტემური რისკი**, რომელიც უკავშირდება კანონმდებლობის არაპროგნოზირებად ცვლილებას, ბაუების და აქციზების შემოღებას და ა.შ. მეტიც, ასეთ შემთხვევებში ჰეჯირებამ შეიძლება უფრო გაართულოს სიტუა-

ცია, რადგანაც გახსნილი ვადიანი პოზიციები საშუალებას არ აძლევენ ექსპორტიორს შეამციროს ამ მოქმედებების ნეგატიური ზეგავლენა მიწოდებების მოცულობის შემცირების გზით.

6.8. ჰეჯირების შედეგები

მიუხედავად ჰეჯირებასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და მრავალრიცხოვანი სიძნელეებისა, რომლებსაც შეიძლება შეეჯახოს კომპანია ჰეჯირების სტრატეგიის შემუშავების და რეალიზაციის დროს, მისი როლი სტაბილური განვითარების უზრუნველყოფაში ძალიან დიდია, კერძოდ:

– ხდება საფასო რისკის არსებითი შემცირება, რომელიც დაკავშირებულია ნედლეულის შისყიდვასთან და მზა პროდუქციის მოწოდებასთან; საპროცენტო განაკვეთების და გაცვლითი კურსების ჰეჯირება ამცირებს მომავალი საფინანსო ნაკადების გაურკვეველობას და უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ საფინანსო მენეჯმენტს. შემდეგ მცირდება შემოსავლების რხევები და უმჯობესდება საწარმოს მართვა.

– ჰეჯირების კარგად აგებული პროგრამა ამცირებს როგორც რისკს, ასევე დანახარჯებს. ჰეჯირება გამოათავისუფლებს კომპანიის რესურსებს და ეხმარება მმართველ პერსონალს ყურადღება გაამახვილოს ბიზნესის იმ ასპექტებზე, რომელშიც კომპანიას გააჩნია კონკურენტული უპირატესობა, მინიმიზირებას უკეთებს რისკებს, რომლებიც ცენტრალური არ არის. საბოლოოდ ჰეჯირება ზრდის კაპიტალს, ამცირებს რა სახსრების გამოყენების საფასურს და სტაბილიზაციას უკეთებს შემოსავალს.

– ჰეჯი არ კვეთს ჩვეულებრივ სამეურნეო ოპერაციებს და იძლევა საშუალებას უზრუნველყოს ფასის მუდმივი დაცვა იმის აუცილებლობის გარეშე, რომ შეიცვალოს თადარი-

გის (მარაგის) პოლიტიკა ან დაიდოს გრძელვადიანი ფორვარდული კონტრაქტები.

– ბევრ შემთხვევაში ჰეჯი აადვილებს საკრედიტო რესურსების მოზიდვას; განაკვეთები აღრიცხავენ ჰეჯირებულ გირაოებს უფრო მაღალი განაკვეთით; იგივე ეხება მზა პროდუქციის მიწოდების კონტრაქტებს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ჰეჯირება უშუალო ამოცანად არ ისახავს მოგების გაზრდას, არამედ მისი მიზანია რისკების შემცირების საფუძველზე კორპორაციების და ფინანსური ბაზრების უწყვეტი ფუნქციონირება. ამიტომ ნებისმიერმა კომპანიამ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ:

1. შეარჩიოს სავაჭრო მოედანი და ის ვადიანი კონტრაქტი, რომელიც ყველაზე სრულად შეესაბამება მის მოთხოვნილებებს. ამ ნაბიჯზე აუცილებელია დამატებითი ანალიზი, რადგანაც ყოველთვის არ არის ვადიანი კონტრაქტი, რომელიც სრულებით შეესაბამება სავაჭრო გარიგების ობიექტს. ამ შემთხვევაში აუცილებელია არსებული ფიუჩერსებიდან ამოირჩიოს ისეთი, რომლის ფასის ცვლილების დინამიკა უფრო ზუსტად შეესაბამება რეალური საქონლის ფასის დინამიკას.

2. შეარჩიოს კლირინგული კომპანია (კომპანია, რომელიც აკონტროლებს სახსრების მოძრაობას და გარანტიას იძლევა, რომ გარიგებების მიხედვით ვალდებულებები შესრულდება), რომელიც აკრედიტებულია შესაბამის ბირჟაზე; აგრეთვე საბირჟო ბროკერი, რომელიც შეასრულებს სავაჭრო ბრძანებებს.

3. შეავსოს სტანდარტული ფორმები და ხელი მოაწეროს მომსახურეობას ხელშეკრულებაზე.

4. გახსნას ანგარიში კლირინგულ კომპანიაში და გადარიცხოს მასზე თანხის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც გამოიყენება ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფისთვის გახსნილ პოზიციებზე (ჩვეულებრივ ეს

არის გარიგების გაანგარიშებული თანხის დაახლოებით 1%). მრავალი ბირჟა და კლირინგული კომპანია განსაზღვრავს თანხის მინიმალურ მოცულობას, რომელიც უნდა იყოს ჩარიცხული სავაჭრო ანგარიშზე მისი გახსნის დროს (ჩვეულებრივ 10000 დოლარი).

5. შეიმუშაოს ჰეჯირების სტრატეგია.

განვიხილოთ რეალური საქონლის ჰეჯირების მაგალითები:

ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ნავთობზე და ნავტობპროდუქტებზე ვადიანი კონტრაქტებით ვაჭრობის ძირითადი მოცულობა თავმოყრილია ორ ბირჟაზე:

• ლონდონში საერთაშორისო სანავთობო ბირჟაზე **(IPE-International Petroleum Exchange)**

• ნიუ-იორკის სავაჭრო ბირჟაზე **(NYMEX – New-York Mercautile Exehange).**

NYMEX-ზე ვაჭრობა მიმდინარეობს შემდეგი ნავთობპროდუქტების ფიუჩერსებით და ოფციონებით:

– ნედლი ღია ფერის ბავთობი **(light sweet);**

– მაზუთი;

– არაეთილირებული ბენზინი.

1997-1998 წლების ვაჭრობის მოცულობები მოყვანილია № 6.1 ცხრილში:

ცხრილი №6.1.

კონტრაქტი	ოპციონები	ფიუჩერსები	მოცულობა (მლნ.ტ.)
ნედლი ნავთობი	28964383	7476904	4900
მაზუთი	8619979	828494	1350
რაეთილირებული ბენზინი	7880645	754812	1000

შენიშვნა. მოცულობითი მაჩვენებლების წონითში გადაყვანის დროს გამოიყენებოდა შემდეგი კოეფიციენტები:

- ნედლი ნავთობი – 7.33 ბარ\ტ
- მაზუთი – 7.0 ბარ\ტ
- ბენზინი – 8.5 ბარ\ტ

1. ნედლი ნავთობი. ნედლი ნავთობით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა აღემატება ნებისმიერი სხვა საქონლით ვაჭრობის მოცულობას. ნიმექსზე **(NYMEX)** ვაჭრობენ ფიუჩერსებით და ოფციონებით მსუბუქ და ღია ფერის ნედლ ნავთობზე (გოგირდის დაბალი შემცველობით). ეს არის მსოფლიოში ყველაზე ლიკვიდური ვადიანი კონტრაქტი. ვაჭრობის მაღალი მოცულობის და ბაზრის გამჭირვალობის წყალობით, ის გამოიყენება ნავთობზე ფასების ერთ-ერთ ძირითად მსოფლიო ეტალონად.

NYMEX-ზე ვაჭრობენ ფიუჩერსული კონტრაქტებით და ოფციონებით ამერიკული ტიპის ფიუჩერსულ კონტრაქტზე (ოპციონის მფლობელს შეუძლია მისი შესრულება შესაბამისი ფიუჩერსული კონტრაქტის დახურვამდე ნებისმიერ დროს).

მიწოდების ობიექტი: გარდა **"lightsweet"** მარკის ნავთობისა კონტრაქტის მიხედვით შეიძლება იქნეს მიწოდებული სხვა ხარისხის ნავთობი (მაგალითად, მათ შორის **"Brent"**) ფასდაკლებით (ან დანამატით), რომელიც კონტრაქტით არის გათვალისწინებული. ფიუჩერსული კონტრაქტის მოცულობა 1000 ბარელია.

სავაჭრო საათები: 9:45-15:10 (ძირითადი სესია), 16:00-18:00 (ელექტრონული ვაჭრობა).

მიწოდების თვეები: ერთდროულად მიმდინარეობს ვაჭრობა 36 თვიან ფიუჩერსულ კონტრაქტზე (ყოველი თვე უახლოეს 3 წელიწადში) და გრძელვადიან ფიუჩერსებზე (3, 4, 5, 6 და 7 წელი). ვაჭრობის ძირითდი მოცულობები ჩვეულებრივ თავმოყრილია სამ უახლოეს კონტრაქტში. ოფციონები – 12 თანმიმდევრობითი თვე, აგრეთვე 18, 24 და 36

თვე ივნისში და დეკემბერში შესრულებით).

ფასის ცვლილების ბიჯი: 1 ცენტი\ბარელი (10 დოლ\კონტრაქტი).

დღის ფასის მაქსიმალური მოძრაობა: ორ უახლოეს ფიუჩერსულ კონტრაქტზე – 15 დოლ\ბარელი (1500 დოლარი\კონტრაქტი), ოფციონებზე ლიმიტი არ ვრცელდება.

საგარანტიო დეპოზიტი: 1620 დოლ\კონტრაქტი.

2. არაეთილირებული ბენზინი. NYMEX-ზე ვაჭრობენ ფიუჩერსული კონტრაქტებით და ოფციონებით ამერიკული ტიპის ფიუჩერსულ კონტრაქტებზე.

მიწოდების ობიექტი: არაეთილირებული ბენზინი.

სავაჭრო საათები: 9X45-15:10 (ძირითადი სესია), 16:00-18:00 (ელექტრონული ვაჭრობა).

ფიუჩერსული კონტრაქტის მოცულობა: 42000 გალონი (1000 ბარელი).

მიწოდების თვეები: ერთდროულად ივაჭრება 18 თვიანი ფიუჩერსული კონტრაქტი. ვაჭრობის ძირითადი მოცულობები ჩვეულებრივ თავმოყრილია სამ უახლოეს კონტრაქტზე.

ოფციონები – 12 თანმიმდევრული თვე.

ფასის ცვალებადობის ბიჯი: 0,01 ცენტი\გალონი (4.2 დოლ\კონტრაქტი).

დღის მაქსიმალური მოძრაობა: ორ უახლოეს ფიუჩერსულ კონტრაქტზე – 40 ცენტი\გალონი (16000 დოლარი\კონტრაქტი), ოპციონებზე ლიმიტი არ ვრცელდება.

საგარანტიო დეპოზიტი: 1620 დოლ\კონტრაქტი.

3. მაზუთი. მაზუთი არის მოცულობით (ბენზინის შემდეგ) ნავთობის მეორე ფრაქცია. პირველად **NYMEX**-ზე ვადიანი ბაზრის მონაწილეები ძირითადად იყვნენ მაზუთის მსხვილი მებითუმეები და მომხმარებლები, მაგრამ უკანასკნელ წლებში ვაჭრობაში სულ უფრო მეტად მონაწილეობას ღებულობენ დიზელის და საავიაციო ნავთობის მომხმარებლები და მწარმოებლები (ფასები ამ საქონელზე მსოფლიო ბაზარზე ჩვეულებრივ დგინდება **NYMEX**-ზე მაზუთის ფიუჩერსული

ფასის საფუძველზე სტაბილური პრემიით).

NYMEX-ზე ვაჭრობა მიმდინარეობს ფიუჩერსული კონტრაქტებით და ოფციონებით ამერიკული ტიპის ფიუჩერსულ კონტრაქტებზე.

მიწოდების ობიექტი: მაზუთი **(heating #1 #2).**

ფიუჩერსული კონტრაქტის მოცულობა: 42000 გალონი (1000 ბარელი).

სავაჭრო საათები: 9:45-15:10 (ძრითადი სესია), 16:00-18:00 (ელექტრონული ვაჭრობა).

მიწოდების თვეები: ერთდროულად ვაჭრობენ 18 თვიან ფიუჩერსულ კონტრაქტს. ვაჭრობის ძირითადი მოცულობები ჩვეულებრივ თავმოყრილია სამ უახლოეს კონტრაქტზე.

ოფციონები – 12 თანმიმდევრული თვე.

ფასის ცვალებადობის ბიჯი: 0.01 ცენტი\გალონი (4.2 დოლ\კონტრაქტი).

დღეში ფასის მაქსიმალური მოძრაობა: ორ უახლოეს საფიუჩერსო კონტრაქტზე – 40 ცენტი\გალონი (16000 დოლ\ კონტრაქტი), ოპციონებზე ლიმიტი არ ვრცელდება.

საგარანტიო დეპოზიტი: 1620 დოლ\კონტრაქტი.

International Petroleum Exchange

IPE-ზე ვაჭრობენ ფიუჩერსებით და ოპციონებით ჩრდილოეთის ზღვის **Brent** მარკის ნავთობზე და დიზელის საწვავზე.

ვაჭრობის მოცულობები 1.04.1998-დან 31.03.1999-მდე მოცემულია №6.2. ცხრილში.

ცხრილი №6.2.

კონტრაქტი	ფიუჩერსები	ოპციონები	მოცულობა (მლნ.ტ)
ნედლი ნავთობი	13988556	3659301	958
დიზელის საწვავი	5276713	93436	716

ვაჭრობის ორგანიზაცია ლონდონში მთლიანობაში გავს ნიუ-იორკის ბირჟას, მაგრამ აქვს ზოგიერთი განსხვავება:

- სავაჭრო საათები: 10.00–20.15 GMT (7:00–17:15 მოსკ)

IPE-ზე არ დგინდება შეზღუდვები ფასის დღიურ რხევებზე, რაც ამარტივებს ჰედში შესვლას და გამოსვლას ფასების ძლიერი მოძრაობის დროს;

თუ პოზიცია ვაჭრობის დახურვის მომენტში დაუხურაველი დარჩა კონტრაქტის მიხედვით, მასზე ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ფულადი ფორმით (რეალური საქონლის მიწოდების განხორციელების ან მიღების აუცილებლობის გარეშე);

- ოპციონები ფიუჩერსებზე მარჟირებულია , ანუ ვარიაციული მარჟის ჩამოწერა ან დარიცხვა ხორციელდება იმავე წესებით, როგორც ფიუჩერსებისათვის (ამასთან, ბუნებრივია, დაცული ფუძემდებლური წესები – ნაყიდ ოპციონზე ჩამოწერილი მაქსიმალური მარჟა არ შეიძლება აღემატებოდეს მასზე გადახრილ პრემიას);

ორივე კონტრაქტზე საგარანტიო დეპოზიტი – 1600 დოლარი.

მოვიყვანოთ ნავთობპროდუქტების ფასების ჰეჯირების რეალური მაგალითები:

1. დსს "ლუკოილ-პრემი". კომპანიისათვის ჰეჯირების განხორციელების ბიძგი გახდა ნედლ ნავთობზე ფასების დაცემა 1996 წლის მეორე კვარტალში 22 დოლარიდან 18 დოლარამდე ერთის მხრივ და შიდა ბაზარზე ნავთობპროდუქტების გასაღების კრიზისი – მეორე მხრიდან. ჰეჯირების ჩატარების პირველი გამოცდილება გახდა 1997 წლის 15 იანვარს მაზუთზე (**Heating Oil**) 30 კონტრაქტის გაყიდვა **NYMEX**-ზე, ამით დაჰეჯირებული იქნა ნავთობპროდუქტების ექსპორტის 10%. რადგანაც არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა ვაჭრობის დროში **IPEX**-სა და **NYMEX**-ს შორის (5 საათი), კომპანიამ ვაჭრობა ლონდონში გადაიტანა. ერთდროულად დაიწო ნედლი ნავთობის მიწო-

დებების ჰეჯირება. 1997 წლის იანვრიდან ივლისამდე პერიოდში 7 გარიგება ფიუჩერსული კონტრაქტებით IPE-ზე და NYMEX-ზე. ვაჭრობის მოცულობამ მაზუთზე შეადგინა 180 კონტრაქტი, რაც დაახლოებით უდრის 20000 ტონას და 300 კონტრაქტი ნავთობზე – 39484 ტონა. მთელი პერიოდის შედეგად, ფიუჩერსული ოპერაციებით იქნა მიღებული ვარიაციული მარჟა **115645 USD** რაოდენობით, რამაც დაფარა ზარალი სპოტ-ბაზარზე. ერთი გარიგების საშუალო ხანგრძლივობა (სხვაობა პოზიციის გახსნისა და დახურვას შორის) – 8 დღე. ყველა გარიგების ჯამური ხანგრძლივობა – 56 დღე, ან ანგარიშის ხელშეწყობის სრული პერიოდის 28% (197 დღე). რა თქმა უნდა, ვაჭრობის მოცულობის კომპანიის ექსპორტის მოცულობებთან შეპირისპირება ძნელია. მაგრამ ეს გამოცდილება პირველი იყო და, როგორც ჩანს, მან გაამართლა.

2. ჰეჯირების მეორე მაგალითად გამოდგება ტეხასის შტატის გამოცდილება. 1986 წელში ნავთობზე ფასების დაცემის შემდეგ ბარელზე 35 დოლარიდან 11 დოლარამდე ჩამოყალიბდა სიტუაცია, როდესაც შტატის ხაზინა, რომელიც მეოთხედით დამოკიდებული იყო ნავთობზე ბაჟის სახით შემოსავლებიდან აღმოჩნდა პრაქტიკულად ცარიელი, რადგანაც შტატმა ვერ შეძლო მოსალოდნელი თანხის შეკრება (მიუღებელი ბაჟის ოდენობამ 3.5 მილიარდი დოლარი შეადგინა).

იმისათვის, რომ ასეთი სიტუაცია მომავალში არ განმეორდეს შემუშავებული იქნა საბაჟო შემოსავლების ჰეჯირების პროგრამა ოპციონების დახმარებით. ყველა გარიგება სრულდებოდა NYMEX-ზე. ოპერაციის ჩატარება დაიწყო 1991 წლის დეკემბერში, ჰეჯირებისათვის იქნა შერჩეული ფასი ბარელზე 21.5 დოლარი (ჰეჯის ჩატარების პერიოდში (წელი) ფასების დონე იცვლებოდა ბარელზე 22.6 დოლარიდან 13.91 დოლარამდე). ჰეჯირების პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ ფიქსირდებოდა ნავთობის მინიმალ-

ური თანხა (ბარელზე 21.5 დოლარი), ნაეთობზე ფასის ზრდის დროს შტატი ღებულობდა დამატებით შემოსავალს. ამ მეთოდიკამ შტატის ხელისუფლებას მისცა საშუალება ორი წლის განმავლობაში მიეღო სტაბილური შემოსავალი ნავთობის ფასზე მნიშვნელოვანი რხევების დროს.

6.9. სავალუტო რისკების მართვა საქართველოში

საქართველოში სააქციო საზოგადოება **„თიბისი ბანკმა"** შეიმუშავა სავალუტო კისკების მართვის სპეციალური პროგრამა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი კომპანია თავიდან აიცილებს სავალუტო კურსის ცვალებადობით გამოწვეულ რისკებს, კერძოდ შეიმუშავე რისკების მართვის მეთოდები ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებით როგორიცაა:

- სავალუტო სვოპები;
- ფორვარდები;
- ოფციონები.

აღნიშნული ინსტრუმენტები ვალუტის კურსის ცვალებადობით მიღებული ზარალისგან თავის დაზღვევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ. ისინი ხელს უწყობენ უფრო ზუსტად დაგეგმონ საკუთარი ბიუჯეტი და მოახდინონ პროდუქციის ფასწარმოქმნის ოპტიმიზაცია.

სავალუტო სვოპი (FX Swap) - ამ ინსტრუმენტის მეშვეობით შესაძლებელია ერთი ვალუტის კონვერტაცია მეორეზე გარიგების დადების დროს მიმდინარე საბაზრო კურსით, ხოლო მომავალში - უკუკონვერტაცია წინასწარ დაფიქსირებული კურსით. სვოპს შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

- სვოპი არის მოქნილი და ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი;
- კონვერტაცია შესაძლებელია ყველა ძირითად ვალუტაში;
- სავალუტო სვოპის მინიმალური თანხაა - 50 000 აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი სხვა ვალუტაში;

• სეოპ გარიგების პერიოდი არ აღემატება 6 თვეს.

სავალუტო ფორვარდი (FX Forward) - აღნიშნული ინსტრუმენტი დაკონვერტირების საშუალებას იძლევა სასურველი ვალუტის წინასწარ განსაზღვრული მოცულობით და ფიქსირებული კურსით, მომავალი თარიღისათვის. პირობები ასეთია:

• ფორვარდის გაფორმება შესაძლებელია ყველა ძირითად ვალუტაში;

• მინიმალური გარიგების თანხა განისაზღვრება 50 000 აშშ დოლარით ან მისი ექვივალენტით სხვა ვალუტაში;

• ფორვარდის პერიოდი არ აღემატება 6 თვეს;

• ფორვარდ გარიგებები შეიძლება განხორციელდეს ერთ ფორვარდ დღეზე, ან დაიყოს რამოდენიმე ფორვარდ დღეზე კლიენტის სურვილისამებრ;

• ფორვარდული გარიგების შესრულება სავალდებულოა გარიგების ორივე მონაწილისათვის;

• იმ შემთხვევაში თუ სავალუტო ფორვარდის ფიქსირებული კურსი მიუღებელი იქნება კლიენტისათვის, მაშინ თიბისი ბანკი თავაზობს სავალუტო ოფციონს.

სავალუტო ოფციონი (FX Option) - სავალუტო რისკებისაგან დაზღვევის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია, რომელიც განსაზღვრული საკომისიოს გადახდის შემდეგ იძლევა საშუალებას დაიდოს ვალუტის სამომავლო ყიდვა/გაყიდვის გარიგება და ამავდროულად, რჩება გარიგების გაუქმების უფლებაც.

ოფციონის გაფორმება შესაძლებელია ყველა ძირითად ვალუტაში;

მინიმალური გარიგების თანხა განისაზღვრება 50 000 აშშ დოლარით ან მისი ექვივალენტით სხვა ვალუტაში;

ოფციონის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

თავი 7.
ბაზარზე შესვლის მეთოდები
(შვიდი ეფექტური წერტილი)

7.1. ტრენდში ვაჭრობა

ტრენდში ვაჭრობა ხშირად ყველაზე იოლ საქმედ წარმოუდგენიათ. ყველამ ვიცით ძველი მტკიცე ჭეშმარიტება: „თრენდ ის ყოურ ფრიენდ". მაგრამ პოზიციაში შესვლა ახლახან ჩასახული ტრენდის არა მთლად დასაწყისში ჩვეულებრივ პრობლემატური და საშიში ჩანს ინვესტორების უმრავლესობისათვის. მიზეზი იმალება ფსიქოლოგიურ ბარიერში, რომელიც არმოიქნება ბირჟის თანასაზოგადოების ადამიანების უმრავლესობაში, ვინც კი რთულად გადახედავს საკუთარ შეხედულებებს არსებულ ტრენდზე. ფასების დაწყებულ ზრდაზე დაღმავალი მოძრაობის შემდეგ ყველა ელოდება კატასტროფულ ვარდნას, ამიტომაც სიხარულით ყიდიან, აღმავალი ტრენდის ნებისმიერ დაწევაზე კი ყველას ჰგონია, რომ ფასები მაღლა წავა, ამიტომაც ყველა მზადაა იყიდოს ყოველ კორექციაზე. სწორედ ამიტომ ინვესტორების უმრავლესობა შედის ყიდვებში თითქმის მწვერვალზე და ყიდის თითქმის ბაზრის საფუძველში. ტრენდის შუაგულში ხშირად იქმნება ინვესტორების სიმშვიდე, მათ პრაქტიკულად სრულიად უქრებათ ზრუნვა საეჭრო ანგარიშებზე დაგროვილი სარგებლის დაცულობაზე.

ყიდვა მზარდ და გაყიდვა დაღმავალ ტრენდზე ტრეიდერების უმრავლესობას არ ემთხვევა ბაზრის რიტმთან. უნდა მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ არ განიხილება ისეთი შემთხვევები, როდესაც ვაჭრობა იქმნება ტრენდის ჩასახვის მომენტში. აქ ახლა საუბარია, როგორ უნდა მოვიქცეთ ტრენდის შიგნით. ამ სიტუაციისათვის ბაზარზე შესვლის ყველაზე საუკეთესო ხერხები დაფუძნებულია სატრენდო ხაზების გამოყენებაზე, რომელთაც გააჩნიათ ხელშეწყობა

ან წინააღმდეგობა და განსაზღვრულია უკანასკნელი დასრულებული მოძრაობების დახმარებით. ამრიგად, აი ორი ყველაზე საუკეთესო წერტილი, რომლებიც იძლევა საშუალებას ეაჭრობაში შესვლას წარმატების მაღალი ალბათობით შედარებით მცირე რისკის დონით საბაზრო ტრენდში. ყოველ მათგანში ნავარაუდებია ლიმიტური ორდერების გამოყენება და მხოლოდ ძალიან იშვიათად საბაზროსი, თუ ამისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძვლები.

წერტილი პირველი. ყიდვა აღმავალი ტრენდის ხაზიდან მესამე შეხებაზე. აღმავალი ტრენდი განისაზღვრება, როდესაც ფასები მაღლა იწევს. ჩვენ გვეძლევა საშუალება გავაკეთოთ ხაზი. ზემოთ დახრით. ის გაიკვლის ფასის ბარების ორ თანმიმდევრობით ამაღლებულ ფუძეებზე, რომლებსაც გააჩნიათ აბსოლუტური ფსკერი, როგორც მინიმუმ, ორი წინამდებარე და ორი შემდგომ ბართან შედარებით. ყველაზე კარგი მომენტი ბაზარზე შესასვლელად ჩნდება ფასის ტრენდის ხაზთან მესამე შეხებისას. ამ წერტილში, უსათუოდ, უნდა იყიდო და მხოლოდ იყიდო (იხილეთ ნახაზი №7.1).

ნახაზი №7.1



თუ კი გამოიყენებთ ასეთ ტაქტიკას, წინასწარ უნდა გაარკვიოთ ფასების დონეები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა იყოს – იმასთან დამოკიდებულებაში, თუ რომელ მომენტში მოხდება ფასების შეხება ტრენდთან. საუკეთესო ვარიანტია დღიური გრაფიკის გამოყენება, სადაც ყოველ დღეს იქმნება თავისი ფასის დონე. ფასების უფრო ზუსტი შემოწმება შესაძლებელია საათობრივი და ოცდაათწუთიანი გრაფიკების გამოყენებით. ამასთანავე უნდა იქნეს გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფის რეალური შესაძლებლობები, რადგანაც პროგრამული უზრუნველყოფის ცუდმა ხარისხმა შეიძლება ძლიერად დაამახინჯოს პროგნოზი, მოგვცეს არასწორი ფასების დონეები შესასვლელად.

ტრენდულ ხაზებზე ასეთი ორიენტაციის დროს ვაჭრობაზე ნეგატიურად მოქმედებენ ცრუ ჩხვლეტები, რომლებიც ქმნიან ტრენდის ხაზის გარღვევის გარეგნობას. სამწუხაროდ, გარღვევის ჭეშმარიტების ან მცდარობის აღიარება არ შეიძლება მანამდე, სანამ ტრენდის გამრღვევი ბარი არ დაიხურება, და არ დაიწყება ახლის ვაჭრობა (№1 სურათზე წარმოდგენილია ზუსტად ასეთი შემთხვევა: დღის შიგნით ფასები იწეოდა ტრენდული ხაზის ქვემოთ, მაგრამ უფრო მაღალზე დახურვამ დაადასტურა ხარების ძალა). როგორც წესი, თუ კი ტრენდი ძლიერია, მაშინ დახურვისაკენ ფასი ბრუნდება მასთან და ხშირად შეიძლება დაეინახოთ, რომ დახურვის ფასი თითქმის ზუსტად მდებარეობს ტრენდის ხაზზე. შანსები წარმატებულ ყიდვაზე მხოლოდ იზრდება: თუნდაც მოხდეს გარღვევა ბაზრის ქვედა ნაწილში, ეს დღეს არ მოხდება, ბაზარიც რაღაც დროის მონაკვეთში ამ წერტილის ირგვლივ განაგრძობს რხევას, ხან ძალას აჩვენებს, ხანაც სისუსტეს. ფასების მოძრაობის ტემპები, რომლებიც ვითარდება ძირითადი ტრენდის საპირისპირო მიმართულებით, იშვიათად არის შემობრუნების სიმპტომი და უფრო მოწმობს ხარების ლოდინის პოლიტიკაზე, რომლებიც დარ-

წმუნებლნი არიან თავიანთ ძალაში და არ სურთ ვაღაზე ადრე გამოვიდნენ სათამაშო მოედანზე.

წერტილი მეორე. გაყიდვა დაღმავალი ტრენდის ხაზიდან მესამე შეხებისას. ეს წერტილი არის პირველ წერტილში ვაჭრობის ანარეკლი. შესაბამისად, ტრეიდერის ქცევაც ზუსტად საპირისპიროა – მან უნდა გაყიდოს ფასების მესამე შეხებისას ქვემოთ მიმართულ ტრენდთან, რომელიც გაელებულია ორი თანმიმდევრობით დამწვევი ფასების მწვრვალებზე, რასაც ბაზარმა ადრე მიაღწია. ამ პიკების არჩევა იოლია, ჩვენ გვჭირდება ლოკალური მწვერვალები, რომლებიც ხასიათდება იმით, რომ მათზე მიღწეული ფასები მაქსიმალურია არანაკლებ ორი წინამორბედი და ორი შემდგომი ბარების მაქსიმუმთან შედარებით.

ზუსტი ფასის მნიშვნელი ბაზარში შესასვლელად ყოველთვის იცვლება, დროთა განმავლობაში ის თანდათანობით იბადება. უსათუოდ, ყველაზე საუკეთესო იქნება დღის მასშტაბის გამოყენება, მაგრამ კარგად ავლენენ თავს საათობრივი და ნახევარ საათობრივი გრაფიკები. ჩხვლეტების ჭეშმარიტების ან მცდარობის შემოწმება, როგორც აღმავალ ტრენდზე, უმჯობესია მორიგი ფასის ბარის დახურვის ფაქტზე.


7.2. ვაჭრობა ბარდვევაზე

ვაჭრობის სტრატეგიები არსებით დონეებში ფასების გარღვევაზე ითვლება სავაჭრო პოზიციების მართვის ყველაზე ეფექტურ ხერხებად, რომლებიც განაპირობებენ მაღალ შემოსავლიანობას. ხშირად ისინი ასოცირდებიან სტოპ–ორდერებთან, რომლებიც ამუშვდებიან უშუალოდ გარღვევის მომენტში და ამით უზრუნველყოფენ შესაძლებლობას დაიკავონ პოზიცია განვითარებადი ფასეული იმპულსის დასაწყისში. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ბევრ ბაზარზე

სტოპ–ორდერები არ არის იმდენად პრაქტიკული, ხშირად კი სახიფათოც არიან სავაჭრო ანგარიშისათვის, ამიტომაც ასეთი გზა ყოველთვის არ არის გამართლებული. გარღვევის სტრატეგიებისათვის ბაზარში ლიმიტური ორდერების შესვლის ვარიანტები იძლევიან სარგებლის მიღების მეტ შესაძლებლობას შედარებით დაბალ რისკზე. აქ წარმოდგენილი ვარიანტები – მეტად ეფექტური ხერხებია გარღვევასთან ერთად ვაჭრობისა, ამასთანავე უმჯობესი იქნება შემდგომი კორექციის დროს მოქმედება.

წერტილი მესამე. ყიდვა სავაჭრო ზონაში ბოლოსწინა პიკს და პირველ ფიბო – დონეს შორის საბაზრო მოძრაობის დაცემისას. მზარდ ბაზარზე ჩვენ ხშირად ვაკვირდებით ფასების მოძრაობას ზემოთ, რომელიც ზიგზაგურად ვითარდება. როგორც წესი, ტრენდის პირველ მესამედში, როდესაც ის უკვე გამოსახულია და ხარები გადავიდნენ თანმიმდევრულ შეტევაზე. დათვებს ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ძალა, ამიტომაც ისინი ხშირად ახერხებენ ყოველი ფასის აზვირთების შემდეგ დასწიონ ფასები იმდენად, რომ ისინი ხშირად იწევენ ბოლოს წინა პიკის დონეზე. ხანდახან ვარდნა აქ წყდება, რის შემდეგაც მიმდინარეობს ახალი მოძრაობა ზევით, რაც ფასებს აიტყორცნის ზემოთ. მაგრამ ბაზარი არ არის ის ადგილი, სადაც ყველა მონიშნა თავის ადგილზე დგას, ამიტომ ბოლო მწვერვალის დონეზე ფასებმა შესაძლოა ვერ იპოვონ მხარდაჭერა და დაიწიოს კიდევ უფრო ქვემოთ. თუ ტრენდი ძლიერია, მაშინ დაკლების სიღრმე იშვიათად აღემატება ბოლო, სრულიად დასრულებული ქვემოთკენ საბაზრო მოძრაობის 23%–იან, უფრო იშვიათად 38%–იან დონეს.

სწორედ ეს ზონა, რომელიც შეზღუდულია ბოლოსწინა მწვერვალით და ბოლო დასრულებული ქვემოთ მოძრაობის 38%–იანი დონით, არის ყველაზე ხელსაყრელი ადგილი ყიდვის შესასრულებლად. ნახაზი №7.2 გვიჩვენებს ყიდვის წერტილის ძიებას (ამის შემდეგ ორ თვეში აქცია ორჯერ გაიზარდა),



წერტილი მეოთხე. გაყიდვა წინააღმდეგობის ზონაში ბოლოსწინა საფუძველს და დასრულებული საბაზრო ზემოთ მოძრაობის პირველ ფიბო დონეებს შორის.

როგორც პირველი და მეორე წერტილების შემთხვევაში, წერტილი მეოთხე წერტილი მესამის ანალოგიურია, რომლის დანიშნულებაა მოგვმართოს ჩვენ ვაჭრობაში მოკლე მხარეზე ფასების ზემოთკენ კორექტირებული დაბრუნების დროს.


ვარდნისათვის გამზადებულ ბაზარზე გარღვევები ხშირად განისაზღვრება დონეების გადალახვის მომენტში, რომლებიც მიღწეულია გასული ფასების მინიმუმებში. საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით ქვემოთკენ ჩამოყალიბებადი ტრენდის ადრეულ სტადიებზე, ბაზრის აღდგენა ფასებს მაღლა სწევს მხარდაჭერის გარღვევის დონემდე ზემოთკენ შესაძლო ჩხვლეტებით აქ ზუსტად ის ადგილია, სადაც უნდა გაყიდოთ.

წინააღმდეგობის ზონის უკეთესად განსაზღვრაში დაგეხმარებათ ფიბო–დონეები, რომელთაგან ყველაზე უკეთესად

მუშაობენ 38%–იანები, ხანდახან კარგი დახმარებაა დონე 23,6%, რომელიც მოწმობს ბაზრის თვალნათლივ სისუსტეზე და მის მზადყოფნაზე წაიდეს ქვემოთ. ნახაზი №7.3. გვიჩვენებს, როგორ გამოვიყენოთ ზემოთ ახსნილი წესები:

- დონე A განსაზღვრულია წერტილი პირველის ფასობრივ საფუძველზე;
- დონე B – 23,6%-იანი ზღვარით;
- დონე C – 38%-იანი ზღვარით.


ნახაზი №7.3.



წერტილი მეხუთე. ყიდვა კონტრ–ტრენდიდან, რომელიც არის დაღმავალი ტრენდი. ხდება პრაქტიკული, თუ ფასები მას გაიელიან ქვემოდან ზეით და აფიქსირებენ დახურვას შერჩეული დროის მასშტაბებში ტრეიდული ხაზის ზემოთ. მოვლენათა განვითარების სცენარი ასეთი ვარიანტისათვის შემდეგია: ჯერ ფასები გაიელიან ტრენდის ხაზში და განლაგდებიან ზემოთ, კორექციის მიმდინარეობის დროს ეშვებიან მასთან ზემოდან ტრენდის ხაზზე, რომელიც ადრე

თამაშობდა წინააღმდეგობის როლს. იქმნება მხარდაჭერა. სწორედ მასზეა განლაგებული ყიდვისათვის ერთ–ერთი ყველაზე ხელსაყრელი წერტილი (ნახაზი № 7.4).

ნახაზი №7.4.




დამატებითი დადასტურების მიღება ყოველთვის შესაძლებელია სიღრმის კორექციის განსაზღვრის მეთოდიკით ფიბო–დონეების დახმარებით. იგივე მეთოდიკა გვაძლევს საშუალებას გაცხრილოს მაცდუნებელი მოძრაობები, რომლებიც ქმნიან ტრენდის შეცვლილ ილუზიას და გავიგოთ, ღირს ტრენდის ხაზზე ყიდვა თუ სჯობს დაველოდოთ გარკვევას.

წერტილი მეექვსე. გაყიდვა კონტრტრენდიდან. კონტრტრენდიდან გაყიდვა, რომელიც ადრე მუშაობდა როგორც აღმავალი ტრენდი და ასრულებდა მხარდაჭერის როლს, მაგრამ ფასებით მისი გარღვევის შემდეგ გადაიქცა წინააღმდეგობად საკმაოდ ლოგიკური სვლაა. ეს მეთოდი ძალიან

ეფექტურია და მიეკუთვნება ბაზრის მოკლე მხარეზე ხელსაყრელი პოზიციის დაკავების განსაკუთრებით ქმედით ხერხებს (ნახაზი №7.5).

ნახაზი №7.5.



გარღვევის ჭეშმარიტების დადასურებაში ისევე და ისევე შეიძლება დაგვეხმაროს ფიბონაჩის დონეები, თუ აღმავალი ტრენდი გადაიქცა წინაღობად და მასთან ახლოს განლაგებულია კორექციის დონეები, მაშინ წარმატებული გაყიდვის შანსები მკვეთრად იზრდება. თუ კი ჩვენ შევცდით, არის საშუალება უდანაკარგოდ დავტოვოთ ირგვლიც რამოდენიმე ხნით ბრუნვისაკენ, სანამ გადაწყვეტს, საით განაგრძოს შემდგომი მოძრაობა.

7.3. ვაჭრობა გვერდითი მოძრაობის დროს

ვაჭრობა ბაზრის გვერდითი მოძრაობის დროს ბევრის წარმოდგენაში საკმაოდ სახიფათო და უმადური საქმეა. გარღვევის სტრატეგიის გამოყენების მცდელობები ცუდად

მუშაობენ და ხშირად ვითარდება ასეთი სიუჟეტი: სტოპ–ორდერების შეესების შემდეგ ფასები გარკვეული დროით მოძრაობენ საჭირო მიმართულებით, შემდეგ ბრუნდებიან და საბოლოოდ მოაქვთ ინვესტორისათვის ზარალი. სავაჭრო დიაპაზონის ქვედა საზღვრიდან ყიდვა და მის ზედამხარე'ში გაყიდვა ყველას არ შეუძლია – ძალიან დიდია ფსიქოლოგიური დაძაბულობა, რადგანაც მეტწილად იძულებულნი არიან იეაჭრონ მიმდინარე ტრენდის საპირისპიროდ. მაგრამ არსებობს ერთი სტრატეგია, რომელიც ზედმიწევნით ქმედითად მუშაობს აქციებზე, ფიუჩერსებზე ან ვალუტებზე, რომლებმაც მონიშნეს თავიანთი სავაჭრო დერეფანი და დაიწყეს მასში მოძრაობა.

მეთოდიკა აგებულია უბრალო ფაქტზე, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ სავაჭრო დიაპაზონში საზღვრის ზემოთ ნებისმიერი მომატების დროს, რომელიც მას შუაზე ყოფს, ბაზარი ძლიერდება და იხრება ზრდისაკენ, ამასთან ერთდროულად, ნებისმიერი დაწევა აღნიშნული ხაზის ქვემოთ იწვევს ბაზრის დასუსტებას, რომელიც იძენს დათვურ თვისებებს. ამრიგად, ჩნდება საშუალება გამოიყენონ ეს სასაზღვრო ზონაში ხარების და დათვების მოკლე და საშუალოვადიანი ვაჭრობის ბაზრებს შორის.


წერტილი მეშვიდე. ვაჭრობა დიაპაზონის შუაგულიდან. სასაზღვრო ზონის გამოყენების წესები ასეთია:

• ყიდვა, თუ ბაზარი აიწევა უკანასკნელი დასრულებული საბაზრო მოძრაობის შუაზე მაღლა (50%–იანი კორექცია).

• გაყიდვა, თუ ბაზარი დაიწევა უკანასკნელი დასრულებული საბაზრო მოძრაობის შუაზე დაბლა (50%–იანი კორექცია). ეს ტექნიკა სუსტად გამოიყენება რამოდენიმე დღეზე მეტი დროის ფარგლებში, უფრო მეტად, ის გამოდგება შიდადღიური ვაჭრობისათვის და 2-3 დღეზე პოზიციის შეჩერების შემთხვევებისათვის. მაგრამ ნებისმიერ ვარიანტში უნდა ჩატარდეს დღიური და თუნდაც კვირეული გრაფიკებით.

ერთის 50%–იანი საზღვრის გამოელენა, კიდევ უკეთესი–ორი თანმიმდევრულად გამოსახული ბოლო დასრულებული საბაზრო მოძრაობის გამოელენა ჩვეულებრივ პრონლემას არ შეადგენს, მაგრამ რჩება კითხვა: „რისი გამოყენება შეიძლება დასტურის მისაღებად?" სამწუხაროდ, მარტივი პასუხი არ არსებობს – ჩვეულებრივ ამ სასაზღვრო ზონის სიახლოვეს ცოტა რამ მიუთითებს მომავალი მოვლენების ერთმნიშვნელოვნობაზე, ბაზარი კი მთლიანობაში გამოიყურება მზად ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობისათვის. ამიტომაც, დახმარება იმის გაგებაში, თუ როგორი მოქმედება, შეიძლება გაგვიწიოს მხოლოდ ბაზრის მოქმედების გადახედვამ მის მიერ საზღვრის გავლის მომენტში, რომელიც გაყოფს ხარების და დათვების განწყობას, გამომდინარე მისი ხასიათის ცვლილებიდან გამომდინარე. საბედნიეროდ, ონლაინ–ვაჭრობის შესაძლებლობები გვაძლევს საშუალებას გაკეთდეს ეს ყველაფერი, ისე რომ არ იყოს საჭირო გრაფიკაზე ფასების გამოყვანა.

ვაჭრობაში შესვლას აღნიშნული მეთოდიკით გააჩნია გასვლის ლოგიკური წერტილი, რომელსაც გვკარნახობს გამოვლენილი სავაჭრო დიაპაზონი, სადაც აზრი აქვს პოზიციის დახურვას. სხვა ვარიანტები გულისხმობს გასვლას ფიბონაჩის ნებისმიერ დონის სიახლოვეს – სარგებლის და შესაძლო ზარალი სახეობებთან დამოკიდებულებაში. მსგავსი ვაჭრობის მაგალითი ნაჩვენებია №7.6 ნახაზზე.



პოზიციების გახსნის წესები:

1) გახსენით პოზიცია მხოლოდ ერთი ძირითადი და არანაკლებ ერთი დამადასტურებელი სიგნალის არსებობის შემთხვევაში.

2) გასხნის დროს აუცილებლად წინასწარ ჩამოაყალიბეთ და ჩაიწერეთ ქაღალდზე:

- ფასი, რომლის დროსაც მზად ხართ დაიხუროთ სარგებლის მისაღებად;

- ფასი, რომლითაც თქვენ დაიხურებით ზარალის მიღების შემხთვევაში;

საანგარიშსწორებო დრო, რომლის დროსაც თქვენ მზად ხართ მხარი დაუჭიროთ ღია პოზიციას.

3) ფრთხილად და მოკლე დროში გაიხსენით ტრეიდის წინააღმდეგ.

4) ფრთხლიად და მოკლე დროში გაიხსენით განსაზღვრული ტრენდის არქონის დროს (გეერდითი ტრენდის დროს).

თავი 8.
ბაზრიდან გამოსვლის მეთოდები

8.1. ბაზრიდან გამოსვლის მნიშვნელობა

ნებისმიერი ტრენდის შედეგი დამოკიდებულია გამოსვლაზე, ანუ ვაჭრობის დასრულებაზე. თუ შესვლა კარგია, გამოსვლა კი ცუდი, მაშინ ტრეიდი ზარალს მოიტანს. ამასთანავე, თუნდაც უიღბლო შესვლის დროს, მაგრამ კარგად დაყენებულ სტოპზე შეიძლება სარგებლის მიღება, სწორედ გამოსვლები, და არა შესვლები, განსაზღვრავენ ვაჭრობის შედეგიანობას. ამ დასკვნის დამტკიცება ადვილად შეიძლება. აიღეთ **გამოსვლების ნებისმიერი სტრატეგია** და სცადეთ ექსპერიმენტირება გამოსვლებთან. თქვენ სწრაფად აღმოაჩენთ, რომ შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს გამოსვლის პარამეტრების თუნდაც სულ მცირე ცვლილებების დროს. სინამდვილეში, ხშირად ძლიერ არის დამოკიდებული გასვლელებზე: ცუდი გამოსვლის გამო კარგი შესასვლელი შეიძლება მოგვეველინოს უხეიროდ და პირიქით, კარგმა გასასვლელმა შეიძლება უხეირო შესვლა წარმოგვიდგინოს როგორც იღბლიანი.

შესვლის მეთოდიკის ქმედითობის ტესტირების დროს კარგია თავიდან ტრეიდინგიდან გამოსვლა უბრალოდ მოხდეს ბარების განსაზღვრული რაოდენობით. თუ კი თქვენ გააკეთებთ რაღაც უფრო რთულს, მაშინ ძალიან მალე აღმოაჩენთ, რომ სინამდვილეში თქვენ უკეთებთ ტესტირებას არა შესვლებს, არამედ თქვენს გასასვლელებს. თუ კი თქვენ შეცვლით გასასვლელების პირობებს შესვლის სტრატეგიის გამომუშავების მცდელობისას, მაშინ შედეგების ცვლილება ისეთი ძლიერი იქნება, რომ შეუძლებელი იქნება რაიმე სარწმუნო დასკვნების გაკეთება შესვლის სტრატეგიის ქმედითუნარიანობაზე. სწორ გასასვლელთან შეწყვილებაში თითქმის ნებისმიერი შესვლის სტრატეგია გამოიყურება

დიდებულად. ცუდ გასასვლელთან შერწყმაში შესვლის იგივე სტრატეგიას საშინელი გამოხატულება ექნება.

შესვლის მიზანი არის ტრენდის სწორი მიმართულებით წარმართვა. შესვლის ეფექტურობის ტესტირებისათვის შეიძლება უბრალოდ გაიზომოს, ტრეიდი შემთხვევების რამდენ პროცენტში იყო ინიცირებული სწორი მიმართულებით. მაგალითად, „ა" შესასვლელი, რომელსაც გააჩნია 60% შემოსავლიანი ტრეიდი ხუთი დღის შემდეგ უკეთესია, ვიდრე „ბ" შესასვლელი, რომელსაც აქვს მხოლოდ 45% შემოსავლიანი ტრეიდი ხუთი დღის შემდეგ. არ არის საჭირო დასკვნების გაკეთება რისკზე ან სარგებლიანობაზე საუკეთესო შესვლის შერჩევისას. რა იქნება, თუკი „ა" შესასვლელს ზარალი მოაქვს „ბ" შესასვლელს კი - სარგებელი? დარჩება თუ არა „ა" შესასვლელი საუკეთესო? პასუხი - „დიახ", რადგან შესასვლელის მიზანია არა სარგებლის მიღება, არამედ ტრეიდის ინიციაცია სწორი მიმართულებით. ამის შემდეგ დანარჩენი დამოკიდებულია გასასვლელზე. „ბ" შესასვლელს უბრალოდ გაუმართლა მეტი ფულის გაკეთებით გასასვლელი კონკრეტული ვადის გამო, რომელიც ჩვენ ამოვირჩიეთ. ჩვენ ადვილად შეგვიძლია შევცვალოთ გასასვლელი და აღმოვაჩინოთ, რომ „ა" გასასვლელი დაიწყებს მეტი სარგებლის მოტანას, ვიდრე „ბ", რადგან ის უფრო ხშირად ახდენს ტრეიდის ინიცირებას სწორი მიმართულებით. სარგებლის მაქსიმიზაციისათვის აუცილებელია სწორი შესვლის სწორ გასასვლელთან კომბინირება.

8.2. გასასვლელი MONEYMANAGMENT-ის საფუძველზე

ალბათ, ყველაზე მარტივი და ამასთანავე უფრო მნიშვნელოვანი არის გამოსვლა **MoneyManagment**-ის საფუძველზე კლასიკური „სტოპ-ლოსი". ეს გამოსვლაა, რომელიც იცავს სავაჭრო კაპიტალს და თავიდან აგაცილებთ გაკოტრე-

ბას. სტოპ-ლოსის გარეშე ვაჭრობა არის გაკოტრების შემავალი გზა, საქვეყნოდ ცნობილმა მწერალმა და ტრეიდერმა **ვიქტორ ნიდერჰორფერმა** დაკარგა კლიენტების ათეულობით მილიონი დოლარი, როდესაც თაეისი ფონდის ანგარიში ნულამდე დაიყვანა (და სადღაც ოც მილიონ დოლარამდე ვალიც დარჩა ამის გარდა). ეს გასაკვირიც არ არის, ასეთი დასასრულის გარდაუვალობა წინასწარ იყო გადაწყვეტილი წლების წინ, როდესაც ნიდერჰოფერი წერდა: „მე არასოდეს ვიყენებ სტოპებს, სხვადასხვა გასასვლელების კომბინაცია უზრუნველყოფს ჩემს უპირატესობას". (ვიქტორ ნიდერჰოფერი „სპეკულანტის განათლება").

ნიდერჰოფერის გაკოტრება არ გაჰკვირვებია პროფესიონალებს. განიხილებოდა მხოლოდ, რამდენი ხანი გაგრძელდებოდა გზა გაკოტრებამდე. მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან უფრო დიდნხანს გაძლო, ვიდრე, ძირითადად, ნავარაუდევი იყო. ნიდერჰოფერის პარანოია სტოპ-ლოსებთან მიმართებაში იშვიათობას არ წარმოადგენს დამწყები მოყვარულებისათვის, მაგრამ ძალიან იშვიათად გეხვდება ჩამოყალიბებულ პროფესიონალებში. მთავარი პრიორიტეტი ვაჭრობაში არის სავაჭრო კაპიტალის დაცვა გაკოტრებისაგან - ყველაფერი დანარჩენი ამასთან მიმართებაში მეორე ხარისხოვანია.

ყურადღებით აღნიშნეთ, როგორ პოსტულირებას უკეთებდით ამ მიზანს. ჩვენ არ გვითქვამს, თუ დასაბუთებული დანაკარგები არის სავაჭრო პროცესის შემადგენელი ნაწილი. კარგი ტრეიდერები ღებულობენ ზარალს როგორც ბიზნესში მონაწილეობის საფასურს. სინამდვილეში მე ვამჩნევდი, რომ კარგ ტრეიდერებს, შესაძლოა, უფრო მეტი ზარალიანი გარიგება გააჩნია, ვიდრე ცუდებს. კრიტიკულ ფაქტორად მისაღებია დასაშვები ზარალის ზომა. კატასტროფული ზარალი, ნებისმიერი საფასურით, უნდა იყოს აცილებული თაეიდან და ასეთი ზარალის თაეიდან აცილება ძალიან მარტივად ხდება, უბრალო სტოპ-ლოსის განუხრელი გამოყენებით.

ნიდერჰოფერმა შეცდომით გადაწყვიტა, რომ ის იმდენად კარგი ტრეიდერია, რომ შეუძლია მოისროლოს ვაჭრობის ძირითადი წესი და არ გამოიყენოს სტოპ-ლოსი. ჭეშმარიტება კი მდგომარეობს იმაში, რომ კარგ ტრეიდერს სინამდვილეში უფრო ხშირად ესაჭიროება სტოპ-ლოსი, ვიდრე ცუდს. ცუდი ტრეიერი სწრაფად კოტრდება იმისდა მიუხედაავად, იყენებს ის სტოპ-ლოსს, თუ არა, მაშინ როდესაც კარგი ტრეიდერი გადარჩება და აყვავდება, რაც უფრო დიდხანს და უკეთესად მიმდინაროებს თქვენი ტრეიდი, მით მეტია შანსი მოვლენების პოტენციურად კატასტროფული შემობრუნების განვითარების.

სტოპ-ლოსს მიჰყავს ტრეიდერი დანაკარგების წინასწარ განსაზღვრულ წერტილამდე, ამ დროს ტრეიდერი მზადაა მიიღოს არსებული ვითარება და გამოვიდეს ზარალიანი გარიდებიდან ზედმეტი გულისტიკენის გარეშე. სტოპ-ლოსის გამომყენებელმა ტრეიდერმა, თავისი სასტარტო დანადგარებიდან იცის, რომ ტრეიდს შეიძლება დაუთმოს მხოლოდ შეზღუდული სივრცე მისი საწინააღმდეგო პოზიციაზე სამოძრაოდ და ამის შემდეგ ზღუდავს საკუთარ ზარალს ტრეიდერიდან გამოსვლით თავისი გეგმის შესაბამისად. ეს უზრუნველყოფს მას დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობით. ზარალის მომტანი ტრეიდიდან გამოსასვლელი, წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული წერტილის არსებობა, მეტწილად თავიდან აცილებს სტრესს, რომელიც დაკავშირებულია წამგებიან სტრესში ყოფნასთან. ტრეიდერი, რომელმაც განათავსა სტოპ-ლოსი, ზუსტად იცის, როდის იქნება იძულებული გამოვიდეს და ამით თავიდან იცილებს უსიამოვნო ემოციებს, რომელიც უკავშირდება დღითიდღე მზარდი ზარალის დაკვირვებას.

სტოპ-ლოსის ეს ფსიქოლოგიური უპირატესობა ტრეიდერს ეხმარება ტრეიდინგში შესასვლელად. დავუშვათ, სისტემა გვთავაზობს შევიდეთ გარკვეულ ბაზარზე ხვალ და ჩვენ გაგვაჩნია დანაკრგების უცნობი და შეუზღუდავი შესაძლებლობა. მაგრამ, თუ კი ჩვენ გაგვაჩნია წინასწარ

განსაზღვრული სტოპ-ლოსი და ზუსტად ვიცით, რომ შეგვიძლია გვემსახუროს ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურად მეტად იოლია სისტემის სიგნალის მიღება მოქმედებისაკენ და გარიგებაში შესასვლელად. ჩვენ წინასწარ ვიცით და მომზადებული ვართ უარესი სცენარისათვის და განვსაზღვრავთ, რისკის როგორი რაოდენობა არის ჩვენთვის მისაღები. ეს ცოდნა გვაძლევს თავდაჯერებულობას ტრეიდში შესვლის დროს და ფსიქოლოგიურად გვამზადებს ზარალის აღსაქმელად, თუ კი ეს მოხდება.

რა თქმა უნდა, სტოპ-ლოსი ყოველთვის ზუსტად ვერ განსაზღვრავს ზარალის ზომას მოვლენათა ყველაზე უარესი განვითარების დროს, რადგანაც ბაზარი ხანდახან იხსნება გარღვევით პოზიციის წიანააღმდეგ და იწვევს იმაზე მეტ ზარალს, ვიდრე იყო დაგეგმილი. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში სტოპ-ლოსი დასაბუთებულად განსაზღვრავს ზარალის მაქსიმალურ რაოდენობას.

ყველაზე მარტივი სტოპ-ლოსია სტოპი, რომელიც განისაზღვრება ფასის ფიქსირებული ცელით გარიგებაში შესვლის მომენტთან შედარებით. სტოპის ამ ვარიანტის გამოყენება იოლად შესაძლებელია და ის ჩადებულია სავაჭრო პროგრამებში. ამავდროულად შესაძლებელია სისტემებში როგორც სწორი, ისევე არასწორი გამოყენება.

არამართებული გამოყენება მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ თავიდან განჭვრიტით საზღვრავთ, კაპიტალის რა რაოდენობა შეიძლება დაგეკარგოთ ერთ გარიგებაზე და შემდეგ განათავსებთ სტოპ-ლოსს მიღებული რიცხვის შესაბამისად. სამწუხაროდ, ბაზარი არ აფარდებს თქვენი პოზიციის წინააღმდეგ თავისი მოძრაობების ზომას იმასთან, თუ რამდენი ფულის დასაკარგად ხართ მზად.

სტოპ-ლოსის სწორი განთავსების ხერხი მდგომარეობს ბაზრის დახასიათებებისა და სისტემის ტესტირების სტატისტიკის გამოყენებაში მისი განთავსების განსაზღვრისათვის. მაგალითად, ფიქსირებული სტოპ-ლოსი არ უნდა

იყოს განლაგებული ბაზართან ძალიან ახლოს, რადგანაც შემთხვევითმა საბაზრო რხევებმა შეიძლება გამოიწვიოს ტრეიდიდან ვადამდელი გამოსვლა. ამადროულად სტოპი არ უნდა განლაგდეს ძალიან შორს ბაზრიდან, რადგანაც ამ შემთხვევაში ზარალის რაოდენობა შეიძლება იმაზე მეტი იყოს, ვიდრე საჭიროა. ზოგიერთი ტრეიდერის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფიქსირებული სტოპ-ლოსი უნდა განლაგდეს ბაზრის ვოლატილობის შესწავლის საფუძველზე. მაგალითად, თუ ბაზრის საშუალო დღიური სავაჭრო დიაპაზონი შეადგენს 1000$, მაშინ ფიქსირებული სტოპ-ლოსის განლაგება რეკომენდირებულია როგორც მინიმუმ 1000$-ზე და არა უფრო შორს. სტოპის ამ ზომამ უნდა შეაკავოს ღია პოზიცია ფასების მოულოდნელი რყევებისაგან, და ამასთანავე შეასრულოს კაპიტალის შენახვის თავისი ფუნქცია. კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი, რომ სისტემის შესაბამისი ტესტირება და ასეთი ტესტირების შედეგების ანალიზი წინ უნდა უძღოდეს ფიქსირებული სტოპ-ლოსის განლაგებას სისტემის მაქსიმალურად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ძალიან მნიშვნელოვანია ბაზრის ვოლატილობის მნიშვნელობის გაგება, სადაც თქვენ ვაჭრობთ, რატა ბრმად არ გამოიყენოთ ფიქისრებული სტოპ-ლოსი. თუ ბაზარს გააჩნია ვოლატილობის ცვალებადი ხასიათი, მაშინ ასეთ შემთხვევაში უფრო მართებული იქნება შემუშავდეს ადაპტური სტოპ-ლოსი, რომელიც დამოკიდებულია ბაზრის მიმდინარე ვოლატილობაზე.

8.3. ადაპტური სტოპ-ლოსები

იმისათვის, რომ შეუშავდეს მიმდინარე საბაზრო ვოლატილობის პირობებისათვის ადაპტური სტოპ-ლოსი, აუცილებელია გაეშორდეთ ფიქსირებულ სტოპ-ლოსს და შევისწავლოთ დამცავი სტოპის განლაგების სხვა გზები საბაზრო

ვოლატილობის დახასიათებებთან დამოკიდებულებაში.

ერთ-ერთი მიდგომა მდგომარეობს ფასთა მოძრაობის შესწავლაში სტოპ-ლოსის განლაგების ადგილის დასადგენად. მაგალითად, ფასის უმცირესი და უდიდესი მნიშვნელობა ბოლო დღეების განმავლობაში შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც სტოპ-ლოსი. ამ ვარიანტს ჩვენ ვეძახით „არხის სტოპ-ლოსს" **(Channel Stop)**. არხის სტოპ-ლოსი ძალიან ადაპტურია მიმდინარე საბაზრო პირობებთან, რადგანაც ის იცვლება ტრენდისა და ვოლატილობის ცვლილებებთან ერთად. არხის სტოპ-ლოსი მდებარეობს ფასებიდან შორს მაღალი ვოლატილობის და ძლიერი ტრენდის ძალის დაწესების პერიოდში. ამ სტოპს საფუძვლად უდევს თვალნათელი ლოგიკა - **"ჩვენ ვიცით, რომ მნიშვნელოვანი მაქსიმუმების და მინიმუმების გარღვევა არის ტრენდის შმობრუნების ნიშანი"**. ამიტომაც სტოპ-ლოსი, რომელიც განალაგებულია მაქსიმუმების ან მინიმუმების დონეზე დასაბუთებულია ტექნიკური ანალიზის თვალსაზრისით.

ამასთანავე ამ სტოპს გააჩნია თავისი **ნაკლოვანები**. ძლიერი ტრენდის პერიოდში ის შეიძლება იყოს განლაგებული ძალზე შორს გასასვლელის გონიერი წერტილიდან. მეორე მხრივ, საკონსოლიდაციო ბაზარზე დაბალი ვოლატილობის პერიოდში ასეთი სტოპი, შესაძლოა პირიქით, ძალზედ ვიწრო (შეზღუდული) გამოდგეს. გარდა ამისა, დანაკარგთა შესაძლო სიდიდე მთელი ამ დროის განმავლობაში იცვლება და დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შორს წავიდა ფასები შესვლის წერტილიდან, რაც აძნელებს გარიგებაზე რისკის სიდიდის გათვლას.

მეორე ადაპტიური სტრატეგიაა მხარდაჭერისა და წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი დონეების გამოყენება სტოპ-ლოსის პოზიციის გასარკვევად. შესაძლებელია მნიშვნელოვანი საბაზრო პატერნების გამოყენება, მაგალითად, მინიმუმების და მაქსიმუმების საყრდენი წერტილების სტოპ-ლოსის განლაგების განსაზღვრის მიზნით. ფასების და

ტექნიკური წერტილების გამოყენების უპირატესობა სტოპ-ლოსის პოზიციის განსაზღვრისათვის მდგომარეობს იმაში, რომ სტოპი განლაგდება ლოგიკის შესაბამისად ადგილზე, საიდანაც შემდგომი მოძრაობა ღია პოზიციის წინააღმდეგ იქნება ამ პოზიციის დახურვის ლოგიკური გამართლება.

სტოპ-ლოსის შემუშავების მეორე ხერხს წარმოადგენს მიმდინარე საბაზრო ვოლატილობის შესწავლა. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ საშუალო სავაჭრო დიაპაზონი (**Average True Range**) განსაზღვრული დროის პერიოდში ან ფასების სტანდარტული გადახრა (**Standart Deviation**) რაღაც დროის პერიოდში და გავამრავლოთ ეს სიდიდე რაღაც კონსტანტაზე იმის დასადგენად, თუ რამდენად შორს შეიძლება იყოს განლაგებული ჩვენი შესასვლელიდან. ფასების შემთხვევითი მოძრაობის თავიდან ასაცილებლად რეკომენდირებულია სტოპ-ლოსის განლაგება იმ დაცილებაზე მეტად, ვიდრე **Average True Range**-ის ერთი სიდიდე შესასვლელის წერტილიდან. **Average True Range**-ზე დაფუძნებული სტოპ-ლოსის გამოყენების უპირატესობა ის არის, რომ ის მაღალადაპტურია მიმდინარე საბაზრო პირობების მიმართ. მანძილი შესასვლელის წერტილიდან გასასვლელის წერტილამდე გაიზრდება მაღალი საბაზრო ვოლატილობის პერიოდში და შეიმცირდება დაბალი საბაზრო ვოლატილობის პერიოდში. რეალურად პრაქტიკაში შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ პრობლემები ამ სტოპთან წარმოიშობა მაშინ, როდესაც მოკლევადიანი საბაზრო ვოლატილობა ხდება უჩვეულოდ პატარა და ვიწრო სტოპები შეიძლება ამოაგდოს შემთხვევითმა მოძრაობამ. სტოპების ამ ცრუ ამუშავების მოსაცილებლად ჩვენ გამოვითვლით როგორც მოკლევადიან საბაზრო ვოლატილობას (3-4 დღე), ასევე გრძელვადიანს (15-20 დღე) და განვალაგებთ სტოპებს ვოლატილობის იმ მნიშვნელობის გამოყენებით, რომელიც არსებულ მომენტში მეტი აღმოჩნდა. ეს აძლევს საშუალებას სტოპებს იმოძრაონ საკმარისად სწრაფად და ირიდებს სტოპების ცრუ ამუშავე-

ბას რამოდენიმე არაჩვეულებრივად მშვიდი დღის შემდეგ.

ადაპტური სტოპ-ლოსის სხვა ვარიანტი დაკავშირებულია გასული ფასების სტანდარტული გადახრის გამოყენებასთან, როგორც ვოლატილობასთან დაკავშირებულ სიდიდე. მაგალითად, შეიძლება სტანდარტული გადახრის გამოთვლა განსაზღვრულ პერიოდში, მიღებული სიდიდის გამრავლება რაღაც კონსტანტაზე და სტოპის განლაგება შესასვლელის წერტილიდან მიღებულ სიდიდეზე. ამ სტოპის დასაბუთება ისეთივეა, როგორც **ART** სტოპ-ლოსის. მიზანი იმაშია, რომ იგნორირებული იქნეს ფასების შემთხვევითი რხევები, მაგრამ შეამციროს დანაკარგები იმ შემთხვევაში, როდესაც ფასები დაიწყებენ ნამდვილად სერიოზულ მოძრაობას ღია პოზიციის წინააღმდეგ.

ვოლატილობაზე დაფუძნებული ადაპტური სტოპ-ლოსები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს კაპიტალის მართვაში. დანაკარგების საკარაუდო სიდიდე შეიძლება იყოს სწრაფად დათვლილი პოზიციის გახსნის მომენტამდე და ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ ზარალის პოტენციური რაოდენობა შეესაბამება მიმდინარე საბაზრო პირობებს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი სისტემა გვთავაზობს განვათავსოთ სტოპ-ლოსი 20 დღიანი **ART**-ის ერთნახევარი სიდიდის მანძილზე შესასვლელის წერტილიდან. თუ კი ჩვენ ავიღებთ ამოსავალი მონაცემების სახით 90-იანი წლების დასაწყისს **S&Psoot**, მაშინ **ART** იმ დროს უდრიდა $1.250, მაშასადამე სტოპ-ლოსი უნდა განვალაგოთ $1.875 მანძილზე შესასვლელის წერტილიდან. ახლა ვიგარაუდოთ, რომ კაპიტალის რაოდენობა შეადგენს $100.000 და ჩვენ ერთხელ გვინდა გავრისკოთ ამ კაპიტალის 10%. 1990-იანი წლების ვოლატილობაზე დაყრდნობით ჩვენ ვიეაჭრებთ 5 კონტრაქტით, ამრიგად გავრისკავთ ჩვენი კაპიტალის $9.375. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვაჭრობთ იგივე სისტემას 1999წელს, როცა ბაზრის **ART** შეადგენს $5.600. ამასთან შესაბამისობაში სტოპ-ლოსი განლაგდება $8.400 მანძილზე

შესასვლის წერტილიდან. თუ კი ჩვენ ისევ ვეაჭრობთ იგივე კაპიტალის ($100.000) 10%-იანი მისაღები რისკით, მაშინ ჩვენ უნდა ვიყიდოთ მხოლოდ ერთი კონტრაქტი. როგორც ხედავთ, ადაპტური სტოპ-ლოსი - რისკის მართვის მშვენიერი ხერხია ცელადი საბაზრო ვოლატიობის პირობებში.

8.4. ბასასვლელის რეგულირება

ხომ არ არის თქვენი სტოპ-ლოსები მეტისმეტად ვიწრო ან მეტისმეტად ფართო? ხშირად ხდება; რომ სტოპ-ლოსები ხდება ან მეტისმეტდ ვიწრო და იწვევენ ხშირ ცრუ ამოქმედებას, ან პირიქით, მეტისმეტად ფართო და იწვევენ ჩვენი კაპიტალის გაუმართლებელ დანაკარგებს, ჩვენი კვლევების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ სისტემების უმრავლესობისათვის უფრო მომგებიანი ჰქონდეს შედარებით ფართო სტოპ-ლოსი.

ერთი შეხედვით გეგონებათ, რომ რაც უფრო ვიწროა სტოპ-ლოსები, მით ნაკლებია ზარალი. მაგრამ, ლოგიკურად გამომყურე ეს დასკვნა არ დასტურდება ტესტირების დროს. თითქოს ყველა შემთხვევაში ფართო სტოპ-ლოსები იძლევიან შემოსავლიანი გარიგებების მეტ პროცენტს და ამცირებენ დანაკარგებს. პატარა სტოპები ფსიქოლოგიურად მიმზიდველად გამოიყურებიან, მაგრამ სინამდვილეში შეუძლიათ დაწიონ სისტემების მწარმოებლურობა, რადგანაც არიან მგრძნობიარე ხშირი ამოქმედებების მიმართ, რომლებსაც იწვევენ ფასების შემთხვევითი მოძრაობები. მეორეს მხრივ, დიდ სტოპებსაც შეუძლიათ იყვნენ ფსიქოლოგიურად მიმზიდველები, რადგანაც ისინი იწყებენ მოქმედებას მნიშვნელოვნად იშვიათად და ფართო სტოპებიანი სისტემები ჩვეულებრივად გენერირებას უკეთებენ მომგებიანი გარიგებების მეტ რაოდენობას. მაგრამ ფართო სტოპების საპირისპირო მხარე მდგომაროებს იმაში, რომ ტრეიდერი პერიოდუ-

ლად იტანჯება შედარებით დიდი დანაკარგებისაგან, თუმცა არა ისე ხშირად, რომ მათი მოცულობა ფსიქოლოგიურად ძალიან აღსაქმელი იქნება. არსებობს თუ არა აღნიშნული პრობლემების კომპრომისული გადაწყვეტილება?

ჩვენ გვჯერა, რომ არის. საინტერესო ფენომენი, რომელსაც ჩვენს კვლევებში ვაკვირდებოდით იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად შესაძლებელია სტოპ-ლოსის ზომის გაფართოება მოკლე პერიოდით პოზიციის გახსნის შემდეგ. ჩვენ ვთვლით: შესაძლებელია ბაზარს მიეცეს პოზიციის გახსნის შემდეგ პირველი რამოდენიმე დღის განმავლობაში მეტი თავისუფლება უფრო ფართო სტოპ-ლოსებით. მაგრამ გარკვეული რაოდენობის დღეების შემდეგ სტოპ-ლოსი შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს. მაგალითად, თუ კი ჩვენ გვაქვს სტოპ-ლოსი $5.000 ოდენობით, S&P500 ბაზარზე შესვლის დროს ამ ლოსის რაოდენობა ჩვენთვის უსიამოვნოა, საკმაებით შესაძლებელია ასეთი სიდიდის სტოპ-ლოსი დარჩეს მხოლოდ პოზიციის გახსნიდან რამდენიმე დღის განმავლობაში. შემდეგ კი შეიძლება მისი შეწყვეტა $2.500-მდე ღია (გახსნილი) პოზიციისათვის დარჩენილ დრომდე. $5.000 ოდენობის სტოპზე გამოსვლის ალბათობა ამრიგად ვიწროვდება, მაგრამ შენარჩუნდება იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანი მოძრაობა თქვენი პოზიციის წინაღმდეგ რამოდენიმე დღის განმავლობაში გაიძულებთ გახვიდეთ მაქსიმალური ზომის სტოპზე. სტოპის ზუსტი სიდიდე და მისი შეცვლის ვადები უნდა განისაზღვროს სისტემის დახასიათებების კომპიუტერული და სტატისტიკური ანალიზის მეშვეობით. ზოგი სავაჭრო სისტემებში, რომლებიც მისდევენ ტრენდს, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს შემოსავლიანობა, თუკი გამოვიყენებთ დიდ სტოპებს ტრეიდის პირველ დღეებში და შემდგომში შეამცირონ ისინი 50 ან მეტი პროცენტით ღია პოზიციის ხანგრძლივობის გაზრდის შემთხვევაში.

სტოპების რამოდენიმე დღეში შეწყვეტის ტექნიკას გააჩ-

ნია ლოგიკური დასაბუთება: ჩვენ ვიცით, რომ შესვლის განჭვრეტის სიგნალების სიზუსტე მცირდება შესვლის წერტილიდან მომაელისაკენ დაშორების მიხედვით. უმეტეს შემთხვევებში შესვლის განმსაზღვრელი ინდიკატორები უკეთესად განჭვრეტენ ფასების მოძრაობას მომდევნო ორ დღეში, ვიდრე შემდგომ ორ კვირაში. როდესაც ტრეიდს ვიწყებთ ფართო-სტოპ-ლოსით, ჩვენ ვაძლევთ ფასებს საკმარის თავისუფლებას სწორი მიმართულებით სამოძრაოდ, სანამ ის შეესაბამება შესვლის სიგნალის მაღალი უტყუარობის პერიოდს. რამდენადაც ტრეიდი მიიწევს მომაელისაკენ, შესვლის სიგნალის უტყუარობა მცირდება, ამიტომაც ჩვენ ვაეიწროვებთ სტოპ-ლოსებს, რაც ასახავს ჩვენი რწმუნების შემცირებას ფასების მოძრაობის გაგრძლებაში ჩვენთვის სწორ მიმართულებაში.

არსებობს ფართო სტოპ-ლოსის პრობლემის გადაჭრის სხვა საშუალებები, მაგალითად, უფრო გვიან ვადებში ტრეიდის **breakevenstop**-ის (სტოპის, რომელიც აქციათა რაოდენობას იცავს) ან **profit protecion stop** (სარგებლის დამცავი სტოპი) გამოყენებას. ამ სტოპების აქტივირების შემდეგ დიდი სტოპ-ლოსების მიღების შესაძლებლობა არსებითად მცირდება ან საერთოდ ჩამოშორდება.

დასკვნა. სტოპ-ლოსების სწორი გაგება და გამოყენება სასიცოცხლოდ აუცილებელია ტრეიდერების გადარჩენისათვის. სტოპ-ლოსები ეფექტურად ზღუდავენ მაქსიმალური დანაკარგების სიდიდეს, რომლის მიღებაც შესაძლებელია ვაჭრობის დროს, რასაც შეაქვს თავისი წილი ვაჭრობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანაში სავაჭრო კაპიტალის დაცვაში. სტოპ-ლოსის გარეშე ვაჭრობა არის თქვენი სავაჭრო ანგარიშის კატასტროფული შემცირების ალბათობის საგრძნობლად მომატების გზა.

სტოპ-ლოსების მნიშვნელობა ამომწურავად არის შეჯამებული ჯეკ შვაგერის წინგში „ახალი ბაზრის ჯადოქრები"

„თუ კი თქვენ არ მიიღებთ პატარ-პაატარა დანაკარგებს, ადრე თუ გვიან, თქვენ ყველა ზარალი ერთად გეწვევათ..."

8.5. მცურავი სტოპები (TRAILING STOPS)

მას შემდეგ, რაც მიეიღეთ აუცილებელი უსაფრთხოების ზომები კატასტროფული ზარალის თავიდან ასაცილებლად სტოპ-ლოსების გამოყენებით, შესაძლებელია კონცენტრირება სტრატეგიებზე, რომლებიც შექმნილია ბაზარზე სარგებლის დაგროვებისა და შენარჩუნებისათვის. სწორი გამოყენებისას ეს სტრატეგიები მოწოდებულია შეასრულონ ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია ისინი საშუალებას იძლევიან დაგროვდეს სარგებელი, ამავდროულად მათ უნდა დაიცვან ტრეიდში შესელის შემდეგ მიღებული სარგებელი.

თუმცა მათი გამოყენების სფერო ძალზედ ფართოა, ჩვენ არ ვთვლით, რომ ტრეიდინგ-სტოპები უნდა გამოიყენებოდეს ყველა სავაჭრო სიტუაციაში. ჩვენს მიერ აღწერილი ტრეიდინგ-სტოპების უმრავლესობა სპეციალურადაა კონსტრუირებული იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სარგებლის დაგროვება. კონტრტრენდულ სისტემებს უფრო შეეფერება აგრესიული გასასელელები. ფილოსოფია „თუ კი გაქვს მოგება - აიღე" უკეთესად მუშაობს ტრენდების წინააღმდეგ ვაჭრობაში, როდესაც შესაძლო სარგებლის სიდიდე შეზღუდულია. მაგრამ სარგებლის სწრაფ მოხსნას ტრენდის მიხედვით ვაჭრობისას ჩვეულებრივ მიეყავართ მხოლოდ დარღვევებამდე - ჩვენ გამოვდივართ ბაზრიდან მცირე მოგებით მხოლოდ იმისათვის, რომ თვალი ვადევნოთ, როგორ აგრძელებს მოძრაობას უსარმაზარი ტრენდი ჩვენი მიმათულებით დღეების და თუნდაც თვეების განმავლობაში ჩვენი ვადამდელი გამოსვლის შემდეგ. ამიტომ გაძლევთ რეკომენდაციას გამოიყენოთ გამოსვლის სხვადასხვა სტრატეგიები საბაზრო პირობებიდან გამომდინარე.

მცურავი სტოპების გაგება მნიშვნელოვანია ტრეიდერებისათვის, რომლებიც ტრენდებით ვაჭრობენ. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ტრენდებით ვაჭრობა ჩვეულებრივად დაკავშირებულია მომგებიანი ტრენდების მცირე პროცენტით,

რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის მაქსიმალურად შესაძლებელი სარგებლის მიღებას იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი იშვიათია, მაგრამ მნიშვნელოვანი ტრეიდი მოხდება. ტრენდებით მოვაჭრე ტიპიური ტრეიდერები იღებენ თავიანთი სარგებლის ძირითად ნაწილს იშვიათი, მაგრამ მნიშვნელოვანი ტრენდებისაგან, მთელ დარჩენილ დროს ისინი ცდილობენ ეფექტურად შეამცირონ ზარალი უფრო ხანგრძლივი გვერდითი მოძრაობების დროს.

ტრეილინგ-სტოპების გამოყენების რაციონალური დასაბუთება დაფუძნებულია იშვიათი და არაჩვეულებრივად ძლიერი ტრენდების მოლოდინზე და შესაძლებლობაზე მიიღონ მნიშვნელოვანი სარგებელი ამ მთავარი ტრენდების დროს. თუ შესვლა დროულია და ბაზარი აგრძელებს მოძრაობას შესასვლელის მიმართულებით, მაშინ ტრეილინგ-სტოპები - ბაზრიდან გასვლის საუცხოო სტრატეგიაა, რომელიც გვაძლევს საშუალებას მივიღოთ სარგებლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ტრენდიდან.

აქ აღწერილი ტრეილინგ-სტოპებს გააჩნიათ მსგავსი დახასიათებები, რომელთა ცოდნა საჭიროა იმის გასაგებად, როგორ ვიყენებთ მათ სავაჭრო სისტემებში. ეფექტურ ტრეილინგ-სტოპებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად აამაღლონ სავაჭრო სისტემების შემოსავლიანობა, რომლებიც დაფუძნებულია ტრენდების მიმდევრობაზე, რაც იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გამოვიყენოთ ტრეიდები პოტენციურად დიდი სარგებლით. შეფარდება **profit/loss** ჩვეულებრივ მნიშვნელოვნად იზრდება ტრეილინგ-სტოპების სწორი გამოყენების დროს. მაგრამ არსებობს ამ სტოპების ზოგიერთი უარყოფითი მხარე. მომგებიანი გარიგებების რაოდენობა შეიძლება ხანდახან შემცირდეს, რადგანაც ეს სტოპები აძლევენ საშუალებას ზომიერად მომგებიან ტრეიდებს გადაიქცნენ წამგებიანად (ზარალიდან). არც ერთ ტრეიდერს არ სიამოვნებს იმის დაკვირვება, როგორ მცირდება დიდი სარგებელი უმნიშვნელომდე, ან მომგებიანი გარიგება ხდება წამგებიანი.

8.6. არხიდან გამოსვლის სტოპი (THE CHANNEL EXIT)

ტრეიდერის გაყოლის უმარტივესი ხერხია სტოპის დაყენება, რომელიც მუდმივად მოძრაობს ტრენდის მიმართულებით და იყენებს მიმდინარე მაქსილამურ ან მინიმალურ ფასებს. მაგალითად, აღმავალი ტრენდის გაყოლის დროს სტოპი შეიძლება განლაგდეს უკანასკნელი რამოდენიმე ბარის მინიმალურ მნიშვნელობაზე; დაღმავალი ტრენდის დროს - ბოლო რამოდენიმე ბარის მაქსიმალურ მნიშვნელობაზე. რაც მეტ ბარს ვიყენებთ, მით მეტ თავისუფლებას ვაძლევთ ტრენდს და ამით შეიძლება დაეკარგოთ სარგებელი უკუგორების დროს, სანამ ამოქმედდება სტოპი. ბარების მცირე რაოდენობის გამოყენება იწვევს სტოპების შევიწროებას და ტრეიდიდან სწრაფ გამოსვლას.

ამ ტიპის სტოპებს ჩვეულებრივ ეძახიან **„Channel Exit"** (არხიდან გასვლის სტოპი). სიტყვა **„Channel"** წარმოშობილია არხიდან, რომელსაც აყალიბებენ **X**-დღიანი მაქსიმუმების და მინიმუმების გამოყენებით მოკლე ან გრძელი პოზიციებიდან გამოსასვლელად.

ჩვენი მაგალითების უმეტესობისათვის ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ვმუშაობთ დღის ბარებთან, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ ნებისმიერი დროის მასშტაბის მონაცემებთან იმ სისტემების ტიპებთან დამოკიდებულებაში, რომლებსაც ჩვენ ვქმნით. არხიდან გამოსაყვანი სტოპი უაღრესად დრეკადია და შეუძლია მუშაობა როგორც კვირის ბარებთან, ასევე ხუთწუთიანებთანაც. ამიტომ დაიჭირეთ გონებაში, რომ ყველა მაგალითი გრძელი პოზიციების მიმართებაში ადვილად შეიძლება იქნეს გამოყენებული მოკლე პოზიციებისთვისაც.

არხიდან გამოსვლის სტოპის დასაბუთება ძალიან მარტივია. დავუშვათ, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვიყენოთ ოცდღიანი არხის გამოსვლა ჩვენი გრძელი პოზიციებიდან.

ყოველ დღე განვსაზღვრავთ მინიმალურ ფასს უკანასკნელ 20 დღეში და განვალაგებთ ჩვენს სტოპს ამ წერტილში. ბევრ ტრეიდერს შეუძლია განალაგოს არხის სტოპი ამ წერტილიდან რამოდენიმე პუნქტით ახლოს ან შორს - მათი არჩევიდან გამომდინარე. იმისდა მიხედვით, როგორ მოძრაობენ ფასები ტრენდის მიმართულებით, ბოლო 20 დღის მინიმალური ფასი თანდათანობით იზრდება, ამრიგად, როდესაც „კუდში მივსდევთ" ტრენდს ან ცოტა უკან მივყვებით - ეს გვაძლევს საშუალებას დავიცვათ დაგროვილი მოგების გარკვეული რაოდენობა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არხის სტოპები ყოველთვის მხოლოდ სტოპის მიმართულებით მოძრაობენ და არასოდეს უკუმიმართულებით. როდესაც ფასები ბოლო ოცი დღის მინიმალურ ფასზე მეტად დაეცემა ტრეიდერი ხურავს თავის პოზიციებს სტოპის გამოყენებით.

არხიდან გამოსვლის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია - რამდენი ბარის გამოყენებაა საჭირო გამოსვლის წერტილის განსაზღვრისათვის. **სტოპი უნდა დავაყენოთ ბოლო 5 დღის თუ 20 დღის მინიმუმის დონეზე, თუ საჭიროა კიდევ რაღაც სხვა რიცხვი?**

პასუხი დამოკიდებულია სისტემის თვისებებზე. სისტემის დახასიათებების ნათლად დადგენილი ნაკრები ყოველთვის ძალიან სასარგებლოა ამ კითხვაზე საპასუხოდ.

გვსურს თუ არა მოვაწყოთ გრძელვადიანი სისტემა გვიანი გამოსვლით ან მოკლევადიანი სწრაფი გამოსვლებით?

არხის დიდი სიგრძე ჩვეულებრივ იძლევა საშუალებას მივიღოთ მეტი სარგებელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელი ტრენდის არსებობის პირობებში. უფრო მოკლე ტრენდი გაძლევთ საშუალებას მიიღოთ მეტი სარგებელი, თუ ბაზარზე ჭარბობენ უფრო მოკლე ტრენდები. ჩვენი გამოკვლევების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ გრძელვადიანი სისიტემებისათვის უმჯობესია ტრეილინგ-სტოპების გამოყენება 20 ან მეტი ბარის რაოდენობით, სა-

შუალოვადიანი სისტემები უკეთესად მუშაობენ 5-დან 20-მდე ბარის რაოდენობით, მოკლევადიანი სისტემები კი ღებულობენ მაქსიმალურ სარგებელს 5 დღიანი დროის ფანჯრის პირობებში, აგრეთვე ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ძალიან მოკლე არხები - 1-დან 3 დღის სიგრძით - კარგად მუშაობენ „გამქცევი" ბაზრის დროს, როდესაც ვითარდება ძალიან მკაცრი ტრენდი. ჩვენ დავაკვირდით, რომ ტრეილინგ-სტოპის ეს ტიპი ძლიერი ტრენდის არსებობის პირობებში ხშირად გვაძლევს საშუალებას დავრჩეთ ტრენდში თითქმის მწვერვალამდე.

წარმოგვიდგენია, რომ სხვადასხვა ზომის არხის სტოპების გასასვლელებს შორის არსებობს ლოგიკური წინააღმდეგობრიობა. უფრო გრძელი არხები მოგვცემს მეტ სარგებელს, მაგრამ დიდი იქნება მოგების ხელიდან გაშვებული ნაწილიც, უფრო მოკლე არხები მოგვცემს ნაკლებ სარგებელს, მაგრამ ხელში იგდებენ მის უმეტეს ნაწილს.

როგორ გადავწყვიტოთ ეს წინააღმდეგობრიობა და მოვძებნოთ გამოსავალი, რომელიც დააგროვებდა მნიშვნელოვან სარგებელს და ამავდრულად შეამცირდება ხელიდან გაშვებული მოგების წილს?

ძალიან ეფექტური მიდგომაა არხის სტოპის თანდათანობით დაიწროება ტრენდის განვითარების მიხედვით. თავიდან უნდა გამოვიყენოთ დროის სარკმლის დიდ სიფართეზე დაფუძნებული არხის გასასვლელი, შემდეგ ტრენდის განვითარებასთან ერთად ან მკაცარი ტრენდის არსებობის დროს, არხის სიფართე უნდა შევაიწროვოდ ძალიან ვიწრო არხის მისაღებად, რომელიც ეფექტურად აფიქსირებს მოგებას.

აი ასეთი მიდგომის გამოყენების მაგალითი. გრძელ პოზიციაში შესვლის და სტოპ-ლოსის განლაგების შემდეგ, რომელიც თავიდან აგვაცილებს საეჭრო კაპიტალის კატასტროფულ შემცირებას, ჩვენ გამოვიყენებთ მცურავ

სტოპს, საფუძვლად დავიდებთ ფასების მინიმალურ სანიშნეს ბოლო ოცი დღის განმავლობაში. ეს ოცდღიანი არხის სტოპი ჩვეულებრივ საკმარისად ფართოა ცრუ ამოქმედებების თავიდან ასაცილებლად და იძლევა საშუალებას დარჩეთ პოზიციაში რაღაც სარგებლის მიღებამდე. რაღაც, სარგებლიანობის წინასწარ განსაზღვრულ დონეზე, რომელიც შეიძლება იყოს დაფუძნებული საშუალო სავაჭრო დიაპაზონზე, რომელიც გამრავლებული იქნება რაღაც კოეფიციენტზე ან ფიქსირებულ მოგებაზე დოლარებში, არხის სიფართე შეიძლება იყოს შემცირებული და სტოპი განლაგდება წერტილში, რომელიც შეესაბამება ფასების მინიმალურ მნიშვნელობებს უკანასკნელ 10 დღეში. თუ კი გაგვიღიმა ბედმა და მივაღწიეთ სარგებლიანობის შემდეგ დონეს, მაგალითად, 5 სავაჭრო დიაპაზონის ზომის მოგებას, ჩვენ ვავიწროვებთ არხს 5 დღემდე და გამოვდივართ, როდესაც ფასი მიაღწევს ბოლო ხუთი დღის ზომის მინიმუმს. შემოსავლიანობის მაქსიმალურ დონეზე რაც ძალიან იშვიათად ხდება, ჩვენ შეგვიძლია განვაგოთ სტოპის წინადღის მინიმუმის დონეზე იმ დიდი სარგებლის შესანარჩუნებლად, რომელიც უკვე მიღებულია, როგორც ვხედავთ ეს სტრატეგიაზე ფასებს აძლევს საკმაოდ თავისუფლებას ტრეიდის დასაწყისში სარგებლის დაგროვებისთვის. შემდეგ, სარგებლის დაგროვების მიხედვით სტოპები ვიწროვდება. რაც მეტია სარგებელი მით უფრო ვიწროა სტოპები. რაც მეტი გვაქვს, მით ნაკლები გვინდა გავცეთ.

არის არხის გაუმჯობესების მეორე გზა დისკუტაბელური: ტრადიციული არხის შევიწროება ან გაფართოება არხის სიფართის გამოყენებით ან კოეფიცინტზე გამრავლებული საშუალო სავაჭრო დიაპაზონი. დავუშვათ, თქვენ მუშაობთ 20 დღიან არხის გასასვლელთან, მაშინ ჯერ უნდა გამოვითვალოთ არხის სიფართე, როგორც სხვაობა 20 დღიან მაქსიმუმს და 20 დღიან მინი-

მუმს შორის. შემდეგ ავიწროებთ არხს, ზრდით მინიმუმს და ამცირებთ მაქსიმუმს, რაღაც წინასწარ განსაზღვრულ სიდიდეზე. მაგალითად, არხის სიფართის 5% და საშუალო სავაჭრო დიაპაზონის 5% და გამოიყენებთ მიღებულ სიდიდეს თქვენი სტოპის განთავსებისათვის. ეს გვაძლევს საშუალობას შევქმნათ უფრო ვიწრო არხი. უკანასკნელი განსახილველი მომენტი განსახილველია არხის სტოპის მნიშვნელოვან ნაკლოვანებასთან. ეს მეთოდიკა ერთობ პოპულარულია, ამიტომაც X-დღეების მაქსიმუმების და მინიმუმების წერტილებში ჩვეულებრივ განთავსდება ორდერების საკმარისი რაოდენობა. ამან შეისაძლოა გამოიწვიოს ამ წერტილებში ბაზრის მნიშვნელოვანი გაცურება ამ მეთოდის გამოყენების მცდელობისას ჩვენს ვაჭრობაში. ზემოთ აღწერილი არხის შეიწროვების მეთოდი მისი სიფართით განსაზღვრულ პროცენტზე ან საშუალო სავაჭრო დიაპაზონზე არის ერთ-ერთი ხერხი თქვენი სტოპის იმ ზონიდან გამოყვანისა, სადაც მათ აანალიზებს ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობა და ამრიგად, მათი უკეთესად შესრულების მიზნით.

8.7. დაკიდებული სტოპები (THE CHANDELLER EXIT)

თუ კი არხის სტოპი (გრძელი პოზიციებისათვის) გამოითველება X-დღეების მინიმალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაშინ ამ თავში განსახილველი მცურავი სტოპების განლაგების სტრატეგია დაფუძნებულია X-დღეების მაქსიმალური მნიშვნელობის აღრიცხვაზე.

დაკიდებულ სტოპი გამოითველება როგორც შესასვლელის მცურავი სტოპი, ანდახურვის ფასის მაქსიმალური ფასის განსაზღვრული მნიშვნელობიდან ან დახურვის ფასის მაქსიმალური მნიშვნელობიდან განსაზღვრული პერიოდისათვის. მანძილი მაქსიმალური წერტილიდან

მცურავ სტოპამდე უმჯობესია გაეიანგარიშოთ **Average True Range**-ის ერთეულებში. მაგრამ შესაძლებელია გათელა ფულად გამოსახულებაში ან კონტრაქტის ღირებულების პუნქტებში.

ქვემოთ მოყვანილია სამი მაგალითი (როგორც წესი, გამოიყენება მაგალითები გრძელი პოზიციებისათვის. მოკლე პოზიციებისათვის საჭიროა ლოგიკის „გადაბრუნება").

1. სტოპი განლაგდება წერტილში, რომელიც უდრის მაქსიმალურ ფასს პოზიციის გახსნის მომენტიდან მინუს სამი **ART (Average True Range, გათანაბრებული საშუალო დიაპაზონი)**.

2. სტოპი განლაგდება წერტილში, რომელიც უდრის მაქსიმალურ ფასს პოზიციის გახსნის მომენტიდან მინუს $1500.00.

3. სტოპი განლაგდება წერტილში, რომელიც უდრის მაქსიმალურ ფასს პოზიციის გახსნის მომენტიდან მინუს სამი 150 პუნქტი.

ამ სტოპის ღირებულება იმაშია, რომ ის მიიწევს ზემოთ იმავე მომენტში, როდესაც მიღწეულია ახალი მაქსიმუმი.

მიზეზი, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვამჯობინებთ გამოვიყენოთ მაქსიმალური ფასიდან სტოპის დაცილების გამოთვლა საშუალო საეჭვრო დიაპაზონის ერთეულებიდან **(Average True Range)**, მდგომარეობს იმაში, რომ **ART** მისაღებია ყველა ბაზრისთვის და სისტემას ანიჭებს ადაპტურ ხასიათს ეოლატილობის შეცვლის აღრიცხვის ხარჯზე. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთი და იგივე ფორმულების ხორბლის, იენის, ყავის ან აქციების სავაჭროდ. თუ კი სავაჭრო ბალანსი ფართოვდება ან ვიწროვდება, ჩვენი სტოპი ავტომატურად შეიცვლება და დაიწყებს მოძრაობას ფასებთან ოდნავ მოშორებით, თანაც დარჩება ზუსტად მიმართული ბაზრის მიმდინარე მდგომარეობაზე. წიგნში **„Trade Yourwayto Financial Freedow"** დოქტორმა **კ. თარპმა** გვაჩვენა, რომ გამოსვლის ეფექტურმა სტრატეგიამ შეიძლება მოგვცეს სარგებელი თუნდაც შემ-

თხვევით შერჩეულ შესვლებში. ჩვენ არ გაგეკვირვებია, რომ ამ დებულების დასამტკიცებლად ფიუჩერსული ბაზრების დივერსიფიცირებულ პორტფელთან მიმართებაში შერჩეული იქნა სწორედ „დაკიდებული" სტოპი. თარპმა გამოიყენება გასამმაგებული ART-ის გამოკლება მაქსიმალური და მინიმალური დახურვიდან და გამოიყენა 10 დღიანი ექსპონენციალური მცოცავი საშუალო ART-ის გათვლისათვის.

8.8. არსებული სარგებლის დაცვა

სარგებლის დაცვის ანალოგიური ლოგიკა შესაძლოა იქნეს გამოყენებული „დაკიდებული" სტოპის ხმარების დროს. ტრეიდის დასაწყისში მანძილი სტოპამდე ფიუჩერსული ბაზრების უმრავლესობაზე უნდა იყოს 2,5-დან 4 ART-ის დიაპაზონში. სარგებლის დაგროვებასთან ერთად, ჩვენ შეგვიძლია მივწიოთ სტოპი უფრო ახლოს, თუ კი შევამცირებ ART-ის ერთეულების რაოდენობას მაქსიმუმიდან ჩვენს სტოპამდე.

დავუშვათ, ჩვენ დავიწყეთ ტრეიდი, როდესაც გვაქვს „დაკიდებული" სტოპი მაქსიმუმიდან სამი ART-ის დაშორებით. სარგებლის პირველი დონის მიღწევის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია შევავიწროთ სტოპი, შევცვალოთ ეს მნიშვნელობა 1,5 ART-ზე. შემდგომში, სარგებლის დაგროვებასთან ერთად, შემოსავლიანობის განსაზღვრული მნიშვნელობიდან, სტოპის შევიწროება ერთ ART-მდეა შესაძლებელი. ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი შედეგები ზოგიერთი ძალიან მომგებიანი გარიგეგებიდან მცოცავი სტოპით, რომლებიც „დაკიდებული" იყო მაქსიმუმიდან მინმუმამდე მხოლოდ ნახევარი ART-ის მანძილზე. ჩვენ ვთვლით, რომ მაქსიმალური სარგებიალობის მისაღებად ტრენდი მიმდევარი სისტემებიდან, აუცილებელია მცურავი სტოპის შევიწროება მნიშვნელოვანი მოგების დაგროვებასთან ერთად.

აღნიშნავთ, რომ თუმცა სტოპების „დასაკიდებლად" გამოყენებული მაქსიმუმების მნიშვნელობებს შეუძლიათ მხოლოდ გაზრდა, ვოლატილობის ცვლილებებს შეუძლიათ შეამცირონ ან გაზარდონ სტოპის სიგანე. თუ კი თქვენ გნებავთ სიფართის ნაკლები რხევების ყურება - გამოიყენეთ **ART**-ის მეორე სიგრძე. თუ კი გინდათ გქონდეთ უფრო ადაპტური სტოპი გამოიყენეთ უფრო მოკლე **ART**. ჩვენ ჩვეულებრივ ვიყენებთ 12 ბარს **ART**-ს გამოსათვლელად, თუ კი არ არის რაიმე განსაკუთრებული პირობები, რომლებიც მოითხოვენ ამ ნიშნველობის შეცვლას. **ART**-ს ძალიან მოკლე (3 ან 4 ბარი) მნიშვნელობების გამოყენებისას, ხშირად იქმნება პრობლემები ძალიან დაბალი ვოლატილობის პერიოდში, როდესაც სტოპი ძალიან ახლოს იწევს ფასებისაკენ და ფასის შემთხვევითმა მოძრაობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სტოპის ცრუ ამოქმედება. თუ კი ჩვენ გვსურს მოკლე და მაღალადაპტური **ART**-ის გამოყენება სტოპის ძალიან ახლოს განლაგების რისკის გარეშე, ჩვენ შეგვიძლია გაეთვალოთ მოკლე და გრძელი **ART** (მაგალითად 4 და 12 ბარი) და გამოვიყენოთ ის მნიშვნელობა, რომელიც გვაძლევს უფრო ფართო სტოპს. ეს ტექნიკა საშუალებას აძლევს ჩვენს სტოპებს სწრაფად გაიწიონ მაღალი ვოლატილობის პერიოდში ცრუ ამოქმედების რისკის გარეშე ძალიან დაბალი ვოლატილობის მოკლე პერიოდში.

8.9. არხის და დაკიდებული სტოპების კომბინირება

არიან ტრეიდერები, რომლებსაც უყვართ ტრენდის დაწყება მცურავი არხის სტოპის დაყენებით და შემდეგ, როცა ფასები გაიზრდება და მიიღებენ რაღაც სარგებელს, მაშინ ამატებენ დაკიდებულ სტოპებს. ამ დროს არხის სტო-

პი ჩერდება მინიმუმების დონეზე და არ მოძრაობს ზემოთ სარგებლის მიღებასთან ერთად. ამასთანავე ის არ რეაგირებს ახალი მაქსიმუმების მიღწევაზე. აი რატომ გეჭირდება დაკიდებული სტოპი - რათა ვიყოთ დარწმუნებულები, რომ ჩვენი სტოპი არ არის განლაგებული ძალიან შორს მაქსიმუმიდან. გასასვლელის ორი ტექნიკის კომბინირებით ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ არხის სტოპი ტრეიდის დასაწყისში სტოპის დონის ძალზედ თანდათანობითი მომატებისათვის. მაგრამ, თუ კი ტრეიდი სწრაფად ვითარდება ჩვენს მიერ არჩეული მხარისაკენ, მაშინ წარმოიშობა მნიშვნელოვანი გარღვევა "სტოპსა" და ფასებს შორის. რადგანაც ჩვენ გვაქვს სარგებელი, აუცილებელია საუკეთესო გამოსავალი, რომელიც დაიცავს ჩვენს სარგებელს. აზრი აქვს ამ წერტილში დაკიდებული სტოპის ჩართვას, რომელიც დაიწყებს მომატებას ზუსტად იმავე მომენტში, როგორც კი იქნება მიღწეული ახალი მაქსიმუმი. დაკიდებული სტოპის ეს თვისება ხდის მას ერთ-ერთ ყველაზე ლოგიკურად დასაბუთებულს მომგებიანი გარიგებების დროს.

პოზიციების დახურვის წესები. დახურეთ პოზიციები ნებისმიერი შემთხვევაში (ზემოთ ჩამოთვლილი მუშაობის თავისებურებების დაცვით):

- საანგარიშსწორებო დროის გასვლის შემდეგ;
- საანგარიშსწორებო სარგებლის მიღების შემდეგ;
- საანგაროშსწორებო ზარალის მიღების შემდეგ;
- სარგებლის მაქსიმუმის მიღწევის შემდეგ.

პოზიციის გახსნა და დახურვა არის მოძრაე მიზანში სროლა. ზუსტად „ათიანში" (ამორჩეულ ფასში) ძალიან ძნელია. მზად იყავით დადოთ „ათიანთან" ახლოს მდებარე ფასთან გარიგება.

პოზიციების მხარდაჭერის და საანგარიშსწორებო დრომდე ნაწილობრივი დახურვის წესები:

1) დაიცავით პოზიციები მხოლოდ მაშინ, როდესაც ანალ-

იზი ადასტურებს ადრე გაკეთებულ დასკვნებს.

2) ნაწილობრივ დახურეთ:

- გაანგარიშებულზე მეტი ზარალის მიღების დროს;

თუ კი ფასმა მიაღწია მოგების მისაღებ გათვლილ ნიშანს.

3) დაელოდეთ:

- გათვლილზე დაბალი ზარალის მიღებისას;
- თუ კი ფასი იგივე დონეზე რჩება;
- თუ კი ფასმა არ მიაღწია სარგებლის მიღების გათვლილ ნიშანს.

უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი

ა

ანგარიში – სპეციალური პირადი ანგარიში შიდა აღრიცხვისათვის, გახსნილი კომპანიაში კლიენტის მიერ, რომელზეც ხდება კომპანიის და კლიენტის ვალდებულებების აღრიცხვა, რომელნიც წარმოიქმნებიან გარიგებებიდან, რომლებიც სრულდებიან აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში.

ანგარიშის ისტორია – სრულად დასრულებული ტრანზაქციებისა და სავაჭრო ანგარიშზე არა სავაჭრო ოპერაციების სია.

არასავაჭრო ოპერაცია – სავაჭრო ანგარიშის შევსება (სავაჭრო ანგარიშიდან თანხის გატანა) ან კრედიტის მინიჭების (დაბრუნების) ოპერაცია.

არაკონვერტირებადია ვალუტა – თუკი ამ ვალუტის ქვეყანაში სავალუტე ოპერაციებზე კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები მოქმედებს.

აღმავალი ტრენდი – როდესაც ტალღაში მიიღწევა წინაზე მეტად მაღალი კურსის მნიშვნელობა,ტალღის ქვედა წერტილები ერთდება სწორი ხაზით – ტრენდის ხაზით.

აშკარა შეცდომა – პოზიცის გახსნა/დახურვა კლიენტის მიერ ან ორდერის შესრულება დილერის მიერ ფასის მიხედვით, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება მოცემული ინსტრუმენტის ფასისაგან კოტირების ნაკადში ქმედების შესრულების მომენტისათვის, ან დილერის რაიმე სხვა ქმედება ან უმოქმედობა,დაკავშირებული აშკარად ბაზარზე ფასის არასწორად განსაზღვრასთან დროის გარკვეულ მომენტში.

Ask - მოწოდების ფასია, ანუ ფასი რამდენადაც ვიღაცას სურს მისი გაყიდვა.

ბ

ბალანსი (balance) თეიდმყოფადი ფინანსური შედეგი ყველა სრულად დამთავრებული ტრანზაქციისა და საეაჭრო ანგარიშიდან ფულადი სახსრების შეტანა/გამოტანის ოპერაციისა.

ბაზრის გახსნა – ვაჭრობის განახლება დასვენების დღეების შემდეგ, საზეიმო დღეების ან საეაჭრო სესიებს შორის შესვენების შემდეგ.

ბირჟა - იურდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზებული ბაზრის რეგულარულ ფუნქციონირებას. ბირჟაზე დგას საეაჭრო სერვერი, რომელთანაც სპეციალური გლობალური კავშირის ხაზებით მიერთებულია აკრედიტებული ბროკერული კომპანიები. ბროკერები თავიანთი ან კლიენტთა ინტერესებით ანთავსებენ განაცხადებს ყიდვაზე ან გაყიდვაზე.

ბიდი (Bid) უმაღლესი ფასია, რამდენადაც ვიღაცას სურს მისი ყიდვა.

ბროკერი – ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ტრეიდერების დაკრედიტების და მხარდაჭერის მომსახურებას.

დ

დივერგენცია არის სიტუაცია, როდესაც ფასების მოძრაობის ტენდენცია და ტექნიკური ინდიკატორების მიმართულება ერთმანეთს არ ემთხვევა. დივერგენცია წარმოადგენს ტრენდის შემობრუნების ძლიერ სიგნალს.

დილინგი – ვაჭრობა უნაღდო ვალუტით.

დღისშიდა ვაჭრობა (intraday) – ვაჭრობა რომელიც ორიენტირებულია მოგების მიღებაზე ერთი დღის განმავლობაში.

ე

ეკონომიკური ციკლები - საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში რეგულარულად განმეორებადი პერიოდებია. ეკონომიკური ზრდის ზოგად ტენდენციას თან ახლავს ეკონომიკური აქტიურობის პერიოდული რყევები: წარმოების მოცულობის შემცირება და გაფართოება, ინვესტიციების, შემოსავალთა დონის, დასაქმების, ფასების, საპროცენტო განაკვეთების, ფასიანი ქაღალდების ღირებულებათა კლება და ზრდა.

ვ

ვალუტის კონვერტირების ხარისხი - განისაზღვრება სავალუტო ოპერაციების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის მიერ.

თ

თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა - არის ისეთი ვალუტა, თუკი ამ ვალუტის ქვეყანაში რეზიდენტებსა და არარეზიდენტებზე არ ვრცელდება რაიმე შეზღუდვები სავალუტო გარიგებათა მიმართებაში.

ი

ინდიკატორი არის ნებისმიერი სტატისტიკური ინფორმაცია ბაზრის შესახებ, რომელიც შემდეგ შეიძლება წარმოდგენილი იყოს გარფიკის, ცხრილის ან სხვა ჩვენთვის ხელსაყრელი სახით.

ინვესტორი - ფიზიკური ან იურდიული პირი, რომელიც დებს ფინანსურ სახსრებს რისკის გამოყენებით. ინვესტიციები მოიცავს სახელმწიფო ან კერძო კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას მოგების მიღების მიზნით.

კლიენტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი,რომელიც კომპანიასთან აფორმებს კონვერსიულ საარბიტრაჟო ოპერაციებისათვის კვოტირების მინიჭებაზე ხელშეკრულებას.

კლიენტის ლოგ-ფაილი – ფაილი, იქმნება კლიენტის ტერმინალის მიერ, რომელსაც ერთი წამის სიზუსტით შეაქვს ოქმში ყველა მოთხოვნა და განკარგულება, რომელსაც კლიენტი უგზავნის დილერს.

კონტრაქტის სპეციფიკაცია – ძირითადი სავაჭრო პირობები (სპრედი, ლოტის ზომა, სავაჭრო ოპერაციის მინიმალური რაოდენობა, სავაჭრო ოპერაციის ცვალებადობის ბიჯის ზომა, საწყისი მარჟა, ლოკირებული პოზიციებისათვის მარჟა და ა.შ.) ყველა ინსტრუმენტისათვის.

კონვერტირებადობა – არის ვალუტის უნარი თავისუფლად გაიცვალოს სხვა ვალუტებზე და უკან ეროვნულ ვალუტაზე.

კოტირების ნაკადი – კოტირების თანამიმდევრობა ყოველი ინსტრუმენტისათვის, რომელიც შემოედინება სავაჭრო პლატფორმაში.

კროს-კურსი – ორი ვალუტის თანაფარდობა, გამოხატული მათი თანაფარდობით მესამე ვალუტის კურსთან. ჩვეულებრივ, მესამე ვალუტის როლში გამოდის აშშ დოლარი, რადგანაც იგი მსოფლიო სარეზერვო ვალუტაა.

კროს-კურსის გამოთვლა პირდაპირი კოტირებებით დოლართან. თუ აშშ დოლარი ბაზურია ორივე ვალუტისთვის, მაშინ მათი კროს-კურსის დასადგენად ამ ვალუტების დოლარული კურსები ერთიმეორეზე უნდა გავყოთ.

მაგალითად, გვჭირდება ვიპოვნოთ კროს-კურსი შვიცარული ფრანკი იაპონურ იენასთან – **CHF/JPY. CHF/JPY=(USD/JPY) / (USD/CHF).**

კროს-კურსის გამოთვლა პირდაპირი ან ირიბი კოტირებით, სადაც დოლარი ბაზურია ერთერთი ვალუტისთვის. თუ

დოლარი ბაზური ვალუტაა მხოლოდ ერთი ვალუტისათვის, მაშინ საჭიროა ამ ვალუტების კურსების გადამრავლება.

მაგალითად, გვჭირდება ვიპოვნოთ კროს-კურსი ფუნტისა ლუნისთან — **GBP/CAD**. კვლავ გამოვიყენოთ **GBP/CAD** წიალადის გამოთვლის ფორმულა ამ ვალუტების დოლარული კურსების საფუძველზე. აქ **GBP/USD** გახლავთ ირიბი კოტირება, ხოლო **USD/CAD** პირდაპირი. **GBP/CAD = GBP/USD x USD/CAD.**

კროს-კურსის გამოთვლა ირიბი კოტირებებით დოლართან, სადაც დოლარი ორივე ვალუტისთვის კოტირებადია. ამ შემთხვევაში, კროს-კურსის გამოსათვლელად საჭიროა ისინი გაეყოთ ერთმანეთზე.

მაგალითად, გვჭირდება ვიპოვნოთ კროს-კურსი ფუნტისა აუსისთან – **GBP/AUD. GBP/AUD=(GBP/USD) / (AUD/USD).**

ლ

ლოტი საეაჭრო ოპერაციებისას ინსტრუმენტის მოცულობის საზომი ერთეული.

ლოტის ზომა – საბაზო ვალუტის რაოდენობა ერთ ლოტში, რომელიც განისაზღვრება კონტრაქტების სპეციფიკაციით.

მ

მარკეტ-მეიკერი – მსხვილი ბანკები და ფინანსური კომპანიები,რომლებიც განსაზღვრავენ ვალუტის მიმდინარე კურსს ან პროცენტულ გარიგებებს, თავისი მნიშვნელოვანი წილის გამო,ბაზრის სერთო მოცულობაში.

მარჟა (ინგ. margim) – საბანკო და საბირჟო პრაქტიკაში ზოგადად მიღებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს გირაოს თანხას, რომლის მიხედვითაც გაიცემა სესხი.

მარჟა თავისუფალი – პოზიციის გასახსნელად გირაოში აუმოქმედებელი სახსრები. გამოითვლება: **Free Margin = Equity - Margin**.

მარჟინალური ვაჭრობა – არის ვაჭრობა სასესხო საშუალებების გამოყენებით, რომელიც გაცემულია დილინგური ცენტრის ან საბროკერო ფირმის მიერ განსაზღვრული გირაოს სანაცვლოდ (მარჟინალური გირაო).

მარჟა მინიმალური – პროცენტებში გამოსახული საკრედიტო მხარი.

მარჟა ვარიაციული – არის კლიენტის მარჟის და მიღებული სარგებლის (ან ზარალის) ჯამი.

მარიბოზუ – იაპონურად ნიშნავს მოკლედ შეკრეჭილს. საუბარია იაპონურ სანთელზე, რომელსაც აქვს გრძელი სხეული და არ აქვს ჩრდილები.

მარიბოზუ შავი – ხშირად არის დაღმავალი ტრენდის გაგრძელების მოდელების შემადგენელი ნაწილი. გრძელი სხეული ჩრდილის გარეშე მიუთითებს დათვების საბოლოო გამარჯვებაზე ამიტომ, ის ხშირად აღმოჩნდება ხოლმე პირველი სანთლის აღმავალი ტრენდის შემობრუნების მოდელებში.

მარიბოზუ თეთრი – ხშირად არის აღმავალი ტრენდის გაგრძელების მოდელების შემადგენელი ნაწილი. გრძელი სხეული ჩრდილის გარეშე მიუთითებს ხარების საბოლოო გაძლიერებაზეზე.

მარიბოზუ დახურვის – დახურვის მარიბოზუს არ აქვს ჩრდილი დახურვის მხარეს. ანალოგიურად გახსნის მხარის მიმართ განირჩევა გახსნის მარიბოზუ.

მხარდაჭერის დონე – არხის ქვედა საზღვარი.

მრჩეველი – საეჭრო ანგარიშის მართვის ალგორითმი, პროგრამის სახით შედგენილი სპეციალურ ენაზე **MetaQuotes Language 4**, რომელიც აგზავნის მოთხოვნებს და განკარგულებებს სერვერზე, კლიენტის ტერმინალის გამოყენებით.

ნ

ნაწილობრივ კონვერტირებადად ითვლებიან იმ ქვეყნების ვალუტები, სადაც მოქმედებს შეზღუდვები და რეგლამენტაცია ზოგიერთ გაცვლით ოპერაციებზე ან ამ გაცვლის ზოგიერთ მონაწილეებზე. კონვერტაციის თავისუფლება განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ანუ მხოლოდ კანონით ვალუტის გაცვლის ნებართვა საკმარისი არაა, აუცილებელია ვალუტის მიმართ ნდობა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება.

ნორმალური საბაზრო პირობები – ბაზრის მდგომარეობა რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:სავაჭრო პლატფორმაში,კოტირების მიღებაში მნიშვნელოვანი შესვენებების არ ქონა,ფასების მიზანასახული დინამიკის არ ქონა,მნიშვნელოვანი ფასთა წყვეტის არქონა.

ო

ორდერის დონე – ორდერში მითითებული ფასი.

ოფციონი ფიუჩერსულ კონტრაქტზე ოფციონი, რომელიც ფიუჩერსული კონტრაქტის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას იძლევა, მიწოდების მოცებული ვადითა და განსაზღერული საბაზისო აქტივით.

პ

პოზიცია დია – სრულად დამთავრებული ტრანზაქციის პირველი ნაწილის შედეგი. პოზიციის გახსნისა კლიენტს უჩდება ვალდებულება: განახორციელოს იმავე მოცულობის საპირისპირო გარგება: და უზრუნველყოს **equity** აუცილებელი მარჯის არა ნაკლებ 10%.

პუნქტი – კურსის უმცირესი თანრიგი.

რ

რენჯი – დაშორება წინააღმდეგობის და მხარდაჭერის ხაზებს შორის.

რეცესია – არის ეკონომიკური ციკლის ვარდნის მსუბუქი ფორმა.

ს

საანგარიშგებო ვალუტა – ფულადი ერთეული,რომელშიც ხდება ანგარიშის შევსება და ანგარიშიდან თანხის გატანა.

სავალუტო კურსი - არის ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი (კოტირება), გამოსახული მეორე ქვეყნის ფულად ერთეულში, ძვირფას მეტალებში, ფასიან ქაღალდებში. სავალუტო კურსები აისახება სავალუტო წყვილების სახით.

მაგალითად: **EUR/USD**. მოცემული სავალუტე წყვილი გვიჩვენებს, რამდენი აშშ დოლარი ღირს 1 ევრო. ვალუტა, რომელიც წყვილში პირველი დგას (ჩვენს შემთხვევაში ევრო), არის ბაზური.

სავაჭრო ოპერაციების მოცულობა – ლოტების რაოდენობის წარმოებული ლოტის სიდიდეზე.

სავაჭრო ოპერაცია – კლიენტის მიერ ნებისმიერი ინსტრუმენტის ყიდვა ან გაყიდვა.

სავაჭრო ანგარიში – უნიკალური პერსონიფიცირებული რეესტრი ოპერაციების აღრიცხვისა სავაჭრო პლატფორმაში, რომელზეც აისახება სრულად დასრულებული ტრანზაქციები, გახსნილი პოზიციები, არასავაჭრო ოპერაციები და ორდერები.

სავაჭრო პლატფორმა – პროგრამული უზრუნველყოფის და ტენიკური საშუალებების ურთიერთშერწყმა, რომელნიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიღებას ფინანსური ბაზრე-

ბიდან რეალური დროის რეჟიმში, სავაჭრო ოპერაციის ჩატარებას, კლიენტის და ბროკერის ურთიერთვალდებულებების აღრიცხვას. აგრეთვე პირობების და შეზღუდვების დაცვას. გამარტივებული სახით, ნამდვილი რეგლამენტის მიზნით, შესდგება სერვერისა და კლიენტის ტერმინალისაგან.

სავაჭრო ტერმინალი არის - პროგრამა ორი მომხმარებლისათვის, ბროკერი და ტრეიდერისათვის. ტერმინალის ძირითად პარამეტრებს აყენებს ბროკერი. ამ პარამეტრებით განისაზღვრება ტრეიდერების მუშაობის ჩარჩოები, მოწოდებული კოტირებების გაფილტრა სწრაფი ცვლილებებისაგან და ნემსისებური ამოვარდნებისაგან და სხვა. ტრეიდერი ამ ძირითად პარამეტრებს, რათქმაუნდა, ვერ ცვლის, მას შეუძლია მხოლოდ სამუშაო პირობებისათვის ტერმინალის მაქსიმალურად მორგება ვიზუალური და ეკონომიური თვალსაზრისით.

საკრედიტო მხარი - გირაოს თანხისა და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობა. მარჟის ზომის მითითების მაგივრად, უთითებენ ხოლმე მხარის ზომას კოეფიციენტის სახით. მაგალითად, მარჟიალური მოთხოვნა 20% შეესაბამება მხარს 1:5, ხოლო მარჟიალური მოთხოვნა 1% შეესაბამება მხარს 1:100. ასეთ შემთხვევებში ამბობენ, რომ მოვაჭრე ხმარობს 5 (ან 100)-ჯერ მეტ სახსრებს, ვიდრე მისი საკუთარი კაპიტალია.

საფონდო ინდექსის ფიუჩერსი - ფიუჩერსული კონტრაქტი საბირჟო ინდექსების საფუძველზე.

საწყისი მარჟა – კომპანიისთვის საჭირო ფულადი უზრუნველყოფა ღია პოზიციების მხარდასაჭერად.

საბაზო ვალუტა (base currency) ფულადი ერთეული, რომლშიც ნომინილებულია და გათვლილია ანგარიშით, ყველა ბალანსი, საკომისიო დაქვითები და გადასახადები.

სადილინგო ცენტრი – კომპანია,რომელიც ხელმისაწვდომს ხდის სავალუტო ბაზარზე შესვლას, კლიენტთა განაცხადების წარდგინების საშუალებით.

სავალუტო წყვილი – ვალუტის კოტირების ტექსტური ჩანაწერი.

სერვერის ლოგ-ფაილი – ფაილი, შექმნილი სერვერის მიერ, რომელშიც ერთი წამის სიზუსტითაა შესული ყველა მოთხოვნა და განკარგულება, რომელიც კლიენტმა გამოუგზავნა დილერს, და მათი გადამუშავების შედეგები.

სკალპირება – გუსლიხმობს ასობით მცირე მოცულობის ტრეიდს დღეში თითო სესიიდან მცირე მოგების ანუ სკალპირების მიზნით. სკალპერები ძალიან მცირე მოგებით კმაყოფილდებიან და დღის ბოლოსათვის საკმაოდ დიდ მოგებასაც აგროვებენ.

სვოპი (swap - storage) – თანხა რომელიც აკლდება ან ემატება კლიენტის ანგარიშს, პოზიციის მეორე დღისთვის გადატანაზე.

სრულად დასრულებული ტრანზაქცია – შედგება ორი ერთნაირი მოცულობის ურთიერთსაწინააღმდეგო სავაჭრო ოპერაციისაგან (პოზიციის გახნა და პოზიციის დახურვა): ყიდვა შემდგომ გაყიდვით ან გაყიდვა შემდგომ ყიდვით.

სპოტ-კურსი - ერთი ვალუტის ფასი გამოხატული მეორე ვალუტაში გარიგების მომენტში, იგი დგება გარიგებიდან მეორე დღეს. **Spot** კურსი გვიჩვენებს რამდენად მაღალი იყო ეროვნული ვალუტის ფასი გარიგების მომენტში საზღვარგარეთ.

სპრედი – პუნქტებში გამოხატული სხვაობა **Ask da Bid** შორის.

სპაიკი – იხ. „არასაბაზრო კოტირება“.

ტ

ტერმინალი კლიენტებისათვის – პროგრამული პროდუქტი **MetaTrader 4.xx** ვერსია რომლის საშუალებითაც კლიენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის შესახებ (კომპანიის მიერ დაწესებული მოცულობით) რეალური დროის რეჟიმში, გააკეთოს ბაზრის ტექნიკური ანალიზი,შეასრულოს სავაჭრო ოპერაციები, დადოს/შეცვა-

ლოს/გააუქმოს ორდერები, კომპანიისგან მიიღოს შეტყობინებები.

ტრენდის ხაზები – გრაფიკზე გაკეთებული პირდაპირი ხაზები, გამავალი ჩაღრმავებაზე აღმავალი ტენდეციისას და პიკებზე დაღმავალისას, ეს ხაზები განსაზღვრავენ მიმდინარე ტენდეციას. ხაზის გარღვევა, ჩვეულებრივ ტენდეციის შეცვლის სიგნალია.

ტრენდ მიმყოლი - საინვესტიციო სტრატეგიაა, რომლის მიხედვითაც ტრეიდერი ცდილობს მიყვეს ბაზრის გრძელვადიან ტენდენციას, რომელსაც სხვადასხვა საფინანსო ბაზრები განაპირობებენ. ამ მეთოდის მომხმარებლები არ ადევნებენ თვალყურს მხოლოდ **FOREX and STOCKs** ბაზრებს. ამ შემთხვევაში ტრეიდერი მობილიზებულია ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე და სატრეიდინგო ინსტრუმენტზე. მაგალითად თუ თქვენ ვაჭრობთ **FOREX**-ზე აუცილებალდ ადევნებთ თავალყურს, ოპციონებს, ინდექსებს, ძვირფასი ლითონებისა და ნავთობ პროდუქტების ფასებს.

ტრეიდინგი დღის – ეს არის ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მიხედვითაც ყიდვა-გაყიდვა ხდება სავაჭრო დღის დასრულებამდე და გარიგების ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ დღეს. ტრედერებს, რომლებიც ამ მეთოდს იყენებენ ხშირად აქტიურ ან დღის ტრეიდერებს უწოდებენ.

ტრანზაქცია – სავაჭრო ოპერაციების ერთობლიობა,რომლის დროსაც სახსრები გადადიან საბაზო ვალუტიდან კოტირების ვალუტაში და პირიქით.

ტრეიდერი – ადამიანი რომელიც ვაჭრობს ფორექსის ბაზარზე მოგების მისაღებად.

ტრენდი - ეწოდება ფასის აღმავალ ან დაღმავალ ტენდენციას, რომელიც მოიცავს ფასის რყევებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ტიკერი – უნიკალური საიდენტიფიკაცო ნომერი,რომელიც ენიჭება სავაჭრო პლატფორმაში ყველა გახსნილ პოზიციას და შედგენილ ორდერს.

უ

უკუ (ირიბი) კოტირება ასახავს აშშ დოლარების რაოდენობას, რომელიც მოდის საზომი-ვალუტის ერთეულზე. მაგალითად, **EUR/USD** 1.3929 ნიშნავს, რომ 1 ევროში იძლევიან 1.3929 აშშ დოლარს. ერთი ვალუტის კურსი მეორის მიმართ შეიძლება განისაზღვროს მესამე ვალუტის მეშვეობით. ამ შემთხვევაში მას კროს-კურსი ეწოდება. ასეთი კოტირებების საჭიროება წარმოიშობა იმ შემთხვევებში, როცა ორ ვალუტას შორის პირდაპირი გაცვლითი ოპერაციები მცირეა, და შედეგად, არ იკვეთება საწმუნო პირდაპირი კოტირებები.

ფ

ფასი – არასაბაზრო კოტირების წინმსწრები – ერთწუთიანი ბარის დაკეტვისას ფასი, ერთწუთიანი ბარის წინმსწრები არასაბაზრო კოტირებით.

ფასის წყვეტა – ორი სიტუაციიდან ნებისმიერი: მიმდინარე კოტირების **Bid** მეტია წინა კოტირების **Ask**; მიმდინარე კოტირების **Ask** ნაკლებია წინა კოტირების **Bid**-ზე. ფასის წყვეტა ბაზრის გახსნისას - ორი სიტუაციიდან ნებისმიერი: ბაზრის გახსნის **Bid**-ზე.

ფიუჩერსული გარიგება - საბირჟო გარიგებაა, რომლის ობიექტი გახლავთ ფიუჩერსული კონტრაქტი. ფიუჩერსული კონტრაქტების დადების რიგი და პირობები დადგენილია საბირჟო საბჭოს ცალკე დებულებით.

ფიუჩერსული კონტრაქტის ფასი - ფიუჩერსული კონტრაქტის დადებისას დაფიქსირებული საბაზო აქტივის ფასი ან ინდექსის მნიშვნელობა.

ფიუჩერსის შესრულების დღე მიწოდების გარეშე - სპეციფიკაციით დადგენილი შესაბამისი ფიუჩერსის დღე, როდესაც განისაზღვრება ამ სერიის ფიუჩერსის საბოლოო ფასი.

ფიგურა – ფასის ცვლილება 100 პუნქტით: მაგალითად **EUR/USD**-ს ფასის ცვლა 1.3770-დან 1,3870-მდე არის ფიგურით ზრდა.

ფორექსი - საერთაშორისო სავალუტო ბაზარი, რომელიც დაარსდა 1971 წელს.

ფორს-მაჟორული გარემოება – მოვლენები, რომელთაც ვერ გაითვალისწინებ და ვერ აიცილებ თავიდან. ასეთებია: სტიქიური უბედურება, ომები, ტერორისტული აქტები, მთავრობის ქმედება, სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ქმედება, ხაკერთა აქტები და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება სერვერის მიმართ.

კოტირება მეტია ბაზრის დაკეტვის **Ask** კოტირებაზე. ბაზრის გახსნის **Ask** კოტირება ნაკლებია ბაზრის დახურვის **Bid** კოტირებაზე.

შ

შემმუშავებელი – კომპანია **«Eta Quotes Software Corp.»** სავაჭრო პლატფორმის შემმუშავებელი.

შედგენილი ორდერი – კლიენტის მითითება დილერისადმი, გახსნას პოზიცია ორდერში მითითებული ფასის დონის მიღწევისას.

შუამავალი ბროკერი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეაჭრობს კლიენტის სახელით და კლიენტის ფულადი სახსრებით.

შუამავალი მაკლერი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეაჭრობს კლიენტის სახელით და საკუთარი სახსრებით.

წ

წინააღმდეგობის დონე – არხის ზედა საზღვარი.

ხ

ხარები - ტრეიდერები რომლებიც იმედოვნებენ ვალუტის კურსის გაზრდაზე.

ხარების ბაზარი - ბაზარი კურსის ზრდის ტენდეციით.

ჰ

ჰეჯირება – ოპერაცია ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რომელიც ნაწილობრივ გადაფარავენ დანაკარგების რისკს სხვა ინსტრუმენტებთან მუშაობისას. მაგალითად ფიუჩერებით ვაჭრობისას დოლარზე, შეიძლება რისკის ხეჯირება შეიძლება ოფციონის კონტრაქტრებით **EUR/USD**-ზე ან პირიქით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შონია ნ., გუგეშაშვილი თ. - საბირჟო საქმე, ნაწილი პირველი, თბილისი 2009 წ.

2. შონია ნ., გუგეშაშვილი თ. - საბირჟო საქმე, ნაწილი მეორე, თბილისი 2009 წ.

3. ქოქიაური ლ., შონია ნ. - ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თბილისი, 2008 წ.

4. შონია ნ. - საბირჟო ფსიქოლოგია, ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, ნოემბერი, 2009წ.

5. შონია ნ. - წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, ოქტომბერი, 2009წ.

6. შონია ნ. - ფორექსი - მითი თუ რეალობა, ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, სექტემბერი, 2009წ.

7. შონია ნ. - საქართველოს საფონდო ბირჟის ფუნქციონირების მექანიზმი გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, აპრილი, 2009წ.

8. შონია ნ. ინოვაციები საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკაში, ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, იელისი-აგვისტო, 2009წ.

9. Чувашов С.В. - «Эффективное Создание Денег», Обучающий курс, МОСКВА, 2009

10. Некрасов А. - Укрощение риска. практические пособие по управлению капиталом длиия трейдеров и инвесторов, москва, 2007

11. Развитие и регулирование рынка капитала, Интерактивный курс ЮНИТАР/УДФ, 2005

12. .Мэрфи Джон Дж - "Технический анализ фьючерсных рынков: теория и практика". Издательство "Сокол", 1996.

13. Пискулов Д.Ю. - "Теория и практика валютного дилинга". Фирма "Финансист",1996.

14. "Настольная книга валютного дилера". СП "Крокус Интернэшнл", 1992.

15. Стивен Б. Акелис "Технический анализ от А до Я ".М.Диаграмма , 1999

16. Роберт В.Колби и Томас А.Мейерс - "Энциклопедия технических индикаторов рынка". Издательский дом "Альпина", 1998.

17. Стив Нисон - "Японские свечи: графический анализ финансовых рынков". Москва, "Диаграмма", 1998.

18. Эрлих А. - "Технический анализ товарных и финансовых рынков". И-во "Инфра М" 1996.

19. Демарк Т. - "Технический анализ, новая наука". Москва, "Диаграмма",

20. www.vef.ge

21. www.fingeorgia.ge

22. www. alpari.academy.ru

23. www.akmos.ru

24. www.forex.org.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა——3
INTRODUCTION——7

თავი 1. მითები FOREX-ის ბაზრის შესახებ
1.1. FOREX-ის ბაზრის არსი და სტაბილურობა——10
1.2. FOREX ბაზრის განვითარების ძირითადი ეტაპები——17
1.3. FOREX ბაზრის მონაწილეები——24
1.4. მითები FOREX-ის ბაზრის შესახებ——31
1.5. მითები საბირჟო ბურუშებზე——41

თავი 2. ტრეიდერის შუნქციები და კატეგორიები
2.1. ტრეიდერის შუნქციები——45
2.2. ანგარიშის გახსნის ეტაპები——47
2.3. ტრეიდერების კატეგორიები——50
2.4. ტრეიდერის სამუშაო ადგილი——54
2.5. მსოფლიოში ცნობილი ტრეიდერები——56
2.6. ტრეიდერების ყველაზე
გავრცელებული შეცდომები——66
2.7. თრეიდერის საქმიანობაზე უარყოფითად
მოქმედი ფაქტორები——80
2.8. რჩევები თრეიდერებს——84

თავი 3. საფაჩრო ტერმინალის არსი
და მუშაობის პრინციპები
3.1. საფაჩრო ტერმინალის არსი——89
3.2. ბროკერის არჩევა FOREX-ის ბაზარზე——91
3.3. მარჭინალური ვაჭრობა (MARGIN TRADING)——103
3.4. METATRADER 4-ის დაყენება——108
3.5. METATRADER 4-ის მახასიათებლები——109
3.6. რეალური ანგარიშის გახსნა——110

3.7. საფასური ორდერები — 111
3.8. ორდერთა შესრულება — 113
3.9. ტრენდი — 114
3.10. ტრენდის გაგრძელების ფიგურები — 116
3.11. ტრენდის შემობრუნების ფიგურები — 122

თავი 4. ფუნდამენტალური ანალიზი და მისი მეთოდები

4.1. ფუნდამენტალური ანალიზის არსი — 131
4.2. სავალუტო კურსის არსი და სახეები — 132
4.3. სავალუტო კურსზე მოქმედი ფაქტორები — 135
4.4. ეკონომიკური ციკლები — 139
4.5. ფინანსური ინსტიტუტები — 142
4.6. მაკროეკონომიკური ინდიკატორები — 153

თავი 5. ტექნიკური ანალიზის არსი და მისი მეთოდები

5.1. ტექნიკური ანალიზის ცნება — 167
5.2. გრაფიკთა ანალიზი — 168
5.3. ბაზრის ინდიკატორები — 175
5.4. იაპონური სანთლები — 183

თავი 6. რისკები და ჰეჯირება ფორექსის ბაზარზე

6.1. რისკის არსი და კლასიფიკაცია — 190
6.2. სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე არსებული რისკები — 200
6.3. რისკების მართვა ფორექსის ბაზარზე — 203
6.4. რა არის ჰეჯირება? — 210
6.5. ჰეჯირების ძირითადი ინსტრუმენტები — 216
6.6. ჰეჯირების სტრატეგიები — 219
6.7. ჰეჯირების ღირებულება — 224
6.8. ჰეჯირების შედეგები — 227
6.9. სავალუტო რისკების მართვა საქართველოში — 235

თავი 7. ბაზარზე შესვლის მეთოდები (შვიდი ეფექტური წერტილი)

7.1. ტრენდში ვაჭრობა——237
7.2. ვაჭრობა ბარლვევაზე ——240
7.3. ვაჭრობა გვერდითი მოძრაობის დროს——245

თავი 8. ბაზრიდან გამოსვლის მეთოდები

8.1. ბაზრიდან გამოსვლის მნიშვნელობა——249
8.2. გასასვლელი MONEYMANAGMENT-ის საშუალებით——250
8.3. ადაპტური სტოპ-ლოსები——254
8.4. გასასვლელის რეგულირება——258
8.5. მცურავი სტოპები (TRAILING STOPS)——261
8.6. არხიდან გამოსვლის სტოპი (THE CHANNEL EXIT)—263
8.7. დაკიდებული სტოპები (THE CHANDELLER EXIT)---267
8.8. არსებული სარგებლის დაცვა——269
8.9. არხის და დაკიდებული სტოპების კომბინირება——270

უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი——273
გამოყენებული ლიტერატურა——287

საგამომცემლო უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი: ზაურ ნაჭყებია
ტექნიკური რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი

ოპერატორები: სოფო ძილიფთარი
ნონა ჯღარკავა

კორექტორები: გვანცა შანავა
ლელა კვირტია

მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ: 92-25-23; 10-26-28.

Email: inovacia@caucasus.net